

# ქართული მწიგნობები

სალიტერატურო ჟურნალი

დაარსებულია  
1926 წელს

აღდგენილია  
1990 წელს

განახლებულია  
2008 წელს

**6**

ივნისი  
**2011**

## რედაქტორი

ლევან ბრეგაძე

## რედაქტორის მოადგილე

ზვიად კვარაცხელია

## სარედაქციო ჯგუფი

მაია კუდავა  
მეგი ობოლაშვილი  
ოლიკო ჟღენტი  
ნინო სადღობელაშვილი  
გვანცა ჯობავა

კონცეფცია და დიზაინი:  
© პაატა ნაცვლიშვილი, 2008.



### გამომცემლობა ინტელექტი

---

0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №17ბ  
25-05-22, 91-22-83, 8(99) 55-66-54  
ფაქსი: 25-05-22, 91-22-83  
www.intelekti.ge info@intelekti.ge  
რედაქტორი: 8(99) 90-37-22

ISSN 1512 - 4444

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2008.

## **პოეზია**

**ბელა ჩეკურიშვილი. TO BE CONTINUED 5**

**ცისანა გვრიტიშვილი. ლექსები 7**

## **მსატკრული პროზა**

**მაკა მიქელაძე. ძმები ფრთებით 9**

**ნანა ჯალიაშვილი. ნაკვალევი – მკვეთრი, განუმეორებელი 20**

## **დებიუტი**

**მარიამ ბაჯელიძე. ლექსები 22**

**გვანცა სალუქვაძე. მას უყვარდა 24**

## **ესეისტიკა/დოკუმენტური პროზა**

**ემზარ კვიციანიშვილი. მწერები და პოეზია 26**

**მარიამ ნიკლაური. დაუნერელი წერილებიდან 31**

## **კრიტიკა**

**მაია ჯალიაშვილი. პარიზი – ჩემი დაგვიანებული სიყვარული 38**  
(ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუმე“)

**ჰაატა შამუგია. ორი ავტორი, ორი წიგნი 43**  
(უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“, ირაკლი ჯავახიძის „სამი ძველი მოთხრობა“)

**ოქტაი ქაზუმოვი. ჯგუფ „სტიგმატის“ პოეტური ფილმები 46**

## **100 ლექსის ქვეყანა**

**ნინო ვახანია. ძველი, წარმართი კოლხების შთამომავალი 48**  
(არჩილ ფირცხალავას 100 ლექსი)

**ზეინაბ სარია. „ბოლომდე დავრჩი შლეგ პოეტად“ 52**  
(ანუ ჰერმენევტიკული რეფლექსიები რენე კალანდიას ლექსებზე)

## **შტრიხები პორტრეტისათვის**

**ბრენდა ნაითი. ლენორ კენდელი – სიტყვის ალქიმიკოსი 55**  
**წიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“**  
(ინგლისურიდან თარგმნა სალომე ბენიძემ)

**ჯემალ კასრაძე. ძია მიშა 58**  
(მიხეილ კეკელიძის გახსენება)

## ორი ფინჯანი

- 62** „მინდა ჩემი ტექსტები ჩემზე ბევრად გამძლეები გამოდგნენ“...  
(კატო ჯავახიშვილს ესაუბრება თეონა დოლენჯაშვილი)

## კომენტარი ზედმეტი არ არის!

- 67** ინტერაქტივის შედეგები

## ასალი თარგმანები

- 70** ტომას ვულფი. შორიდან და ახლოდან  
(ინგლისურიდან თარგმნა მედეა ზაალიშვილმა)
- 73** კურტ მარტი. ლექსები, მცირე პროზა  
(გერმანულიდან თარგმნა ბელა სურგულაძემ)

## თეატრი

- 77** ნათელა არველაძე. ნოეს კიდობანიც განწირულია?
- 82** ლაშა ჩხარტიშვილი. ჩანანერები ლევან წულაძის „დეკამერონზე“...

## კინო

- 84** ბორენა ბაქრაძე. „ხომლი“: ერთი იდეა და მრავალი დუბლი

## პრაქტიკაცია

- 86** პოეზიის უფლისწული – ბარათაშვილივით
- 87** კერძო ამბავი ეროვნულ სატკივარამდე
- 88** საგზალი უკვდავებამდე  
(ერთი კარგი ამბავი ბავშვებისთვის და დიდებისთვის)

## ნომრის თემა: რეპონებიდან

- 13** ნერონ აბულაძე. აჭარის რეგიონის კულტურული ცხოვრება
- 19** ქრისტინე რობაქიძე. „ქუთაისელი და ტყუილი?“
- 27** თეონა ქურთაული. ოცნება ლიტერატურულ კაფეზე
- 33** ანა გელაშვილი. შემოქმედებითი სალამოებით  
შევსებული სიცარიელე
- 39** თათია ქობალია. „ჩვენი კულტურა ნაგვის წარმოებად იქცა“

პოეზია

ბელა ჩეკურიშვილი

TO BE CONTINUED

მზესუმზირა  
(სურათი პირველი)

თუკი გეტყვით, რომ ბედნიერი ვარ, მიხარია ხის ჩრდილებზე გადაბიჯება, ახალი მძივი და კიბეც ისე ავირბინე, თითქოს გემის ანძაზე ლურჯი დროშა აასრიალეს,

მოიწყენთ და გასაქცევად სასწრაფო საქმეს მოიმიზეზებთ.

უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა იმის მოსმენა, როგორ ვიქეცი დიდი, ყვითელი, შავგულა ყვავილიდან წვრილ-წვრილ მარცვლებად და ახლა, სადღაც, ქუჩის კუთხეში, მუჭა-მუჭა ვიყიდები.

ამ სიტყვის შემდეგ, ალბათ, უკვე ქურთუქს გაიხდით, სკამს მოაბრუნებთ და სიგარეტსაც მოუკიდებთ თვალის მონკურვით.

მერე კი ხმას ისე შეიცვლით, თითქოს თოვლმა ჭადარს ტოტი ჩამოატეხა და კენწეროზე შემომჯდარი ყვავი დააფრთხო.

გაყინულ ცას შეფრენილი ყვავის ზაფრით უსასრულოდ გაიმეორებთ, რომ მზის ყურება ყველას უყვარს, მაგრამ სახელის მითვისება? სიკვდილამდე? თან უსიკვდილოდ? ვის შერჩენია?

ხოლო როცა თქვენი გულწრფელი მღელვარება თანაგრძნობის ხიდად იქცევა, სადაც უსინათლო მუსიკოსები გარმონს უკრავენ, მეც შემრცხვება და უხეირო მასპინლობა რომ არ დამნამოთ, ჩემს ახალ მძივს, ანძის ლურჯ დროშას, ხეების ჩრდილებს და ნაბიჯებს ამ ჩრდილებზე კარს უკან დავმაღავ და სადარბაზოს წინ მზესუმზირის ჩენჩოებად მოვიფანტები.

სოკოეზი

სურათი მეორე (დაუმთავრებელი)

გაგვაფრთხილეს,  
რომ ქუდებზე დავიწეროთ რიცხვები და  
პროცენტები, რამდენ გრადუს შხამს გავცემთ და ვუძღვებთ,  
როგორც ტყეში სოკოები, ფეხებითაც უნდა გვიცნონ, ფერთაც და ხალებითაც,  
რომ იოლად გვიპოვნონ და წაგვშალონ და გადაგვრეცხონ  
და მერე კი, ფოტოებად მიგვანებონ ფურცლებს.

გაგვაფრთხილეს,  
ცამეტიდან ავირჩიოთ მეცამეტე  
საწოლი და პერსონაჟი. სურვილი კი მოვაჭედოთ კარებს.  
არ გავბედოთ გადა-რბენა, გადა-ვარდნა, გადა-ფრენა, გადა-მაღვა, გადა-ქცევა,



დავიბადე საბჭოთა კავშირში.  
პირველი ლექსი 9 წლისამ დავწერე სკოლის კედლის გაზეთისთვის და შედეგად მიიჩნიეს.  
დამოუკიდებელ საქართველოში დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.  
13 წელია ინტენსიურად ვენევი ჟურნალისტურ საქმიანობას.  
გამოცემული მაქვს ორი პოეტური კრებული: „ან ან“, „ღია ბარათები“.  
პრემიებს, ჯილდოებს და ორდენებს არ ვფლობ.  
მყავს 19 წლის ვაჟი – დაჩი მეურ-მიშვილი.

და მარტივი მოძრაობით მოვახერხეთ იმ დღეების გამოსყიდვა, ორშაბათს რომ გვათხოვეს და შაბათამდე გვპარეს.

გაგვაფრთხილეს...



მოქცევა  
სურათი მესამე (ვიდეო არტი)

დღეს მოქცევაა,

გარეთ გამომაქვს და გაყრი რაც ჩავეყლაპე, წაგართვი, გაგაცალე, უნებლიეთ ხელს გავაყოლე, გამატანე.

გამომაქვს უკვე მონელებული და დაგლეჯილი, ნაკუნებად ქცეული, სახეცვლილი და გაყრი, რადგან მოხვედი, დგახარ, მიყურებ და ფეხსაც არ იცვლი.

ვხედავ, შენთვის სიმშვიდეზე უფრო მეტია იმის გაგება, ვინ (რა) შევირგე, რა (ვინ) ჩავითრიე, თვალს და ყურს რა გამოგაპარე, რას დავხარბდი, რაზე გავიყიდე, რით გამაბრყვეს.

მოქცევაა და მაღლა ამომაქვს ვერჩაკიდებული ხელები, ვადაგასული სურვილები, სამაშველო რგოლების ვირტუალური ანალოგები, საკვირაო წირვა და პური და ფსალმუნის ტექსტი ამ წირვიდან, ახალშობილის ყიფლიბანდი, შავი თავსაფარი და ვერცხლის ბეჭედი გადარეცხილი წარწერით – „ფილიპე“.

მოქცევაა, ვიცვლი რჯულს და ცხოვრების წესს, სისხლის ჯგუფს, პერანგს, ტელეფონის ნომერს, საქმროს, სარკის ორეულს,

ვექცევი მავნე გავლენის ქვეშ, გამჭირვალე შუშის კოლბაში, ხის კენწეროზე, ვეშაპის კუჭში, საპატრულო პერიმეტრის გარშემო, ბოლოს – მჭედლის გაშლილ მკლავებში და მიჭერს და მადნობს, როგორც რკინას, ვერცხლს, სპილენძს, თითბერს...

(აქ ვილაც მაინც გამოერევა, რომელიც იტყვის, რომ საზოგადოებაში ასე მოქცევა არ შეიძლება)...

**ცისანა გვრიტიშვილი  
ლექსეპი**

**ორი სიცოცხლე**

მინდა ვაფრინო ძველი ოცნება,  
ხორცი შევასხა დაბინდულ ფიქრებს,  
ორი სიცოცხლე თუკი მექნება,  
გული ორმაგად ძალუმად იცემს.  
ერთი სიცოცხლე, თუნდაც  
ხანგრძლივი,  
მოკვდავისათვის მოკლე – მცირეა,  
მეორით იფრენ, როგორც არწივი,  
ვინრო ხეობა მისთვის მწირია.  
უსაზღვრო არის უფლის კურთხევა,  
მარტო მე არა, სხვასაც აოცებს,  
ურჯულოს რჯულზე მოატრიალებს,  
მუხლებზე დასცემს, ისე ალოცებს.  
ნიშანი მომცა, შრომა მიტვირთა,  
ჩემში აკურთხა ორი სიცოცხლე,  
ერთით დამალა გლოვამ, ქვითინმა,  
მეორე – მკურნავს, დაჭრილს  
მიხორცებს.  
თუ ჩავიმუხლებ, ხმაღს არ ჩავაგებ,  
იმედს მანიჭებს ორი სიცოცხლე,  
ერთით თუ მოვკვდი, არად ჩავაგდებ,  
რადგან მეორით კიდეც ვიცოცხლებ.

**ჩემი ცხოვრების მემატინა**

ჩემი ცხოვრების მემატინა  
ჩემი ლექსია ცრემლით ნამული,  
ეკლიანი გზა ვერ შემაჩერებს,  
გზას მიმანიშნებს ჩემი მამული.

**მზეს ველოდები,  
გამგორდი ღამე**

ვერ შეგირიგდი დაბადებიდან,  
მუდამ მაშინებ, წყეულო ღამე,  
შენმა სიბნელემ გულით დამკოდა,  
შენი სიშავე მიბნელებს თვალებს.

ჩამომიბნელე თვალსანიერი,  
კარგი წამართვი, თუმცა მცირედი  
წარსული დარდი ისევ მაახლე,  
გადამიწურე შვების იმედი.

მხიარულება განზე განიე,  
მარილს ამატებ შეჩვეულ ტკივილს,

ვიცი, ჩემს გარდა სხვებიც განირე,  
ვერ გაპატიებ, ვაპირებ ჩივილს.

თითქოს გაიგე ჩემი გულისთქმა,  
შესარიგებლად მიგზავნი მთვარეს,  
თან მოაყოლე ვარსკვლავთა ჯარი,  
ჩირაღდნებით რომ ათენებს ღამეს.

ვერ მომისყიდი, გული მატკინე,  
არ გამოდექი კარგი მეგზური,  
თუმცა, მუდმივად ცრემლი მაღინე,  
თითქმის დაგნებდი, აღარ გემდური.

სამაგიეროდ მომეც პირობა,  
თან გაიყოლებს ცრემლების გუდას,  
მზე დამანახე, ჩრდილს ნუ მიღობავ,  
ვოცნებობ მასზე, მოველი მუდამ.

ნადი შორს, თუგინდ ჩადი ქვესკნელში,  
მზეს დააცადე, ანათოს არე,  
მზის სიყვარულში დილას ვათენებ,  
მზეს ველოდები, გამგორდი ღამე.

**მუზაა ჩემი ჭირისუფალი**

მადლიანი ჯარისკაცი ვარ,  
შვილთა სიმრავლით, სუფთა რეულით,  
მეც ერთ-ერთი ვარ, მტერთან  
მებრძოლი,  
თავს რომ სწირავდა ბევრი რჩეული.  
ჩემთვის ახლაც ქუხს, წვიმა გახელდა,  
მებრძვის სატანა თავის სუდართ,  
კალთა მაფარა ქვეყნის გამჩენმა,  
რაში მაახლა შეკრულ უზანგით.  
უსამართლობის მსხვერპლი

აღმოვჩნდი,  
ჭრილობა მენვის ღრმად ჩახლეჩილი,  
კენესის ხმა ესმა უეცრ ფერიას,  
მუზა მომგვარა ცხენგახენილი.  
დაიჩოქა და ზურგზე მომიგდო,  
ფრთიანი ქალით მაჭენა ცაში,  
ვარსკვლავთ ხალიჩა ფეხთით დამიგო  
ნაზი ღრუბელი მიმარჯვა მხარში.  
მეუფემ მითხრა, ნადი, დაბრუნდი,  
არ არის გვიან, იყავი ხალხში,  
საქმე აკეთე, თუ გინდა დადუმდი,





კალმით აგზავნე მადლობა ცაში.  
 კეთილი რჩევა ტკივილს ადუნებს,  
 მუზა მამხნევეს, როგორც უფალი,  
 ყუათიანი სიტყვა მაპურებს,  
 მუზაა ჩემი ჭირისუფალი.

**გვიანი შემოდგომა სოფელში**

ჩაირთვლიანეს სოფლის ბაღებმა,  
 ვენახებს შერჩათ ბავშვის ხმის ექო,  
 ვაზის ლერწმებმა თავი დახარეს,  
 პირმშო ცრემლებით ქვევრს  
 ანდრეს ერთობ.

თითქმის მიჩუმდა დიდი სოფელი,  
 აქა-იქ ჩნდება ძე ხორციელი,  
 ერთგული მურა ჭიშკარს მიმჯდარი,  
 სახლს პატრონობს და პატრონს  
 მოელის.

ქედებსაც დაჰკრა ყვითელმა ფერმა,  
 დადუმებულა ირგვლივ მიდამო,  
 ზამთარს ელიან სუნთქვაშეკრული,  
 ყინვის გაძლება აშინებთ მარტო.

დარდმა კაკლის ხეს მოსტეხა ტოტი,  
 აქა-იქ შერჩა ფოთოლი ხმელი,  
 ყვავი უქარვებს პატრონის ლოდინს,  
 მოვა კი ვინმე? ან კიდევ როდის?  
 საფლავის ქვებსაც დაეტყო დარდი,  
 ჩაშავებული დგანან ბალახში.

ბალახი ხმელი და ჩახლართული,  
 ჭალარასავით ჩანან საყდარში.  
 საყდრის კუთხეში ატყვია კედელს  
 სანთლის ნაღვენთი მუქი წვეთები,  
 საყდარიც ელის მხურვალე  
 მლოცველს,

შორიდან ლოცვას იმედით ელის.  
 როგორც ავადმყოფს შველის ექიმი,  
 მტირალ დაჩაგრულს კარგი ვექილი,  
 უპატრონობით დაღლილ ეზო-კარს  
 პატრონის ხილვა, როგორც  
 მშველელი.

მაშინ აჩქარდი, ჩემო ქართველო,  
 ააჭრიალე სახლის კარები,  
 მშობლების საფლავს აპკურე ღვინო,  
 ტაძარს დარეკე ცისკრის ზარები.

**წმინდა მამაო, მამა გაბრიელ**

წმინდა მამაო, სულით ნათელო,  
 უფალმა ღმერთმა შვილად გიგულა,  
 სვეტიცხოველმა გაფარა კალთა,  
 მკერდი გაიხსნა და ჩაგიხუტა.  
 მორჩილმა დებმა თბილად მიგიღეს,  
 თავს გველებოდნენ წამებულს

გუნდად,  
 ტანჯვას ირჩევდი შვევის სანაცვლოდ,  
 იესოს ბილიკს გაყოლა გსურდა.  
 გაჭირვებული თავს არ ზოგავდი,  
 გულით მოძღვრავდი ქართველს,  
 არიელს,

სნეულთან სულით ათევედი ღამეს,  
 თვითონ სნეული, მამა გაბრიელ.  
 უამრავ ტანჯულს სული უღბინე,  
 მათი ცოდვები შენად იკისრე,  
 ტანჯვით დამდნარი ფერფლად იქეცი,  
 სასწაულმოქმედ ზეთად იღინე.  
 შენი მგზნებარე სულის ნათება  
 გულს ჩამედვარა უცხო ზმანებად,  
 შვიდ წელს ნაქცეულ

სულითმებრძოლთან  
 მშველელად დადგა შენი ხატება.  
 უფალმაც ჩემი ყოფნა ინება,  
 შავი ბურუსი გაქრა ლანდებად,  
 სამჯერ სიკვდილის პირას ნამყოფმა,  
 გვირაბის ბოლოს გნახე ნათებად.  
 სენს მოვერეე შენი წყალობით,  
 ცოდვილი სულით, ძლიერი რწმენით,  
 ფეხს ავიდგამ და შენკენ წამოვალ,  
 ანთებულ სანთლით, მენამულ  
 ცრემლით.

შენს წმინდა საფლავს შუბლით  
 ვემთხვევი,  
 ცრემლებს დაგაყრის ქვაც ანანურის,  
 გადარჩენისთვის ჩუმად გიმღერებ,  
 სულს დაგიაძებ იავნანურით.  
 წმინდა მამაო, მამა გაბრიელ,  
 სულით იტანჯე იესოს მსგავსად,  
 იძინე ტკბილად მრავალჯამიერ,  
 ჩემი ცრემლებიც გადგექცეს  
 სანთლად.



მხატვრული პროზა

მაკა მიქელაძე

ქმეზი ფრთხვით

ზეთი. ტილო.

– გაჰკვერე ნამგალი, ქალაუ!  
ინგლისურზეც დავდიოდი, რუსულიც ვიცოდი და ვიცოდი. მსგავსი სიტყვები ლექსიკონში ვერ მოვიძიე. გაკვირვებული ავაჩერდი უბრალოდ შემოსილ, შევერცხლილ, მკაცრად-მოუბარ, თვალბმცინარა, პატარა ტანის და პიტკინა, თეთრი პირისახის მოხვეის ქალს, რომელსაც დიდდედიდას ვეძახდი. გარდაცვლილი დის შვილიშვილის მოგონილი და მისგან დაძახებული „დიდდედიდა“ ისევე უხარებდა გულს, როგორც მე და ჩემს ძმებს საზაფხულო არდადეგების „სივანს“ გატარება.

„სივანი“ სიონია, ხევის სამოთხე, შეკლდევებულ-შეტყვეებული სოფელი. ახლა მუჟავე წყალზე ჩარბენას არაფერი მირჩენია, ალბური ყვავილები მიხმობს...

– ეიმ, როგორაი გონჯაი ხარ! – ხის მორზე მოღუნული დანა დამიძო და მძიმე ქვა მომაჩენა დიდ დედიდამ. მოკლედ მომიჭრა საქმის დედააზრი, არსი, თანმიმდევრობა შესასრულებელი მოქმედებებისა, შესაძლო სასურველი და სავალალო შედეგები და გამშორდა.

დანარჩენი მე უნდა მცოდნოდა და ჩემს ქალობას. კარგა ხანს ვუჩაქუნე ქვა რკინას.

ჩემს ნაცოდვილარს ცერად გახედა, არც დამინუნა, არც მომინონა, ქვის ერთ-ორ დაკვრაში ნამგალი მოკვერეს, გაამთვარისპირულეს. სალით ისე ალესეს, ქარის აბუებულ მატყლში ბენეს გაჰკვეთდა. ნამგალი ხელში მომაჩენეს და ფატალური დავალება „მამცეს“:

– აგეე. ყაჟის გასწვრივ რაც ჭინჭრია, გამასჭერ!

სახტად დავრჩი.

– დიდდედიდ, რაისთვი?! – ნავუ-

ჰანს ქრისტიან ანდერსენის მიუხედავად

მოხეურე გულის მოსაგებლად.

– ჩუმადა! – არ წამოეგო ანკესზე – მჭივანაი, ქაქამა და ხატოტიც გამაყოლე, თუ მაიძებნე. – ისე გატრიალდა და დამტოვა, თითქოს მოხეურ-ქართული სასაუბროს გამოსატანად შებრუნდა სახლში, გამომიტანდა და გავერკვეოდი რა მითხრა. წავიდა და წავიდა...

ეზო დიდი გვექონდა, გაყოლებაზე სიპი, ფურცლოვანი, ბრტყელ-გლუვი და ბასრპირა შავი ქვის გრძელი ლობე გასდევდა.

ეს იყო ყაჭი.

ყაჭს გულამდე რომ მატანდა, ისეთი ჭინჭარი გასდევდა.

ხასხასებდა, ღელავდა, იმუქრებოდა, აბა და შემომბედეო, მაფრთხილებდა.

შევუბედე ავ ლალანს და სუსხმა სული მომიჭირხლა. ტირილი არ შეიძლებოდა – მასხრად ამიგდებდნენ, ქალაჩუნას დამიძახებდნენ, ვაივახას, ველის გუგუტას და შეიძლება ტაშ-კუილაც ეკადრებინათ, რაც დიდ სირცხვილად, თავის მოჭრად და თავლაფდასხმად ითვლებოდა დედულეთში. თვალი სახლისკენ გავაპარე, დიდდედიდა ფარდის ჭუჭრუტანიდან მითვალთვალებდა. მომეჩვენა, რომ თავსაფრის კიდე ტუჩებთან მიემუჭა.

– უხ. წავა და ერობაჩი გამიზივებს.

– ვიფიქრე და ბლუჯას ნამგალი გამოვუსვი. „გამასჭერ“ რა მოგახსენოთ და გამოლორჯნით კი ელორჯნიდი. აცაბაცად, უსწორმასწოროდ. სიმწრით კბილზე კბილდაჭერილი. ხელები ხან მიხურდა, ხან მეყინებოდა, მკლავებს ველარ ვგრძნობდი, ველარაფერს ვხედავდი. კანი მეფუთქებოდა და მისივდებოდა. თითები, მტვენები, იდაყვები და მხრებიც კი წითლად დამეშაშრა. გაკაპასებული ჭინჭარი წვივებზეც მეტანებოდა, მკბენდა,





მფუტკნიდა. არც კოჭები და მუხლები მქონდა უკეთეს დღეში. ნამგალი მეჯიუტებოდა, მისი ავისმაუწყებელი პირი საშიშად მიდი-მოდიოდა ჩემს აალებულ ნეივებთან. ყბა-ყბაზე რომ არ შემეკბილვოდა, განინმატებული სიმღერა შემოვძახხე:

– ცეველოოო! გააამასჭევერ გზის-პირიააა! – მიშველეთ, გადამარჩინეთსავით ვყვიროდი. – ააად-ჩადის ხალხიიი, სიიირცხვილიიაა! – გადაყლაპული ცრემლები ვერ მიქრობდა ბრაზშემონთებულ გულს.

ცხრა წლის სოფლად ჩასული ქალაქლის სიჯიუტით ვერკინებოდი და ვენამგლებოდი „მტერს“. ვიბრძოლე, ვიბრძოლე და მთად დაიდო მწვანე, თავებდაკვეთილი ურჩხული.

გამარჯვების სიხარულმა ამიტანა. ზღაპრული უფლისწული ვიყავი, გველუშაპის დამამარცხებელი, ერთი საათის საქმე ნახევარ დღეში მოვრჩი.

– ჩიხაი ხაარ, ჩიხაი! – წამომადგა თავზე დამკვეთი. – „ფელჩატკაი“ ვერ ჩაიცვი?! – ისეთი გაიკვირვა, თითქოს ახლალა შენიშნა ჩემი გაუბედურებული კიდურები.

განვრისხდი!

– შენ რომ დამიქსოვე ვერიჩკა განა?! – მიფუუკმეხე.

ლიმილი თვალისა და ტუჩის კუთხეებით მოიმწყვდია, თავისებურად ჩაიკუჭკუჭა და შინისკენ წამიძღვა.

– ხელით დაკრეფილს ცხო გემო აქვს. კაცებს უნდა ვაჭმიათ.

ეჭვის თვალთ გადავხედე წამუშევარს.

სალათისფერი ზვინი საკვებს არ ჰგავდა.

ჭინჭარი გასარეცხი იყო და გასარჩევი.

მკაში კაცებთან ერთად წავსულიყავი, მერჩია?!  
დამდურულივით ხელები მთის წყაროს ყინულივით ცივ წყალში ჩავეყველარც ამოვისუნთქე, ვეღარც ჩავისუნთქე, ვეღარც გავიდიმე, ვეღარც ავტირდი, სული შემეგუბდა, გული კინალამ წამივიდა და კინალამ ისიც კი დამავინწყდა, ვისი გორისა ვიყავი, რომ ჩემი თავი მე უნდა მეყუდნოდეს, რომ ერის მოლაღატე სიკვდილის ღირსია

და რომ მოძმის სისხლი ცას შესდუღებია და შეველას ითხოვს. ამეების დავინწყება კი არ შეიძლებოდა, არა!!!

– რაი გაკივლებს? – მითხრა ვერამ მშვიდად.

– ჰოოოო?! არც რაი.

– მარტო ზედა ფოთლები ივარგებს, ნედლაა – ნედლას გარდა, ყველაზე სუსხიანიც იყო.

– ქვიშა არ შაყლოო!

– ჰოდეე, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო.

– მაშა, მაშა, მოხევეთ დისწულავ, გახვედ ბოლოჩი? აბააჰ! დანა დუმაზედ არ გადასტეხა. – გადი-გამოდიოდა დიდდედისდა.

მივადექით „აჰკეპეს“. „დაჰკეპეს“ „აჰკეპე“ მოჰყვა. „დაჰკეპე“ რატომ-ღაც დაჭრას ნიშნავდა და „აჰკეპე“ ხის საცეხვით ჯამში ამორევას.

ავჰკეპეთ, ჩავჰკეპეთ, ყვითელი ერბოთიც ჩავჰკეპეთ, შევჭარხლეთ, შევკმაზეთ, შევბალახეთ, დავაგუღეთ.

გადმოვდგით ხის გობ-ჯამი, ჩავფქვილეთ, ჩავალომისწყლეთ, ჩასახალი ჩავახალეთ, ჩავზილეთ, ჩავრბილეთ, გადავაგორ-გადმოვაგორეთ, მოვაგუნდავეთ, შევჰკარით.

ვაპრტყელეთ, ჩავჭინჭრეთ, ჩავაჭრით „გუდა“, მოვუკარით პირი, ჩავტაფეთ და მდულარე ერბოში ვაქაფქაფეთ.

ოხრა დაედო კობალტ მთებს, გამდოგვისფრდა ზვინებაკერტებულ სათიბი, რუხად დაეჩრდილათ წითელ ნოროებს კლდეებთან შეხება, ლუდისდრად აქაფებულ მდინარეს გადავენებული გზები ჩამუქდა, შებოლილი თევზის ქერცლივით აპრიალდა. ჩალისფერი და ჭილისფერი შეედო ფერდობებს. მზე კაცების მხრებზე გადებულ ცელის წვერზე დაჯდა და ააღდა. ბრუნდებოდნენ.

კაცებს ვაჭმიეთ.

ძვირად გვაქვს. ასე თქვეს:

– ღმერთმა მოგცესო. – ეს უფროსებმა, თორო წვრილობას ხმას ვინ გააღებინებდა.

გემრიელად კი ილუკებოდნენ.

დადგა მაძლირილი.

ჩემს ძმებს, „ქალაქელებს“, ღდინი

კი გასძვრათ, მაგრამ თავი არ შეურ-  
ცხვენიათ, მუხლი არ ჩაუხრიათ, ცელი  
არ გაუმრუდებიათ თურმე. ერთი იყო,  
რომ მათი გახრუკული სახე და ჩამ-  
ნვარი ბეჭები, მზე მაღლა იდგაო, მე-  
ტყველებდნენ.

ლამით თმებში ბირკა ჩაკრულებს,  
დაჩხაპნილ-დახაზულებს, ნარშავებ-  
გამოვლილებს, შექარულ-შეგვალღუ-  
ლებს და დუყით წყალნასვამთ დიდი  
კაცებივით მხარმკლავგადამლილებს  
ეძინათ.

მე დედას ველოდი. ვხურდი. ვერ  
ვისვენებდი.

დედა გვიან დაბრუნდა დაბა ყაზბე-  
გიდან.

– დაჰყარეთ ბალებიო – ყასიდად  
მიუსაყვედურა ვერიჩკას. შემაქო, გი-  
ვარგაო.

ლამით სიცხე მომცა, ასე ოც-  
დაცხრამეტნახევარი.

არ მეძინა. და დედა ზღაპარს მიყვე-  
ბოდა. გალულუნებული „ფეჩი“ ნაპერ-  
წკლების ნაცვლად ჭინჭრის ბლუჯებს  
ჰყრიდა. ჭინჭარი ჩემსკენ მოიცეცხ-  
ლებოდა...

მატყლის საბანი ჭინჭრით იყო და-  
ბეკნილი, საბანი მკბენდა და ვიხდიდი.  
დაფუთქულ ხელ-ფეხს ადგილი ვერ  
ვუნახე.

ჭინჭრის ბალიშზე თავის დადება  
ფიქრს მიმხურვალვდა.

ზღაპარი, რომელსაც დედა მიკითხ-  
ავდა, იყო მწვანე გომბეშოებით სავსე.  
მწვანე წყლიდან ამოჰყავდა დედი-  
ნაცვალს. შუბლზე, გულზე და სახეზე  
წურბელებივით მასვამდა. გომბეშოე-  
ბი იყო გაზინტლული, ნებოვანი, და  
სლიპინა.

სადღაც მწვანე ჭაობში ჩამესმოდა  
დედის ზღაპარი...

პრინცესა, ძმები, გედებად გადაქ-  
ცეული უფლისწულები, კეთილი  
მეფისწული, ავი ეპისკოპოსი, სასა-  
ფლაო, ჭინჭარი, სასაფლაოზე მუნ-  
ჯად მოკრეფილი ჭინჭარი, მუნჯი  
სადედოფლე, თორმეტი მუნჯად მო-  
ქსოვილი პერანგი და სიცხე... მაღალი  
სიცხე.

პრინცესა უნდა დასწვან, ჭინჭრის  
მოკრეფისთვის! დე-და, უნდა დამ-  
წვან! უნდა ჩამომახრჩონ, თავი უნდა

მომკვეთონ... დე-და, უნდა მოვასწრო,  
უნდა მოვასწრო, პერანგები უნდა  
დავჰქსოვა. უნდა დავჰქსოვა, მაშა!!!.  
ძმები, დედა! ძმები... კაცებს უნდა მა-  
ვუსწროთ...

გამოვჯანმრთელდი და ქალაქ ორ-  
ჯონიკიძეში წამიყვანეს.

ლამაზ, აზიურ, თითქოს შუშისგან  
ანყობილ სასახლესთან, პანია, სარკე-  
სავით ტბაში ხელოვნური ტევრის  
თეატრის დეკორაციებივით ხეები  
ირეკლებოდა. მუცლებით შენებებუ-  
ლი თეთრი გედები და მათი აჩრდილ-  
ები მუყაოსგან გამოჭრილებივით  
მოძრაობდნენ სარკის ზედაპირზე.  
ფოთლებიდან ჩამოკაბანებული შუქი  
სცენასავით ანათებდა უკვე სადღაც  
ნანახს, უკვე სადღაც განცდილს...

ერთადერთი შავი გედი ლალისფერი  
თვალებით შემომცქეროდა.

აჰ! ეს სასახლე ხომ სიზმრიდან იყო.

გედებისთვის ტბაში ჩაფშვნილი  
პურის ნამცეცების გარშემო ტალღები  
სხივებივით იშლებოდა, ზღაპრიდანვე  
გამოყოლილი უცნაურ სიტყვებად  
იდლაბნებოდა:

„ფატა მარგანა“.

– მოცურდი, მოცურდი, თეთრო  
გედო, უნდა გაჭამო. – ჭინჭრით გას-  
იებული გული მითბებოდა და ნელნე-  
ლა მიცხრებოდა.

გამახსენდა, დედა სხეულზე ზეთს  
მისვამდა.

პატარა ტილოზე რაღაც იხატებოდა  
ფერში. უბრალო იყო ხის ჩარჩო.

„ფატა მარგანა“.

**გრაფიკა**

იყო ერთი თეთრი გოგო, ჰქონდა  
შავი თმა, ეკეთა სკოლის შავი წინსა-  
ფარი, ეკეთა ორი თეთრი ბაფთა. ხატ-  
ავდა გრაფიკით. გავიდა მისი ერთი  
თეთრი პერიოდი, დადგა შავი.

ერთი ძმა თეთრი ემიგრაციის ტალ-  
ღას გაყვა, მეორე შავის.

გოგოს შავ თმაზე თეთრი ზოლი გა-  
დაეჭიმა, არ გადალახა შავი, სასაზ-  
ღვრო.

მოვიდა ომი – შავი დედინაცვალი.

ჩაშავდა ქუჩები. შეიმართნენ შავი  
ლულები. ჩაიცვა ერთმა თეთრმა  
გოგომ თეთრი ხალათი..

**ნომრის თემა: რეპონეპიდას**

კულტურა ქვეყნის თანამედრო-  
ვეობის საუკეთესო ამსახველია. ის  
მუდმივად განახლებადი პროცე-  
სია და მასში მთელი ქვეყანა უნდა  
ერთვოდეს. მთლიანობა კულტურ-  
ულ პროცესებში, მის მიმართ  
ერთსულოვანი დამოკიდებულება  
მისი სიჯანსაღის საწინდარია.

რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს  
ქვეყანაში, რამდენადაა კულტურა  
მთელი სახელმწიფოს, როგორც  
ერთი მთლიანობის მოთხოვნილე-  
ბა, რამდენად მონაწილეობს კულ-  
ტურულ ცხოვრებაში თითოეული  
რეგიონი, ქალაქი თუ სოფელი?

ამ კითხვებს პასუხობენ ადა-  
მიანები, ვინც უშუალოდ მონაწ-  
ილეობს ამ პროცესებში და ვისთ-  
ვისაც ყველაზე მტკივნეული და  
მნიშვნელოვანია, კულტურული  
ცხოვრება დუღდეს არა მხოლოდ  
დედაქალაქში, არამედ მის ფარგ-  
ლებს გარეთაც, მთელ ქვეყანაში.





თეთრ საავადმყოფოში მწოლიარენი „თეთრს“ ხმარობდნენ და „შავს“.

შავი ზღვა ერტყა ერთი თეთრი გოგოს ქვეყანას. შავადვე დარჩა. შავმა ლულეებმა ვერა, მაგრამ გაშავებულმა ძმებმა დატოვეს.

გაშავდა ამ დროს ბევრი საძმო.

შავ ზღვასთან მტერი მუშლზე უმრავლესი იყო. მუშლი – შავი.

„შავები“ იყვნენ თუ თეთრები ძმები, შავ მიწაში წვებოდნენ. თეთრი ხდებოდა იქ მათი ძვლები.

უფრო და უფრო უთეთრდებოდა ერთ თეთრ გოგოს შავი თმა.

გააელვებდნენ თეთრ კბილებს ძმები, წასვლისას. და იკარგებოდნენ.

იქნევდა თეთრი საავადმყოფოს კარებთან თეთრ ცხვირსახოცს თეთრი გოგო და ცრემლს იშრობდა შავს.

ამზადებდა თეთრი გოგო მუმიოსავით შავ მალამოებს...

ჩაიძირა შავ ზღვაში თეთრი გემები.

შავი და თეთრი ზოლები ამშვენებდა მეზღვაურ ძმათა პერანგებს.

– ოჰოჰო, თორმეტი მეზღვაური და შავი კუბო,

ოჰოჰო, კასრში დენთი რად ყრია?

შავი.

შავად მოქუფრული თორმეტი დამარცხებული მეზღვაური შემოიჯარა თეთრ კაბინეტში. შემოაშავეს შავი ლულები. ლანდებს ჰგავდნენ.

შეუმსუბუქათ შავი ტკივილი თეთრი გოგოს შავმა მალამოებმა და თეთრმა თანაგრძნობამ.

შავი იყო მათი დაღლა, თეთრი იყო მათი მადლობა.

„შავი“ იყო თეთრი გოგოს თეთრი საქმრო, შავი იყო თეთრი საქორწინო კაბა, შავი იყო თეთრი სმოკინგი, შავი იყო შავი სადღესასწაულო როლს-როისი. შავი იყო წითელი ვარდები და შავი იყო წითელი სისხლი. გრაფიკული ერთფეროვნების გასახალისებლად რომ დაიღვარა თეთრ ქორწილში, თეთრ სმოკინგზე.

შავი ჩაიცვა თეთრმა გოგომ. სულ გაუთეთრდა შავი თმები. ჩამოეჩრდილა შავი თვალების ქვეშ შავი რკალები. ჩრდილშივე გადგა.

ვერცხლისწყლისფრად გაელაქათ ამ შედეგის მეტალის ჩარჩო.

შავი გზები როცა გათეთრდა, დაინყო მისთვის სხვა სიშავეთერე, ფერადი, ერთი კი იყო, სხვა ხალხს მიაგნო. ეს ხალხი თეთრ ხნულებს ხნავდა, შავით თესდა.

### პასტელი ანუ რა მოხდა „პეგასში“

„პეგასი“ ლიტერატურული კაფეა.

იქ რბილად თბილა და თბილი სილბო დგას.

უკრავენ ქანთრის. ბარმენი კათხებს აპრიალებდა.

– ვაიი, ვინც ამ უფულობაში შედევერი დადოს პირველი იმან მესროლოს ტყვია. – „სული“ სოფიო ბობოქრობს და ჩაჩაჩული ჩექმის ზონარს ისწორებს.

„ლამაზმან“ თამრის გულის ჯიბის ფორებიც კი საბრძოლოდ ტოკავს, ის ტყავის შლაპის ნიკაპის წვერზე გამონასკვულ ტყავის თასმას ნერვიულად ჭიმავს.

– ვნერთ რომელია, მკითხველი არ გვყავს.

ფეხის მირტყმით ადებს კაფის ამოჩუქურთმებულ, დაბალ კუტიკარს „გულდიდი“ მარიანა, საჩვენებლით ისწორებს კოვბოური ქუდის ფარფლს, გასაღებებს მეორე ხელის თითებით ოსტატურად ატრიალებს:

– აქვეყნებთ რამეს? – შემართულია.

არავინ იცის როდის უფრო გავარდება ხმა, როცა აქვეყნებ, თუ როცა არა.

ამიტომ, „ფუნჩულა“ ირმა მას სროლას ასწრებს. ტაშიც შემოჰკრა. შეუკრთა კაბის ფურჩალები მარიამ „მედგარს“.

– ნავიკითხე შენი მოთხრობა. „ფერთა პალიტრაში“.

ალაღბედზე გასროლილი მიზანს მოხვდა.

მათკენ მიმართეს ყველა სასმენი ლულა.

– რატომ?! შემოდის ჩვენშიც „მოდერნი“ – არ ააცილა თეონა „ჩაუქმა“. მის მომდგარ შარვალს ტყავდაქარგულს ტოტებიც კი გაუფართოვდა.

ღრმად შეისუნთქეს მამაკაცების ნესტოებმა ყავის ანაორთქლი.

დამწვარი შაქრის ფერი იყო, იმ

დღეს მოდაში.

– ამდენი ლამაზი მწერალი ქალი არც ერთ ერს არ ჰყავს! – სამშვიდობო დროში შემოქანდება „აყლაყუდა“ მარი. საგულედაქარგულია ველიურის და დამცველი ჟილეტი.

– და არც ამდენი მწველი – ლოყები ეჩვრიტება და ბრჭყვიალა თვლებჩაკერებულ ქამარში აბრუნებს ყველა ქალურ იაღარს მაკუნა „ქიშიშიმრა-ვალი“.

„ბაჭია“ ანა გიტარით ხელში, სიტყვებით რომ არ გადაცხრილოს ყველა იქ მყოფი, სიმღერას იწყებს.

იქ კაფეში კაცებიც იყვნენ, ახალი ძმები. ბოთლებთან თვლემდნენ, თვალებზე შლაპებჩამოფხატულნი. ზანტად და ძვირად თუ გამოიმზერდნენ ცალი თვალით ქუდების ქვემოდან და დუმდნენ ახალ სიტყვათსროლამდე.

მათი განთქმული ზედმეტსახელების გაგონებისას იკეცებოდა მრავალი მუხლი.

ორთაბრძოლების წამოწყებამდე ახალი წიგნის გამოცემას ელოდნენ, მერე იცოცხლე გაილაჯებოდნენ ერთმანეთს თვალებჩაბჯენილი. ჯიბეში რომ სიტყვისათვის არ ჩამძვრალიყვნენ, გამართულ ფრაზებს დაუმიზნებდნენ ერთმანეთს. ჯერჯერობით კი ეზარებოდათ.

არ ხდებოდა არაფერი „პეგასში.“ წვიმდა თბილად, მსხვილი მონასმებით. ლუდიც კი გათბა. კედელზე მიხატულ კრინოლინიან ბანოვანებს მთქნარება აუტყდათ. მაქმანებიანი ქოლგები აიფარეს სახეზე და ზურგი აქციეს იქ მსხდომთ. ლიტერატურულ სეზონამდე ჯერ შორი იყო. არა პრეზენტაცია, არა კონკურსი, არა გასტროლი, არც რამ ჰონორარი...

იდგა უსიტყვო მოცალეობა.

ქუჩიდან თუ ერთი წამით გახედავდი კაფეს, დაინახავდი შეჩარჩოვებულ სევდას, მოლოდინს, იმედგაცრუებას, ქალაღდზე რბილად დაწოლილ მარჯნისფერ, ხისფერ, ყვითელ ტონებში. კეთილად მოეხაზა უცნობ მხატვარს შოკოლადისფერი სილუეტები, ტკბილად მომუსაიფე. ერთი-ორი ფიგურაც ქუჩაში იდგა. ქალაღდი ნახატით ისვენებდა. ჩარჩო ტყავი-ინკრუსტირი-

რებული.

კაფეში ვიღაცამ ცვეტაევას „თეთრი გედები“ შეასრულა.

სხვა სახლებიდან ახალმოსულს შეეშინდა.

ესენიც წავლენო, მიხვდა.

**მონუმენტური ხელსაქმე**

წერა ჭინჭრის კრეფაზე ძნელი აღმოჩნდა.

ჯერ მოგონებათა სასაფლაოები მოინახულა. მიგლიჯ-მოგლიჯა ჭრილობასავით აღდანებული ტკივილები. ღამესავით ნაღვლიანი და ალიონივით იმედისმომცემი მწვანე საძაფე ხელით გრიხა და თითებით ათანაბრა. სუსხი სულში ჩაიგუბა და ტუჩები მტკიცედ მოკუმა. სადაც შორი ბავშვობიდან ახსოვდა, რომ მუნჯად უნდა ექსოვა რათა ძმები ფრთებით გაეაღამიანებინა, თუ პირიქით ფრთებდაკარგული ძმებისთვის მიეცა ლაჟვარდში ირაოს დარტყმის, კამარის შეკვრის უნარი. იცოდა, რომ მთავარი იყო დაქსოვილიყო თერთმეტი თუ თორმეტი პერანგი, ჭინჭრით და სასაფლაოზე მოგროვილი შიშით.

ქსოვდა გამალებით, თითქოს ვიღაც აჩქარებდა, რაღაც ემუქრებოდა. ქსოვდა ტუჩების დატეტკვამდე, ბაგებიდან ჩამოსრიანებული სისხლი ნახატებად აჩნდებოდა გაუგონრად ველურ და დაუნდობლად სასტიკ ბალახს. დასერილი ხელებიც, სისხლმდინარე, ვერ ბედავდნენ კვნესას. პერანგები მისტიური სისწრაფით ითხოვდნენ მეტ და მეტ სიმწარეს, მეტ და მეტ სიხასხასეს, მეტ და მეტ გათენებულ ღამეს. არავინ იცოდა, მოირგებდნენ თუ არა ძმები პერანგებს, იჩუქებდნენ კი, ატარებდნენ-კი? ისახსოვრებდნენ.

ფიქრიც სუსხიანი გაუხდა, აზრიც ჩაეხლართა, თითების ბოლოებიდან ძლივს იწველიდა სითბოს, რომელთაც ჩასაცემელი უნდა შეერბილებინა, აი ასეთი ძაფებით, ასეთი ხეშეშა და ბურძგლა ადრე, აღარც კი მახსოვს როდის, ამანათებს კრავდნენ. სიტყვა „ამანათი“ მის სულს ათბობდა და იწყებდა გახსენებას, რა შეიძლება ენცყოს ამანათში, რომელსაც არ ელი. ასე



**აჭარის რეგიონის კულტურული ცხოვრება**

რეგიონის კულტურულ ცხოვრებას უმთავრესად ის ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები და დაწესებულებები განსაზღვრავს, რომელთა არსებობაც სახელოვნობო სივრცის განვითარებაზეა ორიენტირებული. ამ შემთხვევაში რასაკვირველია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი „ქმნადობის“ განსხვავებული ხარისხით გამოირჩევა, რაც დედაქალაქთან ერთად მთლიანობაში თანამედროვე ქართული კულტურის ერთიან სურათს ქმნის. გარდა დამოუკიდებელი კამერული შემოქმედებითი გაერთიანებებისა, აჭარის რეგიონის, კონკრეტულად კი ბათუმის კულტურული ცხოვრება ძირითადად დრამატული თეატრის, თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის, ოპერისა და ახალგაზრდული მუსიკალური ცენტრის შემოქმედებითი საქმიანობის სახითაა წარმოდგენილი.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი ქალაქის კულტურული ცხოვრების მთავარ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც წლების წინ იშვიათად და შეიძლება ითქვას საერთოდ აღარ ფუნქციონირებდა. ბოლო წლებში ძირეული გარდატეხები დაიწყო. უპირველესად სამხატვრო ხელმძღვანელად ცნობილი რეჟისორი, რობერტ სტურუა იქნა მონვეული, მოგვიანებით კი თეატრის მხატვრული მიმართულების განსაზღვრა მისივე მონაფემ, რეჟისორმა გიორგი თავაძემ იტვირთა. სწორედ გიორგი თავაძის სახელს უკავშირდება ბოლო წლებში ბათუმის თეატრში განხორციელებული სპექტაკლები, რომლებმაც განსაკუთრებული მონონება დაიმსახურეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ბოლო წლების პროფესიულ შეფასებებში ბათუმის თეატრის შემოქმედებითი ხარისხის განსაზღვრისას ხშირადაა აქცენტირებული ის ნოვატორული ძიებები, რითაც თეატრმა დაიკავა თავისი განსაკუთრებული

გაგრძელება მე-15 გვერდზე



ნაქსოვი რბილდებოდა, ჩაქსოვილი სიუჟეტებიც ცოცხლდებოდნენ.

ის ლამლამობით ქსოვდა და როცა მოგონებათა სასაფლაოზე გათავდა ჭინჭარი, გამოგონილ სასაფლაოებს მიაშურა. მარტო მიდიოდა, ასეთი იყო მკაცრი პირობა.

აკაპასებული ბრუნდებოდა, აღარ დაადგა საშველი დაწყლულებულ ჭრილობებში ხამი ძაფის ღრჭილას, ძაფის წყვეტით დაბუშტული პირიც აღმოდებული იმეორებდა, უფრო კბილებში ცრიდა.

– ჩუმად უნდა ვიყო, ჩუმად უნდა ვიყო, ჩუმად უნდა ვიყო.

პერანგი პერანგს ედებოდა და ნანატრი დღეც ახლოვდებოდა...

მკლავებიდან გულის კარებამდე აყოლილი ხორკლი, ბოლო პერანგის ქსოვის საშუალებას აღარ აცდიდა. სიმწრის სიყვარულით ველარ ქსოვდა. ჭინჭარს გათავდა.

და რა? დადგა ქსოვის ღამე. უმთვარო, კუნაპეტი, წკვარამი. არ იყო მეთორმეტე პერანგი და ამოიყარა ქალის სხეულმა ბლუჯა-ბლუჯა, ბალახი ეკლიანი. აკრეფილი რომ ეგონა ლორთქო-ლორთქო ტკივილებად დაისხა თმის მაგივრად, სხეულზე, პირისახეზე. უბედნიერესი გლეჯდა და გლეჯდა სასურველ მასალას, ძირფესვიანად იღებდა და კბილებით აკვნეტდა ფესვებს. თმასთან ერთად გაიბრდღვნა ნანატრი ღერები და რომ არ უქსოვია ისეთი გასაგათებით ქსოვა. შეპყრობილს ჰგავდა, თვალეზანთებული, სახე დანგრეული ხელეზგაკრუნჩხული, სხეულმოკუნტული და ნაიარეებიდან ახალსანამლე ამონვერილი.

ფანჯარას დილამ შემოჰკრა გონგი და მეთორმეტე პერანგის ერთ სახელო დაუსრულებელი იატაკზე გადავარდა.

პრეზენტაციისთვის ყველაფერი მზად იყო.

### პრეზენტაცია

უსახელო პერანგი, აჰ, არა უსახელოო თვითონ ჩაიცვა, სახელდახელოდ ჩამოქსოვილი მუზარადიც დაიხურა.

გრანდიოზული გალერეის კედლებზე თერთმეტი პერანგი ინონებდა თავს. თითქმის მთლიანად ფარავდნენ კედლებს.

ბუნდოვნად ილანდებოდა პერანგებში ჩაქსოვილი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტები, მწვანე და მენამული ჭარბობდა, ალაგ-ალაგ გამოერეოდა ამირანიანის და რძალდემამთილიანის ეპიზოდებიც. ყოველი პერანგი ერთადერთი იყო, განუმეორებელი და ექსკლუზიური.

ძმები განყენებულად იდგნენ. აქტიურობდნენ შავფრაკიანი თანამდებობიანი და შავწინასწარმეტყველნი.

მათ თქვეს, რომ ეს არის მეორედ მოსვლა.

პრეზენტაციის სულისჩამდგემლმა თქვა, რომ ეს სრული სიცრუეა, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ქსოვს.

შავ ფრაკებზე, შავ პერანგის შავცილინდროსნები სიტყვაში გამოვიდნენ:

„ჭინჭარი, როგორც მასალა არ დაინუნება – მუქთია, მაგრამ იგი შეგროვილია კომერციულ სასაფლაოებზე, ანუ ფაქტობრივად რომ ვთქვათ კერძო საკუთრებაა. ე. ი. ჭინჭარი მოპარულია. ქურდობა სისხლის სამართლის დანაშაულია“.

ქსოველის ყველა ჭრილობიდან ერთბაშად იხუვლა სისხლმა...

– აჰაა! სწორედ ამის დამტკიცება გვინდოდაო, – თავმჯდომარემ ბრძანა.

– სიკვდილი მიესაჯოსო, კოცონზე დანვით!

ჯერ ყველას ეგონა, რომ პერანგებს, როგორც ხელოვნების უგვან ნიმუშებს უპირებდნენ განადგურებას.

– ხვალ დილით კოცონზე გელითო – უბრძანეს პერანგების მქსოველს.

მან დააპირა ეთქვა, რომ მისი მონუმენტური პერანგები ზომას ჩამცმელის ტანის მიხედვით იცვლიდა და ნახატებსაც, მაგრამ გაახსენდა რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო, ჩუმად უნდა ყოფილიყო... პერანგები კედლებზე უჩარჩოდ ეკიდნენ.

ძმები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ, ხელი ჩამოართვეს, მაგარიანო, ხვალ შენთან ამოვალთ, გწვავენ და ხომ

უნდა დავასველოთო...

შეთანხმდნენ. ყველანი გაიკრიფ- გამოიკრიფნენ. მარტო დარჩა.

პრეზენტაცია იმისია, რომ ვინმე გაიცნო, გაიხსნა კარი და შემოვიდა იგი... უფლისწული ბოდი-არტი.

**უფლისწული ბოდი-არტი**

– ნუ რა დონეაა?! – თქვა უფ- ლისწულმა.

– თქვენ რას მთავაზობთ?

ჭრილობებმა თვალისდახამხამება- ში გაუარა, უფლისწული ბოდი-არტი ხომ მზეჭაბუკი იყო. ანტიკურ ტან- ზე შავი, კრიალა ლოკონები ეყარა და მისი ლურჯი თვალებიდან მთელ მის უზადო აურაზე აირეკლებოდა ლურჯი ნათელი. ქარიზმას ჰო ნულარ იკითხავ. სიო ისე ვერ შეეხებოდა, ქა- რიზმა არ გაეჟღერებინა. ნამწამების ჩრდილში მარადიული სიცილის მზე- ებს მალავდა.

– ნამოდი, ბოდი-არტ-ფართიზე გე- პატიყები.

ნავიდნენ.

ზღაპრულ სასახლეს ტიტებივით ფანჯრები ჰქონდა. აბრეშუმისფარდე- ბი სუსტი სინაზით ეპატიყებოდნენ ნეე- ვილს თეთრი მარმარილოს კიბისკენ. კიბეები ფრთებმოვარაყებული თეთ- რი, ოქროსფრად ქობადამშვენებული პეპლებით იყვნენ მოჩუქურთმებული.

– აქ ჩაცმულს არ შეგიშვებენ – თქვა პრინცმა და ქალსაც მთელი საპრე- ზენტაციაო სამოსი ჩემოქადაცვა. არც ერთი ჭრილობა, არც ერთი ნაწიბური. სლიკინა კანი და დედიშობილა წინასა- სიკვდილო სილამაზე.

– ოჰო, შეიშვები – შეაფასა პრინცმა და თმები ჩამოუშალა. პრინცის ერთი ლოკონი მის მკერდის ღარში ჩასრი- ალდა. შეაჟრიალა და თვალეში ჩახე- და. სიახლოვე ხელოვნება უნდა გამხ- დარიყო. მან კი არ იცოდა, დარჩა კი ერთი სიცოცხლის წვეთი მაინც ქსო- ვისას არ გახარჯა.

კიბეებს აუყვანენ, ლამაზი სრულიად შეუფერებელი წყვილი. ველური ჭინ- ჭრიგლეჯია და დახვეწილობის აპოლ- ოგეტიც. მრუმე სიბნელეში საიდან- ღაც სინათლე შემოდიოდა. თითები

მოუძებნა, ეშინოდა მარტო ხალხმრავ- ლობასთან წარდგენა. უფლისწულს გაელიმა, რადგან იცოდა რომ ასეთ დროს უნდა გაელიმა. ფეხის შიშველი თითები მარმარილომ გაყინა. რამდენ- იმე საფეხური და გაიღება უზარმაზ- არი კარი. ისინი შევლენ სინათლეში.

ასეც მოხდა.

დარბაზში არავინ იყო.

მაგრამ მათ შესცქეროდა ათასობით მრგვალი თვალი, ათიათასობით უზა- დო ფორმა. ჭერსადგმულ კარაღებში დახარისხებული და რუდუნებით ჩა- ლაგებული მოოქროსფრო-მოთეთრო სიმრგვალე – აბრეშუმის პარკთა უნი- კალური კოლექცია.

მოულოდნელობისგან შეჰკვივლა. აბრეშუმის ბურთები მათ სიშიშ- ვლეს გადაირეკლავდნენ და გად- მოირეკლავდნენ თითქოს. მიხვდა, რომ ვიტრინაში ჩანდა ასეთი, ზედმე- ტობების გარეშე და გაეცინა.

– მარტონი ვართ?

– უფლისწული ისეთი მშვიერი თვა- ლებით უყურებდა, რომ გააფრთხილა:

– მე თუთა არ გეგონოთ, მე ჭინჭარი მირჩევნია.

– რატომ მუშაობ ასეთი უხეში მა- სალით? – ფრთხილად კი იკითხეს, მა- გრამ ჭინჭრის მათრახივით გადაესერა გულზე და სამუდამოდ დაუთუთქა, დაუსისხლმდინარა.

აბრეშუმის ხალიჩებს გაუყვანენ, აბრეშუმის შლილები იღვრებოდნენ ჭერიდან და გზას უმრუდებდნენ, აბრეშუმის თოჯინების ცნობისმოყვა- რე მზერები მიჰყვებოდა ფეხაკრეფილ წყვილს. უფლისწული გიდობას ცდი- ლობდა და მასაც ხან ჩინური აბრე- შუმი ელამუნებოდა, ხან კორეული, ქართულის სლიკინა შეხებაც უსალ- ბუნებდა ნაჭრილობევს. აბრეშუმით ნაქარგი ალბომიდან პირადი წერილე- ბიც ნაუკითხეს, აბრეშუმით ნაკეთები გვირგვინი დაადგეს თავზე. სადღაც მოსახვევში მათი საცალფეხო სიარუ- ლი აბრეშუმის ნაჭრების წყალვარდ- ნილში მოექცა. აბრეშუმის კარავში აღმოჩნდნენ უცებ.

– იცით როგორ აღმოაჩინეს აბრე- შუმი? – სრიალა, სანდო, სიყვარუ- ლიანი, სულისგამნაბველი ხმა სადღაც



ადგილი თანამედროვე ქართულ თეატრალურ სივრცეში. თეატ- რის სარეპერტუარო პოლიტიკა უცხოურ კლასიკურ, ქართულ და თანამედროვე აქტუალურ დრამატურგიაზე ორიენტირებუ- ლი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდა ქართველ დრამატურგებთან შემოქმედებით თანამშრომლობას, რის საფუძ- ველზეც შეიქმნა არაერთი პიესა, რომელთა პირველი დადგმა ბა- თუმში განხორციელდა. ასევე ხში- რად იმართება გასტროლები და სხვადასხვა სახის შემოქმედებითი შეხვედრები ევროპის არაერთ ქვეყანასთან. ამჟამად მიმდინ- არეობს სარეპერტიციო პროცესი ბერტოლდ ბრეხტის „სამგრომიანი ოპერის“ დასადგმელად. ბათუ- მის თეატრის ინიციატივითა და უშუალო მხარდაჭერით პირვე- ლად ქალაქის ისტორიაში ჩატ- არდა საერთაშორისო თეატრალ- ური ფესტივალი „ზღვები 2010“, რომელიც ევროკავშირის მიერ იყო დაფინანსებული.

ბათუმის თოჯინებისა და მო- ზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი აჭარაში ერთ-ერთი კულ- ტურული და აღმზრდელობითი კერაა, რომელიც ყველაზე სტა- ბილურად, თანმიმდევრულად და წარმატებულად აგრძელებს ფუნ- კციონირებას. ამ სიტყვების ცხა- დი დადასტურება წარმოდგენილი რეპერტუარი და სპექტაკლების ჩვენების თითქმის უპრეცედენტო – (ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ რეგიონალურ სივრცეს) – სიხში- რეა. რასაკვირველია ამ ფაქტორს ხელს უწყობს თეატრის მიზნო- ბრივ მაყურებელთა არსებობის სტაბილურობა, მაგრამ თეატრის წარმატების უმთავრესი გარანტი, გარდა წინასწარ განსაზღვრუ- ლი აუდიტორიისა, სპექტაკლების მხატვრული ხარისხია. დღეისა- თვის ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ჟანრობრივად და თემატურად მრავალფეროვან რეპერტუარს წარმოუდგენს ახალგაზრდა მაყუ-

დასასრული მე-17 გვერდზე



საყურის ჩრდილთან ელამუნებოდა. ჩინეთის დედოფალს ჩაიში ჩაუფარდა აბრეშუმის პარკი, ის კი დაფეხად დაიშალა...

– ერთი ჩინელი მწერალი, ონონო, ლექსებს აწერდა საყვარლებს ბეჭეზზე – შესთავაზა ქალმა.

აბრეშუმის მუზეუმის ტიტისებური ფანჯრებიდან ფარდები აიშალნენ და აბრეშუმით ლურჯ ჰაერს გამოეკიდნენ. ბოდი-არტ უფლისწულმა პირველმა შედგა ფარდაზე ფეხი, იასამნის სურნელმა მთვარეს დაახვია თავბრუ. ყველა ალუბალი ერთად აყვავდა, ატამი და ასკილი გაიშალა. ცაზე კი, რომელიც საქართველოს გალაქტიკაში ყოველთვის ლურჯი აბრეშუმია, ჰამაკივით გამოეკიდა ალისფერი და ოქროსფრად თაფლისფერი ფართალი, თოფებად გაიგრაგნა და უფლისწულმა დაღლილ თითებში აბრეშუმის ფუნჯი ჩაუდო. მხრებზე მოეხვია, ფეხები წელზე შემოაწყო, კისერი გადააგდო და ბეჭეზზე ლოყა მიადო. უკანასკნელი ცოცხალი წვეთის გამოსაწურად ნაფიქრის ნაქსოვიდან.

„ცამ მოიცალა,  
ცალი – ცალია,  
ცვილი თუ ცრემლავს  
სიცარიელეს.  
ცრილია,  
ცივა, სიცოცხლევე,  
ცამდე.

გიცადე... გნახე, და ვუსიერობ.

ვცადე! დავმარცხდი. ცელავს სიავე სადა“.

აბრეშუმები ფერფლისფერი გახდა და ლექსი თმით წაშალა და მერე დაწერა, იცი... და კმაყოფილი დარჩა. თბილად დაწერა რაც დაწერა და გაუხარდა. ადგა. აბრეშუმში არწევდა.

– შენ?

– აღმოდებული იხილავ მართალს! კოცონზე იწვის შენი ხვალის დღე – თვითონ არ იცოდა რა დაწერა პრინცმა მკერდზე, თითქოს ძუძუს ასაკრავად ხელშემოხვეული და მის თმაში თავჩარგული, რაც ესმოდა იმას წერდა. ველარ წაშალა. აცხა.

მათ შორის დაჭიმულ აბრეშუმის დაფებს ზუილი გაუდიოდა, თითქოს უნდა ჩამლღვალიყვნენ, არადა ხელის

კვრის ძალით განიზიდავდნენ.

აბრეშუმის იყო ბაგე, აბრეშუმის იყო კანი, აბრეშუმებზე დასრიალებდნენ აბრეშუმის ფუნჯები და ნელ-ნელა ინავლებოდა აბრეშუმით მოუხელთებელი სიახლოვე.

ხარი იზიდავდა თავის მისაყრდნობლად და სრიალში ჩასაძინებლად. დახრა სურდა აბრეშუმის წამწამებს. მას ხომ სიყვარულის წამები ჰქონდა დარჩენილი ახალ სინათლემდე.

აბრეშუმის ჰამაკები დაეშენენ, აბრეშუმის კარავი დაიშალა, აბრეშუმის ხალიჩამ გზა აჩვენათ.

– უზადო ფორმა, ამბობდა პრინცი, სისადავე, სინაზე, სიფაქიზე, სიმდიდრე, საიდუმლო, იდუმალეობა, საფრთხე, საფარი...

პრინცი სიტყვებს აფრქვევდა, – ანაბოლიზმი, ჩჰუკუნგიდარაია, ჩარგატი, ტიუსორი, ჯეჯიმი, სამშვენისი, სამუხვალი, პირველი მეანბრეები, ველური აბრეშუმქსოვია პეპლები, ლაფანი, ტექსტილი, თუთა, ბუნებრივი საღებავები, იუნესკოს განძთსაცავი, თეოფილა მანდარინა, ხის კოჭები, გრენი, ლიონი, იაპონური პარკუჭანები, სასაცერე ქსოვილი, პრინცესა მიურატი, სეფექალები, აბრეშუმის შარფი, შუმანიკის წამება, აბრეშუმის მანდილი – სიტყვები თანდათან უცხო და უცხო ხდებოდა, გაუგებარი. თითქოს პირიდან აბრეშუმის ძაფი გადმოსდიოდა, ძაფი გრძელდებოდა, იგრძობოდა, სრიალი და სლიკინი გაუდიოდა. სიტყვების ძაფი მორევივით დატრიალდა, დაბზრიალდა, გარს შემოეხვია პრინცს და მასაც დაუდუმებლად გადმოსდიოდა პირიდან უნაზესი ძაფი, როგორც ქალს ხელებიდან ჭინჭარი ეზრდებოდა. იდგა, გაფართოებული თვალებით შესცქერდა უფლისწულის მეტამორფოზას. ძაფი მას თანდათან შემოეხვია და უზადო ფორმად აქცია. მალე ალბათ პეპელა გახდებოდა. გული დასწყდა, რომ არ მოხატა, არა უშავს, იცნობს ფრთაზე მინერილი ერთი სიტყვით „იცი?“ ან მას გაახსენდება ის, რისი ცოდნაც უნდა, ანდა აღარც შეხვდებიან... მშვიდობით, ლამაზო მოულოდნელობავ.

აბრეშუმის პარკი სათუთად აიღო და



დაფიქრდა. სხვა უზადო ფორმებთან დადო, განჯინაში. წასვლისას კი შესთავაზა ისე, საყოველთაოდ მივხედო:

– უკაცრავად, მეგობრებთან მივდივარ ჩაის დასალევად, თქვენც ხომ არ შემოგვიერთდებით?

აბრეშუმის ჩარჩოებიდან ცისფერი ჯინსით და ჯინსისვე ცისფერი პერანგით გამოვიდა. დილა იდგა სავსე მტრედისფერი აბრეშუმებით...

აკვარელი

მეგობრები ჩაის დასალევად არ ამოსულან, სავარძელში ჩაესვენა და განვლილი საღამოების გახსენებას შეუდგა. იქაურობას თვალი მოავლო:

სახლი ძველმოდური, მრავალშუშაბანდიანი და მრავალკუთხა, სხვინი მომწვანოდ შეღებლი და ზღვისდარი ფარდებით შემკული. ოთახები ძველებური ავეჯით, ტილოგადაფარებული ტახტსავარძლებით ჩარბილებული, სელის ფარდებით ჩამომძიმებული ნინოსჯვრიანი მიუნჯდომელი ფანჯრებით, ძველი პიანინო, საეკლესიო ჭალი, თუჯის, ხატებამოტივრული, ძველი გასაშლელი ჭადრაკი, ალექსანდრე მაკედონელის თანატოლი განჯინა კაკლის, თითქმის ცარიელი ერთი-ორი ფაიფური და ვერცხლის დგარები, პანანინა სპილენძის ჯარისკაცები, რაინდები, მღვდლები, მეფენი, მგონი მეკობრეც, ოჯახის ვერცხლის გრაალი – პატარა თასი მოვარაყებული. ლურჯად მოხატული თეთრი ნისქვილი სანჩო – პანსა და მწუხარე სახის რაინდი მხედრულ ფორმაში. რამდენიმე ფაიფურის თოჯინა. გამხმარი ედელვაისები, შუშის მამალ-დედალი ხოხობი. ინდური ჯამები-ჯამფილები, ჩინური მარცვლის საქნელი, კედლის თეფში ჩაის მსმელი ქალებით, თაროები სანთლებით, თეთრი სკულპტურებით, გამჭვირვალე კვერცხებით და სხვა ჩირთი-ფირთით, და ბევრი, ბევრი ბევრი თეთრჩარჩოიანი სურათი.

– დამინერე, რა, შენი რამე... ლექსი ან დამიხატე, ან მოგონება. – დასდევდა სტუმრად მოსულ კალმოსნებს სანამ თვითონ დაეჯავჯვებოდა საქსოვ ჩხირებს. ისინიც ზოგი ხალისით და

დაუზარლად, ზოგი ზარმაცად, რალაც კვალს ტოვებდა ცარცის სხვადასხვა ნომის ქალღმერთს. ხელმოწერილს.. საღამოს მასპინძელი იჯდა და თეთრი თიხის ჩარჩოებს ჰქმნიდა ამ ქმნილებათათვის. თუ ვინმე კალმის ზედმეტად ამოძრავებს დაიზარებდა, გაბრაზებული ხედავდა მათი ნიგნებიდან თავის საყვარელ ლექსებს. ან ისევე აჩარჩოებდა, ან ნიჟარის ფორმებზე გამოჰყავდა ნემსით, ნერტილ-ნერტილ, ასო-ასო, ჩარჩოებს სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, სხვადასხვა შინაარსი და კედელი მათი უცვლელი ადგილსამყოფელის ალაგებში აღარ ხუნდებოდა. ჩარჩოები რომ ჩამოგეხსნა, ნათლად დაინახავდი საით იმზირებოდა „ჩემი სარკმლები სამყაროში“.

სხვინი ცარიელი იყო, ერთი აბრეშუმის, ბამბუკის და მოხატულშუშბჩადგმული შირმა, რამდენიმე მარიონეტი, დიდი მსახიობების ნაჩუქარი ცოცხი და ლურჯი ხავერდის პირბადიანი შლაპა, მაქმანებიანი ქოლგა, იასამინსფრად შეღებლი გაფუჭებული საკერავი მანქანა და უამრავი პუფი და ბალიში, მუთაქა და დიდი რბილი სათამაშო იატაკზე მიმოყრილი მოსასვენებლად, ბუხარში ყოველთვის იყო შეშა და არასდროს არ ენთო... კიდევ? რა? პატარა ბიბლიოთეკა, ციცქნა სამზარეულო, გარსშემორტყმული შუშაბანდები...

კარგ დროს ატარებდნენ. მათი მოსვლა და ყველაფერი იწყებდა ლივლივს, ხდებოდა ვერმუტი შეცურებულივით ბლანტი, მოტკბო და მორიალე. აკვარიუმებიდან ნაჩუქარი თევზები მოცურავდნენ, ფარდებიდანაც. გოროზად მიუყვებოდნენ ტალღებს ჭადრაკის ფიგურები, სიცილი ისმოდა ლიკლიკით და ძალიან აბრაზებდა ვოლტერის ბიუსტს, რომელსაც ალბათ სიტყვაში გამოსვლა სურდა. „დავახრჩოთ მარატის ბიუსტი მარტინში“ – იბადებოდა მსგავსი სიმაღლის ფრაზები. ცეკვავდნენ გამოგონილი მოძრაობებით, თითქოს მიზიდულობის ძალას კარგავდნენ. მასპინძელი მიზიდულობის ძალებს დასდევდა და პატარა სადაფის ზარდახშებში ინახავდა. ახითხითებული ზარდახშები,



რებელს. ბოლო ხუთწლეულში თეატრის მხატვრულ მიმართულებას რეჟისორი ზურაბ ცინცაძე განსაზღვრავს. უნდა ითქვას, რომ უმთავრესად შემოქმედებითი ჯგუფი და ხელმძღვანელობა ერთ ურყევ პრინციპს იცავს: – „გვინდა თეატრი, რომელიც ემსახურება მომავალი თაობის ესთეტიკურად აღზრდას“. შესაბამისად, რეპერტუარის ძირითადი ნაწილი – იშვიათი გამონაკლისების გარდა – ერთი კონკრეტული მიზნისკენაა მიმართული. შედეგად შემოქმედებითად სტაბილური და ერთმნიშვნელოვანია. ბოლო წლებისათვის სამხატვრო ხელმძღვანელი შეეცადა დაერღვია დამაკვიდრებელი სტერეოტიპები და თეატრის მხატვრული სახე განსხვავებული სადადგმო კულტურის მქონე წარმოდგენებით გაემდიდრებინა. მოქმედ რეპერტუარში ცამეტი სპექტაკლია, ამათგან სამი წარმოდგენა მოზარდ მაყურებლისთვისაა გამიზნული, ხოლო ერთი – „არგონავტები“ საგასტროლო ურთიერთობებისათვის. მიმდინარე წელს ბათუმში პირველად შეიქმნა როკ-ოპერა „თავფარავნელის ბალადა“ (კომპოზიტორი მინდია ხითარიშვილი, ლიბრეტოს ავტორი ირმა გურიელი), რომლის შემსრულებელთა ძირითადი ნაწილი ბათუმის მუსიკალური ცენტრის სოლისტებით იყო წარმოდგენილი.

ნარონ აბულაძე



ერთმანეთში ურევდნენ სხვათა და სხვათა მიზიდულობების ძალებს. მათი წასვლისას მასპინძელი ჩინური თეფშის ჩაის მსმელ ბანოვანებს ეჩხუბებოდა, მათ აბრალებდა ჟასმინის, ვარდის, ლიმონის და ლოტოსის სურნელის გაქრობას ბინიდან. ის ხომ დიდხანს არჩევდა შესაფერის სანთლებს, მათ გარშემო ნატიფ ფურცლებს ყრიდა და ელოდა, ელოდა, ელოდა როდის წაიკითხავდნენ დიდი და მოდიდო პოეტები ლექსებს, როდის იდავებდნენ ლიტერატურაზე. ისინი კი ცეკვავდნენ და მღეროდნენ, რადგან ცხოვრება გადიოდა და ძალიან სასაცილოდ ერთვოდა ორი მუსიკალური ცენტრის ხმას, დიდი ხნის ასაწყობი პიანინოს ჟღერიალი. ძველი საათიც თავს ვალდებულად თვლიდა ორიოდ სიტყვა ეთქვა დაჟანგული დაბეჯითებით.

დგებოდა ლექსების ჟამიც და... ამდროს ის მხოლოდ აკვირდებოდა მოსულთ. სუფთად და უბრალოდ ჩაცმულთ, ვარცხნილობებიდან აუცილებლად გამოქცეული თმის ვარდნილით, ჯაჭვიანი საათებით, მობილურებით, რომლებსაც წამდაუნუმ ეკარგებოდა პატრონი, ხშირად იატაკზე აღმოჩენილებს კი გაოგნებულეები დაჰყურებდნენ და განცვიფრებულნი რჩებოდნენ, თუკი ისინი კვლავაც მშვიდობიანად განაგრძობდნენ ნიკნის.

არ ახსოვდა მათი არც ერთი სტრიქონი, ახსოვდა ხელები, ეს ხელები იატაკზე დაცვნილ თეთრი თიხის ნაგლეჯებს იღებდნენ და ზედდნენ, ზედდნენ ძარღვების დაბერვამდე, რათა მისაღები ფორმები მიეცათ. ახლად შექმნილი სკულპტურების საერთო ლივლივში იწყებდნენ ტივტივს. დაჰქონდათ ხელების კვალი, ნათითურები და უკეთესის შექმნის დაუძლეველი სურვილი.

ჩაიდან თუხთუხებდა და თუხთუხებდა, მთვრალი თევზები აკვარიუმებს ეძებდნენ პირდაფრენილნი. მოდიოდა ვიღაც დიდი პოეტის ცოლი და „მთვრალი ხარ, სიცოცხლეო“ სახლში მიჰყავდა. მთვრალი იყო სიცოცხლე მართლაც და ამიტომ ისეთ „ზაიათებს უბერავდა“, მატროსკიდან ზოლები

სცვიოდა. ზოლები ტალღებით და-ნანავებდნენ ოთახიდან ოთახში. ამ დროს ეშვებოდნენ სხვენიდან მარიონეტები და საერთო ფერხულში ერთვებოდნენ.

მასპინძელს კვლავ თვალი ხვდებოდა მეგობარ ქალთა, რომლებთაც „ძმები“ ერქვათ ყოველმხრივ და „ჯიგრები“ სევდის უკიდვანობა, სამკაულთა სიძველე ან თვითნაკეთობა, სიმყუდროვის სურვილი, სადა კაბების რაღაცით გადაუცაბედება სამოდოდ და სამღერელად... და ბოლოს როცა ყველაფერი იმღერეოდა, ვერმუტში მხოლოდ თვალები დაცურავდნენ. დიდი, ჭკვიანი, ნაკითხი, პატიოსანი, ალალი, შემკრთალი, სიცილმრავალი, ცრემლგაძვირებელი, შეცდომებიანი, კეთილი, ბრმა, ყველაფრისდამნახავი, უმართავი, ქალაქთან დაღლილი და უსაზარლესი სიტყვის ინტელიგენციის მომცველი თვალები.

წყნარად მუსაიფობდნენ ამ დროს.

ანა კი აუცილებლად თეთრ გედებს უკრავდა.

წასვლისაც დავლიოთო – აატლანურებდნენ მძლავრ ფრთებს, და ასეთი ლამაზები რამდენიმე კამარას არტყამდნენ ბინას.

ფანჯარა ყოველთვის გამოღებული იყო.

მათი გაფრენის მერე ფინჯნებს, ლამბაქებს და ვერცხლის დგარებს ებუზღუნებოდა, თქვენი ბრალია თუ ჩაის ჟასმინის, ვარდის, მიხაკის, დარიჩინის, სევდის და ლოტოსის სურნელი აკლდა. ისე გავუმგი სტუმრები, ერთხელ ვერ გავაბლუხეთ და სულ ცოტა გავაჯახეთო.

იძინებდა მარტო და მარიონეტები და ფაიფურის თოჯინები არეულ-დარეული სახლისთვის კიცხავდნენ.

ამას წინათ ფანჯრები და შუშაბანდები დაადარაბეს და არაზეს.

– დრხდრხდრხდრხდრხდრხდრხ – კარები ჩამოიღეს, მოვიდნენ.

სავარძლიდან წამოხტა და რატომღაც გედებს დაუნყო აქშევა, ფრთებს დააჭრიან, მომიკვდებიანო. გედები ქაოსურად დაქროდნენ გამორაზულ სახლში.

– დრხდრდრხდრხდრხდრხდრხ –

გააღეთ თქვენი! კედლებს მიაწყდა. თაროებიდან ფაიფურის თოჯინები ცვიოდა, ბიუსტები ილენებოდა. გასაშლელი ჭადრაკი რახუნით დაიხურა და ჩაიკეტა. ფაიფურს ზრიალი აუტყდა.

მიხვდა რაც უნდა ექნა, შეჩარჩობული ლექსები, მინიატურები, ნოვლები, ჩანახატები იატაკს დაანარცხა და დაფშვანა. კედლებზე სამყაროში გასასვლელი ფანჯრები გამოიკვეთა, გახუნებულზე გამორჩა ნამდვილი ფერი.

– ნადით! – იკივლა და სანამ ბოლო გედის ცის დასახაზად გაშლილი ფრთა არ დაინახა, თავისუფალ ფრენაში შეთეთრებული კარი არ გაუხსნია.

– კანონის ძალით! – ზარდახშები აკისკისდნენ.

ლიტერატურული სალონი დალუქეს. უფლების გარანტირებული ძალით.

**სიურეალისტური გამოფენა**

მწვანე იყო მდელი. თეთრი იყო უნიტაზები, თვალთუნახავი კაქტუსები და ქანჩებით სავსე ბუშტები მიიზიდებოდნენ ცისკენ, უთვალავი. ტორტი იყო სპირალური და ცხრასართულიანი. შამპანურის აკოშპოშკოლავებული ფუფერებიდანაც იღვრებოდა ოქროსფერი ჩანჩქერი, ხის ცხენებით დაჯირითობდნენ ოფიცინტები. შემოდოდნენ შავებში გამოწყობილი სასტიკი ბიძიები წარბშეკრული და ძელს მოწონებით აფასებდნენ. შავი პანიკა ატყდა – სიკვდილმისჯილის თახსირი შემოქმედება საგამოფენო დარბაზიდან გამქრალაო. გაცეცხლდნენ და მიეცით ძელს ცეცხლიო, აკივლდნენ. ასეც მოიქცნენ. პატარა ძალს სცენარის მიხედვით გული არ შეჰკლონებია, გულშენუხებულ სიძეს ურიკებში შებმული ძაღლები დაესიენ და ზანზალაკების ზგრიალით დაატოვებინეს სცენა პატარა ურიკით.

ძელი ინვოდა და ეს მტკივნეული იყო, ჯერ ფეხის თითებზე მოედო ცე-

ცხლი, რალაცას უკიოდნენ, იქ არ იაროო!! მუხლბარდაყამდე რომ დაიარდა, აჰანდე და ეგეც შენო!!! ხელებით ძელზე იყო გაკრული და თმის გასწორებას ვერ ახერხებდა. ჯერ დედა მოეჩვენა, მერე მამა, ბოლოს დიდ დედა და მკაფიოდ დაინახა, როგორ ჩახა ზეთში შესრულებული ბავშვობის ტილო, როგორ გადმოლაგდნენ მწვანე, მწვანულ პერანგებში ჩაცმული ძმები ტილოს ჩანახევიდან, ნაშრომი, გარუჯული, მზე ცელის ტარზე ესვათ... მხრებზე სამუშაოიარაღებგადაწყობილი, ღარღარა, სიცილიანი, წყაროსწყალნასმი და გულისგამგლეჯად სევდიანი. გული გაეგლიჯა და ჩაბუგვის წინ ერთი წამით ადრე დაინახა, როგორ ადგა მის დაქსოვილ პერანგებს თითო წყვილი აბრეშუმით სიფრიფანა ფრთა.

– არ უნდა ვაჭმიათ, დიდდედიდა, არა. არც სწყურიათ, არც ქალი უნდათ და არც სახლ-კარი... არც ცივათ, არც ცხელათ, არც რეცხვა უნდათ, არც დაუთოება, არ უნდათ ჩემი არაფერი. ენერგოკრიზისია მსოფლიოში, გესმის? და... მატერიალურიც.

– განა? ჰოო ჩვენ ყურამდეც მააღნიანა? – ქურას არ მოშორების დიდდედიდა. – მამ შეშად მაინც ივარგე?!

– აჰა ვინვი! – იყვირა ამდენი სიჩუმის შემდეგ ძელსშემოხვეულმა.

მღვდელმა საქორწილო ცერემონიალი ვეღარც დაიწყო და ვეღარც დაასრულა. სუფრებზე ჭინჭარმა ამოხეთქა. ამოიფრქვა.

აღმოდებული თმების თავზე უფერული ფარვანა დაფარფატებდა...

ცამ მოიცალა, იცი. აბრეშუმებიც იწვის.

არავის გაუგია. შავმა ბიძიებმა თეთრი ფარვანა შავ სიაში შეიტანეს და შავი სია ცეცხლში შეაგდეს.

ერთადერთი სახელმომთავრებელი პერანგი თვითონ ეცვა.

– ზეთი გადაამისვი, დედა! – თქვა ბოლოს.

დაბუგულ ძელზე გედის თეთრი ფრთა ქათქათებდა.



**„ქუთაისელი და ტყუილი“**

ქუთაისი და კულტურა. კულტურა და ქუთაისი. რამდენად აქტიურია დღეს ქუთაისში კულტურული ცხოვრება და საერთოდ, რა ხდება... ბოლო პერიოდში მიღებულ მიმზიდველი ღიზინის და ესთეტიკის მოსაწვევებს თუ გადავხედავ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქუთაისში ბევრი სიახლეა... ახალი ნაკადი მხატვრობაში, მწერლობაში, მუსიკაში... განახლებული თეატრი, კინო, გალერეები... მოკლედ რომ ვთქვა, თითქოს და ქუთაისი დაა-refresh-ეს... სამწუხაროდ, ქუთაისლები დიდი აქტიურობით ვერ გამოირჩევიან, ძირითადად ერთი და იგივე სახეები მეორდება გამოფენებზე თუ ლიტერატურულ საღამოებზე.

მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ძალიან საინტერესო პერფორმანსის თანაზიარი გავხდი გიორგი ხასაიას, გიორგი წურწუმას, ვაკო ნაცვლიშვილის და მირიან გორგოდის წყალობით... როგორც წესი, ასეთი პერფორმანსები ხალხმრავლობით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ თემურ ელიავას „ფსევდო-პოეზიის საღამოზე“ ხალხმრავლობის გამო, უშედეგოდ ვცადე შესვლა. იგივე ხდება თეატრშიც. კლასიკური მუსიკის კვირეულზე თითქმის ჩამოსათვლელი მაყურებელი, „მგზავრების“ და „ფრანის“ კონცერტებზე კი სავსე დარბაზები... თუმცა ეს არამარტო ქუთაისის, საერთო პრობლემაცაა და მასკულტურის თემა შორს ნაგვიყვანა.

ახლახან ქუთაისმა ყველაზე უფრო ქუთაისელის და გენიოსის – რეზო გაბრიადის თეატრს უმასპინძლა. საოცარი შთაბეჭდილებით და სიყვარულით იყო სავსე დარბაზი... ჩიტი ბორია, სამწუხაროდ, მხოლოდ სტუმრის სტატუსით წარსდგა მაყურებლის წინაშე, რადგან სწორედ ქუთაისში მიიღო წლების წინ რეზო გაბრიადემ თეატრის გახსნაზე ცივი უარი.

დასასრული 21-ე გვერდზე



### ნანა ჯავაქიშვილი

#### ნაკვალავი – მკვებითი, განუმეორებალი

ჰორიზონტალურ შრეებად გადანო-ლილ მზის გრილ მხურვალეობაში ადვილად შეგრძნებადი ბუნების ყოველი სასწაული. ტკივილად, ბებერი სამყაროს მოჩურჩულე სიბრძნედ, გადაჰფარება თოვლის მდიდრული სპეტაკი სხეული მიწას და ცდილობს რწმენის დილისფერ გარიჟრაჟზე თავი დააღწიოს სხივების ჩვეულ შემოსევას. ისინი?! ისინი მიწაზე დაშვებულნი უფრო მძაფრად ცეცხლისფერნი არიან, ზეციდან ადამიანთა სულების გასათბობად გამოგზავნილნი.

ზამთრის მყიფე, ჰაერში გაბნეული მდუმარება მსუბუქად დასწოლია ქათქათა მშვენიერებას. ფხვიერი ზედაპირი უფრო მეტს იტევს, ვიდრე ასიათასობით ბგერა აკინძული სიტყვებად. სიჩუმე დაძრწის ირგვლივ და მის ირეალურ შეფერილობას წამიდან წამზე ვერტიკალურად დაცემული სხივები ასკდებიან. დუმილი ისაკუთრებს ყოველივეს, ჟანგბადის მეტყველ ნაკადს ამსხვრევს და... და სიმშვიდის ზღვარს ხელშეუვალს ხდის. მთვლემარება ძილის სიმღერას შეუსვენებლად განაგრძობს. აქა-იქ კი რეალობის არეული პალიტრა მათ ათიათას ფერთა გამით მოსავეს და სხვადასხვა მიმართულებით განაბნევს, ვინ იცის, რომელნი საით...

აი, ეს ფანჯრის მინა სხივებს საკუთარ სულში გაატარებს. მზის პანია ნაწილების ჯგუფს ერთი საოცრება ემართებათ: როგორც კი თავს ამ უცნაურ სივრცეში იგრძნობენ, უხილავი ხაზებით მისკენ, მძიმედ თავდახრილი სხეულისკენ მიემართებიან.

ის მწუხარებად, ჭრელ ტკივილად აკივლებულ სევდას ჰგავს, საუკუნეთა მიღმიდან გამოლწეულს, არცთუ ჩვეულებრივი ბედისწერის წყალობით. აქამდე მოათრევს თავის მძიმე არსებობას. მყარად დგას. არავის ახსოვს რამდენი ხანია, არც თვითონ იცის როდის მოიტანეს. დრო მის არსებობას ქვიშის საათივით დაემხო. სარკის ზედაპირზე აღარაფერი ჩანს, ხილვადობა გაძნელებულია და ახლა მის უხილავ სულში ჩარ-

ჩენილი პანიკა ფარავს გარდასულ ათწლეულებს. არც უნდა ვინმემ შეძლოს იმის დანახვა, რაც არეკლილია დიდებული იერის მიღმა. სარკის მეხსიერებაში გადასული ადამიანთა ტკივილი ლაქებად დასჩენია ხელოვნების იშვიათ ნაკეთობას – დაბინდულა. ჩაკეტილ სივრცეში იციან რა მძიმეა მისი ბედი. წლების მდინარედ ჩამოვლილი ნაკადი მის გულში გადის, მაგრამ იგი არავის უამბობს დღეებად აკინძულ წუთებზე, ნამებზე. უბრალოდ, სანამ მისცემენ ამის უფლებას, მდუმარედ, თვალდახუჭული იდგება.

ყოველთვის ეცდება არ შეიმჩნიოს ეს მომაბეზრებელი სხივები, რომელთა ოქროსფერი მისი ზედაპირის ვერცხლისფერთან შეხებისას არამინიერი ელვარებით ივსება. უკან გაბრუნებულები შეუცდომელი გზებით კვლავ გარეთ, ზამთრის გრილ მშვენიერებაში გაჭრას ლამობენ. თან მიაქვთ მისი იდუმალეობა, ოდნავი სიმძიმე. ადამიანის ხელით შექმნილი სარკე ანელებს ახალშობილ სხივთა გულწრფელ თავგანწირვას.

\*\*\*

ზამთრით დამზრალი ფანჯრებითაა შემოზღუდული ეს სამყარო. სიცივე ახლა შიგნითაც დაძრწის, რადგან კარი იმაზე ფართოდ გააღეს, ვიდრე ჩვეულებრივ აღებდნენ ხოლმე. უფრო ხმაურიანი იყო ის ნაბიჯებიც, კიბის ექოც, რომელიც ჰაერმა მალა ამოათრია ყინულივით გათოშილი ბგერებით. ოთახი გააყრუა ამ გამჭვირვალე ხმამ.

სხეული, ჩვეულებრივი ანატომიური ფორმებით... ქალის ან კაცის, რომელიც შუა ოთახში ისე ჩანს, თითქოს ორად გაუპია სივრცის უწყვეტი ერთიანობა.

ახლა მზის მშვენიერი ნაწილები ფანჯრის მინის გადმოკვეთის შემდეგ სარკეს ველარ მიუახლოვდებიან, ველარ დაიტვირთებიან მისი ჭაღარა, გონიერი სიბრძნით. ადამიანი, უცნაური, მარტოსული, შუაში აღმართულა და სხივების სიღრმეში გაჭრა შეუძლებელია. ძვირ-

ფას მეტალთა ელვარება ველარ აირევა ერთმანეთში, ზღუდედ მოკვდავი და-ყუდებულა.

მას კი სახე, რომელიც ოთახის კუთხისაკენ მიუბრუნებია, პანია მრგვალი წვეთებით ესერება. მეორის წასვლის ყინულოვანმა ექომ მხურვალე მარილიანი სისვლელე ჩამოაფარა ნაკვეთებზე.

\*\*\*

აქედან, აქედან ამ სამყაროს ირიბი ხედი ჰაერში აჭრილ ფერთა ჯაჭვს მშვიდად ითავსებს. ის უნდა დაბადებულიყო, ეს შეუცვლელი, გარდაუვალი იყო, რადგან მწუხარებით ათრთოლებულმა გულმა მოუხმო.

ხავერდოვან კანს ეულად ჩამოუყვა. არავის უცდიდა, თუმც არსად ერქარებოდა. დაღვრილ დარდს სახელიც ჰქონდა, მას ცრემლის უწყვეტი მძივის მცირე ნაწილი ერქვა. მისი დაბადების მიზეზი ტანჯვა იყო, მაგრამ ახლა, დასაშრობად განწირული, წუხდა ამ უცნაურ სამყაროსთან განშორებას. უკვე ქვემოთ, როცა ცოცხალ ორგანიზმს მოშორდა, ძვირფას აბრეშუმზე ნებივრად გადაწვა და იქიდან უსმენდა გარედან შემოსულ ყინულის ბგერათა წვრილ, გამაყრუებელ მონაცვლეობას.

ეს სიცივე ერთი მოკვდავის ერთ ჩვეულებრივ ამბავს თავისებურად ჰყვებოდა. ცრემლი ისუნთქავდა ადამიანური ყოფიერების ჰაერს. მოკვდავი კი იდგა გაუნძრევლად, სხეულიდან დაღლილობას და სევდას აფენდა ირგვლივ.

სარკის ზედაპირს შეავლო თვალი, მერე მძიმე ვერცხლის ფიგურებს: „ეს ფერი როგორ ჰგავს ჭაღარას, რომელიც უცნაურად გაკრთა თმაში ამ ბოლო დროს, მძიმე სარკე კი – ცხოვრებას თავისი ბუნდოვანი დღეებით“.

სხივებით გაბრწყინებული ოთახის ოქროსფერი ნაწილი მის ზურგს უკან დარჩა. იქ მთავრდებოდა ბუნების ალერსიანი ხმები, უდაბნოს სიმხურვალეს გრძნობდა, ყოველ წამს გრძნობდა. მზეს სხეულით აკავებდა. დაბეჯითებით ერთი აზრი უტრიალებდა გონებაში: „ეს ვერცხლისფერი ციალი ცდუნებას ჰგავს, ძვირფასს, ხელშეუვალს“, მაგრამ ახლა ლაქები ნელ-ნელა იწმინდებოდნენ. უცხო ადამიანთა სახეებს ხედავდა, მათი ცხოვრების ფრაგმენტები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. მიღმიერი სამყაროდან

გამკრთალ აჩრდილებს ხან არჩევდა, ხან ვერა. მაგიური ინტერესის გარდა სიცივეც ედებოდა, სისხლის ნაწილაკები ეყინებოდა. მრავალფეროვნებამ, როგორც მინიერმა ყოფამ, აბოლუტურად დააბრმავა. მისი არსება ახლა სხვათა და სხვათა ცხოვრების წუთებს დაეპყრო, თავისი დავინყებოდა. იმის წასვლის ყინულოვანი ექოც გამქრალიყო სმენადობის არიდან.

მოულოდნელად თავის სახეს ხედავს. შიგნით მყოფი ილიმის და მას უხმობს ჯადოსნურ სივრცეში. რა თქმა უნდა, გადავა იმ ცდუნებისფერ გარემოში. აქ რა?! მარტოობა, უკვე დაზამთრებული ასაკი და სხივების მომაბერებელი სიანცე რჩება.

წამით ყველაფერს ტოვებს გონებით. არარაობად ერგენება ყოველივე. თავდავინყებას ესწრაფის ღმერთის მიერ ბოძებულ და მცირედგასავლელ გზაზე.

მაგრამ ეს მხოლოდ წამიერად, რადგან მერე ზურგიდან მზე აწვება, სხივები ესევიან გულის მიმართულებით, იპყრობენ მის არსებას. თვალები, თვალები კვლავ ცდუნდებიან, მაგრამ სისხლი უკვე თბება. გულში გავლილი ერთი ისარი დედის ხმით კვნესის. იმ ცრემლს ხედავს, ტანჯვის დროს რომ მოუხმო. ეს უკანასკნელი გაოცებული შესცქერის ადამიანის უცნაურ გარდასახვას და უცებ გრძნობს, სულაც აღარაა მარტო, ეს მშვენიერი, ჰაეროვანი აბრეშუმის სინანულით დაბადებულ მის მსგავს წვეთებს აუვისაით...

ზამთრით დამზრალი ფანჯრებით შემოზღუდული ოთახი ცარიელია. კარი კვლავ ღია დატოვეს, მეორეც გავიდა ამ ცივი სამყაროდან.

ჰაერში გაბნეულ მყიფე მდუმარებას ახლა მოკვდავის ნაბიჯების ხმა არღვევს. ჰორიზონტალურ შრეებად გადანოლილ მზის გრილ მხურვალეებაში ადვილად შეგრძნებადია ეს უბრალო სასწაულიც: ადამიანი, ჩვეულებრივი ადამიანი, ქალი ან კაცი, მკვეთრი ნაბიჯებით განუმეორებელ ნაკვალევს ტოვებს რწმენის დილისფერ გარიჟრაჟისას თოვლის მდიდრულ ზედაპირზე. მის ქვეშ კი დედამინაა, ის მინა, რომელზეც ეს ერთი სულიერი განსაზღვრული დროით მოვიდა და უკვე მალე უნდა მიატოვოს ამ მშვენიერი, ირეალური სამყაროს ირიბი ხედი. ალბათ...



მოგეხსენებათ ქუთაისში ბევრი კარგი და საინტერესო მუსიკალური ჯგუფი იქმნებოდა, ქართული ალტერნატიული მუსიკის აკვანიც სწორედ აქ დაირწა (Outsider, Best History)... სამწუხაროდ, ამ მხრივ დღეს ცოტა მოვიკოჭლებთ, თუმცა არის რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდებისგან შემდგარი ჯგუფი (ქართული ვერსია, ოჩოს ქობი, ალკო...), რომლებიც იმედია თავის სიტყვას იტყვიან მალე. ასეა თუ ისე, სავარდო და სამაისო ქუთაისში ბევრი საინტერესო სიახლე და ნიჭიერი სახეებია, მერწმუნეთ. ქუთაისელი ვარ მეც... ჩიტ ბორიას დავესესხები და – „ქუთაისელი და ტყუილი?“

ქრისტინა როზაქიძე

## დებიუტი



ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დავიბადე ფეხებით, ოზურგეთის ერთადერთ და განუმეორებელ სამშობლიაროში. მერე ექიმს უთქვამს: სწრაფი და უკულმართი იქნება ყველაფერშიო. ბებიამჩემს შეუცხადებია: „მაი რაფერ თქვაო!“ ექიმს აპატიეს... მე დღემდე მეჩქარება სადღაც, უკულმართობაზე რომ აღარაფერი ვთქვა..

გავიზარდე თბილისში, პირველი ლექსიც აქ „დავწერე“. მაშინ ოთხი წლის ვიყავი, ვიჯექი 90-იანების განუყრელ ატრიბუტ, წითელ „კერასინკასთან“. პირველი ლექსიც (ისევე, როგორც სხვა დანარჩენი) ეხებოდა გლობალურ პრობლემას და ჟღერდა შემდეგნაირად:

„ჩაიდან დულს,  
ორთელი ამოდის,  
მაგრამ რად გინდა,  
შუქი არა გვაქვს!..“

ახლა მეხუმრებიან – მაშინაც ვერლიბრს წერდიო.

მიჭირს გავიხსენო, როდის დავიწყე წერა. რაც თავი მახსოვს, რაღაცებს ვწვლავნი. ვწერ მაშინ, როცა რაღაც მტკივა, მანუხებს, როცა რაღაცის თქმა მინდა... ჩემი ყველა ლექსი არის ჩემზე, მაგრამ ჩემზე არ არის. მე მათში ვცხოვრობ, მათი სიუჟეტის ნაწილი ვარ. თუ ოდესმე, სადმე გადაწყვეტით ჩემს ლექსებს, ნაიკითხეთ ისინი გოგონას სუსტი, კანკალმეპარული ხმით და არასდროს რიხით, ომახიანად.

რაც შეეხება ლექსების ფორმას, პირადად მე, პოეზიის კითხვისას,

მარიამ ბაჯელიძე

ლექსები

ამიბრანტები

არასდროს თენდება უცხო ქალაქში,  
უცხო ქალაქმა დაღამება იცის მხოლოდ.  
და ჩვენ, საკუთარ სანოლებში,  
ჭერს მიშტერებულები,  
თვალეზგაფართებულები და ძალაგამოცლილები –  
თქვენს ჩრდილებს ვხედავთ.  
საელჩობთან დაუმთავრებელი რიგებია:  
უცხო ქვეყნის მოლოდინით სავსე რიგი;  
სიღარიბე გამოვლილი რიგი;  
ოჯახიდან გამოქცეული რიგი;  
ოპტიმისტი რიგი.

ვინც წავიდა გაუმართლა,  
ვინც დარჩა – ხელმეორედ ცდის.  
ჩვენ კი, დიდ ქალაქში ჩამოსულები,  
როგორც ბავშვობისას – ატრაქციონებთან,  
დაბნეულები და გაოცებულები გზებს ვეძებთ.  
გასასვლელში მშობლები აღარ გველოდებიან,  
მშობლები ჩვენს ზარს ელიან მხოლოდ.  
და მაშინ, როცა ტირილამდე გვტკივა სიშორე  
და მზად ვართ,  
მტკაველებით გადავზომოთ მანძილი ჩვენიდან თქვენამდე –  
ფიქტიურად დაქორწინებულები,  
უცხოვსთან გაყოფილი სარეცელით  
და მწვანე კარტით ჯიბეში –  
ყურმილს ჩაჭიდებულ,  
ნაავადმყოფარ  
და ცრემლნაყლაპ დედებს  
კარგად ყოფნის გარანტიებს ვაძლევთ.  
ჩვენ არასდროს დავბრუნდებით ისეთები,  
როგორებიც წავედით.  
და ნაომარ ქალაქში,  
გადამწვარი სახლის ღრეჭობებიდან მომზირალი,  
შიშისგან თვალეზგაფართოებული ჩვენი ბავშვობა  
გახდება საბაბი ჩვენი აქ დარჩენის.  
პირველი შეყვარებულები,  
ერთ დროს გრძელთმიანები  
ახლა კი ფორმიანები და თავგადაპარსულები  
გახდებიან მიზეზები ჩვენი აქ დარჩენის.  
ჩვენი მეგობრები,  
საპნის ბუშტებივით გამჭირვალენი,  
ლიმილიანები და შეყვარებულები,  
მათსავე ავტოფარეხებში რომ იპოვეს

თოკზე ჩამოკიდებულები,  
 ერთსიტყვიანი ანდერძებით: „გვაპატიეთ“!  
 გახდებიან მიზეზები, ჩვენი აქ დარჩენის.  
 თქვენ კი იტყვიან,  
 რომ ჩვენ გაგვიმართლა,  
 რომ ყველაფერს მივალნიეთ, რისი მიღწევაც გვსურდა.  
 რომ ჩვენი უკან დაბრუნება სისულელე იქნება  
 და მეტი არაფერი.  
 ჩვენ კი...  
 კვირა დილით საკუთარ სანოლებში,  
 თვალბაფართოებულები და ძალაგამოცლილები  
 თქვენს ჩრდილებს დავინახავთ.  
 და ეს ჩრდილები გახდებიან მიზეზები,  
 რომ დაბრუნებაზე ვიფიქროთ!

ლამარია

ლამარია,  
 სანამ ლოცვას დაგიწერდე,  
 მოგიყვები დღეს რა მოხდა –  
 ალალია.  
 სანამ ძილი მიგემია,  
 სანამ მღვიძავს,  
 სირცხვილი და ხვალის შიში ამარიდე.  
 ლამარია,  
 საქონელი დავამწყვდიე,  
 რძე გობშია,  
 გობსაც თავზე აფარია,  
 დილით ბავშვებს დავუსხამ და დავაპურებ  
 შიმშილს შუადღის მოსაყვანად გავაცილებ.  
 ლამარია,  
 დღეს ეშმაკი შემომიჩნდა  
 ჩემს კაცს ხელი შემოვხვიე მოხრილ მკლავზე;  
 მაგრამ რა ვქნა, ქალი ვარ და  
 მაბადია –  
 რაც კი ქალის საქმეა და  
 აღარც უკვე.  
 დილით ადრე საქონელი მიმყავს მთაზე,  
 დღეს თუ ღამე ფიქრებში არ გავათენე,  
 ნუ აწვიმებ,  
 ეს ღრუბლები წაიყვანე,  
 ოღონდ ხვალე ნუ აწვიმებ, ლამარია.  
 ბავშვებს ძილი მოუყვანე;  
 მოაშორე –  
 ჩემს კაცს დალლა,  
 დასაღლეელი აღარც კია...  
 ხვალინდელი დილა მშვიდი გამითენე  
 და ამაღამ მომასვენე,  
 ლამარია.



პირველ რიგში ყურადღებას ვაქცევ შინაარსს, სათქმელს, სწორედ ამიტომ, თავისუფალ ლექსს მივანიჭე უპირატესობა. ვერლიბრი მეტ თავისუფლებას მაძლევს, უფრო ადვილად ვახერხებ ვთქვა ის, რაც მანუხებს.

ის, რომ ჩემმა ლექსებმა დღეს ამ არაჩვეულებრივი ჟურნალის ფურცლებზე იპოვეს სადგომი, პირველ რიგში ჩემი მეგობრების დამსახურებაა. მე ძალიან, ძალიან მდიდარი ადამიანი ვარ, რადგან მყვანან საუკეთესო მეგობრები, რომლებიც იყვნენ ჩემი პირველი შემფასებლები, მათ მომცეს საშუალება მეპოვა საკუთარი გზა.

და ბოლოს, თუ სადმე შეხვდით გოგონას, რომელიც ადგამს ძალიან დიდ ნაბიჯებს, აქვს დადლილი სახე და სადღაც მიიჩქარის, შეგიძლიათ უთხრათ: „გამარჯობა, მარიენ!“

ყველაფერი კი დაიწყო იმით, რომ დავიბადე ფეხებით...

დებიუტი



გვანცა სალუქვაძე  
მას უყვარდა

ისე არასდროს გამჭირვებია სუფთა ფურცელზე გადმომეცა ჩემი სათქმელი, როგორც ახლა. იმაზე მეტად ვარ აღელვებული, ვიდრე ჩვეულებრივ, წერის დანწყების წინ. ყოველთვის მიჭირდა საკუთარ თავზე საუბარი, ახლაც ასეა. დღემდე ვფიქრობ, რომ არაფრით გამოვიჩინევი სხვებისგან. ვცხოვრობ ისე, როგორც ვთვლი საჭიროდ, ვწერ ისე, როგორც ვფიქრობ.

ბავშვობიდან მიყვარს კითხვა. ვფიქრობ, სწორედ ამან გამოიწვიოდა წერის სურვილი. მარტივია! რა არის წერა, თუ არა შენი შეხედულებებისა და დამოკიდებულების გამოხატვა. როდესაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ადამიანების ნააზრევს ვკითხულობდი, გამიჩნდა სურვილი ჩემი აზრი მეც გამოემხატა. სწორედ ასე დავიწყე...

დავიბადე 1992 წლის 5 მარტს, ომის, სამოქალაქო დაპირისპირებებისა და სისხლიანი ქრონიკების პერიოდში. XX საუკუნის 90-იანი წლების იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომლებმაც ნაკლებად იცოდნენ, რას ნიშნავს უზრუნველი ბავშვობა, უშფოთველი ცხოვრება. ზამთრის სუსხიანი ღამეები, ჰურის რიგებში დანთებული კოცონები, უშუქობა, ნავთის სუნი, მბჟუტავი სანთლის შუქით განათებული ოჯახის წევრთა სახეები და იარაღიდან გაუთავებელი სროლის ხმა, სულ ახლოს, აი აქვე... ყურთან, მაგრამ მაინც ბავშვური იმედით დანახული ღამაზი და უსაფრთხო მომავალი.

გამართლება... დეიდის ოჯახი შევიცარიაშია და ყოველწლიური სტუმრობები ციურისში. დროებით გარიდება ჯოჯოხეთიდან და სამოთხეში მოხვედრა. შემეცნება იმისა, რომ სადღაც არსებობენ

ოცნებების მიღმა დამალული სინამდვილე ხშირად მტკივნეული და რთულად აღსაქმელია. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში საჭიროა თვალი გავუსწოროთ და შევეგუოთ მწარე რეალობას. ყველაზე ძნელია, როცა გიყვარს და იცი, რომ ეს სიყვარული შენი არ არის... თუმცა მაინც ვერ ანებებ თავს იმ ადამიანზე ფიქრს, რომელიც იმ დროის მეოთხედსაც არ ატარებს შენთან, რამდენსაც შენ ფიქრობ მასზე. გინდა, რომ ისეთივე ძვირფასი და ერთადერთი იყო მისთვის, როგორიც ისაა შენთვის. გსურს, გიყვარდეს მთელი არსებით, წრფელი და სათუთი გულით, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გატეხილა, მაინც არ ეგუება და კვლავ... ისევე უყვარდება სხვა გული... რომელიც თითქოს მისგან შორსაა, მაგრამ თან რა ახლოს არის... იმდენად ახლოს, რომ მის ფეთქვასაც კი გრძნობს.

გული ფიქრობს, რომ ერთხელ, როდესაც შეწყდება იმ მეორე, მისთვის ძვირფასი გულის ფეთქვა და მაშინ, როცა მის ხმას ვეღარ გაიგებს, მისთვისაც დამთავრდება ის, რაც არც კი დაწყებულა... მაგრამ მაინც არ ნებდება... გამალებით ფეთქავს, ცოტაც და შეიძლება საგულედან ამოვარდეს, თუმცა გგონიათ ეშინია? არა, მას აღარაფრის ეშინია. რატომ არ იცის, უბრალოდ ერთ დღესაც იგრძნო, რომ ერთი და იგივე ადგილი ძალიან ბევრი ტკივილისგან დაიღალა და აი ასე, უბრალოდ აღარ სტკივა, აღარც წუხს... შეეჩვია გული გატეხვას, დაუნდობლად რომ გადადიან მასზე და თელავენ, ამასაც შეეჩვია და იცით, აღარ სტკივა. უბრალოდ, ხშირად გრძნობს, რომ ის, საიდუმლოებებით მოცული ადგილი, რაც ადრე ყველაზე მეტად სტკიოდა, ჩაბნელებულია და მასში გაფანტულია უსასრულობა,

სიბნელე და რაღაც ამოუცნობი, მაგრამ თან ყველასათვის კარგად ნაცნობი გრძნობა... ამ გულისათვის უკვე დამარხული და სამარეგათხრილი სიყვარული!

ეს გრძნობა თურმე გულის იმ ადგილას ცხოვრობს... იქ უყვარს... იქ უნდა, სხვაგან არ შეუძლია... ალბათ ხვდებით, თუ რატომაა ის ადგილი მუდამ ჩაბნელებული და განზე დგას, როგორც მყინვარი... მასავით ცივი და უკარება გახდა! არადა ერთ დროს როგორ უყვარდა სიცოცხლე, როგორ უხაროდა ყველაფერი ახალი და ალბათ ვერც ხვდებით, როგორ შეეძლო ადამიანის შეყვარება... ნამდვილი სიყვარულითა და ტკივილით შეყვარება! იმდენად ფაქიზი და სათნო იყო, რომ ვეღარ გაუძლო ამდენ ტანჯვას და დაიღალა. ძალა აღარ შესწევს, რომ ისე იბრძოლოს, როგორც ადრე... თუმცა ფეთქვას კვლავ აგრძელებს... არ წყვეტს სიცოცხლეს... ნელ-ნელა პატარავდება და იღვევა, ერთ დროს დიდი, ღამაზი და ძალიან თბილი გული. მას აღარა აქვს შეხება გულის სხვა, არცთუ ისე ნათელ, მაგრამ ჯერაც მბჟუტავ მხარებთან, რომლებიც მიუხედავად ყველაფრისა, მაინც აგრძელებენ ცხოვრებას... მაგრამ ხვდებიან... თქვენ წარმოიდგინეთ გრძნობენ, რომ აღარ არის ის ისეთი ფერადი და კარგი, როგორიც ადრე იყო... ისინი ვერ გარკვეულან რა ხდება და ალბათ ვერც ვერასოდეს მიხვდებიან!

ეს ყველაფერი შეიძლება ვილაცისთვის ძალიან ნაცნობია, ხოლო ვილაცისთვის კი არც ისე... მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის რაც ახლა უნდა გითხრათ, თითოეულ ჩვენგანს ერთხელ მაინც შეუნიშნავს საკუთარი თავისთვის და უგრძნვია ეს ტკივილი.

იმ დროს, როდესაც კარგად ხარ,



არის ადგილი გულის სიღრმეში, რომელიც გტკივა...

ყოველი ღიმილის დროს, არის ცრემლი, რომელსაც ტირილი უნდა...

გულის ერთი მხარე, რომელიც სიყვარულს იპოვის, მეორე კვლავ ეძებს...

ასე იტანჯებოდა გული დიდი ხნის განმავლობაში... თუმცა ვერ ხვდებოდა რატომ. მას ხომ არაფერი დაუშავებია... მხოლოდ უნდოდა ბედნიერი ყოფილიყო. თუმცა ეტყობა ბევრს ითხოვდა და ასე გადიოდა დრო...

ლოდინი ლოდინს ემატებოდა... მაგრამ კარგი არაფერი ხდებოდა.

ნაღველი ნაღველს უბამდა მხარს...

ტკივილი ტკივილს უყურებდა და გრძნობდა, რომ აღარ უნდოდა აქ ყოფნა...

...საბოლოოდ კი გული ცუდად გახდა, იმაზე ცუდად, ვიდრე ოდესმე ყოფილა. მას ყველა გრძნობა ერთად ესტუმრა... ყველაფერი ერთად სტკიოდა.

ფიქრობდა გული, ბევრს ფიქრობდა

და იცით რას მიხვდა?

აზრი არ ჰქონდა ტირილს, რადგან ტკივილი არ მოურჩებოდა!

რისთვის ებრძოლა, სამუდამოდ დაკარგულს ხომ ვეღარ დაიბრუნებდა?!

რისთვის შეეყვარებინა ვინმე და თავიდან დაეწყო ყველაფერი, ის ხომ ბოლოს მაინც ატკენდა გულს!?

რატომ ეცხოვრა, ის ხომ მაინც მოკვდებოდა!?

რატომ ყოფილიყო აქ, მას ხომ სხვანაირად უნდოდა!?

ამის შემდეგ მას ერთი კითხვა უნდოდა დაესვა, მაგრამ მიხვდა რომ აზრი არ ჰქონდა... რატომ?

ნუთუ ვერ ხვდებით? რა აზრი აქვს ისეთი კითხვის დასმას, რომელზეც პასუხი არ არსებობს?!.

\*\*\*

ადამიანის სხეულზე იარა ნიშანია, რომ მან იცხოვრა...

ხოლო გულზე, იმისა რომ... მას უყვარდა!!!



ფერადი ქალაქები, მომღიმარი სახეები, განათებული და თბილი სახლები და არსებობს სიჩუმე... ასე მომაჯადოებელი და იდუმალი, მოლივლივე თეთრი გველებით სავსე ტბებისა და შემადლებზე, ზღაპრული კომპლექსის ფონზე.

გერმანული, ინგლისური, ქართული ენების დაუფლების უსაზღვრო სურვილი... და კიდევ, გენიალური რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“ და უძილოდ გათენებული ღამეების მთელი წყება. გარჩევა, ინტერპრეტაცია, მიმოხილვა... გენიალურთან მიახლოებისა და მისი შემეცნების არაბავშვური ყინი. ღამით დაბადებული თარგმანები, ჩანახატები, მოთხრობები, ლექსები.

ხელშეწყობა... საავტორო სკოლა „ბალავარი“, ქართულის მასწავლებელი ეკა მაჭარაშვილი და მისი უდიდესი როლი ლიტერატურის სამყაროს შეცნობაში... შედეგი დიდი და სასიამოვნო... დაფასება და მოპოვებული წარმატება ლიტერატურის ინსტიტუტში.

სკოლის შემდეგ გაკვალული გზა... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის I კურსი. ცხოვრებისეული გზის დასაწყისი. ძებნა, ძიება, სწავლა, გააზრება, შრომა და პირისპირ მდგარი, ასე რთული და წინააღმდეგობებით სავსე სამყარო, მკაცრი რეალობებითა და უამრავი გამოწვევით.

წერაში ნაპოვნი შვება... ჯერ მხოლოდ 19 წელი და უამრავი სათქმელი, სიზმარში დაკარგული წარსულისა და სიყვარულის, ტკივილისა და ადამიანური სითბოს, ბიბლიური მცნებებისა და ქალური სისუსტეების შესახებ. ეს ჩემი სამყაროა, ჩემი გულით განცდილი ცხოვრება.

## „ინტელექტი“ გთავაზობთ

ჰერტა მიულერი


„მეფე დაიხრება და კლავს“

2009 წლის ნობელიანტის ავტობიოგრაფიული წიგნი ტოტალიტარიზმის გარემოში მცხოვრები მწერლის შესახებ მოგვითხრობს.

ინდივიდის ხვედრი და ადამიანთა მასობრივი ცნობიერების გადაგვარება დიქტატორულ რეჟიმში, ეროვნულ უმცირესობათა გაუცხოებული ყოფა სამშობლოში და ემიგრანტების გახლეჩილი იდენტობა – ერთი ოჯახის ტრაგიკული ისტორიის ფონზეა გადმოცემული.


გერმანულიდან თარგმნა **ნანა გოგოლაშვილმა**.

წიგნს ერთვის **ლევან ცაგარელის** წერილი „დიქტატურიდან ნობელის პრემიამდე“.



ესეისტიკა / დოკუმენტური პროზა

ემზარ კვიციანიშვილი  
მწერები და პოეზია



ბევრჯერ დავრწმუნებულვარ – ზაფხული მწერებისთვის ნამდვილი სამოთხეა. ამ დროს გამოსკდებიან და ედებიან ხეს და მიწას. კოლო გარეგნულადაც საზიზღარია და საქციელითაც. არაა დასანდობი. მოგეპარება, დაგაჯდება ჩუმად, სისხლს ამოგწოვს, გმხამავს. აუტანელი ქავილი აგიტყდება ხელისა და ფეხის თითებზე, ლამის მოიგლიჯო.

სულ სხვა რამეა ერთი ციცქნა, ძლივს შესამჩნევი მწერები, სინათლის შუქზე რომ მოილტვიან და დაფუსფუსებენ, წიგნებს, გაშლილ ფურცლებს ასხდებიან. იმათ სიპატარავს საზღვარი არა აქვს. მგონია ამაზე მცირე მცოცავს ველარაფერს ვნახავმეთქი და უეცრად კიდევ უფრო მიკროსკოპული არსება მოვევლინება ჩემს არეულ-დარეულ ფურცლებს.

უმრავლესობას ფრთები აქვს და წყვეტილ-წყვეტილად ტრიალებენ აღმა-დაღმა. აგერ გამოჩნდნენ უფრთებო, სწრაფად მცოცავი მოყვითალო მწერები. ნერტილისოდენანი ძლივს არიან. გამადიდებელი, შავ ჩარჩოში ჩასმული ოვალური ბროლი დავეუმიზნე. თოკზე გასაშრობად გაკიდული თამბაქოს ფოთლის მსგავსადაც ითქმის მათი პანანინა სხეულის შეფერილობა და თაფლის წვეთზე ბევრად მომცრო წინწკალსაც წააგავს. არაფერზე ეტყობათ, რომ გაფაციცებული ვაკვირდები. თვალს ვერ შეასწრებ, ისე ელვისებურად დაქრიან. პირუტყვი და ჯალათი უნდა იყო, ამათ რომ რამე დაუშავო, ისედაც უმოკლესი სიცოცხლე შეუმოკლო. თავსაც არ გაბეზრებენ, როგორც მოულოდნელად გამოჩნდნენ, ასევე უცებ უჩინარდებიან.

ჩემი მაგიდა ნამდვილ თეატრონად იქცა. სანახაობა სანახაობას ცვლის. დაჰყურებ და არ გბეზრდება. ლამის კითხვა მივატოვო და ამის დასურ-

ათხატებას მივყო ხელი. ასე სწრაფად, მხიარულად არ იმოძრაებდნენ, რალაცა (ალბათ უფრო სინათლე) რომ არ იზიდავდეთ და ახარებდეთ. ერთ ნაწილს (ეს ადრეც დამინერია) თავზე წყვილი, უწვრილესი ანტენა ადგას – მათი სხეულის ზემგრძობიარობის მიმანიშნებელი. საჭირო რომ არ იყოს, არც ამოეზრდებოდათ. ბუნება ზედმეტად არ გაირჯებოდა.

დიდხანს არ დამცალდა ამაზე ფიქრი. საიდანღაც გამომეცხადნენ შედარებით მოზრდილი, კუდნაწვრილებული, წინ და უკან მოსხლეტით მფრენი და, ამდენად, ადგილზე დარჩენილი, უცნაურად დაწერტილებული მწერები. ესენი სხვებზე მრავლად არიან, თუმცა მათ შორისაც შეიმჩნევა განსხვავება. ზოგს კიდურები გრძელი, დრეკადი, შავი საყრდენებით უბოლოვდება. რამდენიმე მათგანს მოყვანილობა მინიატურული ვერტიმფრენისა აქვს. ზოგიერთები წრეს არტყამენ, ბზრიალებენ, გულაღმა ტრიალზედაც გადადიან, რაც მაინც-დამაინც სასურველად არ მთავრდება, ძალაგამოცლილები მოძრაობას წყვეტენ. კალმის წვერის შეხებაზე რომ არ შეტოკდებიან, ცხადი ხდება, სული აღარ უდგათ. ბროლის ლინზაში როცა გაგხედავ, უჩანთ უთხელესი აბრეშუმის შესადარი ფოთლები, რომელთა მეოხებითაც წუთის წინ ერთ ამბავში იყვნენ. ერთს (ყველაფერი შეფარდებითია) ყურებაშვეტილ კურდღელს უგავს მწვანე თავი. მომწვანოები შავებს ზომით ჭარბობენ და უფრო ლამაზებიც არიან.

საბოლოოდ, როცა ამ უცნაურ ფრთოსანთა თავანწყვეტილი მარულა წყდება, ცუდ გუნებაზე ვდგები – ბროლის ველზე ანუ მაგიდაზე ერთი მესამედი მაინც რჩება დახოცილები-სა. თუმცა არა მგონია, ცოცხლებს, გაფრენილებს ეს დიდად აწუხებდეთ

ანდა ხვდებოდნენ, რომ თვისტომები დაკარგეს. ის კი არადა, ზაფხულში კედელს ან მავთულს შემსკდარი და უსულოდ ჩამოვარდნილი ნამგალა ჩიტის სავალალო ხვედრზე არ დარდობენ დანარჩენები – კვლავინდებურად, გუნდ-გუნდად აგრძელებენ წივილს და ქროლვას, ვიდრე აგვისტოს ბოლოს აგრილდება და, მერცხლებთან ერთად, თბილი ქვეყნებისკენ იზამენ პირს.

\*\*\*

ნაირნაირი მწერები ხშირად ფუთ-ფუთებენ, ფარფატებენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, ნალველის-მომგვრელად იხოცებიან ერთ-ერთი გამორჩეული რუსი პოეტის, **ალექსანდრე კუშნერის** ლექსებში და განწყობილება მუდამ სტრიქონებიდან გამომდინარე, სასურველი იქმნება. ლექსების გარდა, წაკითხული მაქვს მისი ძალზე მიმზიდველი ესსეების ორი მშვენიერი ტომი („აპოლონი თოვლში“, „აპოლონი ბალახში“), სადაც რუსული პოეზიის საფუძვლიან ცოდნას და უზადო გემოვნებას ავლენს.

ან გარდაცვლილმა პოეტმა **ტატიანა ბეკმა**, ვისაც კუშნერი „დაკვირვებულ მკითხველად“ მიიჩნევს, მას უსაყვედურა ლექსებში ზედმეტი მიდრეკილება „კინობითი, მოფერებითი სუფიქსებისაკენ“, რაც მწერებს უკავშირდება. კუშნერი სწორად ამბობს, რომ მისი მწერები თვისობრივად განსხვავდება **კორნეი ჩუკოვსკის** საბავშვო ზღაპრებში უხვად წარმოდგენილი მწერებისაგან და საერთოდაც იოლად აბათილებს ტატიანა ბეკის შენიშვნას, ვის ლექსებშიაც მე თვითონ შემხვედრია, მართალია, უამსუფიქსებოდა, ჭრიჭინები, პეპლები თუ ხოჭოები. კუშნერს თავად მოაქვს გაკრიტიკებული ლექსის ერთი ნაწყვეტი, რაც, ხსენებული ქალბატონის მიერ მიღებული შთაბეჭდილებისგან განსხვავებით, სრულიად საპირისპირო განცდებს აღძრას და შემოდგომის სევდით შეფერილი ჭეშმარიტი ლირიზმის მაგალითად მესახება:

Сентябрь выметает широкой метлой  
Жучков, паучков с паутиной сквозной,

Истерзанных бабочек, ссохшихся ос,  
На сломанных крыльях разбитых стрекоз,  
Их круглые линзы, бинокли, очки,  
Чешуйки, распорки, густую пыльцу,  
Их усики, лапки, зацепки, крючки,  
Оборки, которые были к лицу.

დიდად განათლებული ლიტერატორი, **იოსიფ ბროდსკიზე** საუკეთესო მონოგრაფიის ავტორი **ლევ ლოსევი** საგანგებოდ წერს სუფიქსების დიდი როლის გამო რუსულ, საერთოდ, სლავურ ენებში და, აქედან – პოეზიაში. ტატიანა ბეკისა და ალექსანდრე კუშნერის ეს უწყინარი დავა, საბოლოოდ, სასარგებლოა. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ – სუფიქსების, მათ შორის დამამცირებელი და მოფერებითი, საალერსო სუფიქსების მარჯვედ, თავის ადგილზე გამოყენება „ნიუანსების დიაპაზონს“ ზრდის, აფართოებს, უჩვეულო სიუხვეს ქმნის, რაც ასე ესაჭიროება ენის მოქნილობას, პოეზიას, მის გამომსახველობით ხერხებს.

მწერების იდუმალი სამყაროსადმი აშკარად გამოხატული მიდრეკილება ჰქონდა კუშნერის უსაყვარლეს პოეტს **ოსიპ მანდელშტამს** (ეს ადრეც აღმინიშნავს), ვის სმენასაც სიამოვნება კალიების ღამეული მინელებული ღრტინი და ვინც შეუძლებელია არ მოეხიბლა კრაზანების ზურგისა და მუცლის დაბინდულ, ბურუსიან სიჭრელეს.

მეტად თავისებური, ნაპატიმრალი, რეპრესიამაგოვლილი საუცხოო პოეტის **ნიკოლოზ ზაბოლოცკის** ლექსებში (როგორც მთარგმნელმა, დაუწინყარი ამაგი დასდო ქართულ პოეზიას) ნაირგვარი, დიდ-პატარა მწერების თავბრუდამხვევი მოძრაობაა. მესხიერებას შემორჩა ცალკეული, ოსტატურად დახატული სურათები – მინდვრად მოარულ პოეტს ასხმარტალებული, სიცხისგან განაბრუები კალიები მკერდსა და სახეში ეხლებიან, კენჭებივით ცვივივინ დაბლა. ზაბოლოცკის თვალთ დასახულ ბუნებაში (ამავე დროს ეს მკაცრი, შეულამაზებელი სინამდვილე) იდეალური ჰარმონია სულაც არ სუფევს, უფრო დაუნდობლობა იგრძნობა – „ხოჭო ბალახს ჭამს...“, „ხოჭოს კენკავს ჩიტი...“.

მწერებს თვალსაჩინო ადგილი ეთმობა კუშნერის სიყრმის მეგობ-




ოცნება ლიტერატურულ კავშირში

ქვეყნის ლიტერატურული ცხოვრება მარტო დედაქალაქით არ იფარგლება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში XIX საუკუნიდან მოყოლებული ჩქეფდა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი საქმიანობა. ამ მხრივ არც გორი ჩამორჩებოდა თავისი ტრადიციებით დედაქალაქსა თუ ქუთაისს. დამკვიდრებული იყო ქართული მწერალთა სისტემატური სტუმრობები ჩვენს ქალაქში. აკაკი წერეთლის სამი ლექცია „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გორში იქნა წაკითხული. აქტიურობდა ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელიც არაერთი ლიტერატურულ-საქველმოქმედო ღონისძიების ინიციატორი იყო.

XX საუკუნის II-ნახევრიდან გახშირდა ცნობილი ქართველი მწერლების – გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, იოსებ გრიშაშვილის და სხვათა სტუმრობები და პოეზიის საღამოები გორში. მათი თავშეყრის ადგილი იყო ე. წ. „ახალი ბაღი“, შემდგომ ამას დაემატა შეხვედრები ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მწერალ ოთარ ჩხეიძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა გორელ ახალგაზრდა პოეტთა გაერთიანებას. არაერთი ღონისძიება მოწყობილა კულტურის სახლებში, სკოლებში თუ გორის სამუსიკო სასწავლებელში.

გორელი ახალგაზრდა შემოქმედნი ოცნებობდნენ საკუთარ კაფეზე, სადაც შეხვედებოდნენ, ისაუბრებდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. 80-იან წლებში ეს ოცნება უკავშირდება ცნობილი ისტორიული პიროვნების, გივი ამილახვრის სახლის სარდაფს, რომელიც ღვთისმშობლის საკათედრო ტაძრისა და გორის ციხის ახლოს მდებარეობდა, ე. წ. „წმინდა წყლის“ ხიდის გვერდით... ახალგაზრდებმა მაინც შეძლეს

დასასრული 29-ე გვერდზე



ბრის, ნობელის პრემიის ლაურეატ იოსიფ ბროდსკის შემოქმედებაში. უპირველეს ყოვლისა მაგონდება ულამაზეს მკვდარ პეპელაზე დანერვილი მისი შედევი „ბობოს დასაფლავება“ (თუ როგორმე საამისო დრო გამოვნახე, უნდა ვთარგმნო). ლექსში დრამატიზებული და უდიდეს სიმაღლეზეა აყვანილი ამოების ყოვლისდამთრგუნველი ძალა, სიკვდილის შემდგომი ამოუცხებელი სიცარიელე, რაც **დანტეს** ნარმოსახულ ჯოჯოხეთზე არანაკლებ თავზარდამცემია. ლექსის რიტმს უჩვეულოდ ძაბავს ცალკეულ ნაწილთა და სტრიქონთა თავში მოქცეული რეფრენი („ბობო მკვდარია“), რომელსაც ყოველთვის განსხვავებული და თანდათანობით გაძლიერებული ეფექტი ახლავს.

კუშნერზე დანერილ ლექსში ბროდსკიმ მას შეხუმრებით, მსუბუქი იუმორით, „ბელელის კატა“ უწოდა, რაც ზოგიერთმა არაკეთილმოსურნემ ხელზე დაიხვია და ალექსანდრე კუშნერი გაქექილ კონფორმისტად, კაი ცხოვრების, ფუფუნების გულისთვის ხელისუფლების მამებლად გამოიყვანა. კუშნერს არაერთხელ დაუწერია „საბჭოთა ცხოვრების საშინელებებზე“ და არც „წითელი იმპერიის“ დანგრევის შემდგომ პერიოდში დაუთაფლავს ენა. ერთ-ერთ ინტერვიუში იგი ლაპარაკობს პირნავარდნილ ცილისმწამებლებზე, რომლებიც ნაადრევად აკონინებენ და თავიანთ სიცოცხლეშივე ავრცელებენ შეთითხნილ მემუარებს, რათა ახლობლები ლაფში ამოთხვარონ. ამ ფრიად საეჭვო ღირებულების ყანრს იგი „ლიტერატურულ მოროდორობას“ უწოდებს.

კუშნერი ერთგან იხსენებს, ტელეფონში როგორ უქო ბროდსკის **ვერიპიდეს** თარგმანი და მდედას კოლხობაზე ელაპარაკა; კოლხიდა ბიჭვინთასთან აქვს დაკავშირებული (ხელოვნების დიდ მოტრფიალეს შეუძლებელია არ მოსწონებოდა ბიჭვინთაში, ზღვის სანაპიროზე აღმართული **მერაბ ბერძენიშვილის** გენიალური ქანდაკება) და კარგად იცის, რომ აფხაზეთი საქა-

რთველოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოთი შთაგონებულ თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში ჩვენს სამშობლოს იგი სულისმოსათქმელად გილად თვლის და აღტაცებული ნამოიძახებს: „ო, საქართველოვ, წყალობა ხარ ამ ცხოვრებაში...“.

გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში, როცა ცხელი აგვისტო იდგა, **გივი გეგეჭკორი** და მე ხშირად ვხვდებოდით სათვალეებიან, უაღრესად განათლებულ და ზრდილ ალექსანდრე კუშნერს. ჩვენი თანატოლი, ტანდაბალი კაცი იყო, შავგვრემანი და მასთან საუბარი მუდამ დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა, რასაც ამჟამად ნაღველმობალებული ვიგონებ.

მეხსიერებაში უნებურად ცოცხლდება თითქოს ქებათა ქების ტერასებიდან ასხლეტილი, **სენ-ჟონ პერსის** სიყვარულისგან ალავარდნილი სტრიქონები – თვალწინ კრთება სიბნელები ნაშობი კვიპაროსების ჩამუქებული ტევრი, საიდანაც ზარნაშოს მკვნესარი ხმა მოისმის და იქვე, სინათლედაფენილ ფოთლებქვეშ შებუდრებული, აფუსფუსებული მწერების უწვრილესი ნესტრები და ხორთუმები ირევა. ასევე ძალდაუტანებლად მახსენდება **სალვადორ დალის** ზღარდაუდებელი ნარმოსახვის ნაყოფი („წმინდა ანტონის ცდუნება“), ერთ-ერთი ზურგზე სასახლედადგმული, გრძელ, უკიდურესად ნაწვრილებულ, კოლოს ფეხებივით დრეკად კიდურებზე შემდგარი ფანტასტიური სპილო, რომელიც თავისუფლად შეიძლება გიგანტურ მწერადაც მოგეჩვენოს.

რომელიდაც ამდაგვარ დღიურში ადრე ვახსენე **რობერტ ფროსტის** ერთი ლექსი, სადაც მის ნაწერს პანია მწერი გარდიგარდმო დააცოცავს, ხოლო რაღა უნდა ვთქვა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ლირიკოსის **ჯონ კიტსის** კალიასა თუ კრუალას ხმაზე, რომლის ვერცხლის ზარივით გაბმული წკრიალი ზამთრის ჰაერსაც აპობს და მარად ცოცხალ „მიწის პოეზიად“ ცხადდება.

ბორის პასტერნაკის მწერებზე ალბათ ცალკე მომინვეს საგანგებო დაკვირვება და ეს უფრო მოხერხებული დროისთვის უნდა გადავდო, ზერელედ, ნაუცბათევად ვერ ვილაპარაკებ. ამ მხრივ, ალბათ, ვერც არსენი ტარკოვსკის, ძალზე თავისებური და ნიჭიერი პოეტის ლექსებსაც ვერ ავუვლი გვერდს.

ნამიკითხავს, რომ ანაკრეონტს უყვარდა კალიები, ახტუნავებული, დაუცხრომელი მწერები და ეს მისთანა ცეცხლოვანი ბუნების პოეტისათვის გასაკვირი სრულებითაც არ არის.

თავს არ მოვიტყუებ, გულუბრყვილობა იქნებოდა იმის გაფიქრება, ამ რამდენიმე გვერდზე ჩემს გონებაში ნამოშლილი თუნდაც მიახლოებითი სურათი იყოს დახატული, თუმცა ასეთ მიზანს ვერც დავისახავდი.

ოცდასამი წლისა იყო ალექსანდრე კუშნერი, როცა იგი მასზე უანგაროდ მზრუნველმა ლიდია გინზბურგმა ანა ახმატოვასთან მიიყვანა და თუ რა გადამწყვეტი როლი შეასრულა „უგმირო პოემის“ ავტორმა ახალგაზრდა პეტერბურგელების (იოსიფ ბროდსკი, ევგენი რეინი, ალექსანდრე კუშნერი, ანატოლი ნაიმანი, დიმიტრი ბობიშევი) პიროვნებებისა და შემოქმედების ჩამოყალიბებაზე, ეს საყოველთაოდაა ცნობილი.

ეგებ ვცდებოდე, მაგრამ რამდენადმე მეხამეუბა, როცა ალექსანდრე კუშნერი ერთგვარი შენიღბული ირონიით ამბობს ანა ახმატოვას ბოლოდროინდელი პოეტური სახეების გამო, რომ ისინი „აუტანლად ლამაზია“ ანუ ზედმეტად დატკბილულია. ვფიქრობ, ეს მთლად მართებული არ უნდა იყოს; ანა ახმატოვას ტოლი პოეტი მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში ფრიად ძნელი მოსაძებნია და იგი ყველასგან თაყვანისცემის ღირსია (სამწუხაროდ, ამჟამად, ასე არ გახლავთ, გულდასანყვეტი, დაუჯერებელი კურიოზების მოწმენი ვხდებით) და არა გადაკრულად გამოთქმული საყვედურისა. ეს, ცხადია, ჩემზე ბევრად უკეთ იცის ალექსანდრე კუშნერმა, ვინაც ანა ახმატოვას ხსოვნას უბრწყინვალესი ლექსი უძღვნა, რომელშიც პირქუში

ქარონის ნავზე ნათქვამია, რომ დიდი ხანია, მას ასეთი ტვირთის აწევა არ მოსწევია.

არავის ჭირდება იმის მტკიცება, ანა ახმატოვა რა უფაქიზესი ბუნებისა და, ძირითადად, კლასიკური სალექსო ფორმების როგორი ერთგული დამცველი იყო, მაგრამ როცა სათქმელი მოითხოვდა, სიახლის უტყუარი გრძნობა არასოდეს ღალატობდა. რომელიღაც მისი თანამედროვე იგონებს – კომაროვოში (დავაკვირდეთ ამ სახელწოდების წარმომავლობას), თავის უბადრუკ სააგარაკო ფიცრულში ყოფნის ჟამს, როცა მკლავზე კოლო დააჯდებოდა, მაშინვე სულს შეუბერავდა და იშორებდა, რათა გაეფრინა, არასდიდებით არ კლავდა, რომ მისი ცოდვა არ დაედო.

\*\*\*

რა სათქმელია და მწერებზე დაკვირვება ჩემნაირ მოცილილს და ხელმოცარულს კი არა, ბევრად ღირსეულ და საქმიან პიროვნებებს იზიდავდა. გამოჩენილი გერმანელი მწერალი და ფილოსოფოსი, ბრწყინვალე დღიურებისა და ესსეების ავტორი, მხედრული დიდებით მოსილი ადამიანი ერნსტ იუნგერი, პროფესიით ზოოლოგი, თავგადაკლული ენტომოლოგი იყო. სკოლის მერხიდან თავგადასავლების მოტრფიალე ყმანვილმა გიმნაზია მიატოვა, აფრიკაში გაიქცა და საფრანგეთის ლეგიონში ჩაირიცხა, მაგრამ გაუსაძლისი პირობების გამო, იძულებული შეიქნა, შინ დაბრუნებულიყო. ამაზე მამამისმაც იბრუნა. 1914 წლის მსოფლიო ომში თოთხმეტჯერ დაიჭრა. საარაკო გამბედაობა გამოავლინა. ჯილდოები არ დაკლებია – მისცეს პირველი ხარისხის რკინის ჯვარი (იგი ახალგაზრდა ადოლფ ჰიტლერმაც მიიღო და ეამაყებოდა), ჰოჰენცოლერნების რაინდული ჯვარი და, რაც მთავარია, უსასტიკესი ბრძოლების შემდგომ კვლავ მძიმედ დაჭრილს, ჰოსპიტალში გადასცეს ჯერ კიდევ ფრიდრიხ მეორის მიერ დაარსებული გერმანიის უმაღლესი სამხედრო ჯილდო, ორ-




შეექმნათ შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც უბინაობის გამო ტაძრის შენობაში ატარებდა ღონისძიებებს. შემდგომ, გორში არაერთი ლიტერატურული გაერთიანება ჩნდება: „ბანოვანი“ (ხელმძღვ. მ. გოცირიძე), „მანდილოსანი“ (ხელმძღვ. ლ. ოქროპირიძე), „ოქროს ვარდი“ (ხელმძღვ. თ. გოგოლაძე), „პოეზიისა და ხელოვნების სალონი“ (ხელმძღვ. დ. ახლოური). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გორში გასვლით ღონისძიებებს „ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების“ ეგიდით ხშირად მართავს მწერალი როსტომ ჩხეიძე (ამ ღონისძიებებს გორში ხელმძღვანელობს მარინა ცერცვაძე).

სადღეისოდ, გორს უახლესი ლიტერატურით მხოლოდ ორი მაღაზია თუ ამარაგებს, მაგრამ გორელების ოცნება კვლავ ოცნებად რჩება – არ გვაქვს ლიტერატურისა და ხელოვნების მოყვარულთა თავშეყრის ადგილი, რომელსაც სხვა ლიტერატურული კაფეების მსგავსად, ალბათ შესაფერ სახელსაც შეურჩევნ გორელები.

ყოველი მხატვრული ნაწარმოები მკითხველთან უნდა გაზიარდეს, შემოქმედსა და მკითხველს მუდამ სჭირდებათ ასეთი თავშეყრის ადგილი, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქისა და რეგიონის შემოქმედთა ურთიერთკავშირს.

იქნებ აგვიხდეს ეს ოცნება...

თორნა ქურთაული



დენი „მამაცობისათვის“, რომელიც პირველ მსოფლიო ომში, გერმანელთაგან მხოლოდ თოთხმეტ მებრძოლს ერგო. სანგარშიც, ტყვიების წვიმაში, წიგნებს კითხულობდა და მომავალი დღიურებისათვის შთაბეჭდილებებს ინიშნავდა. სხვათა შორის, ვისაც ჭკუა ეკითხება, ერთხმად აღიარებენ, რომ ერნსტ იუნგერი იყო დასავლეთში მყარად დამკვიდრებული ჟანრის – ინტელექტუალური დღიურის – განსაცვიფრებელი ოსტატი. მრავლისმთქმელია ისიც, რომ მისი საყვარელი ავტორთაგანი იყო ლოურენს სტერნი, რომლის რომანები ძირისძირობამდე ჰქონდა შესწავლილი, დამუშავებული.

მეორე მსოფლიო ომში ერნსტ იუნგერს დიდი სამხედრო ჩინი ჰქონდა. ხელისუფლები მივლინებებში აგზავნიდნენ, და სხვადასხვა სამხედრო შენაერთების მზადყოფნას ამონებდა; ხვდებოდა წარბეუხრელი სიმამაცის გამო ლეგენდად დარჩენილ ფელდმარშალ რომელსაც. მერე ეჭვი მიიტანეს, რომ 1944 წლის გაზაფხულზე ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ფარული მონაწილე იყო, ჩამოაშორეს სამხედრო საქმეს, მაგრამ წარსულის გასაოცარი გმირობანი გაითვალისწინეს, გამოძიება და გასამართლება ვეღარ აკადრეს. თუმცა ფაშიზმის ერთ-ერთ იდეოლოგად ითვლებოდა, პატივისა და დიდებისაკენ არასოდეს გამოუჩენია ლტოლვა. როცა ჰიტლერმა რაიხსტაგის დეპუტატობა შესთავაზა, უარი განაცხადა, რამაც პატივმოყვარე ბობოლა ნაცისტები საშინლად გაანაწყენა.

ნახევარ საუკუნეზე მეტი განდევლივით გაატარა შვაბიაში, შუასაუკუნეების კოშკის მსგავს ვილაში. ვინ მოსთვლის, რამდენ სისხლიან შეტაკებაში მონაწილეობდა, რა კომმარული შემთხვევები აღარ ნახა ამ გაუგონარი გამბედაობის კაცმა და ალბათ ბევრს გაუკვირდება, რომ იგი ალტაცებული ჭვრეტდა მომავადობელ ყვავილთა ნაირგვარ სინატიფეს და პეპლების ფრთათა მომწუსხველ მოხატულობას. იყო დაუცხრომელი ბიბლიოფილი, უიშ-

ვიათესი ღვინოების კოლექციისა და ჰერბარიუმების პატრონი; გერმანული მოთმინებითა და გულმოდგინებით მოაგროვა და საგანგებოდ შეძენილ კოლოფებში მოათავსა, ზუსტად დაახარისხა ოცდაათი ათასი ხოჭო. ვერაფრით ვერ იტყვი, ამდენი ხოჭოს პოვნის დრო სად ჰქონდაო – კაცმა საუკუნე გადალუნა და რა გასაკვირია, ბოლოს თვითონაც რომ დაეკეცა ფრთები, მართლა ცას ხომ ვერ გამოეკერებოდა. ჩვენს საამაყო წინაპარზე, ნეტარ გრიგოლ ხანძთელზე მეტი – ასსამი წელი – იცოცხლა. სამი წლით იყო უფროსი თავის ძმაზე, რიგიან პოეტზე, ესეისტზე, ფილოსოფოსზე ფრიდრიხ იუნგერზე და იმაზე კიდევ ოცდასამი წლით მეტხანს უყურებდა მზეს. ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს, მის ანგარიშგასანვე შემოქმედებაზე (ვემხრობი სპეციალისტთა აზრს, რომ მისი მხატვრული ქმნილებები ძნელი საკითხავი, ნაკლებად მიმზიდველია) მსჯელობას არ გავაბამ; ამჯერად ჩემთვის ის იყო მთავარი, რომ ესოდენ თავშეკავებული, ხალხს განრიდებული პიროვნება მწერების მიმართ გულგრილი არ გახლდათ.

საკმაოდ ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ ფაულზი ცხოველების გარდა, მწერების – პეპლების, ხოჭოების და ამნაირთა უზომოდ მოყვარული იყო (გაციხსენოთ თუნდაც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რომანის – „მატლის“ – მოზრდილი ეპიგრაფი), რაც უპირველეს ყოვლისა, ამ მრავალმხრივად განათლებული შემოქმედის კეთილ, შემწყალე ბუნებაზე მეტყველებს.

ნურავინ იფიქრებს, არ მახსოვდეს ფუტკრების ცხოვრებაზე დანერილი მეტერლინკის საკვირველი წიგნი, მაგრამ ყველაფერს რომ კუდის რიკამდე მიყვებ, ათი სიცოცხლეც არ მეყოფა. თანაც შიგადაშიგ, წლობით საქალღდეებში ჩატენილ, ჩემს დაობებულ ჩანაფიქრებს თუ არ მივხედე და მცირეოდენი ხორცი არ შევასხი, მთლად ცარიელზე დავრჩები – ბოლოსდაბოლოს ამ პუჭუჭკურა მწერებს თან ხომ ვერ გადავყვები?!

**მარიამ ნიკლაური  
დაუნერეალი წერილებიდან**

**ერთი მართალიც**

„... ხოლო ამ ქვეყნად ყველანი  
რომ მიგვატოვებენ,  
ყველაზე ძლიერ ღმერთი მაშინ  
ჩაგვიკრავს გულში“

დიმიტრი ნიკლაური, პოეტი – სახელი და ავტორი, რომელსაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სდევს თან: მას ან არ იცნობენ, ან აღფრთოვანებულები არიან. ავტორი, და ლამის, ერთადერთიც კი, რომელსაც გარდა ლიტერატურული შრომისა და წიგნების გამოცემისა, შეხებაც კი არ აქვს დღევანდელ „აბორგებულ“ ლიტერატურულ ცხოვრებასთან, როგორც ასეთთან.


„...მე დავიბადე მარტოობისთვის,  
რომ სიმარტოვე არ იყოს მარტო...“,

არადა, ის ჩვენი თანამედროვეა, პროფესიით ექიმი-ფარმაცოლოგი, სამი შვილის მამა, მეუღლე, მეგობარი, კოლეგა, მეზღაპრის შვილი. მას ვერ მიაკვლევ ვერცერთ ლიტერატურულ პორტალზე, ვერც ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. ის წიგნიდან წიგნამდე ცხოვრობს და ქმნის. ის განაპირებულია დღევანდელი ლიტერატურული „ორომტრიალიდან“ და კეთილსინდისიერებითა და ზნეობით სავსე, აკეთებს იმ საქმეს, რასაც თვლის საჭიროდ: წეროს და შექმნას ისეთი, ლიტერატურა, რომელსაც არ ექნება ზედაპირული და წარმავალი დროების ნიშანი და რომელიც „ღვთისმადიებლობის“ სახელით შეიძლება მოვიხსენიოთ. ანუ სწორედ იმ ნიშნით, რაც ლიტერატურისა და ხელოვნების (რელიგიის მსგავსად) პირველსაწყისად შეიძლება, ჩაითვალოს... აკი წერს „ღმერთმა იცის, სად დაგვადგინოსო“. და მაინც გასაკვირია ის უგულისყურობა, რომელსაც მისი ნაწარმოებების მიმართ ავლენს ლიტ-

ერატურული საზოგადოება. დიმიტრი ნიკლაური აგერ 20 წელზე მეტია წერს და რამდენიმე წიგნის ავტორია. და ეს წიგნები არაერთი ჩინიანი თუ უჩინო ადამიანის წიგნის თაროზეა შემოდებული: ლექსებისა და პოემების კრებულები „მოაზროვნე გომბეშო“, „შეზინდების პოეტი“, „მათხოვრის ქისა“, „მზიდავი“, „ეკლესიის კრეფა გვირგვინისათვის“, პიესების კრებული „ანტიხთონები“ და სხვა. ეს კრებულები აერთიანებს დიმიტრი ნიკლაურის ლექსებსა და ეპიკურ ნაწარმოებებს – ჟანრს, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში ძალიან ღრმა და დიდი ტრადიციები აქვს, რომელსაც ძნელად თუ უძლებს მწერლის ნიჭიერება და ნებისყოფა და ძნელად თუ ერთგულს ვინმე ბოლომდე. ითვლება, რომ პოემების კითხვა დღევანდელი მკითხველისათვის რთულია. არადა, მკითხველო, ამას ხომ შენ თავად უნდა აპროტესტებდე, როცა შენი მწერალი ჩაგთვლის მარტივ და გონებასუსტ არსებად და ვერ „გაგამეტებს“ სერიოზული ნაწარმოების თანამოაზრედ? მაგრამ, არა, მკითხველი ამას არ აპროტესტებს, მკითხველი უკვე კარგადაა „დაბოლილი“ ასეთი „ჭეშმარიტებებით“, მკითხველს უკვე არც კეთილი კრიტიკოსი აგულიანებს კარგი ნაწარმოებების ნაკითხვისთვის, თორემ აბა, ვის დარჩებოდა ნაუკითხავი ის პოემები, რომლებიც სწორედ ახალი საუკუნისა და ახალი ათასწლეულის დასაწყისში შეიქმნა და ერთგვარად კიდევ „მოხაზა“ უახლესი ქართული პოეზიის განვითარების ახალი გზები. სწორედ ეპიკური ჟანრი დადგა 21-ე საუკუნის ავანგარდში და სწორედ აქ გამოისახა თავად პოეზიის ნიაღში მომწიფებული პრობლემა – რაზე და როგორ უნდა ესაუბრო დღევანდელ მკითხველს, რომელსაც



დიმიტრი ნიკლაური



ბესიკ ხარანაული

ათასი საცდურით „უმალავენ“ ლიტერატურის უმთავრეს ჯვარს, „ღვითოს“ – „სათქმელს“, „სათქმელს“ და კიდევ „სათქმელს“!!! ასე რომ არ იყოს, განა გაუხმაურებელი დარჩებოდა ეპიკა „ორი ფურცელი ცისა და მიწის“ (ბესიკ ხარანაული), „საუბარი სულისა და სხეულის ფონზე“ (ბათუ დანელია), „შავი არაგვის ბინადრები“ (მამუკა ნიკლაური), „მზიდავი“ (დიმიტრი ნიკლაური) და სხვა.

მაგრამ ეს სულ სხვა წერილის თემაა. სულ სხვა წერილისა, ისევე დიმიტრი ნიკლაურის სიტყვებს რომ წავუძღვარებდი:

„ნეტავ რა სიმართლეს ვეძებთ, თუ კი ღმერთს ვკარგავთ?“

დავუბრუნდეთ ჩვენს ავტორს. მისი შემოქმედება თანამედროვე ლიტერატურაში ერთ-ერთი ყველაზე რელიგიური ხასიათისაა. საოცარი იუმორი, სარკაზმიც, მდიდარი მეტაფორული აზროვნება, ურბანისტული ყოფისა და დღევანდლობის პრობლემები, ადამიანური ტრაგიზმი, ხელოვანის შინაგანი განცდები, საზოგადოებისა და მარტოსულის ურთიერთობა, განდეგილობის საკითხი, მოყვასისადმი თანადგომა, რწმენისადმი დამოკიდებულება, ორთავე სოფლის უხილავი და იდუმალი ურთიერთობები, სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი, ბუნების თავისებური წაკითხვის უნარი და ნიჭი და ა. შ და ა. შ. მაგრამ მაინც ყველაფერი ეს ღრმად-მორწმუნეობის, ცოცხალი რწმენის მატარებელი ადამიანის თვალთა და გონებით განსჯილი და დანახული.


„... იცი, გლახაკი ხელს რომ გიშვერს და გროშებსა გვთხოვს, სინამდვილეში ხელს გვინვდის უფსკრულზე გადასასვლელად, ის ხელი მერე გამოჩნდება, იმ საჭირო დროს, იქ რომ გადავალთ, სასუფეველი უფსკრულების იქითაა...“

ეს ლიტერატურა ღრმად სულიერი და ზოგადად ადამიანურია. პოეტური, რელიგიურ-ფილოსოფიური ტექსტები გხიბლავს აზროვნების სიღრმით, სამყაროში მოვლენათა, საგანთა და ადამიანთა შორის იდუმალი კავშირების

აღმოჩენის შიშითა და სიხარულით, მაღალზნეობრიობითა და მაღალმხატვრული ღირებულებებით... ის არაჩვეულებრივად ფლობს ე. წ. აფორისტულ ფრაზას, მოკლე და მოსხლეტილ ნათქვამში ტევს მრავალსახოვან ადამიანურ სიბრძნეს, რომელიც შეგიძლია მიუსადაგო ნებისმიერ დროსა და სიტუაციას და ზუსტად ასახო ამათუ იმ მოვლენის არსი. ეს აფორისტული სიტყვიერება კი სხვა არაფერია, თუ არა პოეტის ერთი უშინაგანესი, მაგრამ დღეს უკვე დაკარგვის პირას მისული თვისება – მამხილებლობა! მხილება! და ეგებ, თავად პოეტი არც კი ფიქრობს ამაზე, ეს მისი სულის შინაგანი ხმაა! ხმა, რომელსაც დიდი ხნის წინათ ხატი გამოაცემინებდა ხოლმე თავის მსახურს, რჩეულს – ქადაგად დავარდნილს, ხან გიჟად მონათლულს, ხან „ნახელთებს“, ხანაც სალოსს ან უნჯ ყმას. ჯვარის ან ღვთისშვილის მსახურად ის ირჩევა, რომლის იმედი აქვს ჯვარს, რომ მორჩილად შეასრულებს მის ნებას. დაუფარავად და მიუკერძოებლად მიიტანს საყმოს ყურამდე ჯვარის სიტყვას. ეს სიტყვა კი ზოგჯერ სასიკეთოა და ზოგჯერ ძალიან სასტიკიც. ამ ენას ჯვართენას უწოდებენ. პოეზიასაც აქვს ეს „ჯვართენის“ მაღლი დაყოლილი. დღევანდელმა პოეტმა თანდათან დავიწყებას მისცა ეს მისი გამორჩეულობის თვისება. არამც თუ დავიწყებას, არამედ ერთმანეთში აებლანდა „რჩეულობისა“ და „გამორჩეულობის“ ტყუილ-მართალი და რომელიც ასევე სულ სხვა წერილის თემაა. ამ წერილისთვისაც გვაქვს ეპიგრაფად წასამძღვარებელი სიტყვები:

„სიტყვები გულის ხმაურია...  
... სიბრძნეა, როცა გულით ხარობ  
და არა ენით“

დიმიტრი ნიკლაური კარგად იცნობს მსოფლიო და მშობლიურ სასულიერო და საერო ლიტერატურას, სრულფასოვნად ფლობს პოეტურ ტექნიკას, ენას და მისი თითოეული ფრაზა ოსტატის დანერვილია, კონვენციური თუ ვერლიბრი იქნებ ესა თუ ის ლექსი და პოემა. ღრმად მისი პოეტური წარმო-



მამუკა ნიკლაური



სახვათა სამყარო და ეს სამყარო მუდამ თანამედროვეობის პრობლემებს დასტრიალებს თავს. მარადიულობით ნასაზრდოებ თანამედროვეობას. ანუ იმ პრობლემატიკას, რაც სულ, მუდმივად აწუხებდა ადამინსა და საზოგადოებას. ის ახერხებს ლიტერატურის მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე მაინც იპოვოს აუთვისებელი ადგილები და პირველად მომჩინის მონამებრივი ბედნიერება გაგვიზიაროს. მოუხელთებელია მისი ლიტერატურისა და მისი გმირების საცხოვრებელი და სამოქმედო არეალები, მოუხელთებელია დრო-ჟამის ზუსტი ნიშანიც, ეროვნულობაც, პერსონაჟთა სახელებიც კი: გონსო, მალქოზი, გახა, ულრიჰი, ლელე და სხვები. მაგრამ მკითხველი უტყუარი ალლოთი გრძობს, რომ ეს მის თავს ხდება, ეს თავისი გარემოა, თავისი დროა, თავისი ქვეყანაა, თავისი სამყაროა და თავისი არჩევანია გზისა, რომელზეც უნდა „შედგეს“. მისი ნაწარმოებები არის მცდელობა, ერთმანეთს შეაჯვროს და შეათანხმოს კიდევ ადამიანური არსებობის ორი უდიდესი (და ეგებ, ღირსეულიც!!!) მეტოქე: ბედისწერა და თავისუფალი ნება, ცოცხალი რწმენა და ურწმუნობის ეჭვი, ღვთაებრივი სამართალი და საწუთისოფლო სიმუხთლე. მისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია, ამ მარადიული ბრძოლის არსის გარკვევაში გამოიყენოს და დაიმომოს როგორც ადამიანური ყოფის მაგალითები, გამოძერწოს საინტერესო ხასიათები, ტიპაჟები, ასევე ერთი შეხედვით უსულო ბუნება, მთელი თავისი იდუმალებითა და კანონზომიერებებით. მას აინტერესებს და ეძიებს სიღრმეს. ეს იქნება ადამიანის სულის იდუმალი შრეები თუ ბუნების ყველაზე მიუვალნი და დამალული, და ეგებ არც ისე მომხიბვლელი ლანდშაფტები. მისთვის ყველაფერშია „საკბილო“ ანუ მასალა იმ ამოცანის ამოსახსნელად, რისკენაც სრულიად შეგნებულად მიმართავს თავისი მოზრდილი ეპიკური ნაწარმოებების ქარგას. ხილული სამყაროს გვერდით აბსოლუტურ სითანაბრეში

ხატავს არახილულ სამყაროს თავისი ნეს-სამართლითა და კანონზომიერებებით. ასეთი ცოცხალი შეგრძნება ბუნების მოვლენებისა, ზოგადად უსულო (არადა, როგორ შეუფერებელია ეს განსაზღვრება ბუნებისათვის!) ბუნებისა, იშვიათობადაა ქცეულია დღევანდელი შემოქმედისათვის. და ესეც ნიშანია იმისა, როგორ დაშორებულია თანამედროვე ადამიანი (და მწერალიც!) თავის სამყაროს გულისგულს. დიმიტრი ნიკლაურის ნაწარმოებებში კი ბუნების გასულიერებული აღქმა იმდენად თვალშისაცემია, იმდენად მნიშვნელოვანი ფუნქციითაა დატვირთული, რომ ამითაც ხვდები, ეს ავტორი იმ ძველი მოდგმის შვილია, რომელსაც სამყაროს მთლიანობის აღქმა, მიღმიერის არსებობა, ხილულ-უხილავთან ურთიერთობის უნარი, სისხლის ხსოვნით, დღემდე შეუნარჩუნებია. ჩვენს გარშემო ცოტანილა, მაგრამ მაინც არიან ადამიანები, რომლებიც სულით სამყაროს სიძველეს დაატარებენ. ეს სიძველეა მარადიულობის დვრიტა. ეს სიძველეა და არა სიბერე. ეს სამყაროს სიმართლეცაა. და როცა ამას აღმოაჩენ მწერალში, ხარების სიხარულის ჟრუანტელმა უნდა დაგვიაროს და არა მდუმარების წყვილადმა დანგთქას. მე მენანება დიმიტრი ნიკლაურის მხატვრული სიმართლე თაროზე დებისათვის, მე მნამს ამ ნაწარმოებთა ჭეშმარიტი ლიტერატურული ღირებულებისა და მსურს, ეს ბევრმა მკითხველმა ნახოს და გაითავისოს. მინდა მისი წიგნების ფურცლებს, გვერდებს, სტრიქონებს უფრო მეტი სინათლის სხივი ანათებდეს, იფურცლებოდეს, იკითხებოდეს და ნელ-ნელა ჩვენში სახლდებოდეს.

ცხოვრების წესით დიმიტრი ნიკლაური ერობაში მოღვაწე ბერადაც კი შეიძლება წარმოიდგინო და მისეული პიროვნული ხიბლიც, მუდამ რომ თვითირონიითა და მოსწრებული პასუხით ისხლეთს ნებისმიერ ქებას და აღფრთოვანებას ან შთაბეჭდილებას მისი ნაწარმოებების შესახებ, მე პირადად, ნამდვილად მიმაჩნია თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების



შემოქმედებითი საღამოები შიშხაპული სიცარიელე

ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას თუ შევავლებთ თვალს, მის სოფელს და ქალაქს ერთმანეთს შევადარებთ, უთუოდ გულსატკენი სურათი წარმოგვიდგება, იმდენად დიდია სხვაობა მათ შორის. დღევანდელმა სიღუბნურმა თითქოსდა გამოდევნა სოფლად მცხოვრები ადამიანების ყოფიდან მოთხოვნილება – იყენენ ქვეყანაში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესების მონაწილე.

ყაზბეგის რაიონი საქართველოს სხვა მთიან კუთხეებთან შედარებით, მცირედი, მაგრამ მაინც აქტიური კულტურული ცხოვრებით გამოირჩევა. ხევში ბოლო დროს კულტურულ ღონისძიებებს მონატრებული საზოგადოებისთვის გასული ზაფხული აღმოჩნდა დასამასოვრებელი. ჩვიდმეტ ივლისს სოფელ სნოში საქართველოს საპატრიარქოსა და სნოს სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით, წმინდა მეფის, ვახტანგ გორგასლის შთამბეჭდავი მონუმენტი დაიდგა, რადგანაც გადმოცემის მიხედვით, სნოელები ვახტანგ გორგასლის ნათლულებად მიიჩნევიან. ძველის დადგმის იდეა თავად უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს ეკუთვნის. გახსნის დღე მასშტაბური ღონისძიებით აღინიშნა: ადგილობრივ და რეგიონალურ ანსამბლებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დედაქალაქიდან მოწვეული ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწენი.

ყაზბეგის სარაიონო კულტურის სახლი დაბა სტეფანწმინდაში ყოველი წლის 20 იანვარს აღექსანდრე ყაზბეგის დაბადების დღესთან დაკავშირებით, მწერლის ხსოვნის საღამოს მართავს. მისი ხსოვნის დღეს მოხვედრები საფლავზე აღვლენილი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდით იწყებენ და მხატვრული კითხვით – „ელგუჯათი“ თუ „მამის მკვლელობა“ აგრძელებენ უკვე დაბაზში. რამდენიმე თვის წინ კულტურის სახლმა საინ-

გაგრძელება 35-ე გვერდზე



ბათუ დანელია

თვალსაჩინო და ღირსეულ ავტორად, სამაგალითო ადამიანად, ნამდვილ ქრისტიანად, რომლისთვისაც სიტყვიერებასა და ცხოვრებაში თანაბარი ძალითაა განფენილი ღვთაებრივისა და ადამიანურის, დაცემისა და ამაღლების მისტერია.

„...ღვთის მოყვარული ერთადერთია – ვინც სიმარტოვით არ დაიღალა...“

ეს სიმარტოვე ხომ ყველაზე სრული სისავსება, სრულქმნილების განცდაა, სულიერი გარჯის გზაა, რომელსაც დიმიტრი ნიკლაური სხვა ნამდვილ შემოქმედებთან ერთად მიუყვება თავისი ჯვრით, თავისი იმედით, თავისი სიტყვით თავისივე მომავლისაკენ.

ერთგან წერს:

„ეხ, თიხის კაცო, გამოძერწვამდე კიდეც დიდხანს გინდა მოზელვა-ო“. მე კი ამ სიტყვებს ჩვენდამი, მკითხველებისადმი მოვმართავდი, კიდეც ერთხელ მოვიძიებდი მის წიგნებს ჩვენი წიგნის თაროზე.

მიხარია, რომ ის ჩემი მოგვარეა, მიხარია, რომ მე მისი თანამედროვე ვარ და თუ რაიმე გაუჭირდება ჩემს „ქალაქს“, უფალი აქ, მისი სახით, ერთ მართალ კაცს კიდეც დაიგულებს.

### „ჩემს თავს შორიდან ვუთვალთვალავდი, მარტოოგის ვრთავს როგორ იპრობდა“

ამ პოეტზე შემიძლია დავწერო შვიდი, ცხრა ან უფრო საკრალური ოდენობის გვერდიანი წერილი. ცამეტი აჯობებდა, ახია პოეტზე! მაგრამ არავინ დაბეჭდავს. რადგან ის ხომ ჯერ ცოცხალია. თან ჩვეულებრივად ცოცხალი. ჯერ არავინ არც თანამედროვეთაგან და არც მომავალი თაობებიდან არ შეთანხმებულან მის ადგილზე, რანგზე, გენიალურობაზე. ამიტომ ეს წერილი მხოლოდ დამატებით ტანჯვად მექცევა. მახსოვს, ერთხელ დავწერე ასეთი 13-გვერდიანი (ვიცი, რომ 7 ფურცელი ერთი საგაზეთო გვერდია, ანუ ორგვერდიანი წერილი წარმოვიდგინე) წერილი ერთ პოეტზე და კი დამიბეჭდეს, მა-

გრამ ვაი იმ დაბეჭდვას! როცა რედაქციაში ჰონორარისთვის დამიბარეს, ასე მითხრა პასუხისმგებელმა მდივანმა: – ამ წერილით თუ ვიმსჯელებთ, რუსთაველის სურათი უნდა ჩამოვხსნათ და ამ ქალბატონისა დავკიდოთ. გავიცინე და მწარედაც. მაგრამ თავმდაბალი ადამიანივით, გაჩუმება ვარჩიე საკადრისი პასუხის გაცემას. მწარედ კი დამამახსოვრდა. არადა, ზედმეტი არაფერი ეწერა იქ, არც ყალბი პათოსი ჰქონდა ჩემს სიტყვებს, არც ხობტა და დიდება იყო, უბრალო წერილი იყო და ასე ერქვა „სამოთხის ჩიტი“. ეტყობა სიდიდეც კი მოქმედებს მოყვასზე. ჰოდა, ვისწავლე ჭკუა და მოკლე წერილებზე გადავედი, სულაც „დაუნერელებზე“, სანამ ილიას, აკაკის, ვაჟას სურათების ჩამოხსნას და ჩემი წერილების ადრესატების სურათების გაკვრის სურვილს დამაბრალებენ. დღეს არც ის გაზეთი და არც ის რედაქცია არსებობს და არც ის შტამპ-დამოკიდებულებები, რომლის მიხედვითაც სიცოცხლეში მწერლის ქებაც იკრძალებოდა, ლამის.

ეს იუმორნარევი პასაჟი ახლა იმ ერთ აუცილებელ გაღიმებას ჰგავს, პანაშვიდზე რომ წასცდება ხოლმე დამწუხრებულ ჭირისუფალს.

სჯობს დავწერო „ორიოდე სიტყვა“ და მასში, პოეზიის კანონებითა და წეს-სამართალით მოვაქციო 13 გვერდი. მაგრამ ალიბად და საბუთად დავწერო და მომავლისათვის დავდო, რადგან ვითომ გადემოკრატებულ და ვითომ თავისუფალ საზოგადოებაშიც დღესაც მიღწევად იგრძნობა ძველებური მენტალობის დასწებოვნებული და ანთებითი კერების პულსაცია ჩვენს სულიერებაზე. ეს უსიყვარულო ადგილებია ჩვენში. „როცა არ გვიყვარს, არა თუ სული, არამედ მღვრთეა მთელი ეს ჩვენი კაცობრიობა“. ასე რომ არ იყოს, ამ პოეტს და მის შემოქმედებას დიდხანია მიეპატრონებოდა არა მხოლოდ ქართველი მკითხველი. ის ხომ არაჩვეულებრივი პოეტია, უძლიერესი მთარგმნელი, რომ მან მთელი ცხოვრება მხოლოდ სიტყვიერებასა და პოეზიას შეაღია.

რომ მისმა უმძიმესმა პირადმა ტრაგედია მასში თითქოს შექმნა დიდ ნიჭთან ერთად ის ფსიქოლოგიური ნიადაგი, რომელზეც ამოიზარდა მთელი მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ტრაგიზმისა და ლირიზმის ნაზავი, სულიერი სიღრმეების თითქმის მიუწვდომელი არეები. მან „გადაარჩინა თავის თავში ნიჭიერება“ (ზაზა აბოიანიძე) და მიუხედავად იმისა, რომ მართლა თავის პოეტურ საბრძანებელში, პოეზიის მოყვარულთა მთელ თაობებს აზიარებს საოცარ შემოქმედებას. ის ახერხებს სრულიად ახლებურად შეაერთოს და დააკავშიროს სიტყვები – უფლის უხორცო მხედრები, ახალი პოეტური არქიტექტურა შემოგვთავაზოს, სიტყვიერების ახალი მუსიკა მოგვასმენინოს, სულიერების ახალი სივრცეები დაგვანახოს.

ამიტომ ამ შემოქმედს აქვს უფლება, ერქვას პოეტი! იმის უფლებაც აქვს, იყოს პოეტი, რადგან აქვს საკუთარი ტრაგედია, და განცდა ამ ტრაგედიისა, აქვს ნიჭი, ატარებს ხსოვნას, მარტოობას, მარად ეჭვს, ნათელ გონებას, უჩვეულო სმენას, სიტყვის ჟინს, იშვიათ პასუხისმგებლობას სიტყვიერებისა და დროის წინაშე, საოცარ შრომის-მოყვარეობას და წადილს იმისას, რომ არავის ჰგავდეს, თავისი ხმა ჰქონდეს, თავისი სათქმელი, თავისი კანონებით დაწერილი სიტყვის სამყარო შექმნას. არ ენდობა არაფერს და არავის: არც ხილულ და არც უხილავ მტერსა და მოყვარეს, ტაშსა და საცდურს. ყველაფერს ერთადერთისაკენ მიმართავს – აფოკუსირებს პოეზიად, პოეზიაში, პოეზიისთვის. მას ტანჯავს ცხოვრება, მისი არ ესმით, ან ესმით, მაგრამ არ აგონებენ. მას აქვს უმძიმესი ხასიათი, იგი ცხოვრობს სხვა რეალობაში, მარტოსულია და მარტოხელა, მარტობინადარი. მარტობის მსოფლიოს მფლობელი, ულუკმაპურო, უმოყვასო, ელოდება, როდის გაზომავენ და როდის აღმოაჩენენ დარწმუნებით და დაუეჭვებლად მის „განიერ სტრიქონს“. მე ვიცი, რომ ის ტანჯულია და მხოლოდ იმიტომ არ მეცოდება, რომ პოეტისათვის ალალია

ეს ტანჯვა. და თუ რამ აძლებინებს და აძლიერებს მას, როგორც პოეტს, ის, რომ თავადვე ჩემზე უკეთ უწყის ყოველივე. და როცა ის მარტოდმარტოა, შია, სწყურია პურიც, მოძმეც, თანამეცხედრეც, შვილიც, დედაც, როცა უბრალოდ ზის და თვალი ჭერს მიუშტერებია, ყოველთვის ახსოვს, რომ ერთადერთი მეგობარი ღმერთია! ღმერთი კი მარტო სიცოცხლეში არ ეტევა, ის მარადისობაშია, ის სიკვდილშიცაა. ამიტომ სიკვდილიც მეგობრად ეგულება. სიკვდილი და არყოფნაც, რომელიც ყველაზე უკეთ ააელვარებს მის პოეზიას. სიკვდილი, რომელიც მის სახლში თხუნელასავით, სადღაც უჩინოდ დაძვრება.

ხშირად დამინახავს რუსთაველზე, ყოველთვის მარტოა, შორსმზირალი, შავი სათვალთ. ნუ დააბრალებთ მანიას, რომ თეთრი სამოსი მის მაღალ ტორსს უბრალოდ უხდება, არა, ეს თითქოს გამონკვევია: ამ სიბინძურეში სისუფთავის შენარჩუნების ნიშნად. სინმინდის საერთოგულეზად. მაგრამ არამც და არამც ზავის ნიშნად ამ ბრძოლაში, ბედისწერამ რომ გაუმართა.

ვერ ვიტყვი, რომ ის უყვართ. მისი ალბათ უფრო ეშინიათ, ერიდებიან, ეკრძალებიან. აქვთ საამისო მიზეზები. არ მინდა, ვინმე დავამუნათო მასთან ფრთხილი და ერთობ მოზომილი ურთიერთობების გამო. რადგან ის რეალურად, პოეტის შესაფერად ეჭვიანია. ჰგონია, რომ უთვალთვალევენ, ამონებენ, ებრძვიან, უჩინრად. ო, დაუნდობელი ბედის მწერალო, ზოგჯერ რა სასტიკად გიყვარს ადამიანთა ტანჯვა, ზოგჯერ რა გულმონყალებს ხარ. მეტოქეს აირჩევ ხოლმე და თუ ძალა შეამჩნიე, დანდობა აღარ იცი!

არიან ადამიანები, რომელთა სიცოცხლე ცხოვრების ტოლი არ არის. ტანჯულთა სიცოცხლე სიკვდილშიც გრძელდება. პოეტისათვის სიცოცხლე კომპარული სიზმარია, მთელი ძალით რომ ყვირის, მაგრამ თითქოს ხმა არ ამოსდისო, უფლეროა მისი ბგერა, ვერავის ვერაფერს აგებინებს. თან ჩიტვივით ფრენს ამ სიზმრებში, არ ვარდება, ვარდება და არაფერი სტკივა.



ტერესო შეხვედრა მოაწყო ახალგაზრდა მოხვეე პოეტებთან, საღამოზე მონვეული იყვნენ: თენგივასჯანიშვილი, მანანა გელაძე, კახა გოდერძიშვილი, ლადო მარსაგიშვილი და იაგო ნარბული. პოეტებმა თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს, მოეწყო მათი ლექსების განხილვა, ანსამბლმა „დიდებამი“ კი მათ ლექსებზე შექმნილი სიმღერები შეასრულა. კულტურის სახლი ხშირად მართავს ღონისძიებებს სხვადასხვა კალენდარულ დღეებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო დანესებულებათაგან აქტიურობით გამოირჩევა სტეფანწმინდის ილია მართლის სახელობის სასულიერო გიმნაზია. მასთან არსებულ ხალხურ საკრავთა და სიმღერის ბავშვთა ანსამბლები, გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად ხშირად მართავენ შემოქმედებით, ლიტერატურულ და გასართობ ღონისძიებებს. ყოველწლიურად ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და კულტურის სახლის თაოსნობით იმართება ყაზბეგობა, მწერლების, პოეტების, რეგიონის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების მონაწილეობით, ქართული საბრძოლო ხელოვნების ჩვენებთა და ტრადიციული დოლით. ხევში ბოლო დროს გაიხსნა სამრეკლო სკოლები – სოფელ სნოში, არშასა და დაბა სტეფანწმინდაში, აქ შეისწავლიან ხატწერას, ოქრომქანდაკეობას, მინაქარს, თექასა და ქარგვას. დროდადრო კი იმართება მათი ნამუშევრების გამოფენები.

მოხვევთა იმ ნაწილს, ვისაც უყვარს ლიტერატურა, განსაკუთრებულად ახსოვთ გასულ ზაფხულს ყაზბეგის ისტორიულ მუზეუმში გამართული შეხვედრა ბატონ როსტომ ჩხეიძესთან, რომელსაც თან ახლდნენ ბატონი პაატა ჩხეიძე, ახალგაზრდა მწერლები: ნინო სადლობელაშვილი და ზვიად კვარაცხელია. შეხვედრაზე საუბარი დოკუმენტურ პროზას შეეხებოდა, მსმენელს საშუალება ჰქონდა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების გაც-

დაასრული 37-ე გვერდზე



დიახ, ასე სიზმარეულია შემოქმედისათვის სიცოცხლე. სიკვდილი დიდი პოეტისათვის გამოღვიძებას ჰგავს, ხმაც გასაგონი და მჟღერი ხდება, მას სცნობენ, ყურს უგდებენ, ეხმიანებიან, აცტირებენ, თავიანთი აღმოჩენების დასტურად მოიხმობენ.

მინდა ვუსურვო ამ პოეტს სიზმრისათვის ასი წელი გაეძლოს, მერე ბედნიერს გამოეღვიძოს თავისი ხალხის გულში, თავისი მშობლიური პოეზიის წიაღში. ძნელია, სხვა რამ უსურვო ნამდვილ პოეტს. მაგრამ ის უფრო ძნელია, არ დაინახო და არ აღფრთოვანდე მისი შემოქმედებითი ღვაწლით, სიტყვიერებისათვის „ქვის კოდვით“.

პირადი და უბრალო ადამიანური თანაარსებობის გარეშე, რთულია თანამედროვეობასთან ურთიერთობა. ეტყობა, ეს ცალკე ნიჭი და უნარია. „რინდების ჟამია“ ახლა მისთვის. ის კი არადა, მას გაუბედეს და ურჩიეს, ვერლიბრი ეწერა. არადა, ის ისეთი რანგის ოსტატია, იმდენი სიახლე აქვს ვერსიფიკაციული თვალსაზრისით, ისეთი ტექნიკა გააჩნია, უბრალოდ უხერხულია ასე ყმანვილივით, რაიმე ურჩიო თავისი საქმის ოსტატს. ბევრი სხვა რამეც გაუბედეს. რამდენს უძლებს გული. მაგრამ გული ვერ უძლებს სიცოცხლეს. თუმცა შფოთავს, ბორგავს, ძგერს და ფანცქალებს. და ამდენ და ასეთ მრავალფეროვან დინამიკაში სწორედ ეს ფანცქალი და თრთოლვა ყველაზე მნიშვნელოვანი და ესაა მოლოდინი „ღვთის სტუმრისა“, რომელიც მისი სულის ფართე სტრიქონს აუცილებლად შეამოადებს დღეს არა, ხვალ და მარადი პურით დაუნაყრებს მშიერ სულს პოეტს. 13-მარცვლიანია მისი სტრიქონი, საბედისწერო 13. ხალხს არ უყვარს ეს ნავსი რიცხვი. მხოლოდ პოეტს შეიძლებოდა შეჰყვარებოდა, შეთამამებოდა მას, რაც ხალხს არ უყვარს, გაურბის და ერიდება. მას შეუძლია წერილი მისწეროს ღმერთს, მზე ვარსკვლავების მოსედ შერაცხოს, სჯეროდეს, რომ მის ნაფიქრს ყოველი ბალახი და ხე იჭერს, მშობლიური წიაღი გრძნობს, რომ მდილის თანასწორს უფალი მაინც

უსასრულობასთან გაათანაბრებს, და ვით აკვანში – ძარღვებში, ცრემლში, სიზმრებში, მშვენიერება ბავშვივით ჰყავს ჩანოლილი, სამყაროს ქომაგია, რომ სულ დარეკილ, სულ მოგანგაშე ზარივით არის, რომ ზოგჯერ ღმერთის ნაკვალევს ხედავს, როგორც ბრმა ხედავს ხმასა და სურნელს, და რადგან სიჩუმეს აქ სხვაზე მეტად ახსოვს, მაინც იმედით და სასოებით ამარცხებს ბედისწერას! და მარტოობა, ვინ იცის, მისივე ძალად ქცეულა! მისივე სავსეობისა და სრულქმნილების დღესასწაულად! ტკივილთა განკურნვის მყუდრო სამეფოდ! სადაც მხარზე ვარსკვლავი ასკუბდება ჩიტად!

„ჩემს თავს შორიდან ვუთვალთვალებდი, მარტოობის ფრთებს როგორ იშრობდა“.

რამდენიმე წლის წინ ერთი წერილი მის შემოქმედებაზე პოეტმა დალილა ბედიანიძემ დაბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, იმავე გაზეთში დაიბეჭდა ლიტერატორ ივანე ამირხანაშვილის სტატიაც. სულ აი, ესაა, რაც მინახავს და წამიკითხავს ადამიანზე, რომელიც თამამად შეიძლება დაასახელო თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდ პოეტად. ფაქტი ფაქტად რჩება: ლიტერატურული პრემია „საბა“ მას მეოთხედ წარდგინებისას არგუნეს მხოლოდ. სახელმწიფო პრემიის გარეშე დარჩა მისი „მთვარის დღესასწაული“ (2003 წელს). მას აქვს მინიჭებული მწერალთა კავშირის წლის პრემია საუკეთესო ლექსების კრებულისათვის 1992 და 2000 წლებში, ასევე 2005 წელს მიანიჭეს ვაჟაფშაველას პრემია (კიდევ კარგი!). გამოცემული აქვს პასტერნაკისა და ბროდსკის თარგმანების კრებულები, რომლებიც ცალკე წერილის თემაა. წლების განმავლობაში მოღვაწეობდა მთარგმნელობით კოლეგიაში.

როცა ლიტერატურული პრემია „საბას“ მინიჭებისას, რატი ამალაბეღმა ბათუ დაწვლია პრემიის მისაღებად მიიხმო, ასეთი რამ თქვა: „ის ნამდვილი მაისტერიოა!“ დიახაც, ის ნამდვილი ოსტატია, ნამდვილი მაცეტროა პოეზიის. და რა თქმა უნდა, ჩვენ გვყავს სა-

ბედნიეროდ ასეთი „მაისტერები“ ბევრი არაა, მაგრამ საკმაოდ გვყავს, საბედნიეროდ, საკმაოდ! ნეტა კი შეაძლებინა ჩვენი საზოგადოების გონსა და სულს მათი ნაღვანის თუნდაც მცირე ნაწილის ჯეროვნად „მონელება“ და „შერგება“. მეექვსეა, რომ დღეს ან ოდესმე ჩვენ ამის ფერმენტი საკმაოდ გვექონდეს. ამ „მონელების“ უნარს ბევრი რამ უწყობს ხელს საზოგადოებაში, მაგრამ არამც და არამც, დღეს არსებული დამოკიდებულებები ფასეულობათა მიმართ. ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო ჭარბად გვაქვს „დანომვრა-გადანომვრის“, „შურის“, „ლანძღვის“, „გაქილიკების“ ფერმენტები. ნურასდროს დავნომრავთ მათგან: ვინ პირველია, ვინ მეორე და ვინ მესამე და ა. შ. თითოეული განუმეორებელია და ყველა პირველია! თუმცა ისიც ფაქტია, რომ ეს „მაესტერი“ ჯერ კიდევ დაბეჭდილიც არ არის ლიტერატურული პერიოდიკის ზოგიერთ გამოცემებში. ძლივძლივობით გამოდის მისი ნიგნები და ტირაჟი 100-200 არ სცილდება. უცნაურზე უცნაური, მაგრამ ფაქტია! არადა, იგი 60 წლის პოეტია უკვე! და ალბათ, „რუსთაველის პრემიის“ ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული კანდიდატიც!

ხანდახან მინდა თავიც დავინდო და ხალხიც. ხანდახან მინდა ახსნა მოვუძებნო ამ მზიან და თბილ ქვეყანაში, ამდენ ნაცნობ-მეგობრობის დღესასწაულში, მაინც საიდანლაც აისბერგით ამოზრდილ მარტოობას,

მიუსაფრობას და ვყვირი: გენიოსებო, „ტვინდასტყვილებო“ (ასე ეძახდნენ ფიროსმანს), ნიჭიერებო, თქვენ გვეხმარებით, რომ ვიარსებოთ, ვიქონიოთ ღირსებები, ვიქონიოთ სმენა, ხედვა, გემოც კი, უხილავი თუ ხილული ხელით შევეხოთ სივრცეებს, მარადისობას, წარმავლობას, ამაოებას და ყველა ამ შეგრძნებით გავიგოთ რაა სამყარო, რაა ღმერთი, რაა ადამიანი, რაა სიცოცხლე, რაა ბედნიერება, რაა უბედურებაც, რაა სიყვარული, ან სული რაა და სამშობლო რას ჰქვია, მაგრამ იმაშიც დაგვეხმარეთ, რომ არ დავკომპლექსდეთ სულ და მუდმივად არ ვიტანჯოთ თქვენი თავისდროზე ვერმიპატრონების გამო. ჩვენ ხომ ათასწლეულებია ქრისტეს ჯვარცმაც გვყოფნის სატანჯველად და სინანულად... ქრისტეში ვართ ყველა, ზოგი ადამიანად და ზოგი გენიოსად მოსული, მაგრამ მაინც თანაბარნი მის გულში! მოდით, შევძლოთ ქრისტეში მოყვასურად თანაცხოვრება!

ვყვირი, ვყვირი და აღმოჩნდება, რომ მეც სიზმარში ვარ და ხმა არ ამომდის...

„ჰო, ანგელოზი არა ვარ, მხოლოდ ფრთები მაქვს ანგელოზისა და მათი საშუალებით კი არ დავფრინავთ, არამედ წონასწორობას ვიცავთ ორ წერტილს შორის გადებულ უმოაჯირო, უხილავ ბოგიზე, რომლის ქვეშ ჯოჯოხეთის ქვაბებიც თუხთუხებენ და სამოთხის ბალიც გამლილა – უწარმტაცესი“.



ნობისა. ორიოდე წლის წინათ მივინყებულნი ლიტერატურული საღამოები გამოაცოცხლა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, როდესაც ყაზბეგის ისტორიულ მუზეუმში მისი ბიოგრაფიული რომანის, „ყაზბეგისა“ განხილვა შედგა. განხილვას ესწრებოდნენ რაიონის სკოლის ბავშვები და პედაგოგები, მუზეუმის თანამშრომლები, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების თაყვანისმცემლები. ვფიქრობ, ტრადიცია კიდევ გაგრძელდება. ახალი ნიგნის წარდგინება, საუბრები ლიტერატურაზე თავად ავტორებთან ერთად ისაა, რაც ყველაზე მეტად სჭირდება აქაურობას და დღევანდელ პირობებში მეტნაკლებად შესაძლებელია გააქტიურდეს, თორემ ახალი სპექტაკლის, ფილმის წარდგინება ან მსოფლიო ვარსკვლავთა სტუმრობა დღეს დიდი ფუფუნება იქნებოდა.

ყოველივე ამის გარეშე დარჩენილია ახალი თაობა – ბავშვები და მათში დაბრუნებული ის ადამიანები, ვინც სწავლის წლები და ცხოვრების ნაწილი დედაქალაქში გაატარა და ეზიარა მის კულტურულ ცხოვრებას. ვიმედოვნებთ, ზემოთ ნახსენები ლიტერატურული შეხვედრების გაგრძელებით, ახალი ნიგნების წარდგინებით, შემოქმედებითი საღამოებით შეივსება წლების მანძილზე დაგროვილი სიცარიელე.

ანა ბელაშვილი

## კრიტიკა



მაია ჯალიაშვილი

## პარიზი – ჩემი დაბვინაებული სიყვარული

„რა საოცრებებს ფარავს პარიზი“...  
გალაკტიონ ტაბიძე

პარიზი – ხელოვანთა მექა.  
იქ ერთხელ მაინც უნდა ნახვიდე  
„მოსალოცად“, თუ თავს პოეზიის  
ტაძრის მრევლად მიიჩნევ.

თუ გინდა მონანილეობა მიიღო  
დაუსრულებელ რიტუალში, რომელიც  
პოეტებმა, მხატვრებმა, მუსიკოსებ-  
მა – სიტყვის, ფერისა თუ ხმისთვის  
„ჯვარცმულმა“ ადამიანებმა შექმნეს.  
იმიტომ, რომ გადარჩე...

პარიზი, როგორც ხსნა. სწორედ ასე  
წარმოჩნდება ეს საოცარი ქალაქი ლია  
სტურუას პოეტურ პროზაში „ბედნი-  
ერი სიჩუმე“ (თბ. 2010): „გმადლობ,  
ღმერთო, რომ მიწყალობე ასეთი  
საჩუქარი – პარიზი“.

ბედნიერი სიჩუმე – პოეზიის გან-  
ზომილებაში არსებობს და ის გუსტავ  
ფლობერმა აღმოაჩინა, დახვეწილი  
სტილის ფრანგმა დიდოსტატმა.

ლია სტურუამ კი, ჩვენი დროის  
არაჩვეულებრივმა პოეტმა, თავის  
პარიზულ დღიურებს სათაურად  
დაარქვა და ამგვარად გამოხატა  
უძლურება შთაბეჭდილებათა სრუ-  
ლყოფილებით გადმოცემისა, უფრო  
ზუსტად, იმ განცდის სიტყვაში მოხ-  
ელთებისა, რომელიც გეუფლება  
პარიზში მოგზაურობისას.

ეს ეხმიანება ბიბლიურ „დუმილის  
სიბრძნეს“, როცა სიჩუმეში განიცდი  
იმას, რასაც უმნიშვნელო ჩქამიც კი  
დაარღვევს და გააუფერულებს.

პარიზი – ლია სტურუასთვის „შთა-  
გონების ნუთებში“ შექმნილი: „წამახ-  
ული, წვეტიანი გოთიკა, ჯერ ბაროკომ  
დაამძიმა და მოაგლუვა, მერე რო-  
კოკომ ჩაახუჭუჭა... პარიზი მაინც ამ  
სტილებზე მაღლა დგას, როგორც პო-  
ეტი, რომელმაც კლასიციზმიც იცის,  
რომანტიზმიც, პარნასი, სიმბოლიზ-  
მი, მაგრამ „აქვს მკერდს მიდებული  
ქნარი, როგორც უნდა“, ლიტერატუ-

რული თეორიების თავზე რომ ცაა,  
იქ ცხოვრობს, სადაც ყველანაირი  
გუმბათი, წვეტი, ლოგიკა იშლება და  
სინათლის მეტაფორაში ერთიანდება“.

ეს ნაცნობი, მაგრამ თანვე უცნობი  
პარიზია ქართველი პოეტის პრიზმაში  
„გარდატეხილი“.

პოეტი ლია სტურუა პარიზს ხვდება,  
როგორც სულით მონათესავე პო-  
ეტს. ამიტომაც არის მათი „დილო-  
გები“ ასეთი ხატოვანი, პოეტური.  
პარიზი თავისი უბრალო ქუჩებითა  
თუ ღირსშესანიშნაობებით „უყვება“  
თავის წარსულზე, აწმყოსა და მომ-  
ვალზე, ტკივილსა და სიხარულზე,  
ლია სტურუა კი მას აცნობს მეოცე  
საუკუნის 90-იანი წლების თბილისის  
სევდას, თავის ბავშვობასა და სიზმ-  
რებს და ხდება ზიარება. მერე ერთად  
მიუყვებიან რივოლის ქუჩას კონკორ-  
დის მოედნისაკენ, „მერე ვანდომი,  
სადაც სინათლე უფრო კამერულია,  
აბრეშუმგადაფარებული“.

მონმარტრის კიბე, „აქოშინებუ-  
ლი, სადაც ხატავენ...“ და მთანმინ-  
დის კიბე... ამ კიბის მოგონებას ბავშ-  
ვობაში მიჰყავს პოეტი. პარიზულ  
შთაბეჭდილებებში რამდენიმე ასეთი  
მოგონება შემოიჭრება, რომლებიც  
ნოველებივით იკითხება, მაგალითად,  
ბეზიის სიცოცხლის უკანასკნელი  
ნუთების გახსენება. ბეზიამ შეაყვარა  
კლასიკური მუსიკა... მან გაუფაქი-  
ზა მზერა, რომ სხვანაირად დაენახა  
სამყარო და ერთი ამგვარი განსხ-  
ვავებული მზერის „აღმოჩენა“: მარა  
– „ნარინჯისფერი ყვავილი“: „ჩემს  
ეზოში, პატარა ქუჩაზე, სადაც აკა-  
ციის ხეები იდგა, მარგარიტა გოტიე  
ცხოვრობდა... მარა შევალე დაირქვა  
და ნამდვილ გვარს აღარ ამხელდა...  
შეიძლება „მანონ ლესკო“ წაიკითხა,  
დე გრიესგან ისეხსა შევალე და თა-

ვის გვარადაც აქცია?“. მარას სევდიანი ისტორია საუცხოოდ ამხელს, რა მიმზიდველი თხრობა შეუძლია პოეტს. როგორ შეუძლია პატარა ადამიანის გმირად ქცევა და მკითხველის სამყაროში დაუფინყარ ხასიათად შემოყვანა.

დრო უმონყალოდ ანადგურებს ყოველივეს, მოგონებების გარდა. და რა ძვირფასია ის მოგონება, რომელიც ყოველდღიურობით გაფერმკრთალეული სიცოცხლის მშვენიერებას შეგაგრძნობინებს.

ასეთი მოგონებაა ლია სტურუასთვის პარიზი, რომელსაც ნაგვიანვე სიყვარულს უწოდებს. ეს არის მის თვალში, გულსა და გონებაში არეკლილი ქალაქი, იქ ნანახი პეიზაჟებითა და სიზმრებით. მკითხველსაც ეუფლება განცდა რაღაც სიზმარეულისა, ისეა გადანული რეალური და წარმოსახული, მაგრამ, რაც მთავარია, ისეთი ცოცხალია სტრიქონები, ისეა დამუხტული ეს შთაბეჭდილებები ენერგიით, რომ შენც უცნაურად ივსები და იხიბლები, ავტორთან ერთად დადიხარ შორი და უცნობი ქალაქის ქუჩებში, უცხო ყვავილების სურნელით იჟღინთები და სხვანაირად ხედავ ცას, მინასა თუ ადამიანებს.

ლია სტურუასთვის ცოცხალია განცდა იმისა, რომ სიცოცხლე ღვთის შემოქმედებაა, სამყაროს გალერეაში გამოფენილი, ადამიანები კი ამ გონებაშიუნვლომელი შედეგის პერსონაჟები არიან.

ეს არის მხატვრული ტექსტი, რომლის ნაკითხვა პოეტად გაქცევს, არა „ქალაღზე რითმებით“ მოლაპარაკეს, არამედ უფრო მგრძობიარესა და მეოცნებეს, რეალობის მიღმა არსებული სამყაროსკენ მიმსწრაფს.

ეს პროზა ლია სტურუას პოეზიის განუყოფელი ნაწილია – მისი პოეტიკის ამსახველი. ცალკეული ეპიზოდი – თეთრი ლექსია – თხრობის მდინარეებაში ჩართული.

პარიზში გაუჩნდა პოეტს განცდა, რომ არსებობს „ესთეტიკური სათნოება“ – მშვენიერი, ნათელი და სიკეთე – მათი ერთობლიობა და იგივეობა.

ეს ხომ ღვთის აღმწერი ეპითეტებია. იგივე განცდა გაუჩნდა ესპანეთში, პრადოს მუზეუმში, ელ გრეკოს ტილოების თვალიერებისას. წმინდა პოეზის საუფლოში, როგორც გალაკტიონი იტყოდა, „საღვთო ბილიკები“ მიდიან. ასე გადაეწვნება ერთმანეთს რწმენა და პოეზია.

და ბუნებრივად ჩნდება აზრი: „პარიზიც კათარზისია“, თავისი ისტორიითა და დღევანდლობით, ქუჩებითა და კაფეებით... მკვდარი და ცოცხალი ხელოვანებით.

ავტორს „მზიური თვალი“ აქვს. ყველაფერში უცნაურ გამოსხივებას ამჩნევს. „ხასხასა ბალახის შუქი“ – რეალიზმს ფერს უცვლის.

მისი პარიზული სიზმრები ამხელენ წყურვილს, თბილისში, 90-იანი წლების ჩაბნელებულ და ჩაჭამებულ ქალაქში წაიღოს ეიფელის კოშკი და ბობური, მაგრამ როგორ? „რა საკითხავია. კოშკი ნელ-ნელა ივლის, თან ცას გაკანრავს წვეტით, წვიმას გამოადენს, ვარსკვლავთცვენას მოგინყობს, თითქოს თუთის ხე დაბერტყეს... „ბობური“ (პომპიდუს ცენტრი) მატარებელივით წამოვა: წითელ-ყვითელი ვაგონები, ლურჯი მილები, საიდანაც მწვანე კვამლი ამოდის“.

პარიზი – გარდაცვლილი ესთეტიკის ქალაქი. მაგრამ ეს გარდაცვლილები არსად არ წასულან და ლანდებად დადიან ქალაქში. ამიტომაც არის, რომ თბილისიდან ჩასულ მშვენიერ პოეტს ხშირად ხვდებიან ქუჩებებსა და მუზეუმებში. მათი დიალოგი უხმოა და უცნაური, მაგრამ პოეტი მკითხველს უშურველად გადმოუთარგმანებს, რომ მანაც იგრძნოს და დაინახოს ის, რაც აქამდე უცხო და უცნობი იყო: „იმდენს დავდივარ, თითქოს ფეხებში ზმნა ჩამიდგეს“. და ამ სიარულისას ხედავს: „კისერზე თოკმობმული ვიონი მოდის, წითელი, ახლაგატყავებული ძროხასავით, რომლის ჩაქრობა უფრო ძნელია, ვიდრე ხანძრის“. მისი აჩრდილი თან დაჰყვება და შეახსენებს:

„და რამდენს იწონის ეს უკანალი, კისერი გაიგებს მალე“  
(დავით წერეთლის თარგმანი).



„ჩვენი კულტურა ნაგვის წარმოებად იქცა“  
(ჟან ბოდრიარი)

ჩვენს პატარა ქალაქში სოციალურობის ყველა ელემენტი წარმოდგენილი. ისინი იდეალურ კომპლექსში არიან თავმოყრილი: სივრცითი სიახლოვე, ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაცვლის სიადვილე, ნებისმიერ დროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაგრამ აი, რა ხდება: ნებისმიერ პროცესში მონაწილეობა, ან ამ მონაწილეობის დაჩქარება ინდივიდებში დაბნეულობას, შიშს და გულგრილობას ინვევს. ამ გულგრილი თანამონაწილეობის მოდელად ცალმხრივი მოძრაობის საგზაო წესები გამოდგება – გზას არაფერი კვეთს, აღარავის ხვდები გზაზე, რადგან ყველას მოძრაობა ერთი და იგივე მოძრაობაა და მანქანის საქარე მინიდან ჩანს მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაი სხვა მანქანები. იქნებ სწორედ ამაში მდგომარეობის ჩვენი კომუნიკაციის არსი – ცალმხრივი თანაცხოვრება. მისი ფასადის მიღმა სულ უფრო მზარდი გულგრილობა, ან ნებისმიერი სოციალური კავშირის უარყოფა.

ეს ასოციალურად კულტურული საზოგადოება თანამონაწილეობას მხოლოდ ტაშისცემისას გამოხატავს. მაშინაც, როცა სრულდები არაა საჭირო ტაში. წარმოიდგინეთ, ლია ცის ქვეშ მზეზე შეკრებილი საზოგადოება ინიავებს, ერთი საათით დაგვიანებული კონცერტი იწყება ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ომახიან-გამამხნეველები შეძახილით „სამეგრელო ჩვენია!“, გაურკვეველი ხარისხის ხმის აპარატურა კონცერტის მიმდინარეობის პროცესში მონტაჟდება და საზოგადოება ვერ არკვევს, შეწუხებული სოპრანოს მიმიკა დრამატიზმის ნაწილია თუ ხარვეზების გამო წუხს. ძლივს შესამჩნევი მღელვარებით გატრუნული მაყურებელი განსაკუთრებით მძაფრად რეაგირებს მისთვის მშობლიურ ენაზე ამღერებულ უცხოენოვან

გაგრძელება 41-ე გვერდზე



მას მოჰყვება ყვავილივით დამჭკნარი რემბო. მოკვეთილი თავი და ფეხი მიხტიან მეტროს ლიანდაგზე, ფეხი პირდაპირ გულში ურტყამს დახვენილ ვერლენს: „ნიუანსები, ელფერები, ნახევარტონები“.

„შევდივარ ნოტრდამში და სანთლებს ვუნთებ მკვდარ პოეტებს“.

აქ ხვდება გალაკტიონსაც, თავის „სამშობლოს“ და მასთან ასე საუბრობს:

– „შენ რომ პარიზში გეცხოვრა, რას იზამდი?“

– „იყო შარლ ბოდლერი, მწარე და ძვირფასი“. აბსენტს დავლევდი და ნოტრდამიდან გადავხტებოდი.

– ეიფელიდან არა?

– ეიფელი თქვენი თაობისაა. მე და გოთიკა უფრო ვენყობით ერთმანეთს. თითისტარივით იჩხვლიტება მისი წვეტები. მერე მოვა ვინმე შენისთანა და გამაცოცხლებს.

– მართლა გრძნობ ჩემს სიყვარულს?

– ბუნდოვნად, როგორც სიზმრების გადაზნექილ წელს.

– ჩემი ყველაზე საყვარელი მეტაფორა.

– მართლა? შენ რომ კიდევ ერთი ქალი გიყვარს?

– მარინა. არ შეხვდით სადმე ერთმანეთს?

– კი. ჰაერისგან ჩაის აყენებს და მერე ჭურჭელს რეცხავს“.

გალაკტიონი და მარინა ცვეტაევა – პოეტის თანამდევნი, რომელთაც ყველგან და ყოველთვის ხვდება.

ლია სტურუა მეტაფორებით ფიქრობს და წერს, სხვანაირად არ შეუძლია გადმოსცეს, რასაც ხედავს. და ყოველივე ფერწერულ ტილოდ იქცევა. მათ შორის, „პარიზის სტომაქი“, რომელშიც „მცხუნვარე წითელი ბატონობს“.

ამ ქალაქს ისედაც კარგად იცნობდა პოეტი, მაგრამ ახლა რა დახვდა? „ახლანდელი მონმარტრი ჩემზე ჟოლოსფრად შეღებილი ოთახის შთაბეჭდილებას ტოვებს“, „წმინდა პარიზული ბოჰემა შეიცვალა აღმოსავლეთის კევივით განწელილი სიტ-

კბოთი, ზანგების რიტმით“.

პარიზი ავტორს თითქოს მშობლიური ტკივილებისაგან დროებით ათავისუფლებს, ავინყებს, რათა შემდეგ უფრო დაიტანჯოს სინამდვილესთან პირისპირ შეხლით; „მონპარნასზე მოდილიანი დაფრინავს და ბალზაკის რაბლეზიანური ძეგლი დგას. მიძიმედ, თბილისურად მტკივა თავი“.

მაგრამ რა არის თავისუფლება?

როდის არის პოეტი თავისუფალი? მაშინ, როცა სინათლითა და სითბოთი სავსე კაფეში ზის და წერს „ხალხით სავსე სიმარტოვეში“, თუ ზღვას რომ უყურებს, უსასრულოს და მაინც „ადამიანის თვალისთვის აფრების თეთრი ქინძისთავებით შეკრულს, საღამოობით სისხლის გუბეებიანს“?

და კიდევ: თავისუფლება და მარტოობა – არის თუ არა ეს ორი სიტყვა მნიშვნელობით ტოლფასი?

პოეტი იგონებს, რომ ერთ დღეს საკუთარ თავს პოლ ვალერიის წიგნი აჩუქა. „არის რაღაც საკრალური თავის მოტყუებაში“.

და მკითხველიც დაასკვნის, რომ მარტოობაც და თავისუფლებაც თავის მოტყუებაა. ადამიანი ყოველთვის რაიმეს თავდასხმამაია: ადამიანებისა თუ საგნებისა, სურვილებისა და ოცნებებისა. თუმცა, რომ არა თავის-მოტყუების ტკბილ-მწარე სიტკბო, არც ეს წიგნი დაინერებოდა.

პარიზმა გააცნო პოეტს კლოშარები – ქუჩის მხატვრები, თავისუფლად რომ ხატავენ ტროტუარებზე, თუმცა შეიძლება კი იყო თავისუფალი, როცა სხვაზე ხარ დამოკიდებული, იმიტომ ხატავ, რომ საარსებო ფული გინყალობონ ცნობისმოყვარე გამველელებმა.

დადიხარ პოეტთან ერთად პარიზის კაფეებში, ბასტილიის მოედანზე, ოპერაში, სადაც „ტრავიატა“ გადის. და მასთან ერთად მაინც სძლევთ თითქოსდა დაუძლეველ სიმარტოვეს: „ჰაერის ნასვრეტში პეპელა გამოძვრა ფრთებით და შუქით შემეხო, სიხისტე დამირბილა“.

– „წავიდეთ ორანჟერიში! – ამბობს ელგუჯა. მე იქ ხაიმ სუტინი მელოდება, მას მონე, პიკასო – ინტელექტუ-



ალების თამაში ფორმითა და ფერით, და არა გიჟის თავის ხეთქება სიკაშკაშეზე“.

სიტყვა, ფერი, ხმა – ხელოვნების „წმინდა სამება“ და მეოთხე – სურნელი, სამივეს თანხმლები – პოეტის თანამდევნი. ამიტომაც არის, რომ პარიზში მისი ფიქრის მდინარება მუდმივად პოეტებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს დასტრიალებს. უჩვეულო და შთამბეჭდავია მისი დაკვირვებები ცალკეულ ტილოზე.

და მიდინარ მასთან ერთად ლუვრში. „შესვლის წინ ჩემს თავს ვეკითხები: შეიძლება თუ არა აქ ჩემი დარღვეული პროპორციების შეტანა და ვენერა მილოსელის წინ დადგომა, თუნდაც ერთი ყალბი ბგერის გაჟღერება მის სრულყოფილებაში?“

ლია სტურუა სრულიად სხვაგვარად დაგვანახებს ცნობილ მხატვართა ტილოებს. ის საოცარ მეგზურად წარმოგვიდგება ხელოვნების სამყაროში და მის „ყველა შრეს“ მოგვახილვინებს.

როგორია ლია სტურუას თვალთა აღქმული მარკ შაგალი? „ცაზე ისე ხომ ვერ გაივლი, როგორც მინაზე, ირიბად, აღმაცერი წვიმასავით უნდა იარო, ყოველ კაცსა და ქალს შუა, თუ ისინი იცნობენ ერთმანეთს ყვავილების ბუჩქი ამოდის, ვიღაცის მუცელში ბავშვი ჭვივის, ვიღაცისაში – ვიოლინო. მიწაზე კი ძროხა დგას, რძით სავსე, შენი პირველყოფილი სამშობლო. შეიძლება შაგალს მოვწონვარ კიდევ თავისი ციდან. ამას რომ გავიფიქრებ – ისეთი მაღალი ვხდები, თითქოს სი ბემოლის მწვერვალზე ვდგავარ“.

და არაჩვეულებრივი ახსნა: „მორიგი დარბევის შიში ხომ არ აიძულებს შაგალს ჰაერში ჩამოკიდოს თავისი ახლობლების ტანები, რომ მიწა ვერ მიწვდეს, ვერ აენოს, მით უმეტეს, როცა ისინი ფეხმძიმედ არიან ბავშვზე, ვიოლინოზე, ძროხაზე, ქალებიც და კაცებიც, ახალ სიცოცხლეს აჩენენ, ოლონდ, ცაში მშობიარობენ“.

წიგნის ფურცლებზე შეხედებით ვან გოგს – ქუდის ფარფლებზე დანებებული სანთლებით, ღამე სახატავად: „შუადღის მზე არ ყოფნიდა თავის გას-

აგლეჯად?“ ხაიმ სუტინის, ამადუო მოდილიანის, შალვა ქიქოძეს და კიდევ ბევრს, ხელოვნებისთვის თავგანწირულებს. მათ შორის, ირაკლი ფარჯიანს – სორბონას ტაძარში დაათვალიერა პოეტმა მისი გამოფენა: „სინათლეს რომ ლურჯი თვალები გაუკეთო, ადამიანის ფორმა მისცე, უფრო სწორად, მინიშნება ამ ფორმაზე და მოარგო ბიბლიის დაძველებულ სანთლისფერ ფურცლებს. ასეთია ეს სახარება. ანგელოზები, წმინდანები და ბატონები, ცოცხალ არსებებთან მსგავსების მიუხედავად, მაინც სინათლეები არიან, ისეთი ელვარე, რომ თვალს ვერ გაუსწორებ. როგორ იქმნება ასეთი თეთრი ფერი? საიდუმლო, რომელიც საფლავში ჩაიტანა მხატვარმა“.

წიგნში პოეზია, ფერწერა და მუსიკა ერთმანეთს გადაენწყობა. ერთზე საუბარი ბუნებრივად იწვევს მეორესა და მესამეს. საუბრის სტილი და მანერა სამივეზე ერთია – მეტაფორული, ექსპრესიული: „ვიოლინო მუსიკალურ ინსტრუმენტებში გამორჩეულად მიყვარს. იგი ჩემთვის ლურჯია, ისეთი ლურჯი, „რომელსაც ჩაღრმავების საოცარი უნარი აქვს. რაც უფრო ძლიერია ლურჯი, მით უფრო მკაფიოდ ეძახის ადამიანს უსასრულობისკენ, აღვიძებს მასში სევდას უმანკო ზეგრძობადის მიმართ“ (გ. კანდინსკი). ეს ძლიერი ლურჯი რომ მოიპოვო, ვან გოგის ყვითელისა არ იყოს, სტიქიას უნდა გაურიგდე, ისეთი ელვარე ტკივილი აიტანო, თითქოს, ჭრილობაზე მარილი დაგაყარეს“.

„სინათლის წვეთიც არ ჩანს“ – ასეა დახატული შუალამე. ჰაერი „შელავათიანად, აჟურულად შავია“.

პარიზის სიმშვიდეს დროდადრო არღვევს თბილისის „კომმარაი“: XX საუკუნის ბოლოს თავსდამტყდარი რევოლუცია. ლია სტურუასთვის, რევოლუცია იმ ადამიანთა მოგონილია, „რომელთა ბუნებაში ღმერთი ვერ ამარცხებს ქვეცნობიერის ფსკერზე გატრუნულ ობობას და იქსელება მისი შხამიანი ძაფებით გარემო და ეს ადამიანები ყველაფერს ანგრევენ, მოძმეებს კლავენ, ქვეყანას ღამის გა-



შემსრულებლებზე, ეს უცხოობის შეგრძნებით გამოწვეულ შინაგან შფოთვის და „რა შუაში ვარ“ დამოკიდებულებას ცვლის უფრო მშობლიური, ახლობელი და „სახლში ვარ“ შეგრძნებით. ამით დამშვიდებული და კოლექტიური კმაყოფილებით სავსე მაყურებელი ტოვებს ცის ქვეშ ღიაობას და დახურულ, ძალიან დახურულ თეატრში ინაცვლებს პრემიერაზე სრული შემადგენლობით.

თეატრში პრემიერაა! „ბაკულას ღორები“.

საინტერესოა, რა სამუშაოებს ასრულებს ქალაქის გარემოს დაცვის ინსპექცია, როცა მსგავსი კულტურული ღონისძიებების მხატვრულ-დეკორატიული მორთულობებისთვის ქდადიანების ბალის არცთუ იხე იშვიათი ჯიშის ბუჩქები ნადგურდება. მსახიობების მონდომებულ ნიჭიერ „ღრუტუნზე“ მაყურებელი დადებითად რეაგირებს. განტვირთვის არაჩვეულებრივი საშუალებაა თეატრის მმართველის მრავალ ფუნქციათაგან ერთ-ერთი – ამრეების და უზრდელების დასჯა-გამოკიდება, რომლებსაც უბრალოდ არ უნდათ იქ ყოფნა და საპირფარეოში გასვლას იმიზეზებენ ხმამაღლა. თეატრი ნამდვილად ასრულებს ფუნქციას. მაყურებელი ისვენებს, ერთობა, ცოტათი დაფიქრდება. რაზე? სპექტაკლის ფორმის რეჟისორის ეულ გადანყვებაზე – აი, ცხოველების როლებიც ადამიანებს რომ აქვთ შეთავსებული.

არავინ იფიქრებს კინოჩვენებაზე, რომელიც პრემიერის გამო გადაიდო. ბერტოლუჩი შეიძლება ნაკლებად საინტერესო იყოს საზოგადოებისთვის, რომელიც ქალაქის ცენტრში დადგმული სარეკლამო ბანერით ნაუნწყებ პრემიერას დიდი ხანია ელოდება. საზოგადოება ამ შემთხვევაშიც კოლექტიურად ცალმხრივია. ან ყველანი ერთად ვირაზებით და მივდივართ კონცერტზე, სადაც შეიძლება ჩვენი მამაო ვნახოთ და გავგიხარდებო, ან სპექტაკლზე ყველანი ერთად ვიცინებთ,

დასასრული 42-ე გვერდზე



ყველანი ერთად დავუკრავთ ტაშს... და ასე მაინც ვიქნებით ერთად.

ისე, კაცმა რომ თქვას, არაერთხელ მიფიქრია საზოგადოებრივ აზრზე ხელოვნების ზეგავლენის საჭიროების საეჭვოობაზე. მინდა დაეძლიო ეს ეჭვის ბაცილა. არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენი კულტურული გარემო ნაგვის ნარჩენთა ნარჩენებად, უსარგებლო სუბსტანციად იქცა, რომელსაც ვერ ვიშორებთ.

ამ ცრუესთეტიკური ღირებულებების დამკვიდრების კოლექტიური მისწრაფება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ასეთი კულტურა მხოლოდ ხმაურია და მეტი არაფერი, მოხმაურე კულტურა კი, რომელიც ხმაურის ხანგრძლივობასა და ხარისხზეა დამოკიდებული, სწრაფად ამონურავს თავის თავს, რადგან მხოლოდ ხმაურით ნასაზრდოები სუროგატული ხელოვნება ერთჯერადი მოხმარების საგანთა დანიშნულებას ასრულებს. ეგ არის და ეგ. საზოგადოება კი საერთოდ გულგრილია, ის საკუთარ თავს თვითონ უბიძგებს გულგრილობისკენ. გულგრილი საზოგადოება კი ადვილად იქცევა სპეკულაციური სულისკვეთების ხელოვნების, პროფარტისტების სათარეშო სივრცედ. რომლებიც ძალიან თვალმისაცემი ცალმხრივობით ახალი ფიქციების დამკვიდრებაზე იზრუნებენ.

თათია კოხალია

დაშენების გზაზე აყენებენ“.

ავტორის აზრით, პოეტიც რევოლუციონერია, მაგრამ მისი ბრძოლა – „ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტების, პოეზის არსებობისთვის“. ბრძოლის მიზანია არა მკვლელობა, არამედ მტრისთვის „მშვენიერის გამოცხადების“ ჩვენება.

ლია სტურუამ იცის ამ ბრძოლის გულუბრყვილობა, მაგრამ მაინც იბრძვის თავისი შემოქმედებით. მისი საქმე არ არის პოლიტიკა: „მე მინდა მაგიდასთან ვიჯდე და ვწერო“.

რაც მთავარია, უცხო ქალაქი ვერ აფერმკრთალებს სამშობლოს, პირიქით, მეტად შეაგრძობინებს მის ღირებულებას: პარიზშიც, მხრებით ლოკოკინას ნიჟარასავით დააქვს თავისი სახლი, ჩვეულებები, ტრადიციები: „ნოტრდამის წინ პირიდან ზონარით ამოვახვევ ჩემს სვეტიცხოველს, დავხედავ, ცოცხალია, ისევ ისეთი მშვენიერი, სრულიად განსხვავებული გოთიკისგან და ორივე მიყვარს, დავეკვცავ, ჩავაბრუნებ ნიჟარაში, გუმბათს ვერ ჩავატევ, შარავანდედად დამიმრგვალებს თავზე და მე, აბსურდის ადამიანს, ღმერთთან მიმიახლოვებს“.

ღვთისკენ უამრავი გზა მიდის, ოღონდ ყოველ გზას სიყვარულით უნდა შეუდგე. პოეტისთვის, ამჯერად, ეს სამშობლოს სიყვარულია – ასე ცინცხლად განცდილი.

ერთ საღამოს გუჯი ამაშუკელთან ასეთი დიალოგი გამართა; „ყოველ ღამე ოთხთავს ვკითხულობ... მაგრამ რას ნიშნავს ეს ქართული სული,

რომელზედაც გაუთავებლად ლაპარაკობენ, შენც ახსენებ შენს წიგნში.

გუნებაში მეცინება. ესოდეთ იმით, ვინც პატრიოტიზმის ნაკლებობას მატრალეზად ლექსებში!

– აი, შენ რომ ლამაზობით გაიძულე, ოთხთავი იკითხო“.

ამიტომაც ზის პარიზში და წერს თბილისზე. რატომ? „მხოლოდ აქ შეიძლება ისე წერა, თითქოს ანგელოზმა მიგკიდა ხელი და მუსიკასთან მიგიყვანა“. „ვწერ იმაზე, როგორი სქელი და ოქროსფერი თაფლი დიოდა ერთ დროს ცაცხვებიდან, რომ შეიძლება ცა დაგეპირქვავებინა და მისი ტკბილი ნაწილი ქილებში ჩაგესხა“.

პარიზთან რომანი მქონდაო, – აღიარებს პოეტი და ეს სიყვარული კვლავც გაახსენებს ქალაქს: პარიზში, ალბათ, ისევ წვიმს: „ეს რაღაცნაირი, ნატიფი წვიმაა“. „პარიზის სუნი, ალბათ, ყოველთვის მომენატრება, სანამ ცოცხალი ვარ, შემწვარი ნაბლისა და ყავის სუნი, მზესავით ყვითელი სუნამოს ნაშთი ფლაკონებში, რესტორნების ჰაერი, ისეთი ეპიკურული და ელევანტური, რაბლე და აპოლინერი რომ აურიო ერთმანეთში. მკრეხელობა თუ ჩვეულებრივი მეტაფორა?“

არც ერთი და არც მეორე. ან ორივე ერთად, ან – ეს ცოცხალი განცდაა ქალაქისა, რომელმაც პირველად გაუჩინა სურვილი, რომ „ჩემი წიგნი პარიზის შესახებ, ჩემი ნერვების ერთი პატარა, ზღარბივით ეკლიანი გორგალი, ფრანგულად ითარგმნოს“.

პაატა შამუგია

ორი ავტორი, ორი ნიგნი

უმბერტო ეკოს „პარდის სახელი“

უმბერტო ეკო ქართული აუდიტორიის დიდმა ნაწილმა ესეისტიკით გაიცნო. ძალიან თანამედროვე, თამამ, არაკონიუნქტურულ და არასტანდარტულ ესეებს მკითხველი არ აკლდა. თუმცა დიდხანს მოგვინია ლოდინმა, სანამ ქართულად ითარგმნებოდა მისი სავიზიტო ბარათი „ვარდის სახელი“. რომანი, რომელიც გამოცემისთანავე საერთაშორისო ბესტსელერი გახდა, თავად ავტორი კი დღემდე ყველაზე „ციტირებადი“ მწერალია მთელ მსოფლიოში.

მართალია, „ვარდის სახელი“ 1980 წელს გამოქვეყნდა და ჩვენთან 30-წლიანი დაგვიანებით მოაღწია, მაგრამ ტრადიციას ვერაფერს უზამ! როგორც წესი, ძირითადი კულტურული სიახლეები ხშირად დაგვიანებით მოდის ქართველ მკითხველამდე. იმედია, ეს „ტრადიცია“ მაინც ამოიშანთება ადრე თუ გვიან. ამ მხრივ არის საინტერესო ძვრები ქართულ საგამომცემლო სივრცეში და ვნახოთ, საბოლოოდ რა იქნება.

„ვარდის სახელი“ გარდა იმისა, რომ ხარისხიანი ლიტერატურაა, ბევრი გვერდითი (ოღონდ სრულიად დადებითი მნიშვნელობით) ეფექტიც ახლავს. მაგალითად:

ამ რომანის ნაკითხვისას იმავდროულად კითხულობ, სულ მცირე, 50-მდე ნიგნს. ეს ლამის თეორიულადაც შეუძლებელი ფაქტი პრაქტიკულად შესაძლებელი ხდება ეკოს შემთხვევაში (უმბერტო ეკოს, როგორც პოსტმოდერნის ერთ-ერთი აღიარებული თეორეტიკოსის, სახელი გვიბიძგებს ამ პროცესს კითხვა კი არა, მეტაკითხვა დავარქვათ).


ჩამთრევი დეტექტივი, რომელზეც განყოფილია ტექსტის არქიტექტურა, სინამდვილეში ოსტატური სიმუ-

ლაკრია. რეალურად კითხულობ ნიგნს სამყაროს შესახებ, დიდი სიყვარულის, დიდი შიშებისა და „დიდი სიცილის“ შესახებ. კითხულობ „ვარდის სახელს“ და ამავდროულად „მკრეხელი“ წმინდანის – კვიპრიანეს „ნადიმსაც“ კითხულობ, ასიზელის მოძღვრებებს კითხულობ, სხვადასხვა მეტაფრასულ წყაროებს კითხულობ, ბიბლიას ხომ კითხულობ და კითხულობ და რასაკვირველია, არისტოტელეს „პოეტიკის“ იმ ნაწილსაც კითხულობ, რომელიც დღემდე დაკარგულია. თუმცა ეს ტექსტი (გვულისხმობ არისტოტელეს „კომედიას“) ნაწარმოების მთავარ ღერძად ქცეულა და მთელი 840 გვერდი მის ძიებას ეძღვნება.

ერთი სიტყვით, სულაც უმეცარი რომ იყო, ამ ნიგნის ნაკითხვის მერე თავისუფლად შეიძლება თავს განათლებული უწოდო, ანუ, ეკოსავე ენით რომ ვთქვათ, მეტაგანათლებული (მეტად განათლებულიო, – დაამატებდა მავანი მოკალამბურე).

ტექსტში დიდი ადგილი ეთმობა თეოლოგიურ დისპუტებს, ციტატებითა და ინტერპრეტაციებით „ხმალაობისას“ პერსონაჟები ხშირად ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მიდიან. ავტორის უპირატესობა ისაა, რომ მას შეუძლია ეს, ერთი შეხედვით, მოსაწყენი აკადემიური დისკუსიებიც კი სულ-მოუთქმელად საკითხავი გახადოს და ამავდროულად, მეტ-ნაკლებად გაზიაროს შუასაუკუნეობრივ თეოლოგიას, ურთიერთგამომრიცხავ თეორიებს ღვთისა და რელიგიის შესახებ, გაგხადოს მკითხველი კი არა, ასე ვთქვათ, მინიმეცნიერი. წერს კიდევ, რომ „ნიგნები კვლევისთვისაა შექმნილი და არა იმისთვის, რომ მათი გვწამდეს“.

ასეთი მიდგომა ეკოსთვის სრულიად ბუნებრივია – ის მწერალთან ერთად, მეცნიერიცაა. თუმცა თვითონ პირიქ-



ადრე სადღაც ამოვიკითხე, თუ დანერ, ბოლოს ნაკითხულ ნიგნზე უნდა დანეროო. ავტორი აღარ მახსოვს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეც ვიქცევი ხოლმე. სანამ შთაბეჭდილება ცხელია, რეფლექსიაც უფრო საინტერესოა, მერე უკვე ინტერპრეტაციების ტყვე შეიძლება გახდე.

ბოლოს ორი ნიგნი ნაკითხვით მიყოლებით. ერთი ქართული, ერთიც იტალიურიდან თარგმნილი. ორი სხვადასხვანაირი ნიგნი. კონტრასტები ისედაც მნიშვნელოვანია, ჩემთვის კი – სასიცოცხლოდაც. ამ მხრივ გამიმართლა – ორივე ავტორი ურთიერთკონტრასტულია:


ერთი – უცხოელია, მეორე – ქართველი.

ერთი – ერთი შეხედვით, მძიმეა, მეორე – ერთი შეხედვით, მსუბუქი. ერთი – შუა საუკუნეებზე წერს, მეორე – შუა 90-იანებზე.

ერთი „დიოგენეშია“ გამოცემული, მეორე „ინტელექტი“.

ერთი – ჩემი კარგი ნაცნობია, მეორე – კარგი იქნებოდა, ყოფილიყო.

ერთი – უმბერტო ეკოა, მეორე – ირაკლი ჯავახაძე.



ით ფიქრობს, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მე ვარ მეცნიერი, რომელიც ხანდახან პროზას წერს ხოლმეო“.

ძნელია, დაეთანხმო!

ჩემი მოკლე მიმოხილვიდან ისე ჩანს, თითქოს „ვარდის სახელი“ რთული ტექსტი იყოს. რა თქმა უნდა, ასეც არის, მაგრამ – ერთი შეხედვით. ეს მრავალშრიანი ფილოსოფიური დეტექტივი, სინამდვილეში, თავაუღებლად საკითხავი ტექსტია. მე, პირადად, სამ დღეში აუჩქარებლად წავიკითხე და ამის შემდეგ გადავედი ირაკლი ჯავახაძის სამ მოთხრობაზე, რომელსაც ასეც ჰქვია – „სამი ძველი მოთხრობა“.

ირაკლი ჯავახაძის  
„სამი ძველი მოთხრობა“

90-იანებზე ბევრი ქართველი მწერალი გარჯილა, ზოგი კარგად, ზოგიც – პირიქით. მე შენ გეტყვი და, მასალა შემოაკლდებოდათ! ეგ 90-იანები საცხოვრებლად არ ვარგოდა, თორემ სანერად და აღსანერად პირდაპირ მისწრება იყო. გეხსომებათ, მზა კრიმინალური სცენარები, უშუალოდ, მოქალაქეების შუბლებზე ცხვებოდა. მაგრამ კრიმინალის, უფულობის, უიმედობის და კიდევ ბევრი უ-რალაცობის დროსაც ადამიანები მაინც ცხოვრობდნენ. და რაკი ცხოვრობდნენ, ესე იგი, უყვარდათ, სძულდათ, შურდათ, ეშინოდათ, სწამდათ...

ირაკლი ჯავახაძის „სამი ძველი მოთხრობა“ 90-იანი წლების მხატვრული დოკუმენტია, თავისი ყველა აქსესუარით – „სავეტსკი“ მანქანებით (იშვიათად, „ფირმენებიც“ გაიღვებებს, ოღონდ ისე, 25-ე კადრივით), იაფფასიანი არყით, იმდროინდელი ქართული (ღმერთმანი!) ჰიტებით, რუსეთში გადა-გადმო-ფრენებით, ჩხუბებით, სიყვარულით. ეს უკანასკნელი ალბათ ყველა დროში თითქმის ერთნაირია და მთლად 90-იანებს ვერ მივაკუთვნებთ, თუმცა მაინც იყო რაღაც სხვანაირი ამ ურთიერთობებშიც.

ავტორი ზედმეტი კოკეტობისა და ქარაგმების გარეშე ჰყვება სათქმელს. ყველა ფრაზა ზუსტია, მხატვრულად მოტივირებული და კონკრეტული ინ-

ფორმაციის მატარებელი. თხრობის სწრაფი ტემპი და მარჯვე იუმორი ამსუბუქებს იმ მიმდევ სურათებს, მოთხრობებში რომ გამოჩნდება ხოლმე.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ავტორის პროტაგონისტი (ადრე რომ ლირიკულ მე-ს ეტყოდნენ) ხშირად თავად ავტორივითაა. ერთგვარი ავტობიოგრაფიული მოთხრობებია. მაგალითად, თავიდან ბოლომდე რეალური მგონია მოთხრობა, რომელსაც ჰქვია „თავიდან ბოლომდე გამოგონილი ამბავი“. კალამბურად ნუ ჩამითვლით, გაგახსენებთ, ვაჟა-ფშაველას თავისი ზღაპრის ქვესათაურად რომ „ნამდვილი ამბავი“ ეწერა. ეს ისე, რემარკისტის, თორემ ტექსტის ავ-კარგზე ეს არ მოქმედებს. დავაბრალოთ ეს ყველაფერი ჩემს მამაკაცურ ალლოს. თუმცა ავტორი მოთხრობაშივე აღნიშნავს, რომ ალლოზე ასეთი წარმოდგენა იმთავითვე მცდარია: „არავითარი მამაკაცური და ქალური ალლო არ არსებობს. არსებობს ჩვეულებრივი ადამიანური ალლო, რომლის გამოვლინების შემთხვევაში, მამაკაცები ქალურად, ქალები კი მამაკაცურად ნათლავენ (იშვიათად – პირიქითაც ხდება)“, – აღნიშნავს მოთხრობის პერსონაჟი.

მოთხრობა მეორე პირისადმი მიმართვის ფორმითაა დაწერილი, თითქოს ავტორი იხსენებს, წარსულში იჩხრიკება, საკუთარ თავს ესაუბრება, ეკამათება და ცდილობს, ჩვენც, მკითხველებიც, დავგასწროს ამ ფაქტს.

ტექსტის დასაწყისი – მოკლე (მაგრამ არსებითი) კითხვებისგან შემდგარი მომცრო აბზაცი – ბეგბედერის „ექსტაზის“ ალუზიას აჩენს. თუმცა, სულ პირიქით – იმ დროს, როცა ჯავახაძის ეს მოთხრობა დაიწერა, ბეგბედერი „რეკლამშიკად“ მუშაობდა და კალამი (თუ კლავიატურა) გაცილებით გვიან მოსინჯა, ასე, 10-ოდე წლის მერე.

ყოფით თემებთან ერთად ავტორი შემოაპარებს ხოლმე ფილოსოფიურ, ეგზისტენციურ საკითხებსაც, ოღონდ უმტივირებულად, ისე, რომ ტექსტის

სადა ფაქტურა არ დაირღვეს.

მოთხრობა „კოლია“ ორი სხვადასხვა ეროვნების ადამიანის შინაარსიან ურთიერთობაზეა აგებული. მტყუველი დიალოგები და მასში გაბნეული ცოცხალი იუმორი მას კარგად საკითხავს ხდის, თუმცა ფინალი საკმაოდ სევდიანი და პირქუშია.

სამაგიეროდ „ადამიანი zero“-ს ფინალი გაცილებით ოპტიმისტური და სასიამოვნოა.

„ადამიანი zero“ არის მოთხრობა ადამიან zero-ზე, ადამიან ნულზე, ადამიან მომხმარებელზე, რომელსაც ყველაფერი დაანგარიშებული აქვს და „ცივი ოფლი ასხამს, როცა მეზობელი გადაწყვეტს, შეწყვიტოს ამქვეყნიური არსებობა და სული უფალს მიაბაროს“, რადგან „ყოველი გროში გამოანგარიშებული აქვს“. მაგრამ ასეთი სტანდარტული, ნაცრისფერი

ადამიანების ცხოვრებაშიც ხდება ხოლმე გარდამტეხი, გაუთვალისწინებელი ფაქტები. და, როგორც წესი, ეს „გაუთვალისწინებელი ფაქტი“ სანააღმდეგო სქესისაა ხოლმე. ამ შემთხვევაში მორალური დილემაა – ან მობეზრებამდე შეჩვეული ოჯახი, ან უჩვეულოდ კომფორტული ცხოვრება საბედისწერო (და საოცნებო) ქალთან ერთად.

რთული მომენტი ნამდვილად. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, მას ნაწარმოებში საკმაოდ სასიამოვნო დასასრული აქვს. დაახლოებით ალბათ მიხვდით – როგორც, თუმცა მაინც აჯობებს თავად მოთხრობა ნაიკითხოთ, ავტორი უკეთ მოგიყვებათ. მით უფრო, რომ ეს სადა და გემოვნებიანი მოთხრობებია – ყოველგვარი განვლვის, გაპრანჭვისა და „გაჯოისების“ გარეშე დანერვილი.

## „ინტელექტი“ ბთავაზოვთ

ედგარ ალან პო


„ყორანი“

ედგარ ალან პოს „ყორანი“ პირველად 1845 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა გაზეთ „ნიუ იორკ ივინგ მირორში“. რედაქტორმა ლექსი მკითხველს ასე წარუდგინა: „ყორანი“ ამერიკული პოეზიის უბადლო ნიმუშია მისი დახვეწილი მხატვრული ჩანაფიქრისა და ლექსთწყობის დიდი ოსტატობის გამო“. პუბლიკაცია მაღევე გადაბეჭდა შტატების ათამდე პერიოდულმა გამოცემამ, შეიტანეს ამერიკული პოეზიის ანთოლოგიებში. გახმაურებული ლექსისათვის, რომელმაც პოს საქვეყნოდ აღიარება მოუტანა, პოეტმა ჰონორარის სახით სულ ხუთი დოლარი მიიღო.

„ყორანი“ პირველად ვაჟა-ფშაველამ გააქართულა 1906 წელს, რითაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა თაობის მთარგმნელთა მრავალწლიან ძიებას, სურვილს, რომ არსებობდეს ლექსის მეტნაკლებად ზუსტი პოეტური ვერსია.

კრებულში შესულია ერთი შედეგის ოცდაერთი ქართული თარგმანი და ერთიც – დაუმთავრებელი, რომელიც **გალაკტიონ ტაბიძეს** ეკუთვნის.

წიგნს ერთვის ავტორისეული ესეი „კომპოზიციის ფილოსოფია“, სადაც „ყორანის“ შექმნის ისტორია და შემოქმედებითი იმპულსებია ახსნილ-გააზრებული.





გიორგი ბუნდოვანი

ოქტაი ქაზუმოვი

ჯგუფ „სტიგმატის“ პოეტური ფილმები

ისტორიაში არსებითად ყოველ ახალ ეპოქას გარკვეულწილად უარყოფლობა ახასიათებს, უფრო სწორად – მოჰყვება ხოლმე. რისი განმაპირობებელიც იმის ილუზიაა, თითქოსდა უკვე მიგნებულიყოს რაღაც კითხვები რაღაც პასუხებზე, რომელთა ფონზეც მანამდელი გამოუსადეგრად, ან ძალადაკარგულად მიიჩნევა. მაგრამ გადის დრო და როცა ეს ალტკინება (მეტწილად კი მოდურობა) ჩაცხრება, გაივლის, გამოფხიზლებული ადამიანები განზილებულის იმედგაცრუებით მიიყუჩებიან ხოლმე საკუთარ თავში. თუმცა ამ ალტკინებას, როგორც ზღვას ლეღვისას, არაერთხელ გამოურიყავს და გამოუჩინებია ისეთი იშვიათი მარგალიტებიც, რომლებითაც აქამდე ვთავმოშწონებთ.

უარყოფლობაზე მოგახსენებდით: უარყოფლობა საერთო თვისებაა, როგორც ახალი თაობის, ასევე მისი უშუალო წინამორბედებისა. პირველის უარყოფლობა ძალზე ხშირ შემთხვევაში წარსულის „ჩამორჩენილობასა და სიბნელის“ გმობაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორეს ყოველგვარ სიახლეში გზასაცდენილობის, სიყალბისა და გადაგვარების შიში თრგუნავს. რატომ? პასუხი ორგვარად შეიძლება გაიცეს: 1) ან ვერ ხვდება სიახლის საზრისს, 2) ან მართლაც ფსევდოკულტურულია ის, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ ეპოქაში.

თუმცაღა ყველაფერს საბოლოოდ მაინც დრო რომ აკუთვნებს თავის სახელს, ამას ზედმეტი მტკიცება არ სჭირდება. ერთი კია, რომ დღესდღეისობით ფორმობრივი სიახლის, როგორც ვითომდა ორიგინალურობის და ამით „გენიალურის“ მიგნების პრეტენზიები ხელოვნებაში უფრო ფსევდოკულტურულ ცნობიერებას ამკვიდრებს ყველგან და ყველაფერში, ვიდრე ამაღლებულს.

„ვილაცამ“ XX საუკუნის დასაწყისში უნიტაზი გამოიწინა, ვითარცა ხელოვნების ექსპონატი, რამაც დიდი ხმაური გამოიწვია, რადგანაც მასში ერთგვარი უარყოფლობა დაინახეს ხელოვნების ჩარჩოებისა და ამ ჩარჩოებისგან მოყირჭებულობისა. **მარსიანი**

სამართლიანად მიიჩნევეს, რომ უკვე ჩვენს თანამედროვეობაში ასეთი გამოხედომების დრო წასულია. მე კი ვიტყვი, რომ უფრო მეტიც, ეს ქმედება როგორც ერთგვარადი აქტი მხოლოდ ერთგვარად ეფექტურია (ან იყო), თორემ არც სკულპტურას, არც მხატვრობას ეს არ აუტაცია და თავის შთაგონების წყაროდ არ გაუხდია. რატომ? იმიტომ, რომ ხსენებული საგანი ჩვენ ვერ აღვამაღლებს, ესთეტიკურ ტკბობას ვერ მოგვანიჭებს და ა. შ.

წერილისთვის ამხელა შესავალი იმისათვის დამჭირდა, რომ პოეტისა და არტისტის **გიორგი ბუნდოვანის** და მისი ჯგუფის – „სტიგმატის“ ფილმების მაცურებელს ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც ის აზრი გაგიჩნდება, რაც ამ შესავალშია გაცხადებული. მაგალითად, არის თუ არა ეს უარყოფლობა? რაიმე პრეტენზიების მქონე მკვდრადმოხილი წამოწყება? და ა. შ. რაც ნება-უნებლიედ კრიტიკულად განგანყოფნის ფილმების მიმართ და წინასწარ დაგდაბავს კიდევაც. მაგრამ მთავარია მცირეხანს დააკვირდე, რომ მყისვე აღმოაჩენ საშენოს და ამდენად საინტერესოსაც.

2009 წლის მარტში პოეტმა გიორგი ბუნდოვანმა „კავკასიურ სახლში“ პოეზიას პანაშვიდი მოუწყო, რითაც თავისი, როგორც პოეტის პოეზიასთან (ვითარცა უკვე ხრწნად ფენომენტთან) გამომშვიდობების მანიფესტაცია მოახდინა, რამაც როგორც მოსალოდნელი იყო და სრულიად ბუნებრივადაც, არაერთგვაროვანი დამოკიდებულებანიც წარმოშვა როგორც „პანაშვიდზე“ დამსწრე საზოგადოებაში, ასევე მის გარეთაც. მაგრამ ის სინამდვილედ, რომ პოეზია მხოლოდ სტრიქონთა თუ აზრთა გარკვეული სიმწყობრით დალაგება არაა, რასაც ჩვენ ლექსს ვუნოდებთ და რომ იგი მეტ-ნაკლები ოდენობით თითქმის ყველაფერში ვლინდება, გვაგულვებინებს, რომ გიორგი ბუნდოვანი, სწორედ მის (ე. ი. პოეზიის) ვერსიფიკაციულ გამოხატულებას ემშვიდობებოდა და მართლაც მას შემდეგ წელიწადნახევარი არსად არაფერი გამოუჩინებია ლექსის სახით, და რო-

გორც თავად ამბობს: – პოეტური მარხვა შეინახა ამ ხნის მანძილზე. თუმცა თავისი ფილმების პრეზენტაციებისას დასძენს ხოლმე: „მე უკვე ფილმებს ვიღებ და რაც რამაა ჩემში პოეტური, უკვე ფილმების საშუალებით გამოიხატება“. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ კავშირი მასსა და პოეზიას შორის მაინც გრძელდება.

ეს ფილმები, როგორც მისი ავტორი აცხადებს, არ არის ფართო მასებისთვის განკუთვნილი, დაბალი რეზოლუციისაა და კუსტარულადაა გადაღებული. ფილმების წარდგინებისას ეს ნათქვამი მაყურებელს იმთავითვე განაწყობს იმისათვის, რომ მას საქმე ექნება ისეთ ფილმთან, რომელიც ვერ დაიკვეხნის და არც აქვს ამის პრეტენზია, მაღალი ხარისხით და მას (მაყურებელს) ერთადერთი – იდეისა და განწყობის მოხელთება დარჩენია. ერთი შეხედვით მაყურებელს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ფილმითა ერთადერთი ლოგიკა მისი ულოგიკურობაა. უფრო სწორად, ფილმის აღქმა ჯერ ასეთი განაფიქრით იწყება, მაგრამ თუ ცოტა უკეთ ჩააკვირდება, იგი იქ მართალია წინდან დაუგეგმავ (თუმცა ამ მხრივ გამონაკლისებიც არსებობს), მაგრამ მაინც სპონტანურ სიუჟეტურ რკალსაც აღმოაჩენს. რატომ სპონტანურს? იმიტომ, რომ წინასწარ არავინ იცის (თვით არტისტმაც კი) თუ როგორ განვითარდება, რა კალაპოტით წაიყვანს არტისტი სიუჟეტს. იგი თავისუფალია თავის გადანყვეტილებებსა და მოქმედებებში, რაც გულისხმობს სრულ იმპროვიზაციას. რამდენადაც არტისტილია ადამიანი, მით უფრო საინტერესო გამოდის ფილმიც და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ფილმსაც თავისი სახელი.

ცნობილი ნათქვამია – „სერიოზულობიდან კომიკურობამდე სულ ერთი ნაბიჯია“, ეს ფრაზა ყალბი სერიოზულობის კომიკურობას ამხელს და გარდა ამისა, ყოველი შეჭმუხვილი წარბების უკან გულიანად მოცინარიც, მეოცნებეც რომ დგას, იმაზეც მიანიშნებს. ალბათ რამდენ ადამიანს წარმოუდგენია საკუთარი თავი, რომელიმე გმირის ადგილას სცენაზე თუ გადასაღებ მოედანზე. ან თუ გნებავთ რეჟისორად რომელიმე საყვარელი ნაწარმოებისა და ა. შ. არა აქვს მნიშვნელობა იმ პიროვნებას მოექცევა საამისო ნიჭი და გაქანება თუ არა, დრო და შესაძლებლობა თუ არა. მთავარია რომ ნდომებია, უნდა და გულიც დან-


ყვეტია აღუსრულებლობის გამო. ამ ნათქვამის საილუსტრაციოდ ევროპული სინამდვილის კარნავალები გამოდგება, კარნავალში ხომ თავისი შესაბამისი ჩაცმულობითა და ქცევებით ადამიანები იმას განასახიერებენ, ვინც მოსწონთ. ზოგი მეკობრეა, ზოგი რაინდი, ზოგი რომელიც ცხოველი ან თუნდაც ზღაპრის გმირი. და რა არის კარნავალის უმთავრესი მიზანი და არის? მხოლოდ გართობა? არა, სურვილების თუნდაც დროებითი რეალიზება, გამოჩენა, ტკივილად ნაქონიების შემსუბუქება. გართობა მეორეულია, მართალია მისი უმთავრესი, მაგრამ მაინც ატრიბუტია. ასეთად მიმაჩნია გიორგი ბუნდოვანის „პოეტური ფილმებიც“, თუმცა იგი ისეთივე პომპეზური არაა, როგორც კარნავალი და ეს მას ბევრსაც დააკლებდა ალბათ – მე ამ შემთხვევაში „სურვილების გახარჯვას“ ვგულისხმობ უფრო, როცა ეს სერიოზულობაც გლლის კაცს და მოგყირჭებია უკვე.

და ამ გადასახედიდან გიორგი ბუნდოვანის „პოეტური ფილმები“ ერთგვარი კათარზისის როლსაც ასრულებს, ამ სიტყვის ყოველთვის არა ესთეტიკური, მაგრამ სამაგიეროდ უმრავლეს შემთხვევაში თერაპიული თვალსაზრისით, რადგან მასში უხვადაა მოცემული მედიტაციური და ტრანსული, ზოგიერთ შემთხვევაში კი დეპრესიული მომენტები.

ცალკე სასაუბროა ფილმებისთვის შერჩეული მუსიკაც, რომელშიც ასევე ხშირად დომინირებს ინდური სამყაროდან მოხმობილი მოტივები, რაც ძალზე ორგანულად ერწყმის სიუჟეტს, ავსებს მას. მაგალითად ამ თვალსაზრისით გამოვყოფდი ფილმისთვის „მღვიმის კაცი“ შერჩეულ ინდურ სამედიტაციო გალობას, რომელშიც მხოლოდ ერთი, მაგრამ ინდუიზმისთვის საკვანძო გამოთქმა „აუმ“ ისმინება.

გიორგი ბუნდოვანის ფილმები ამოსაცნობად, საინტერპრეტაციოდ გვეძლევა. ზოგჯერ ჩვენ თავად გვინებს დავეუკავშიროთ ფილმის სიუჟეტი და სათაური ერთმანეთს, სწორედ ამოცნობილი თუ რაიმეს მინიშნებად აღქმული მოქმედებების გაშიფრისდა კვალდაკვალ. ხოლო რაც შეეხება დასკვნას, იგი ყველას საკუთარი მსოფლმხედველობიდან, გემოვნებიდან, მრწამსიდან და შეხედულებებიდან გამომდინარე გამოაქვს, რისთვისაც ფილმები საკმაო მასალას იძლევიან ანუ ქმნიან მეტად კარგ ფონს სამსჯელოდ...

„ინტელექტი“ ბთავაზობთ




მამუკა ნიკლაური

100 ლექსი

„მამუკა ნიკლაურის ლექსები, ალბათ, ვერ მიანიჭებს კმაყოფილებას იმათ, ვისთვისაც პოეზია მომხიბლავი ილუზიაა, შვევის ბალია. ამ ნიგნში ილუზიები გაფანტულია, ბალი – დამჭანარი, ოცნება – ფრთაშეკვეცილი. ავტორი დაუფარავად აფრთხილებს მკითხველებს: „აქ ნურვინ მოხვალთ სურნელოვან ყვავილებისთვის, ანდა ფორთოხლის ტკბილი წვენიისთვის“. პოეტი მწარე ნაყოფს გვთავაზობს, რომელსაც „ხე ცნობადისა“ იძლევა. იგი იმათ საზრდას, ვინც შინაგანად ჭვრეტისა და განსჯისაკენ არის მიდრეკილი.

მამუკა ნიკლაურის მიერ დახატული სინამდვილე ერთგვარად მოულოდნელია მკითხველის ტრადიციული წარმოსახვისათვის. პოეტის მიმართება სამყაროსთან გამოკვეთილად დისპროპორციულია. ნაცნობი თემატიკა – მთა, ბავშვობა, მამული – თავისებური, განსხვავებული კუთხით არის აღქმული, რის გამოც შეუთანხმებლობის განცდა უფრო საგრძნობია. ჩვენ სიყრმიდან ვიცნობთ იმ მთას, სადაც ყელმოღერებით დგას პირიმიზე, ხოლო მინდორში დედოფლის თვლები – ყვავილნი „ბზინვენ“. მამუკა ნიკლაურის პეიზაჟები მოკლებულია ფერადოვნებას. ეს იმის გამო არ ხდება, თითქოს პოეტი გულგრილი იყოს ფერებისადმი. მიზეზი სხვაა: „მოკვდა პირიმიზე“, „ამოახრჩვეს დეკის ყვავილი“. მათ ნაცვლად მთის კალთებს ყინულისა და თუჯის ყვავილები მოსდებია...“

(ფრაგმენტი თეიმურაზ დოიაშვილის წინასიტყვაობიდან)



ნინო ვახანია

**ქველი, წარმართი კოლხების შთამომავალი**

(არჩილ ფირცხალავას 100 ლექსი, „ინტელექტი“, 2010)

დიდი ხანია კაცობრიობა დარწმუნდა, რომ სამყაროს შესაცნობად, ჭეშმარიტების გასაგებად, სრული ჰარმონიის მისაღწევად არ არის საკმარისი მხოლოდ აზროვნება. როგორი პერიფრაზითაც უნდა გამოვიყენოთ რენე დეკარტეს ცნობილი სიტყვები: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, ყოველთვის მაინც კნინ, არასრულყოფილ განმარტებას მივიღებთ ადამიანის არსებობისა. ცხადია, არც მარტო გრძნობადი შემეცნება, არც გრძნობისა და გონების შერწყმა-შეერთება არ განაპირობებს, არ განსაზღვრავს უცნაურისა და უთქმელის წვდომას. რაღაც უფრო მეტი, უფრო სხვა, უფრო იდუმალია საჭირო. სამყაროს სულის შესაგრძნობად, უფალთან კავშირის დასამყარებლად ღმერთს სიტყვა გაუჩენია. „პირველითგან იყო სიტყუაი“. სიტყვა, რომლის შინაარსიც მხოლოდ პირდაპირი მნიშვნელობით არ შემოიფარგლება. ჯადოსნური სიტყვა, თავის თავზე აღმატებული, სიტყვა სიყვარულისა და რწმენისა, საკრალური, მოკლედ, პოეტური სიტყვა. მხოლოდ პოეტი ჭვრეტს კაცთაგან დაფარულს, პოეტი გვახლოებს სიმართლესთან, პოეტს აქვს ძალა და შესაძლებლობა საგანთა და მოვლენათა სულის გახსნისა. პოეტის სიტყვას და სიტყვის იქით ნაგულისხმევს შეუძლია შეგვაგრძნობინოს ეჭვიც, ნუგეშიც, მარცხიც, გამარჯვებაც, სიმწარეც და სიხარულიც... პოეტი მიუზადება ჩვენს სულს „ცად მაღლა“, ჩვენზე უფრო ნათელის, ჩვენზე უფრო სრულქმნილისკენ, რომლის სახედ და ხატად ვართ გაჩენილნი და ურომლისოდაც არ გაგვეძლება.

ამ უცნაური და ამაღლებული სიტყვის, ნამდვილი, წრფელი პოეზიის მაღლს აზიარებს მკითხველს არჩილ ფირცხალავას ლექსები, გამოცემული

„ინტელექტის“ პოპულარული სერიით „100 ლექსი“. კრებულის შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი ლევან ბრეგაძე საინტერესოს, უცნაურს, შთამბეჭდავს... უწოდებს პოეტის შემოქმედებას, ხოლო თავად ავტორს ასე მეტყველად ახასიათებს: „სხვა კაცი იყო“.

ვარსკვლავიან ცასა და თვალწინ დაფენილ ქვეყანას გადაშლილი ნიგნივით კითხულობდა და სული წმიდის მადლით შექმნა სიზმარივით მშვენიერი და მოუხელთებელი სტრიქონები. ყოველდღიური ყოფის პატარა პატარა წუხილთა თუ მოკრძალებულ სიამეთა ტვირთს ლექსთან, სიტყვასთან პირისპირ, მარტო დარჩენილი იხსნიდა ხოლმე უსაზღვრო ტკივილის ფასად, გაშიშვლებული ნერვებითა და სულით სხვას, მკითხველს უქმნიდა სევდიან და ამაღლებულ სამყაროს.

არჩილ ფირცხალავასთვის ახლობელია, „მოშინაურებულია“ ყველა ადამიანის ფიქრი, – ფიქრი საერთოდ. ფიქრი, რომელიც ადამიანს აამაღლებს, განწმედს, გაამშვენიერებს. სახრიანი სოფლელი ბიჭის ფიქრები, პოეზიად გარდაქმნილი, თავისთავად მშვენიერია და უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს სურათი თან მოიყოლებს ფიქრებს გაუქმებულ სამრეკლოებზე. პოეტი, რა თქმა უნდა, თავისი დროის შვილია. ოღონდ უღმერთო საზოგადოებაში მცხოვრები, გრძნობს პასუხისმგებლობას წარსულის ლანდებისა და მომავლის წინაშე. მაშინ, როცა ადამიანებზე ღვთიური მადლი აღარ გადმოდიოდა, პოეტი წერდა:

გაუქმებული სამრეკლოები  
თავს მახსენებენ  
და ვით მეგობარს  
მეფერებიან მუქი ჩრდილებით.

არჩილ ფირცხალავა ლექსით და ლექსში ცხოვრობდა. ყოველდღიურ



რეალობას ლექსად გარდათქვამდა. მისთვის „ერთ დროს ცას ლექსებად ეკიდნენ ჩიტები“, მაგრამ ავმა, საზარელმა, მუხთალმა სენმა თითქოს შეჯიბრში გამოიწვია, თითქოს გაუქრო ხალისი, ნება და უნარი ლექსის წერისა, თუმცა პოეტი სიკვდილს როდის შეშინებია!

ლადო ასათიანივით შეუდრეკელი, თავის საკრალურ მისიაში დარწმუნებული, იგი საკუთარ თავს და ყველა პოეტს ამხნევებდა:

იარე!  
იარე!  
თამამად იარე!  
დიდ ბოდის მოვიხდით ყოველგვარ  
სნებასთან,  
ტივილს რა ხელი აქვს პოეტის  
ნებასთან,  
პოეტი ათასებს უკურნებს იარებს,  
იარე!

და რაც უნდა გტანჯოს ნუთისოფელმა, რაც უნდა მახე დაგიგოს და გათრიოს, „სიყვარულს მაინც არ განერიდო“, – გვირჩევს თავად ამქვეყნად სიყვარულისთვის მოვლენილი ადამიანი. მან იცის, რომ სიცოცხლით ტკობა ცოტა რამეა, რომ „უფრო მეტია მარადისობით ტკობა“.

ამ კრებულში შესულ ლექსებს სიკვდილის აჩრდილი თან დაჰყვება. და ისიც იგრძნობა, რომ პოეტმა იცის საკუთარი ფასი, იცის ნათქვამი სიტყვის ღირსება და თვისება. იცის, რომ ხალხში, ერში „გადაგდებული“ სიტყვა არ იკარგება, არ ქრება, ავტორისგან დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობას და მარად მოჰყენს „ზეციური რწმენის მაღლს“.

არჩილ ფირცხალავას რჩეულ ას ლექსში რამდენიმე თემის, ვარიაციის, ციკლის გამოყოფა შეიძლება. ერთი გამოკვეთილი თემაა დედის სახე, დედის, არა მარტო ყოფით, რეალისტურ პლანში, არამედ სიმბოლურ ასპექტში გააზრება. პოეტის „სანთელივით სპეტაკ დედას“ მარიამი ჰქვია. ავტორი არ კეკლუცობს, არ აჭარბებს, არ აიგივებს დედა მარიამს ღვთისმშობელთან, თუმცა კარგადა აქვს გააზრებული მისი და საერთოდ, ყველა დედის დიდი მისია, „დანიშნულება და საღმრთო ვალი“. და მაინც, სხვათაგან

განსხვავებული, უფრო მძიმე, უფრო ძნელია ჯვარცმული, ტანჯული კაცის – პოეტის დედობა:

დედაჩემი არაა მარიამ ღვთისმშობელი,  
მაგრამ დედაჩემი პოეტის დედაა.

დედა ამ ლექსებში ხან დიდი ხნის უნახავი შვილის მოლოდინში გათეთრებული და ამ ჩუმი, უთქმელი სევდით განსპეტაკებულია, ხან ავადმყოფი შვილის სანოლთან მდგარი „დაისივით წყნარია“ და ირგვლივ სიმშვიდეს ჰყენს, მწუხარებაში ამაღლებული სხვასაც უმსუბუქებს მძიმე ტვირთს... პოეტს ეჩვენება, „სიზმართიდან გამოვიდა იმედი – დედა“ და თითქოს შავი გზა ნათდება, გასხვიოსნდება, „ვარდისფერ გზად“ იქცევა. გულწრფელ სამადლობელს აღუვლენს ზეციერს:

მადლობა უფალს, თუ მოკვდები  
დედის ხელებში,  
თუ დედის ცრემლი ავგაროზად  
დამეკიდება.

ლექსი „კიდევ ცოტა ხანს“ ავტორის აღსარებაა, თვითგვემეა, მონანიებაა. „ეკლიანი“, „ლორლიანი“, „ჯავრიანი“ შვილი დედის წინაშე თავს დამნაშავედ, შემცოდედ გრძნობს.

ამ უნებლიე ცოდვისგან არავინ არის დაზღვეული და თავისუფალი ამქვეყნად, მაგრამ პოეტი თავისი გაშიშვლებული, ფაქიზი, სუფთა სულით სხვაზე მძაფრად, სხვაზე მტკივნეულად, სხვაზე მომეტებულად ნითლდება სირცხვილისაგან და თანაც „მზეს – როგორც დედის კალთას“ ეფარება. ლოცვას აღუვლენს შვილი დედას, რომლის სახეცაც ლექსის ბოლოს ღვთისმშობლის სახეად მაღლდება. სტრიქონებს შორის ვხედავთ ლოცვად დამდგარ, თვალცრემლიან მგოსანს, გვესმის მისი ლაღადისი, რწმენითა და სიყვარულით გაჯერებული:

დამიცავ მოყვრის ღალატისგან,  
კიდევ ცოტახანს  
მტრებისაგან დამიცავ, დედი  
ნუ, სახიერო  
ნუ, კეთილო,  
ნუ, სასოებავ,  
ნუ დაიღლები სიყვარულით.

პოეტს აქვს ყველაზე ძვირფასი და მშვენიერი საუნჯე – ფიქრის უფლება

„პრტანუჯი“  
ბთაჰაზობთ



ბატოვან აზრთა კრებული

(შეარჩია და თარგმნა  
ბაჩანა ბრეგვაძემ)

დიდი მოაზროვნების, მწერლების, რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეების ფრთიანი გამონათქვამები – ორიგინალიდან თარგმნილი და ანბანურად დალაგებული.

ძველი ნელთალრიცხვის ფილოსოფოსებიდან უახლესი ლიტერატურის თვალსაჩინო სახელებამდე.

მარკუს ავრელიუსი, ალბერტ აინშტაინი, ხორხე ლუის ბორხესი, ბერტოლდ ბრეხტი, თეოდორ დოსტოვესკი, მაჰათმა განდი, ჯორდანო ბრუნო, პეტრე კაპიცა, ეჟენ იონესკო, ჯონ კენედი, რიუნოსკე აკუტაგავა, მიგელ დე უნამუნო, სტენდალი, გუსტავ ფლობერი, არტურ შოპენჰაუერი, ვიქტორ ჰიუგო... 200 ავტორის 3000-მდე რჩეული გამონათქვამი ერთ ნიგანდ.



და ნაგრძნობის სტრიქონებად გადმოცემის უნარი.

მარტოოდენ შენ შეგიძლია,  
შენ – ადამიანს შეგიძლია  
ჯვარს დაემსგავსო.

– თავისუფალი ნების გამოხატვაცაა, ღრმად ნაგრძნობის „მოკლედ თქმაც“ და თუ გნებავთ, მონოდებაც.

მთელი წიგნი თითქოს გამოთხოვებაა სიცოცხლესთან, მაგრამ არსად არ ისმის სულმოკლე ადამიანის ნუნუნის, მხოლოდ ბუნებრივი სევდა, სიცოცხლის სხვა ფორმით გაგრძელებისთვის მზადება, უზენაესის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა მსჭვალავს თითოეულ ლექსს.

შენთან მე მაინც ვარ ვალდებული  
მშვიდობით ჩემო ლამაზო სახლო,  
მიცდის შავეთი განათებული  
და მარადისი დუმილის ახო

სახლი კი პოეტს, პირველ რიგში, ხალხის გულში აქვს. წინაპართა მძლავრ ნაკვალევზე ააგო თვითონაც ახალი შენობა, თავისი კვალიც ღრმად აღბეჭდა პოეზიაში.

ენანებოდა თბილისი, სადაც „ფინაგენტებს ეჯიჯლინებოდა“, „სახლმმართველობას გულს უწვრილებდა“, პოეტებთან და ლოთებთან მეგობრობდა და ლექსით იწვოდა.

ენანებოდა მშობლიური სოფელიც, რომელიც მუდამ თან სდევდა, სადაც უნდა ყოფილიყო და ენანებოდა დიდი სოფელი – ნუთისოფელი, რომელშიც ცხოვრების შესაძლებლობა ერთხელ ეძლევა ადამიანს. თვითონ მიაჩნდა, რომ ეს შანსი ბოლომდე ვერ გამოიყენა. რა უბრალო და სევდიანად ლამაზია ეს სტრიქონები:

არ გაუგიათ აქ ჩემი მოსვლა  
და ვერც ნასვლას გაიგებს ვინმე

სილამაზის ტრფიალი და ჩვეულებრივში უჩვეულოს დამნახავი და აღმომჩენი იყო არჩილ ფირცხალავა. აბა, ნახეთ როგორაა ამალღებული ყოფითი მოვლენა ამ სტრიქონებში:

ასე მგონია – ლოცვას აპირებს  
გლუხკაცი –  
ხნულში რომ ჩამდგარა  
შიშველ ფეხებით –  
ქუდს მოიშვლიპავს,  
ცას ახედავს,

შუბლს მოიმშრალებს.

ენატრებოდა გარდასული, ეძვირფასებოდა ზღაპრებად და ლეგენდებად მოლწეული, ვინ იცის, როდინდელი ფესვები. ტყაშმაფები თუ როკაპები მისთვის რეალური არსებები იყვნენ, ცრემლით დასტიროდა მაფშალიას სიკვდილს, ავადმყოფობა რა მოსანატრებელია და ენატრებოდა ჩვენებური, ძველებური, ტრადიციული „ბატონები“... თავისკენ ეზიდებოდა ძირი, ლიბო, მიწის ყივილი:

და ქვითინებდა ჯიში წარმართის  
წართმეული ცის უხმო სისველეს

როგორც თვითონ წერს ერთ ლექსში, იგი არ ყოფილა მოზეიმე პოეტი, უფრო ცრემლიანი და დარდინი მელექსე გახლდათ. აზიმზიმებული ბრბოსგან ისედაც განზე გამდგარს –

ესიზმრებოდა სადაც ხშირ ტყეში  
განმარტოებით ჩამდგარი სახლი.

ეს არც ხალხისგან გაქცევას ნიშნავს, არც საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობების ვერდაფასებას, მით უმეტეს, არ ნიშნავს მარადიული ღირებულებებისთვის ზურგის შექცევას. თავისი თავისკენ ჯიუტად და მტკიცე ნაბიჯით მიმავალ პოეტს სამშობლო არასოდეს დავიწყებია. ან დავიწყება რა სათქმელია – საქართველოთი ცხოვრობდა, საქართველოთი სუნთქავდა. წარსულში ეძებდა ძალას და რწმენას, მომავალს შეჰხაროდა, ანმყო ხომ თითქმის არც არსებობს პოეტებისთვის. სამშობლოს ყველა კუთხეს ეტრფოდა, ერთნაირად ეფერებოდა მთას და ბარს. ნიკოლორთქიფანიძის ერთი მინიატურის პერსონაჟივით მასაც სურათი თურუკა „ახსენებდა, აძალებდა, ატკიებდა რალაცას“ და იყო –

მაინც ყოველთვის ქართველი  
დარდით, ოცნებით, ღვიძილით.

სიამაყეს ვერ ფარავდა ცაიშის დანახვისას:

აქ შოთას მზე-ნიგნს თარგმნიდა  
კოლხი ფრანგთა ენაზე

ვაჟას ნაფეხურში ჩამდგარს აღსარებასავით დასცდებდა:

განა სამეგრელო მეცოტავა,  
განა „სისა-ტურა“ დავიფინყე

გრანელის ლანდი არ ასვენებს:

დავდივარ როგორც გრანელის ლანდი  
და თბილისიდან გაქცევას ვლამობ

სიმონ ჩიქოვანის გახსენებისას  
ნატრობს:

ახლა სადმე, სოფლად, მამა-პაპურად  
ერთად ვიდგეთ ღვთისმშობელის წინაშე

ყველაფერს, რაც ამქვეყნად ხდება,  
ღვთის ნება, უზენაესის მარადიული  
მზერა განსაზღვრავს, ღვთის მი-  
წიერი გამოხატულება, მზე, საკრალ-  
ური, მითიური, ყოვლისმომცველია  
ამ ლექსებში. ძველი, წარმართი  
კოლხების შთამომავალი პოეტი თა-  
ვადაც ლოცვას აღუვლენს მზეს – სუ-  
ლივით თავისუფალს. მისი ძალისა და  
გავლენის სიტყვით გამოთქმა ძნელია,  
მაგრამ ავტორი სასწაულს ახდენს.  
თავადაც ძველ კოლხად გარდაიქმნე-  
ბა, ღვთის წინაშე მინას რომ იყრიდნენ  
თავზე, ვითომ ცოცხლად იმარხებოდ-  
ნენ. სათხოვარი, სახვეწარი, სანატ-  
რელი და საოცნებო კი ერთი აქვთ იმა-  
თაც და ჩვენც:

გინდა ვედრებად ჩაგვითვალე,  
გინდა შეკედლებად ჩაგვითვალე,  
გინდა განდგომად ჩაგვითვალე  
ჩვენ სხვა ანდერძნამაგს

არვის ვუბარებთ,  
ვივლით საფლავებად,  
მუხად და ძელქვად,  
ოღონდაც ყველა ქართველს  
ქართველი ერქვას,  
ქართველი ერქვას – თავისუფალი!

მამული მისთვის სიგრძით კი არა,  
სიმალით იზომება, ამიტომ სულ-  
ერთია, ხარს რა ერქმევა – ლომა თუ  
ჩელა, ან ქალაქში მყოფს რა მოენა-  
ტრება – ოდოჟლერი ყანა, ხარი თუ  
ვენახი, მთავარია, შენი სოფლის, მამ-  
ულის, სამშობლოს ცა ნამუსის ქუდად  
გეხუროს კაცს საქვეყნო გზებზე.

გულწრფელად სურს პოეტს სამას  
არაგველს სამასმეერთედ მიემატოს  
და საოცარ პირობას, ფიცს დებს  
ღვთისა და ქვეყნის წინაშე:

მერე კი...  
მერე,  
როცა წავალ, ჩავიდევნებთ,  
მოვალ ბალახად,  
ცხენის საძოვ ბალახად მოვალ  
და  
ისევე შენთვის გავაგრძელებ ყოფას,  
მამულო.

## „ინტელექტი“ გთავაზობთ

### მიხეილ ჯავახიშვილი


„უბის წიგნაკებიდან“


მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგ-  
ნაკებიდან“ – ქრონოლოგიურად დალ-  
აგებული ფრაგმენტული ჩანაწერები – ის  
უნიკალური მასალაა, რომელიც ჩაძიებას,  
ჩალრმავებას, ამოცნობას, შესწავლას  
საჭიროებს და აფართოებს დაინტერესე-  
ბული მკითხველის თვალსაწიერს.

მწერალი სრულიად შეგნებულად  
და მიზანმიმართულად ქმნიდა თავის  
ჩანაწერებს. თავადვე აღნიშნავდა: „დღეში  
ათიოდე აზრს, ნახულს და გაგონილს ვიწერ  
უბის წიგნაკში. ეს ამბავი ჩვენს მწერლებს  
სასაცლოდ არა ჰყოფნისთ. ასე იცინი-  
ან ზულუსები და ბუმბენებიც, როცა ევ-  
როპიელი კბილებს იხეხავს“.

ჩანაწერებიდან აშკარად ჩანს, რომ მიხ-  
ეილ ჯავახიშვილის პირადი და შემოქმედებ-  
ითი ცხოვრება აღსავსე იყო აღმასვლებით,  
უპირატესად კი კრიტიკით, ლანძღვითა და  
მუქარით. ფურცელ-ფურცელ იძენებოდა  
მისი სულიერი ბიოგრაფია და მხატვრული  
ძიებანი. გამბედაობითა და შორსმჭვრეტ-  
ელობით იკვეთებოდა ის „წყველა-კრულ-  
ვიანი“ საკითხები, რომელიც მეტად მწვავე,  
სიცოცხლისუნარიანი, რეალისტური ტენ-  
დენციები აღმოჩნდა.

თქვენ წინაშეა დიდი მწერლის ვნებანი –  
უამრავი ყოფითი, ეროვნული, სოციალური  
თუ ლიტერატურული საიდუმლოს ამოსახ-  
სნელად.





**ზეინაბ სარია**

**„ბოლომდე დავრჩი უღებ პოეტად“**

(ანუ ჰერმენევტიკული რეფლექსიები რენე კალანდიას ლექსებზე)

განცხრომით მცხოვრებნო, კეთილდღეობის მოყვარულო შემოქმედებო, წუთით მაინც თუ გსურთ იგემოთ ჭეშმარიტად პოეტური ცხოვრების შეულამაზებელი სინამდვილე, ესტუმრეთ ქართველ პოეტ რენე კალანდიას ზუგდიდში, ქუთაისის ქუჩის 62-ში. მის ბინაში უფლის ანგელოზს დალანდავთ, ღვთაებრივი სილარიბის სუნთქვა მოსწვდება ყურთასმენას. ელექტროგაყვანილობის ხარვეზით თუ ბედისწერის რომელიღაც იდუმალი გამოვლინებით სახლს ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. ამჟამად პოეტი, ჩვენი საამაყო თანამოძმე, ავტოფარეხის ზედა სართულზე ცხოვრობს. მისი სამყოფელი – ეს არის მოუწყობელი დარბაზი, რომლის კედელი იატაკიდან ჭერამდე წიგნების საბინადროდ ქცეულა. ყველგან, საითაც კი გაიხედავთ, წიგნებია: მაგიდაზე, ფანჯრის რაფაზე, სკამებზეც კი... და ეს რა გასაკვირია იმგვარი დიაპაზონის შემოქმედისათვის, ისეთი ლიტერატურული გურმანისათვის, როგორცაა რენე კალანდია, რომელიც დღეში 300 გვერდს კითხულობს და გულდადინჯვებით ეძებს ტექსტის ყველა შესაძლო საზრისს, ნაწარმოების პირდაპირ აზრს თუ მის სხვადასხვა შრეს.

გულითადი მასპინძელი გულლიად შემოგეგებებათ. ხელგაშლილი დამხვედრია, ბარაქიანი, უშურველად გაგიმასპინძლდებათ ლიტერატურული სიახლეებით: გადმოგდებთ ნოდარ ტაბიძის „გალაკტიონის“, ამ თითქმის ექვსასგვერდიანი მონოგრაფიის განმეორებით დაბეჭდვის სიხარულს, ხელახლა განგაცდევინებთ თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილი ინდური პოეზიის სიღრმეს; იმ პოეზიისა, ურომლისოდაც არ მოიაზრება საკაცობრიო კულტურა. შემდეგ ჟურნალ „ქართულ მწერლობას“ გადაგიშლით და თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებზე გესაუბრებათ; აჭა-

რელ პოეტს, ზურაბ გორგილაძეს გაგაცნობთ, „ღვინისფერ პოეტს“, რომლის ლექსებსაც, მისივე თქმით, „რქანითელისა და მანავის მოკამკამე ფერი გასდევს“.

გესაუბრებათ ხმამაღლა, ალაღად, უშუალოდ...

მის ცხოვრებაში სიახლეა: გამომცემლობა „ინტელექტმა“ სერიით „100 ლექსი“ რენე კალანდიას კრებული გამოსცა. წიგნის შემდგენელი ივანე ამირხანაშვილი (ადრე თვით რენემ შეადგინა ესმა ონიანისა და გენო კალანდიას კრებულები).

„როდესაც ლექსს ვწერ, სეისმური რყევები ხდება ჩემში“ („პოეტური აღსარება“), – ამბობს ავტორი და მკითხველიც იმ მოლოდინით ხსნის „100 ლექსს“, რომ ეს იგრძნოს;

ხსნის და რწმუნდება, რომ ამ ტექსტების გაგება სულიერი შემეცნების კარგი გაკვეთილია.

ცხოვრების კონტრასტები (წუთისოფელმა კი საშინელი კონტრასტები შესთავაზა: სულის სინატიფე და ცხოვრების ტალახი, სულიერი სიმდიდრე და მატერიალური სიღატაკე, სულიერი აღმასვლა და რეალობაში უმსგავსო ყოფა, არაიშვიათად შემთხვევით ადამიანებთან ურთიერთობა...) მის პოეტურ კონტრასტებში გამოვლინდა: ერთ ლექსში შეუძლია უფალიც ახსენოს და „ქვეშეთ ბერვის“ (საბა) მოდულაციებიც. თავისუფლება შეინარჩუნა, ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ აცდუნა „ოქრო-ვერცხლითა“ და „კარგი ბინით“ (მისივე ლექსიკური ერთეულებია), საკუთარ წიაღში ჩაიბარტყა ცის ათინათი და უგროშკა-პიკოდ უმდიდრესი ადამიანი ამბობს:

„ყოვლადძლიერო, ყაბულს ვარ  
შენს სხივზე – პანანინაზე“.  
(„მთავრობები და პოეტი“)

მისი პირველი კრებული „ხსოვნის ყვავილი“ 1972 წელს დაიბეჭდა და

იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ავტორმა ბრძოლა გამოუცხადა პოეტურ შაბლონს, სიახლის ნიშნით დაგვამახსოვრა თავი. ეს თანამედროვე პოეზიაზე დაწერილ არაერთ წერილში აღინიშნა. (მაგალითად, ჯარჯი ფხოველი, „მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა“, ჟ. „ცისკარი“, 1983 წ., 12, გვ. 101).

საინტერესო ის არის, რომ თვით რენე კალანდიასაც ეკუთვნის პუბლიკაცია, რომელიც კარგ სამსახურს გაგვიწევს ავტორის პოსტულატების გასაცნობიერებლად. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა წერილი, გამოქვეყნებული 1983 წლის 12 „ცისკარში“, რომელშიც 80-იან წლებში ახალგაზრდული პოეზიის გარშემო გამართული დისკუსიის ექო ისმის. წერილს ჰქვია „გათვალისწინება“ თუ პოეზია?“ და დაწერილია გურამ პეტრიაშვილის საპასუხოდ. ავტორმა დამაჯერებლად გამოკვეთა, რომ ნამდვილ შემოქმედს ახალი რაკურსები აქვს, საკუთარი თვალთახედვა; რომ ჭეშმარიტ პოეტებს ყოველთვის „ახალი აღქმა შემოჰქონდათ, რაც აბსოლუტურად უცნობი იყო მათი თანამედროვე მკითხველისათვის. მათმა აზროვნებამ დროს გაუსწრო და სწორედ ამიტომ მონათლეს ისინი... „უცნაურ“, „ბუნდოვან“ და „გაუგებარ“ პოეტებად. „კანონების გათვალისწინებით“ შესაძლოა მოიპოვო სიცოცხლეში ფრიად პოპულარული და ტაშიხვტია პოეტის სახელი, მაგრამ ეს ხომ უპირველესად თავის მოტყუებაა და სხვა არაფერი? ფიზიკური გარდაცვალების დღიდანვე ასეთი „პოეტის“ „რჩეულებს“ ავგიას თავლა ელოდება“ (გვ. 116). მართლაც, როგორც ძველბერძნულ მითში ჰერაკლემ განმინდა დიდი ხნის განმავლობაში გაუსუფთავებელი თავლა, რომელზეც კალაპოტშეცვლილი მდინარეები მიუშვა, სწორედ ასევე, დრო განმენდს ლიტერატურას რიოში მარგალიტებისაგან, გაცხრილავს ღირებულსა და უმნიშვნელოს, გამოარჩევს „ღვარძლსა“ და „იფელს“. სწორედ იმ დროისათვის საიმედო ნაწარმოებებს წერს რენეს კალამი.

როდესაც რენე კალანდიას შემოქმე-

დებას გადაავლებ თვალს, გენიშნება გოეთეს სიტყვები: „თავდაპირველად პოეტი წერს უბრალოდ და ცუდად. მომდევნო ეტაპია, როცა ის წერს რთულად და, აგრეთვე, ცუდად, და ბოლოს, პოეტის მწვერვალია, როცა იგი წერს უბრალოდ და კარგად“. ბატონ რენეს ამჟამად სწორედ ეს პერიოდი აქვს. გაიარა ახალგაზრდული ექსპერიმენტების დრომ. ფრაზა გახდა სადა, გამჭვირვალე, შეიძინა კლასიკური სისადავე. გამოუცდელ მკითხველს შეიძლება შეექმნას აზრი, რომ ასე თვითონაც შეუძლია. აი სწორედ აქ შეცდება იგი. ამგვარი შთაბეჭდილება მატყუარაა. სინამდვილეში სადად წერა ბევრად რთულია, ვიდრე ახალგაზრდულად, ე. ი. ბუნდოვან-ჩანისლულად. ტექსტი ერთი ამოსუნთქვით დაწერილის შთაბეჭდილებას ტოვებს. არა და ეს ლექსები ავტორის სამუშაო მაგიდაზე, როგორც საერთოდ ხდება, რასაკვირველია, კარგა ხანს იდო და დახვეწა-გამალაშინების პროცესები გამოიარა, სანამ საბოლოო სახეს მიიღებდა. ექსპრომტად ღირებული არა იქმნება რა. პირველი მონახაზი სანამ საბოლოო სახეს მიიღებს, პოეტურ ლაბორატორიაში „ჩამოქნის“ პროცესს გამოივლის.


რენე კალანდიას პოეზიაში (როგორც პირად ცხოვრებაში) კელაპტრებად ანთია სახელები სახელოვანი შემოქმედებისა: ოთარ ჭილაძის, შოთა ჩანტლაძის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, თამაზ ჩხენკელისა... თუ გვსურს მის შინასკნელში გავიკვლიოთ ბილიკები, გზამკვლევებად ეს სახელები გამოგვადგება. ავტორი სწორედ მათთან ახდენს სულიერ იდენტიფიკაციას.

გალაკტიონის ტრაგიკული აღსასრულითაა შთაგონებული ლექსი „1959. ჩვიდმეტი მარტი“:

„წვიმს სიმარტოვე. წვიმს სიცივე –  
 სიცარიელე...  
 წვიმს უღონობა. წვიმს დუმილი –  
 სიგიჟის ფონი  
 დაკარგულია, ვეღარ ხედავ ნაპირის  
 ხელებს,  
 წვიმს ჟამის ტყვია, წვიმს  
 სიკვდილი – ცხელი სტრიქონი...“

სიკვდილი – პოეტის უკანასკნელი

„ინტელექტი“  
 ბთავაზოზთ



სოლ ბელოუ

მისტერ სამლერის პლანეტა

სოლ ბელოუმ რომანისთვის „მისტერ სამლერის პლანეტა“ 1971 წელს ნაციონალური წიგნის ჯილდო მიიღო. რომანის მთავარი გმირი, მისტერ არტურ სამლერი პოლოკოსტს გადარჩენილი ადამიანია, რომელსაც მოსვენებას არ აძლევს საფლავიდან თავის დაღწევის მოგონებები. იგი დარჩენილ სიცოცხლეს ნიუ-იორკში, მანჰეტენზე ატარებს. ინტელექტუალი, რომელიც ერთ დროს დასავლური ლიტერატურისა და ფილოსოფიის ბრწყინვალე ნიმუშებზე აღიზარდა, ახლა დროგამოშვებით კოლუმბიის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, სადაც მომავლის შესაძლებლობებისადმი ინტერესი შეიპყრობს და ახალგაზრდობის ტკივილებით ემპათიისკენ მიისწრაფვის.

ინგლისურიდან თარგმნა გვანცა ჯობავამ.



ცხელი სტრიქონი – გარდაუვალია, როდესაც წუთისოფლის უსამართლობა კუპრის ტალღებად აგორებულა და ნაპირი კი გადამრჩენ ხელებს არ უწვდის შემოქმედს. ლექსი გვაგრძნობინებს 17 ნოემბერს დაბადებული და 17 მარტს აღსრულებული პოეტის ავ ბედისწერას; პოეტისა, რომლის ცისქვეშა წუთისოფელი ბინდისფერი იყო. ნაწარმოების ბოლო სიტყვაა „უკვდავება“. ეს ლექსიკური ერთეული შუქითაა სავსე და წინა ტაქტებით ნაქსოვ მუქ ტონალობას მთლიანად გადაფარავს. შემთხვევით არ შეჩერებულა მზერა ამ ლექსზე. ყველა პოეტს გზაზე თავისი წილი ბინდი ელოდება. პოეტები წუთით იხედებიან ერთმანეთის სიმარტოვეში და შემდეგ თავიანთი გზები უხმობთ; გზები, რომლებიც მიძრწიან ყოფით წვრილმანებში. ეგზისტენციალური რეფლექსიები ნიშნეულია რენესანსის, ამიტომაც ვაკრთება მის კრებულში სახელები: კარლ იასპერსი, მიგელ დე უნამუნო, სიორენ კირკეგორი (ეს ცალკე საუბრის თემაა).

ჩემთვის ერთი დეტალია განსაკუთრებით საგულისხმო ლექსში „სიგიჟის ფონი დაკარგულია“ (და არა მხოლოდ ამ ლექსში), რაზედაც ადრე არ მიმიქცევია ყურადღება. რაა სიგიჟე პოეტისათვის? ყველა ადრინდელი წეს-კანონის რღვევა და სიახლის დამკვიდრება ტრადიციული ნორმების შეცვლით მიმდინარეობს. აღიარებულის რღვევა, მით უფრო, თუ ის ყოვლისმომცველია (მიუხედავად იმისა, რომ თუნდაც გალაკტიონის სალექსო რეფორმები უაღრესად მაღალი ზნეობით, დიდ წინაპრებთან მონიწეული თავყვანისცემით მიმდინარეობდა), გა-

რეგნულად ძალიან ჰგავს შეშლილობას, სიგიჟეს. ეს ერთგვარი ფორმაა, რომელიც შემოქმედის აუცილებელ ნიღბად აღიქმება და თავისი ლამაზი სემიოტიკა აქვს: დაუშვებელი შემოქმედისთვის დასაშვებია: წეს-კანონთა დარღვევა და ახალი პირობითობების მოტანა ხელოვნისათვის აუცილებელი რაობაა, პოეტური ცხოვრების ფორმაა. უჩვეულო და უცნაური მისთვის მისაღებია. „ნაბოღარი“ უთვალავი ნიშნით სავსე ტექსტია, ცნობიერების საინტერესო მდგომარეობაა. „სიმლეგე“ რეაქციაა მიუღებელ სინამდვილეზე, პროტესტის თავისებური ფორმაა, ფსიქიკის აჯანყება. „რენელოგიურ მელოდიაში“ არის ასეთი ტაქტები:

„რენეს უნდა შელოცვა,  
რადგან ცხადშიც აბოდებს  
ახირებულ აზრებს და  
მეამბოხე ლექსებსო...“

სულაც არ მინდა დავემსგავსო იმ მიმომხილველ-ცერბერებს, შეუბრალებლად რომ ტკვერავენ („მინაწერი მეგობრის წიგნზე“) ლექსებს, მაგრამ ახლა მომიწევს რამდენიმე ციტატის მოხმობა: „ბოლომდე დავრჩი შლეგ პოეტად“ („საუბარი ქარონთან“) ან კიდევ: „ვწერ: კვენესა – ბოდვას შეშლილის.“ მწერალთა კავშირიდან გარიცხვის კომედიას კი პოეტი ასე შეხვდა:

„ამრა“-სთან ყვითელ კეპს  
მოვისვრი განრისხებული,  
გიჟივით ვხარხარებ:  
ახ-ახ-ახ, ხა-ხა-ხა-ა-ა-ა!“

სწორედ ასეთი მინდა მახსოვდეს რენე და ასეთივე მინდა დაგამახსოვრო, მკითხველო. ამიტომ აქ შევწყვეტ წერას და ბოლო კომენტარი თუ დასკვნა შენთვისვე მომიწევია.

შტრიხები პორტრეტისათვის

ბრენდა ნაითი

ლენორ კენდელი – სიტყვის ალქიმიკოსი

ნიგნიდან „ბიტ თაობის ქალები“

ლენორ კენდელის გაბედული და მშვენიერი პოეზია სინმინდესა და სექსუალურობას, რელიგიასა და ხორციელ ეროტიკას შორის არსებულ ნაპრალზე ხიდის გადების მცდელობაა. ტანტრული სიმბოლიზმით სავსე მისი ნაშრომები ბუდიზმის გავლენას განიცდის და ამავდროულად, სხეულის ნამდვილ ზეიმსაც გვიჩვენებს.

ლენორი 1932 წელს, ნიუ იორკში დაიბადა. ამავე წელს მისი ოჯახი ლოს ანჯელესში გადავიდა საცხოვრებლად, მას შემდეგ, რაც მამამისმა, მწერალ აბენ კენდელმა შეთავაზება მიიღო, მისი რომანის – „დაპყრობილი ქალაქი“ – მიხედვით ფილმი გადაეღო. ფილმში, რომელიც საშუალო კლასიკას წარმოადგენს, მთავარი როლი ჯიმი კენიმ ითამაშა.

თორმეტი წლის ასაკში ლენორმა გადაწყვიტა, ბუდისტი გამხდარიყო და წერა დაეწყო. მან მომდევნო თხუთმეტი წელი სწავლასა და გაუმადლად კითხვაში გაატარა. კითხულობდა ყველაფერს – „რაც ხელში მომხვდებოდა, განსაკუთრებით, რელიგიების შესახებ“. 1959 წელს ის მჯომარე ზაზენის მიმდევარი გახდა. ამ დროისთვის მას ლექსების სამი პატარა კრებული ჰქონდა გამოცემული. 1960 წელს ლენორი სან ფრანცისკოში გადავიდა საცხოვრებლად და ისტ-ვესტ ჰაუსში ბიტნიკ პოეტს, ლუი უელჩს შეხვდა. ისტ-ვესტ ჰაუსის შექმნა გარი შნაიდერისა და ზენის მიმდევარი სხვა სტუდენტების მიერ იყო ინიცირებული.

ლუი უელჩი სან ფრანცისკოს რენესანსის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. მისი გამოჩენა რობერტ დუნკანის მიერ ბეი არეას ყველა პოეტური სკოლის შეკრებას უკავშირდება. დუნკანს სურდა, ბლექ მაუნთინ ქოლექჯის დაშლის შემდეგ ახალი საზოგადოება შე-

ექმნა, სადაც სხვადასხვა მიმდინარეობის შემოქმედებას მოუყრიდა თავს. ლუი დაკავშირებული იყო როგორც ბლექ მაუნთინ ქოლექჯთან, ასევე ბიტნიკებთან, მაგრამ თავს პოეზიის არცერთ სკოლას არ მიანერდა. ის მეგობრობდა ჯეკ კერუაკთან, ლოურენს ფერლინგჰეტისთან და ბუდიზმის მიმდევარ გარი შნაიდერთან.

ლენორი იხსენებს, როგორ დარჩა სან ფრანცისკოში. „სან ფრანცისკოში ჩასვლას ვაპირებდი. გადავწყვიტე, ერთი შაბათ-კვირით ნავსულიყავი და დავრჩი. მოგზაურობისას ლუის და დანარჩენებს შევხვდი და როცა ჯეკი ჩამოვიდა, ყველანი „ბიგ სურ“-ში წავედით“. ასეთი ხეტიალის პერიოდში ლენორმა სხვა ბიტნიკი ქალებიც გაიცნო, მათ შორის, კეროლინ კესედი და ჯოან კაიგერი, მაგრამ მისი უახლოესი მეგობარი დაიან დი პრიმა იყო. მათ ერთმანეთი მაშინ გაიცნეს, როცა ორივე პოლიტიკურ ჯგუფს, დიგერებს შეუერთდა. „ბიტნიკ კაცებს ბევრად უკეთ ვიცნობდი, მათთან უფრო ვმეგობრობდი. ისინი სერიოზულად აღიქვამდნენ ჩემს პოეზიას“. ის ცხოვრობდა ისტ-ვესტ ჰაუსში და შინრიუ სუზუკი რომისთან ერთად სწავლობდა.

„გაუმადლარი მკითხველი“, ლენორ კენდელი, კარგად იცნობდა ჯეკ კერუაკის შემოქმედებას. მის განსაკუთრებულ აღტაცებას ჯეკის „გზაზე“ ინვევდა. კერუაკის პოეტური სტილი მისი ინტერესის საგანი და სტიმული იყო. ჯეკი ლენორის შემოქმედების შთაგონების წყაროდ იქცა. კერუაკზეც ახდენდა შთაბეჭდილებას მისი სიცოცხლისუნარიანობა და ინტელექტი, ისევე, როგორც მისი ფიზიკური სიმაღლე. ეს ალბათ ბიგ სურში უნდა მომხდარიყო – მან ასე უკვდავყო ლენორი: „დიდი, მშვენიერი, რუმინე-



„ყოველთვის მემასხოვრება, როგორ დამხვდა აეროპორტში ყველაზე დანჯღრეული სატივრითო, რაც კი ოდესმე მინახავს, რომელსაც ლენორ კენდელი მართავდა. პატარა დიგერი, დაახლოებით, ორი წლის, სალონში მის უკან იდგა, წელს ქვემოთ სრულიად შიშველი იყო და ჰოთ დოგს ლოლნიდა (რაც შემადრწუნებელი იყო ჩემი მიკრობიოლოგიური გონებისთვის). ჩვენს გარდა სალონის უკანა ნაწილში ადგილი არეულ ხორცს ეჭირა, რომელიც ძაღლისთვის იყო განკუთვნილი. ქალაქში ასე შევედით. ჩემი შვილი ტირილს არ წყვეტდა“.

დაიან დი პრიმა



ლი მონსტრი, იისფერი თვალებით, ძალიან მაღალი... ამავე დროს ჭკვიანი, ძალიან ნაკითხი, წერს ლექსებს, მისდევს ზენს და ყველაფერი იცის..." ის მართლაც მაღალი იყო, უფრო მაღალი და ტანადი, ვიდრე ლუი, მაგრამ ამავედროულად, ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი ქალური აურა. თავის წიგნში, „გზის მიღმა“, კეროლან კესედიმ მას ნაყოფიერების ქალღმერთი უწოდდა.

ისევე, როგორც ბევრი ბიტნიკის შემოქმედება, ლენორ კენდელის წიგნებიც ხშირად იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. „სიყვარულის წიგნი“, მისი ყველაზე ცნობილი კრებული, რომელიც 1965 წელს დაიბეჭდა და რომელსაც თავად ავტორი წმინდა ეროტიკას უწოდებს, შოკიმომგვრელი იყო ყველასთვის. სან ფრანცისკოს წიგნის მაღაზიებში პოლიციის რეიდების შემდეგ კრებული პორნოგრაფიად გამოაცხადეს. სასამართლოს წინაშე წარმდგარმა ლენორმა თავის წიგნს „ღვთისმსახურების საუკეთესო გზის ოცდასამწლიანი ძიების შედეგი“ უწოდდა და შეეცადა „ეჩვენებინა თავისი რწმენა, რომ სექსუალური აქტი სხვა არაფერია, თუ არა რელიგიური რიტუალი შეყვარებულებს შორის“.

მიუხედავად იმისა, რომ 1970 წელს თავის იმდროინდელ მეუღლესთან, ჰელს ანჯელ უილიამ ფრიჩთან ერ-

თად მოტოციკლეტით აგარიაში მოხვედრამ ლენორი საწოლს მიაჯაჭვა, ის მაინც გაუმძღვრად კითხულობს ყველაფრის, განსაკუთრებით კი, რელიგიის შესახებ და ყოველდღე წერს. „ძალიან მნიშვნელოვანია, იყო სიმართლის მქადაგებელი. განსაკუთრებით მაშინ, თუკი შენს სიტყვებს სხვები ისმენენ“.

ერთხელ კენეტ რექსროთმა ქებით მოიხსენია კენდელის სიტყვების სისხარტე და საოცარი ასკეტიზმი, რაც, მისი აზრით, ადამინის სულისა და სხეულის მკვეთრი პარადოქსების არსებობას უსვამს ხაზს. წესების უგულვებელყოფით ლენორი ეძებს ცხოვრების არსს, თავისი პროვოკაციული პოეზიით კი ერთნაირად ეხება გულს და გონებას, ბუდიზმის ძლიერი გავლენა ემოციებს სტროფებად აქცევს და ენითაუნერულ სახე აძლევს.

მისი მშვენიერი და წინააღმდეგობრივი პოეზია, როგორც ძველი, ასევე ახალი ლექსები, დასტურია იმისა, რომ ლენორ კენდელი ნამდვილად არის სიტყვის ალქიმიკოსი.

*მთარგმნელისაგან: ბრენდა ნაითის წიგნი, „ბიტ თაობის ქალები“, 2006 წელს გამოიცა. ამ დროს ლენორ კენდელი ცოცხალი იყო. იგი 2009 წელს, ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა. მას დიაგნოზი გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე დაუსვეს.*



ბასსივოსნების ლექსი

ჩვენ, ყველანი, ვიყავით ძმები, ხამანკებივით უსქესონი,  
დაუდევრად ვფანტავდით მარგალიტებს.

ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო საკუთრება,  
არც დრო, არც დანაშაული.

თვალს ვადევნებდით წელიწადის დროთა ცვლილებას და თოვლივით გამჭვირვალენი  
შეუმჩნევლად ვიცვლიდით ფორმას,  
ვარსკვლავების ბრუნვის მიხედვით.

ჩვენ არ ვიცოდით, რომ არსებობს ქვეყნად ლალატი,  
ჩვენ ვიყავით მარგალიტები,  
დაუდევრად შენირულები.  
ჩვენს გზნებასაც წაერთვა ფერი.

მერე კი ჩვენი მარგალიტი გახდა ძვირფასი, ჩვენი სქესი – უფრო მყარი,  
ძველი გარსიც შეგვეცვალა, შემოგვეზარდა და ენებიც აგვერია –  
სულ სხვა აზრი შეიძინეს ძველმა სიტყვებმა.  
გამოვიგონეთ მალევიძარები  
და საზღვრების ერთგულება  
მოგვეყვება დღემდე. ვთვალთმაცხოვრებ ხალხში,  
თითქოს ისევ უსაზღვროა ჩვენი ფიქრის თვალსაწიერი.

მახსოვს, ყველანი ვიყავით ძმები,  
დაუდევრად შენირულები.



ლენორ კენდელი  
და ტიმოთი ლირი

მცირე ლოცვა დაცემული ანგალოზებისათვის

ჩემი ბევრი მეგობარია ნარკომანი,  
ჩემი ბევრი ტატუირება ხშირად მათში განსხეულდება,  
ზეცას უკვე გაუგზავნეს მანიფესტები – მათი ყოველი ავტოგრაფი  
ჩლიქის მსგავსი ანაბეჭდია, თითებიდან თითებამდე გამოღწეული,  
მათი სისხლიანი რელიგია კალის წმინდა ყელსაბამია –  
ორმოცდაათი თავის ქალა, ერთად აცმული.

კალი-მა, დედაო კალი, კალი-მა, დედაო კალი,  
სისხლისგან იცლებიან ჩემი მეგობრები,  
უდნებათ ვენები,  
გულის ცემას იშვიათად თუ შეიგრძნობენ  
და მათი სისხლი, სხეულში რომ მიმოიქცევა, მღერის სიკვდილის საგალობელს,  
მღერის ცეცხლის ხმით, სიხარულის სიმღერას მღერის,  
მარადისობის ქვიშის ხმით მღერის,  
იმ ქვიშის ხმით, სიცარიელის სივრცეებში რომ გაფანტულა.

კალი, კალი-მა, გახსოვდეს, მინდა, რომ სიცოცხლეც გვიბოძო ისე,  
როგორც სიკვდილი,  
კალი-მა...  
კალი, კალი-მა, გახსოვდეს, მინდა, მოგვეც სინათლე, ნაცვლად  
სიბნელის,  
კალი-მა...  
კალი, კალი-მა, ჩემს მეგობრებს ძელები უდნებათ, მიეცი ფრთები,  
კალი-მა, ცეცხლში გახვეულა მათი თვალები, მიეცი ძალა,  
ნათლად ხედავდნენ.

კალი-მა, სიკვდილს უქადით სისხლი, სიცოცხლე კვლავაც გაახსენე,  
რომ ხელახლა დაიბადონ,  
რომ მათმა სისხლმა გამოჟონოს ყველა ჭიშკრიდან,  
რომ ხელები არ დაეღალოთ – ნუ ეცდებიან დინებების შეჩერებას,  
ახლა მაინც ჩამოისვენონ.

ჩემი ბევრი მეგობარი შთანთქა მარადიული ცეცხლის კვამლმა,  
თეთრმა ნათებამ,  
დაე, იფრინონ უფრო მაღლა,  
დაე, მათ ფრენას ბოლო არ ჰქონდეს.

ინგლისურიდან თარგმნა  
სალომე ბენიძემ



## ჯემალ კასრაძე

### ძია მიშა

„გაგნიძეების სარდაფში ჩასულმა, შორიდანვე დაინახა ჯოდორი და ძია მიშა. ისინი კუთხეში, ამოჩემებულ მაგიდასთან ისხდნენ, წინ სამი ბოთლი ღვინო, ჭიქები, ყველი, პური, მწვანილი და გაშავებული წინაკის მწნილი ელაგათ.

- დაჯექი! – იყვირა ძია მიშამ.
- ეხლავე...
- დაჯექი, რო გეუბნები!
- ხელები დავიბანო რა, კაცო!
- ჰო, მიდი!

როცა ასეთი რიხით ლაპარაკობდა, ძია მიშა ყოველთვის ქეიფის გუნებაზე იყო და კოტე მიხვდა, რომ დღეს დიდი სმა და დავიდარაბა არ ასცდებოდა“.

**ნუგზარ შატაიძის** მოთხრობა „ჭაობის“ ამ ფრაგმენტში ყველა პერსონაჟი რეალურია. ძია მიშა, მწერალი **მიხეილ კეკელიძეა**, ჯოდორი, ლიტერატორის ცნობილი მკვლევარი **ჯოდორ დადიანი**. გაგნიძეების სარდაფი, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ქეიფის მოყვარულთა თავშესაფარი ადგილი იყო. მხოლოდ სახელი კოტეა მოგონილი, სინაღლილეში ის ამ მოთხრობის ავტორი ნუგზარ შატაიძეა.

სამწუხაროდ, აღარც ერთია ცოცხალი. ჯერ იყო და ძია მიშამ გვატკინა გული – საბურთალოს სასაფლაოზე თავი მშობლების გვერდით დაიდო სამუდამო განსასვენებელი. მერე ჯოდორი აღესრულა ანდერძით, სამეგრელოში სოფელ აბადათში დაკრძალეს. ძმებმა გაგნიძეებმაც დატოვეს თავისი წილი წუთისოფელი მათ საბატონოში „ტავერნა ძველებული“ ეგებება სტუმრებს. ნუგზარ შატაიძე კი ორი წელია მივაბარეთ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონს.

დღეს ამათგან ძია მიშა უნდა გავიხსენოთ – მას ასი წელი შეუსრულდებოდა.

ძია მიშამ კაცურად განვლო ცხოვრება. არასოდეს უძებნია თავისი

ნიჭისა და უნარის შესაფერისი თანამდებობები. ერთხელ დიდი ხნის წინ, როდესაც საბავშვო წიგნი გამოსცა, ერთმა გამოჩინებულმა მწერალმა შესთავაზა – შემოდი მწერალთა კავშირში. თან დასძინა, ერთი კაცი გვიანდა მოვიშორეთ და ჩვენი ჯგუფის წევრი გახდებით. ძია მიშას გაღივებია – ამ საქმისთვის არ გამოგადგებო. მისთვის პრინციპების ლაღატი, დროისთვის ხარკის გადახდა წარმოუდგენელი იყო.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“, სადაც სიცოცხლის თითქმის ნახევარი გაატარა, ტრადიცია იყო, ახალ თანამშრომელს ძია მიშას ოთახში სვამდნენ. ეს ერთგვარი განსანმენდელი იყო, რომლის გავლის შემდეგ მავანი რედაქციის სრულუფლებიანი წევრი ხდებოდა.

დაიბადა, ქვემო იმერეთის სოფელ ტობანიერში, ისტორიულ საჩინოში. თბილისის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ცხრა წელი მუშაობდა კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში. 1945 წლიდან გაზეთ „სახალხო განათლებაში“ მოღვაწეობდა. 1953 წლიდან, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“. სხვათა შორის, ამ ჟურნალში ექვსი რედაქტორი გამოიცვალა (ამასთან დაკავშირებით ძალიან მოეწონათ ჩემი ხუმრობა: „წყალნი წაველენ და წამოვლენ, მიშანი დარჩებიანო“),

ძია მიშა ტრილოგიის ავტორია. მისი ისტორიული რომანები „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი“, „ჯვარცმული ქვეყანა“ და „შავი ღრუბლები“ დახლებზე დიდხანს არ გაჩერებულა. რომანის გმირები არიან **სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, პატარა კახი**.

ის ადამიანები, ვისაც საქართველოს ძნელბედობის დროს, დიდ ისტორიულ გზაგასაყარზე მოუწიათ მოღვაწეობა.

ოცი წლის წინ 80 წლის ძია მიშას ვკითხე: განვლილი ცხოვრებიდან

ყველაზე მეტად რა გაგონდებათ-მეთქი.

„- 1919, 21, 24, 37 წლები. 8-9 წლის ვიქნებოდი, ერთხელ მამამ მთელი ოჯახი უნივერსიტეტამდე მიგვიყვანა. იქიდან წყნეთის ქუჩას გავეყვით. ზღვა ხალხი მიდიოდა. გზაში მამას ვილაც ნაცნობი შეხვდა, გადაკოცნა და უთხრა: „გილოცავ 26 მაისს, გილოცავ აღდგომას!“ დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ეხლა ვაკის პარკია, ფერდობზე უთვალავი ხალხი იდგა. დაბლაც ხალხით იყო სასვე. მინდორზე „შევერდნელები“ ლამაზ ვარჯიშებს ასრულებდნენ. მოგვიანებით გავიგე, რომ ხალხი 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ წლისთავს ზეიმობდნენ.

უცებ ჩოჩქოლი შეიქმნა. ჩვენს ახლოს ეტლი გაჩერდა. ხალხი შემოეხვია და ყვავილები დააყარა. ეტლის სახურავი გადაწეული იყო. შიგ თითქმის მთლად გაჭაღარავებული კაცი იჯდა. საოცრად მშვიდი, წყნარი სახე ჰქონდა. ასეთივე დამამშვიდებელი სახე ჰქონდა **კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს**, რომელიც ბევრჯერ მინახავს. უცებ ხალხმა იხუვლა. „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს“, „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს“, „ნოე ჟორდანიას გაუმარჯოს“. ეტლში თურმე **ნოე ჟორდანია** იჯდა. მქუხარე ტაში დიდხანს არ შეწყვეტილა.

1921 წლის თებერვალში, რუსეთის მე-11 არმია რომ შემოვიდა საქართველოში. ტაბახმელასთან გამართული ბრძოლის ხმა დიდუბეშიც გვესმოდა. მახსოვს, ერთხელ დედაჩემი ნამტირალევი მოვიდა. უზნაძის ქუჩაზე რომ საავადმყოფოა, იქ შესწრებოდა, როგორ გამოიტანეს დახოცილი ქართველი ჯარისკაცების 15 კუბო.

25 თებერვლამდე რამდენიმე დღით ადრე მამამ რუსთაველის პროსპექტზე წაგვიყვანა. იქ ხშირად დადიოდა ფრონტის ამბების გასაგებად. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო შეკრებილი, ცდილობდნენ გაეგოთ უკანასკნელი ამბები. დაახლოებით იმ ადგილას, სადაც კავშირგაბმულობის სახლია, სარეკლამო

მო აბრა იდგა. მასზე კარიკატურა იყო გამოკრული – **ლენინი** და **ტროცკი** ერთმანეთს სტაფილოს ურტყამდნენ. ნარწერაც ჰქონდა, მაგრამ აღარ მახსოვს. უცებ ვილაცამ მამას ხელი მოჰკიდა, მიესალმა და უთხრა: ვერ შემოვლენ ეგ ძაღლის შვილები! ვერ მოესწრებიან ამას! აი, შეხედე, ვის სურს ჩვენი დაპყრობა!

პროსპექტზე ორმოცამდე ტყვე წითელარმიელი მოჰყავდათ. ჩამოფხატულ-ჩამოძონძილები.

გამომშვიდობების შემდეგ ვკითხე მამას – ის კაცი ვინ იყო-მეთქი – პოეტი **ნიკოლოზ მინიშვილია**, გვარად სირბილაძეო.


1924 წლის აგვისტოში ბოლშევიკებმა სისხლის ზღვა დააყენეს. უამრავი უმოწყალოდ დახვრიტეს. მათ შორი ჩემი ბიძაშვილი **ალექსი კეკელიძე**, **კორნელი კეკელიძის** უფროსი ვაჟი. იგი მხოლოდ 18 წლის იყო. შედიოდა იმ ქართველი ახალგაზრდების ჯგუფში, რომლებიც თბილისში აჯანყების დაწყების ნიშანს ელოდნენ. მაშინ ბიძაჩემი და ბიცოლა მინადორა კასრადე ქემერტში (ცხინვალის ახლოს მდებარე კასრადეების სოფელი, – ჯ. კ.) ისვენებდნენ. იქ დაეპატიმრებინათ და ერთი კვირა ცოლ-ქმარი გამომწყვდეული ჰყავდათ. მერე გაუთავისუფლებიათ და თბილისში დაბრუნების ნება მიუციათ. ეს თვითონ კორნელისგან ვიცი.

– ჩვენთვის არც 1937 წელს ჩაუვლია უმსხვერპლოდ. ამ წელს დაიჭირეს და დახვრიტეს ბიძაჩემი **ანდრო კეკელიძე**, შესანიშნავი ადამიანი, ცნობილი იურისტი. მისი ცოლი **თამარ აბაშიძე** კი ათი წლით გადაასახლეს. საქართველოში რომ დაბრუნდა, ველარ ვიცანით, საშინელი სანახავი იყო, ნახევრად დაბრმავებულს, დახეული დაბამბული ქურთუკი და შარვალი ეცვა. ამ სულით ხორცამდე არისტოკრატ ქალს დიდხანს აღარ უცოცხლია.

დახვრიტეს მეორე ბიძა **ვენედიქტე ბაკურაძეც**, დედაჩემის ქმარი, ხოლო მისი ქალიშვილი რვა წლით გადაასახლეს.

ჩვენს ოჯახში, ისე როგორც უთ-

„მერიდიანი“ ბთიპვაზობთ



ნიკოლოზ მინიშვილი

პუბლიცისტიკა

„ნიკოლოზ მინიშვილის პუბლიცისტიკა მდიდარია. მწერალი, მრავალმხრივი განათლების და ინტერესების პიროვნება, საზოგადოების არა მხოლოდ კულტურული, არამედ სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების დაკვირვებული თვალმადევალი იყო. თავის წერილებსა თუ სხვადასხვა საჯარო გამოსვლისას გულწრფელად, პრინციპულად, ობიექტურად აფასებდა ქვეყნის ავტარგს და ცდილობდა საკუთარი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და „სხვა ერთა“ შორის ქართველი ერის ღირსეულად წარმოჩენის საქმეში. ამ წიგნით მკითხველი ნიკოლოზ მინიშვილს უფრო ახლოს გაიცნობს და კიდევ ერთხელ დაწინაურდება მის მამულიშვილობაში, რომ ის შინაგანად ყოველთვის მართალი იყო საკუთარი თავის, სამშობლოსა და ხალხის წინაშე, აღიარებდა თუ ეწინააღმდეგებოდა არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს...“

წიგნში მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც შესანიშნავად გამოკვეთს მწერლის შეხედულებათა სიმყარესა თუ ცვალებადობას. მკითხველს შეუძლია შედგინდეს მიადევნოს თვალის, როგორ იცვლებოდა პოლიტიკური ვითარება საქართველოში და როგორ აისახებოდა ეს ნიკოლოზ მინიშვილის სულიერ ცხოვრებაზე“...

(ფრაგმენტი მაია ჯალიაშვილის წინასიტყვაობიდან)



გიორგი შატბერაშვილი



სიმონ სხირტლაძე

ვალაჲ ქართულ ოჯახში, ცრემლი და დარდი იყო გაბატონებული.

ერთხელ კორნელის ვუთხარი, მოგონებებს თუ წერ-მეთქი. გაეცინა. მოგონებები რომ დაგწერო და ვინმემ დამაბეზლოს, ციმბირი სანატრელი გამიხდებოდა. მერე კი რამდენიმე საიდუმლო გამანდო. თურმე 1922 თუ 23 წელს გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე კათოლიკოს პატრიარქ ამბროსის სახელით, ინგილო მღვდელმა რაფიელმა წაიკითხა საქართველოს მემორანდუმი, რომლითაც პროტესტს უცხადებდნენ საბჭოთა მთავრობას და მოითხოვდნენ საქართველოდან ჯარების გაყვანას. საინტერესოა, რომ ეს მემორანდუმი მღვდელმა ხელჯოხით გაიტანა. აი, ამ მემორანდუმის ავტორი ყოფილა ბიძაჩემი, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის თხოვნით შეუდგენია ტექსტი. ამ ფაქტს დღემდე მეც საიდუმლოდ ვინახავდი.

ცოტა ზემოთ კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ვახსენე. იგი გვენათესავებოდა. სოფელ ტობანიერიდან იყო. მამიდაჩემის მახლი გახლდათ. უაღრესად კეთილშობილი და განათლებული ადამიანი იყო. მიზიდველი სპეციაკი სახე ჰქონდა. გათეთრებული თმა-წვერი უხდებოდა, ფრესკიდან გადმოსულ წმინდანს ჰგავდა. ერთხელ, მასთან მივედი სიონში, ძველად გამოცემულ „დაბადების“ პირველი და მეორე ტომი მინდოდა შემეძინა. ვიცოდი თითო-ოროლა კიდე იყო შემორჩენილი. გამომკითხა შინაურების ამბები, მერე მითხრა: არ გეშინია წიგნების წაღება? არ მეშინია-მეთქი, ვუპასუხე. აბა იცოდე, ჩეკა ყოველთვის ამოწმებს, ასეთი შინაარსის წიგნების მიაქვსო. დანერე განცხადება ჩემს სახელზე, რომ სამეცნიერო მუშაობის მიზნით გჭირდება და გთხოვთ, ნება დამართოთ მისი შექმნისაო.

დავწერე და მივართვი, ვილაც მღვდელს გამოუძახა – ეს განცხადება საქმეებში ჩააკარი, ამას კი „ბიბლია“ გამოუტანეო. ოფიციალურად უნდა გადამეხადა 25 მანეთი. ფული მქონდა, მაგრამ არ დამანება, თვითონ გადაიხადა.

მერე მაჩვენა მანქანაზე გადაბეჭდილი თავისი გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე, მითხრა, ივანე ჯავახიშვილს და ბიძაშენს ეს ნაშრომი გასაცნობად გამოუუგზავნე, ორივეს მოენონაო.

შემდეგ, ეს გამოკვლევა, კ. ეკაშვილის ფსევდონიმით „მრავალთავში“ დაიბეჭდა შემოკლებით. რატომ შეამოკლეს, არ ვიცი“.

ძია მიშა 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. გზა და გზა ბევრ მეგობარს ჰკარგავდა და ამას ძალიან განიცდიდა. ამბობდა, ხოლმე ახალგაზრდა მეგობრებთან კარგად ვგრძნობ თავს, მაგრამ ძველებთან უფრო მეტი მოგონებები მაკავშირებდაო.

„სიმონ სხირტლაძე და გიორგი შატბერაშვილი ბევრჯერ მწვევიან გამთენიისას და წაუყვანივარ რომელიმე პურის მცხოვრელი რაჭველის ჭერქვეშ – ახლად ამოყრილ ქართულ პურებთან და ხაშით სავსე ჯამებთან შესაბამელად. მერე გამოჩნდებოდა ღვინოც და დაიწყებოდა სიმონის სადღეგრძელოები. საოცარი იყო, სად ჰქონდა ამ კაცს სიტყვის ასეთი უღვევი მადანი. აღმასივით მჭრელი შედარებები, აფორიზმები, მოულოდნელი ნიაღვრებები.

ერთხელ სიმონთან, გიორგი შატბერაშვილთან, დიმიტრი გურგენიძესთან და კიდეც ორთან (სახელები აღარ მახსოვს) რესტორან „ყაზბეგში“ ვქეიფობთ. თამადა სიმონია. ვილაც ამბობს, უკვე გვიანია, ველარ დავლევო. სიმონს ეიღებოდა.

– როგორ ვერ დალევ, შე კაი კაცო? ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი, ბუღულს დავსვავ ჭიქაზე.

გიორგი შატბერაშვილი ჯერ გაოცდა, მერე სახე გაუბრწყინდა და აღტაცებით სთქვა:

– ეს რა თქვი სიმონ! ეს რა კარგი რამ თქვი, სიმონ!

რამდენიმე ხნის შემდეგ, გიორგიმ წაგვიკითხა ამ ფრაზაზე შექმნილი მშვენიერი ლექსი, რომელზეც, მოგვიანებით ასე მშვენიერი სასიმღერო მუსიკაც შეიქმნა“.

ამას წინათ დიდუბეში, ვახუშტის ქუჩაზე მომინია გავლა. ძია მიშას სახ-

ლის წინ გავჩერდი. სევდა შემომანვა. მომაგონდა აქ გატარებული დღეები. ერთხელ ჯოდორმა დაგვაფინანსა და ხორავით დატვირთულები მივადექით. კარები დაკეტილი დაგვხვდა და შემთხვევით ღიად დარჩენილ ფანჯრიდან გადავძვერით. ვილაცას შეემჩნია და მილიციას დაურეკა. ძალიან ოპერატიულად მოვიდნენ. სიტუაცია ძალიან დაიძაბა. ბედად დროზე გამოჩნდა მასპინძელი. მერე ის მილიციელებიც დავპატიჟეთ და შუალამემდე ვიქეიფეთ.

ძია მიშას მოყოლილი ერთი კურიოზიც მინდა გავიხსენო: „1946 წელს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ვინმე გაგუა. ბრძანებულება ამის შესახებ „სახალხო განათლებაშიც“ დაიბეჭდა. მეორე დღეს რედაქტორი გრიგოლ საჯაია უშიშროებაში დაიბარეს. მოვიდა გვიან აჭარხლებული, აღელვებული. მიმიხმო კაბინეტში, მომცა გაზეთის ნომერი და მითხრა ბრძანებულება წაიკითხო. წავიკითხე და თვალებს არ ვუფერებ „უმაღლესი საბჭოს“ ნაცვლად დაბეჭდილია „დაინიშნოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ“. ორი კვირა იკვლევდა რამდენიმე კაცი. ბოლოს დაადგინეს, რომ „მ“-ს ბეჭდვის დროს თავი მოსტეხოდა. ასე გადავრჩით დიდ სასჯელს“.

ძია მიშას მოგონების დროს არ შეიძლება კალამი არ გაგეცქეს. ამიტომ დროზე უნდა დავსვა ნერტილი. გახსენება მისი მეგობრის, პედაგოგიკის დოქტორის, ზურაბ ცუცქერიძის წიგნის, „დიდი ეზოს“ ფრაგმენტით დავამთავრებ: „მიხეილ კეკელიძე არა მარტო ჟურნალის რედაქციასი, არამედ მთელ ამ დიდ ეზოში გამორჩეული, კოლორიტული პიროვნება გახლდათ (იგი სრულიად ორიგინალური იყო მუშაობაშიც, ადამიანებთან ურთიერთობაშიც, ქეიფშიც, ჩაცმა-დახურვაშიც...). საერთოდ, მისი ცხოვრების წესი არა-

ვისას ჰგავდა. სადაც ის იყო, სწორედ იქ იყრიდა თავს ყველა, სწორედ იგი ექცეოდა ხოლმე საუბრისა და კამათის, ქეიფისა თუ საქმიანი შეხვედრის ეპიცენტრში. გამოვიდოდა ეზოში, წამოჯდებოდა თუ არა ცაცხვის ძირში მდგარ მერხზე, მყისვე შეიკვებოდა მის გარშემო დიდი ეზოს მკვიდთა თუ მოსამსახურეთა წრე“.

დღეს, როცა ქვეყანაში ბევრი რამე შეიცვალა, შეიცვალა ჩვენი ეზოც. ძველებიდან ზანდუკელის აღმართს რამდენიმე კაციღა ამოჰყვება ხოლმე: გურამ ხანდამიშვილი, ლევან ჩიქვანაია და ორი ზურა – შაუთიძე და ცუცქერიძე (ჰა, ჰა მეც). აღარ არის აღარც ის ცაცხვი და აღარც ის მერხები. ცაცხვისქვეშა დებატები დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა. სამაგიეროდ, ნებისმიერ დროს ნახავთ ახალგაზრდებს, რომლებიც, გამვლელ-გამომვლელს ურცხვად სთავაზობენ თავიანთი ცხოვრების წესს.

დილით ეზოში თავჩაღუნულ, დაკვირვებით მოსიარულე კაცსაც დაინახავთ. არ იფიქროთ ახალგაზრდებს თვალს არიდებსო. ეს კაცი ამ ეზოს „მამასახლისი“ (ბატონ ლევან ჩიქვანიას მარჯვენა ხელი სამეურნეო საქმეებში) თურქოლოგი პავლე მორადაშვილია. ვიცი არ დაიჯერებთ, მაგრამ უნდა მენდოთ, თავჩაღუნული პავლე კაკლებს ეძებს, რომლებსაც ყვავები აგდებენ. დღე არ გავა, სამი-ოთხი (ხან მეტიც) კაკალი არ აიჩხრიალოს ჯიბეში. უცნაური კიდეც ის არის, რომ არცერთი კაკალი ჭიანი არ არის, ყველა კოზანია.

ყვავებს ძალიან უტყდებათ, რომ გასატეხად ჩამოგდებულ კაკალს პავლე ეპატრონება, მაგრამ თავს ქვემოთ ძალა არ არის, საჭაერო სივრცის გამოცვლა კი ვერ მოუფიქრებიათ.

ბოლო დროს პავლე ყვავებს კაკალს იშვიათად აგდებინებს. როგორც ჩანს, საერთო ეკონომიკური კრიზისი მათაც შეეხო.

„ინტელექტი“  
ბთავაზობთ



ზაურ გერგედავა

არ წამიკითხო, თუ შეიძლება!

„ზაურ გერგედავას ლექსებს ვიზუალურად, თუ გნებავთ, აკუსტიკურადაც სიჩუმის ფერი ადევს. ეს მაცდური სიჩუმეა, ემოციური სიჩუმე, რომლის წიაღშიც თვით შორეული ჩქამი, „უნუგემო“ ფოთოლცვენა, ანდა „ცხრასაფლავ-მოვლილი“ ცინდლის ნაზი მოლამუნება მზაკერული, ბრძნული (არც კი ვიცი რა დავარქვა) შეფარვით გვატყობინებს დაუდევრობის მარადიულ შედეგს, დაკარგული მთებისა და ზღვების საგანგაშო შემოტევენს.

...ეს პოეტური განცდა რეალობიდან ამომწვარი დაღია, რომელიც ვინ იცის როდის მოშუშდება. ამ ლექსებში ყველაფრის არსებობის გჯერა – „ლურჯი ღვინისაც“ და იმისაც, რომ „ზღვა სიზმარია მაკე ზვიგენის“.

და რაც მთავარია, ავტორი გაჯერებს, რომ საქართველო ვერ იცხოვრებს, მოკვდება, გაქრება ლექსის გარეშე“...

(ფრაგმენტი მაკა ჯოხაძის  
წინასიტყვაობიდან)



ბავშვობის სურათები ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და მუდმივად მასაზრდოვებენ. ფსიქოანალიტიკოსებიც ხომ აქედან იწყებენ ადამიანის ფსიქოტიპის კვლევას, რადგან ბევრი რამ, რაც ბავშვობაში ჩაიდო, ბოლომდე მიჰყვება ადამიანს. წარმოუდგენელია, წაგეშალოს. შეიძლება წაგეშალოს ცნობიერად, მაგრამ ქვეცნობიერში ის ყოველთვის არსებობს და ბევრ რამეს განსაზღვრავს შემდგომში. ბავშვობის სიზმრებიც კი მახსოვს. მახსოვს სულ პირველი წარმოდგენები სამყაროზე, პირველი ფიქრები, ფერები. თანაც, ეს ყველაფერი ძალიან ადრეული ასაკიდან, რასაც დედაჩემი დღემდე არ იჯერებს და წარმოუდგენლადაც კი მიაჩნია. მახსოვს პირველი წიგნები, ამბები, ადგილები სადაც დავდიოდი. ყველაზე ზღაპრული ადგილი ჩემთვის მაინც მამაჩემის სახელოსნო იყო. მამა მხატვარია. ხშირად მოგზაურობდა და ამ მოგზაურობებიდან უამრავი რამ ჩამოჰქონდა. აი, მაგალითად ვეშაპის უზარმაზარი ულვაში, რომელიც სახელოსნოს მთელ კედელზე იყო გაჭიმული; ოკეანის მარჯვნივ და ვარსკვლავები; მეთევზის ფერადფერადი ბადეები მახსოვს, მარილიანი წყლის სურნელით, ყველგან რომ იყო ჩამოკიდებული და გავლისას შიგნით ვიხლართებოდი. ამ ჯადოსნურ სახელოსნოში ვუსმენდი მამის უცნაურ მუსიკას, რომელიც როგორც მერე გავარკვიე ფინქ ფლოიდის „კედელი“ ყოფილა. ხშირად იმართებოდა ე. წ. „ღია კარის დღეები“. რაც იმას ნიშნავდა რომ მხატვრის სახელოსნოს კარი ღია იყო ყველასთვის. მოდიოდა სრულიად უცნობი ხალხი ქუჩიდან. დიდი, პატარა, უამრავი დამთავრებული. აი, ეს დღეები მახსოვს ძალიან მკვეთრად. ეს სახელოსნო

„მინდა ჩემი ტექსტები ჩემზე ბევრად გამძლეები გამოდგნენ“...

კატო ჯავახიშვილს ესაუბრება თეონა დოლენჯაშვილი

იმის ახსნით, თუ ვინ არის თეონა დოლენჯაშვილი, თავს აღარ შეგანყენთ, რადგან მგონია, რომ მკითხველთა უმრავლესობა შესანიშნავად იცნობს ამ ავტორს. უბრალოდ ვიტყვი იმას, რომ ეს არის ადამიანი, რომელმაც მოახერხა და დიდ, მოსიყვარულე ბავშვად დარჩა ამ უზარმაზარ ლიტერატურულ ორომტრიალში.

– მე ჟასმინის ჩაი მინდა, შენ რას დალევე?

– მწვანე თუ შეიძლება, ჩვეულებრივი მწვანე ჩაი.

– იყოს მწვანე. აი, მე ჟასმინის ვერაფრით ვლალატობ, ძალიან მიყვარს. ზოგადად, რაღაცების ამოჩემება ვიცი ხოლმე – საკვების, სამოსის, სამკაულის. ასე ჟასმინიც – ამოვიჩემე. ამ ბოლო დროს სულ მგონია, რომ დრო გადის, გადის, გადის და ვერაფერს ვამბობ საპასუხოდ. დღეები მიჰყვებიან ერთმანეთს და ამ მდინარე-ბაში არაფერია ახალი. რაღაცნაირი დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება მაქვს, სევდისაც. თუმცა, ზუსტად ეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა, რაღაცებს რომ გვაკეთებინებს ადამიანებს.

– ეს ჩვეულებრივი ამბავია. მეც, ალბათ ამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გამო, სულ უფრო ხშირად მაქვს დროის გაჩერების სურვილი. ადრე მეგონა, რომ ამის უნარი მქონდა. მინდა ეს შეგრძნება, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად ილუზორული, რამენაირად დავიბრუნო. თუმცა წერის დროს ეს ალბათ მაინც ხერხდება. შეიძლება ამ დროს მართლაც ბატონობდე დროზე. თუმც ასტრონომიული დრო ძალიან სევდიანი რამ არის. მას ვერაფერს უხერხებ. იმდენად სწრაფად მიდის, განსაკუთრებით კი ბავშვობის

მერე სულ გარბის... და სევდას მგვრის იმის გაცნობიერება, რომ ვერაფრით ვეწევი, ხელიდან მისხლტება ის, რისი გაკეთებაც მინდა, იმ კონკრეტულ ვადაში ვერ ვახორციელებ. ცოტა ხნით მაინც რომ მოვახერხო მისი ჩაკეტვა და იმ ემოციების ნამცეც-ნამცეც აკუნკვა, რაც მინდა, ალბათ ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ ასე სად არის.

– ყოველდღიურობა დამლუბველად მოქმედებს ჩემზე და ის შუქის თუ გაზის ქვითრებთან, სასიამოვნო კი არა, სავალდებულო ურთიერთობებთან და სხვა ათას საყოფაცხოვრებო წერილმანთან ასოცირდება. ჩემს წილ მარტოობას მართმევს, ასე ძალიან რომ მჭირდება...

– აღარ გვაქვს ფუფუნება: განმარტოების, ფიქრის, თავისუფალი დროის. ეს ყველაფერი ალბათ ისევ მოდის მერე, გარკვეული ასაკის შემდეგ. მახსენდება ოთარ იოსელიანის „შემოდგომის ბაღები“, როცა ადამიანებს უკვე გარინდების, ბაღში დაჯდომის და ჭვრეტის ასაკი უდგებათ. შემოქმედებაც ხომ ეს არის, ეს არის მოცალეობა, ეს არის ჭვრეტა, ფიქრი, დაკვირვება... ეს არის ბაღები, მინიერი ედემი, სადაც ცდილობ ვინრო ადამიანურ საზღვრებს გაცდე. ალბათ ამიტომ იყო ხელოვნება ყოველთვის ელიტარული. თუ დრო არ გექნება, თუ ისე ხარ გადაყოლილი ყოველდღიურ რუტინას, მექანიკურ შრომას ან თუნდაც ათას გასართობს, თუ საკუთარ თავთან განმარტოებას ვერ ახერხებ, რთულად შეიმეცნებ და მით უფრო შექმნი რამეს. თუმცა თანამედროვე დრო, რიტმი სხვა მოცემულობას გვთავაზობს და მას ფეხი უნდა ავუნყოთ. მწერალი რაღაც განყენებული, პიედესტალზე შემდგარი არსება აღარაა. მისი საკრალიზაციის დრო წავიდა. მანაც უნდა იმუშავოს,

თუნდაც შავ მუშად. და არსობის პური მოიპოვოს, რადგან წიგნების წერას ის ძალიან იშვიათ შემთხვევაში მოაქვს... ჩვენი ბალები დღეს ის დანესებულე-ბებია, სადაც ვმუშაობთ, ადამიანები, შეხვედრები, კაფეები, კლუბები, ხმაურიანი ავტოსტრადები და მტვრიანი ქუჩა... და მერე უკვე გვიანი ღამე და ის შინაგანი მდგომარეობა, როდესაც იქ დაღეჭილ ფურცელზე გადაიტან.

**- ჰო, მუდმივი პროცესია. გამოცდილების შექმნის, ემოციების დაგროვების და მერე ფურცელზე გადმოტანის. ეპოსს შევეჭიდე და ბოლო დროს უფრო მძაფრად ვრე-აგირებ იმ უქმად დახარჯულ დღე-ბზე, რომელსაც ყოველდღიურობა მთელი ძალით და ღონით მართმევს. სიამოვნებით ვიცხოვრებდი სადმე მიყრუებულ ხის სახლში, სიმწვანე-სა და მარტოობაში რაღაც პერიოდი, მაგრამ სამწუხაროდ არ ხერხდება.**

- პოემა საინტერესოა და რა თქმა უნდა თავისუფალ დროს და შესაბამის სამუშაო გარემოს ითხოვს. მეც ვფიქრობ, რომ უკვე დროა სხვა, ახალ ეტაპზე გადავიდე და ის, რაც იყო, „მემფისისა“ და აი, ამ ახალი მოთხრობების კრებულის ჩათვლით, რომელსაც უახლოეს მომავალში გამოცემ, უკვე დასრულებულ ეტა-პად ჩავთვალო. ეს მესამე წიგნიც – დავარქვათ ერთგვარი ტრილოგია – მინდა ე. წ. „რომანტიულ პერიოდს“ მივაკუთვნო. ამ შემთხვევაში მათ რო-გორც ავტორი ისე ვივინყებ, თორემ მკითხველისთვის სულაც არ მინდა დავინყებულები იყოს. საბედნიეროდ, ტექსტები ავტორის გარეშეც გა-ნაგრძობენ არსებობას. რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად ღირებული ტექსტები. ახალ ეტაპს რაც შეეხება, მასზე მხო-ლოდ იმას ვიტყვი, რომ ახალ ტე-ქსტებში რაღაცები შეიცვლება. მინდა ისინი უფრო „დამძიმდეს“ და მეტი საფიქრალი გააჩინოს, მეტი სიღრმე. მოკლედ, მინდა უფრო ეგოისტი მწე-რალი გაეხდეს და ნაკლებად ვიფიქრო მკითხველის ამბებით გართობაზე. თუმცა მეც შენსავით არ შემიძლია წინასწარ მოვხაზო ფაბულა. ძალიან

უცნაურია, რა თქმა უნდა, ისეთ დიდ ტილოზე, როგორც არის რომანი, ეს-კიზის ჩაუხაზავად დაინყო მუშაობა, მაგრამ მართლა არასოდეს არ მაქვს წინასწარი ჩონჩხი.

**- უცნაურია, ეს უფრო პოეზიას ჰგავს...**

- პრობა თუ არ არის პოეტური და სიტყვებს შორის თუ მუსიკა არ ისმის, მე ის არ მომწონს. ყოველდღიურ ადამიანურ ურთიერთობებშიცა ხომ არის პოეზია. პოეზია ყოველდღიურობაშია. ნაგვის ყუთში შეიძლება უფრო იპოვო პოეზია, ვიდრე ვარდის სურნელსა და ბულბულის საამო გალობაში. სამწუხ-აროდ, ვერ შევძელი ყოველდღიური ფიქრები საღებულო ფორმაში მომექ-ცია. ბავშვობაში დავინყე ლექსებით და შემდეგ ძალა აღარ მეყო. გადავედი პროზაზე.

**- ბოლო დროს ჩემი ლექსები რა-ღაცნაირად „დაგრძელდნენ“, სხვა-ნაირი სახე მიიღეს, შეიცვალა სათქმელი და მისი გადმოცემის ფორმაც. ვინ იცის, იქნებ ერთ მშვე-ნიერ დღეს პროზაზე სერიოზუ-ლადაც კი ვიფიქრო. რამდენიმე მოთხრობა კი მაქვს დაწერილი, მა-გრამ ყველაზე მეტად მეორე დღეს წერის გაგრძელება, იგივე განწყო-ბილამდე მისვლა მიჭირს...**

- მე თავად პროზა იმიტომ მიზიდავს, რომ ძალიან მიყვარს ამ-ბები. თუმცა მას სჭირდება დიდი ნებისყოფა და ყოველდღიური მუშ-აობა, განსაკუთრებით კი რომანს. უნდა იჯდე სახლში, გამოკეტილი, არ უნდა გახსოვდეს არავინ და არაფერი. წერის პროცესი უნდა მსიამოვნებ-დეს. როცა ვატყობ, რომ ახლა, აი ამის მეტს, მე ვერაფერს ველარ დავენერ, ვწყვეტ მუშაობას – რადგან თითოეუ-ლი ნაძალადეგად დაწერილი სიტყვა შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს ნაწარმოებისთვის. არასდროს არ ვი-წვალე თავს. არც ტექსტს.

**- ხელოვნურობაზე გეთანხმე-ბი. თითოეული ძალით დაწერილი ფრაზა ნაწარმოების მიმართ წაყ-ენებული სარჩელია. ამ შემთხვევაში ავტორი, როგორც გამოუცდელი ად-**



ახლაც არსებობს, თუმცა უკვე მი-ტოვებული, მტვრიანი და მაინც წინანდელ-ხიბლდაკარგული. ბავშ-ვობაში მეც ვხატავდი და მინდოდა კიდევ მხატვარი გამოვსულიყავი, თუმცა ასე არ მოხდა. ჩემს ნაწარ-მოებებშიც ხშირად ჩნდება ეს თემა, ან პერსონაჟი მხატვარი, ან მხატვრის სალონი მოქმედების სივრცე... კიდევ ბევრი რამ მომყე-ვა იმ წლებიდან... მახსოვს საბავშვო ბაღიც, სადაც რატომღაც სულ მწა-გრავდნენ. ცოტა ისეთი ბავშვი ვიყა-ვი, ფუმფულა, ცუდად დავბობდი, გუნდურ თამაშებში ვერ ვერთ-ვებოდი და შეიძლება ამიტომაც ვიყავი მარტო. თანატოლებთან გაუცხოებამ და გარესამყაროსთან არც თუ ისე კომფორტულმა შეწყო-ბამ განაპირობა ის, რომ წიგნებში ვიპოვე ის მეგობრები, რომლებიც მინდოდა რომ მყოლოდა. ამბები, რომლებიც მინდოდა გადამხდე-ნოდა. ამიტომაც ვიყავი მუდმივად მათში თავჩარგული. მერე ალბათ უკვე ზღვარი იშლება წარმოსახ-ვასა და რეალობას შორის და ამ, ასე ვთქვათ მოგონილ სამყაროში მეტისმეტადაც კი შევტოპე. აი მაგალითად ტომ სოიერის ნაკითხ-ვის შემდეგ, ჩემი თანატოლები და-ვარწმუნე, რომ სადღაც სარდაფში განძი იყო დამარხული და ჩვენ ის აუცილებლად უნდა გვეპოვა და ათასი ამგვარი ისტორია. იმდენად მჯეროდა, რომ სხვებსაც ვაჯერებ-დი. თვალზეგაფართოებულები ის-მენდნენ ჩემს ზღაპრებსა და აქედან გამომდინარე, უკვე თავად ვხდე-ბოდი ლიდერი. უკვე ჩემს წესებში, თამაშებში, სამყაროში ჩავრთე ჩემი თანატოლები. ეს ჩემი პირველი აუ-დიტორია იყო, ამბების შეთხზვა და გამოგონება, პირველი ალტერნა-ტიული სამყარო, ხოლო მისი მარ-თვა – ძალაუფლება. ალბათ ახლა სასაცილოა, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს ის პირველი ოკრობოკრო ასოებით ნაწერი, კეთილად დას-რულებული ზღაპრები და ბავშვო-ბის გულუბრყვილო სურათები.

თაინა დოლეჯაშვილი



ვოკატი, საჭირო დოკუმენტაციას ვერ აგროვებს მის გასასამართლებლად, რადგან მოსამართლე – დრო საკმაოდ მკაცრი შემფასებელია. თუმცა, თანამედროვე ადამიანისათვის რამდენად მნიშვნელოვანია წიგნი, ეს უკვე სხვა თემაა.

– იონესკოს აქვს ასეთი გამონათქვამი: საჭიროა თავში კეტი ჩასცხო ადამიანს, რომ ის გამოფხიზლდესო. კეტი ჩასცხო თანამედროვე ადამიანს, რომელიც აღარ ფიქრობს... თუმცა ეყენ იონესკოსავით აგრესიული არ ვიქნები და კეტს სიამოვნებით შევცვლიდი წიგნით. ეს წიგნი ჩავცხოთ მას, ვისაც ეს ჭირდება. მოკლედ, მე ვემხრობი დოჩანაშვილის „კარცერ-ლუქსებს“ და ამგვარ გამომაფხიზლებელ „შემოლანუნებებსაც“.

– ახლახან გამოსული გიორგი კეკელიძის „ყორანი“ გამახსენდა... აქაც ხომ გარკვეული ცინიზმია იმ საზოგადოების მიმართ, რომელმაც წიგნი პროდუქტის დონემდე დაიყვანა და მასაც, როგორც საპონს, შამპუნს ან ნებისმიერ სხვა საყოფაცხოვრებო მოხმარების საგანს – ისევე სჭირდება რეკლამა და პიარი. ესეც ერთგვარი თავში ჩართვებაა.

– ერთი პატარა ნაჭერი „ბრაუნის“ ფასი აქვს ამ წიგნს, ამ ნამცხვარზე კი ლიტერატურულ კაფეებში დიდი მოთხოვნილებაა. ეს ერთგვარი თვითირონიაცაა. პოეზიის არსზე დაფიქრებაც. მოკლედ, ავბედითი შავი ყორანი იქცა „წინილად“, რომელიც შეიფუთა და ასე მიეწოდა მომხმარებელს.

– არ ვიცი, ეს იმის ბრალია, რომ ბევრი ადამიანია „წერონიით“ დაავადებული, თუ იმის, რომ საზოგადოებას წიგნი აღარ სჭირდება. ერთი კია, ლიტერატურა ასე თუ ისე, მაინც ელიტარული საგანია, უმეტესწილად ასეთივე მომხმარებლისთვის. შეიძლება ეს ყველაფერი იმითაც არის განპირობებული, რომ დასაწერი დაინერა, სათქმელი ითქვა... ასე თვლის საზოგადოების რაღაც ნაწილი.

– ლიტერატურა ყოველთვის იყო

ელიტარული და არის კიდევ. ჩვენთან ელიტარული ნიშნავს მოდურსაც, მაგრამ კითხვა ჯერ მაინც ვერ გახდა მოდური საქმიანობა... ფსევდოელიტას თავისი გასართობები აქვს. კარგი მკითხველი ძალიან ცოტაა. მართლა ელიტაა. კარგ მწერალზე უფრო ცოტა და იშვიათია კარგი მკითხველი. და რა უნდა კარგ მკითხველს? სად არის ჭეშმარიტი სიახლე? იქმნება თუ არა დღეს ის? სწორედ ამის შექმნაა ურთულესი, მაშინ როცა თითქმის ყველაფერი უკვე ითქვა და ყველაფერზე უკვე დაინერა. თუმცა თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყველა ადამიანი არის „ახალი“, მაშინ მას აქვს შანსი შემოგვთავაზოს ნამდვილი ცვლილება და ჭეშმარიტად ახალი.

– ზუსტად მაგ სიტყვის მოძებნაა მთავარი შემოქმედი ადამიანისთვის, ლერძის, ნიშნულის, რაზეც შემდგომში უკვე ტექსტები შენდებიან. ჭეშმარიტი სიახლე ჩემთვის საკუთარ ხმაშია, ინდივიდუალიზმში. აი, ორივეს ჩაის ფინჯანი გვიჭირავს ხელში, თუმცა კი ჩაის სმის რიტუალი განსხვავებული გვაქვს. სიტყვა ვახსენეთ და მქონია შემთხვევა, რომ საკუთარი სიტყვის ტყვე გავემხდარვარ. სადღაც ჩიხში შევსულვარ და იქიდან გამოსვლა ძალიან გამჭირვებია. ხშირად კი სიზმარით არის, რომელსაც წინასწარ ხედავ. ძალაუნებურად იმდენად გითრევს ეს სამყარო, რომ ძნელია მერე უკან გამოსვლა.

– ძალიან საინტერესო რაღაცას ამბობ, მართალი ხარ, ზოგჯერ შემოქმედება წინასწარმეტყველებას ემსგავსება ხოლმე. მახსოვს ერთხელ ზვიად რატიანმა მითხრა, დაწერილი სიტყვის შიში მაქვსო. შესაძლებელია ასეც მოხდეს: დაწერო, იმიტომ რომ იქ, ფურცელზე აახდინო ეს ამბავი. ხშირ შემთხვევაში ამბავი იქ უფრო ნამდვილია, ცხოვრებაც, და შეიძლება ნამდვილი ცხოვრებაც სწორედ იქ მიდის. სწორედ ამიტომ ჩემი პერსონაჟები არასდროს არ არიან რეალური ცხოვრებიდან. ყოველთვის გამოგონილები არიან. ნამდვილ პერ-



სონაჟებს ყოველთვის ვერიდები, რადგან წინასწარ არ ვიცი მათი ბედი, ეს ყველაფერი განაჩენად შეიძლება ექცეთ. ჩემი არარსებული პერსონაჟები კი ფატალურ ფინალებს თვითონ უგონებენ ერთმანეთს. ნათქვამი სიტყვა ჩიტვითაა. ფრთა ეზრდება და მიფრინავს, დანერილი კი მიწდება, ფურცელზე რჩება და კვდება. მეტაფორულად რომ ვთქვათ, ნათქვამი სულია, დანერილი – ხორცი. ადამიანივითაა. და უფრო მეტიცაა. პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან. ამიტომ სიტყვას გაფრთხილება უნდა. იქნებ ამიტომ მწერლები ხშირად მის საკრალიზაციასაც ახდენენ. სიტყვასთან დაკავშირებული ბევრი ფობიაც არსებობს – დანერილი სიტყვის, დაუნერული სიტყვის. მომდევნო სიტყვის შიში, თეთრი ფურცლის შიში და ასე შემდეგ.

– დანერილი სიტყვა ქალაქივით არის ჩემთვის, სახურავიანი თუ უსახურავო სახლებით, გაცვეთილი გზებით, ამ გზებზე დაკარგული ადამიანებით. კარგია, რეალურ პერსონაჟებს რომ არ ირჩევ. მე მჯერა, რომ ფურცელზე გადმოტანილ ამბავს ადამიანის ბედის შეცვლა შეუძლია. ჩვენი ამბები კი ძირითადად სევდიანია... შავ-თეთრი სიზმრებით.

– სიზმარი ქვეცნობიერია. ხშირად ყოფილა, რომ სიზმარი, რომელიც მარტო ჩემი მეგონა, სადმე, ვინმესთან, რომელიმე წიგნში, ვთქვათ იუნგთან წამიკითხავს. ეს მთელი სამყაროა, ღრმა ჭა, უძირო კიდობანი. აქედანაც შეიძლება აიღო მასალა, ცხოვრებისთვის, შემოქმედებისთვისაც. მოკლედ როგორც ირკვევა, სიზმრებიც კი არ გვეკუთვნის. ისინიც კი მეორდებიან. ესეც წრეზე სვლაა. როგორც თავად შემოქმედება, სამყარო. თუმცა იმედი მაქვს, რომ ეს წრე ამავე დროს სპირალია.

– მე სიზმრებს არ ვხედავ, სულ ერთი-ორი თუ გამახსენდება. თუმცა ბორგვა ჩემი ძილის მუდმივი შემადგენელი კომპონენტია. აი, პოეზია კი ჩემთვის სიზმარია, ნანახი სიზმარი,


რომელსაც შემდეგ უკვე ვყვები. ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ საგნები მნიშვნელობას მხოლოდ იმიტომ იძენენ, რომ მე დავინახო და ფურცელზე გადმოვიტანო. ესეც ერთგვარი ახირებაა, ალბათ. ჩემი ცხოვრების განსაკუთრებულად მძიმე წუთებშიც კი მიფიქრია იმაზე, რომ ეს ყველაფერი მოხდა თუნდაც იმიტომ, რომ მე მქონოდა საწერი მასალა, არ გამოვმშრალიყავი, არ დავცილიყავი. ეს ყველაფერი კი გარდა შევებისა, აუტანელ ტკივილსაც იწვევს.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ყველაფერს ასე ვუყურებ: ცუდიც და კარგიც, რაც ჩემთან ხდება – ხდება ლიტერატურისათვის! ეს ცხოვრებასაც მიადვილებს. ჩვენ ეს გამოცდილებები ზუსტადაც რომ გვჭირდება. და თუ რამე ცუდი ხდებოდა, ეს იმიტომ, რომ მე ვადამეხარშა, გამეანალიზებინა და იქიდან რაღაც გამომედნო. თუმცა შეიძლება ცხოვრება ისეთი ნაგავი იყოს, რომ ის შავ მასალადაც არ გამოდგეს, მაგრამ მაინც ეს ალბათ საუკეთესო მიზეზია რთული ამბების მარტივად მისაღებად, იმ იმედად, რომ მე მათ მერე კარგ წიგნად ვაქცევ.

– და ამ შინაგან ბრძოლებში რანაირად ხდება პირადი და ლიტერატურული ცხოვრების ფეხანყოფა? სულ მგონია, რომ ეს ორი რამ ერთმანეთს გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, არა ფაქტობრიობის, არამედ ორგანულ დონეზე. ის, რასაც ჰქვია – „ერთხორც და ერთსულ“...

– ჩვენ რაღაცნაირად ვახერხებთ, რომ ეს ყველაფერი რუტინაში არ გადავიდეს. შუალედის პოვნაა აქაც საჭირო – დაუტოვო საკუთარი სივრცე, პირადი ტერიტორიები. ადამიანზე ზედმეტად მიჯაჭვა, სუროს პრინციპი, რომელიც ძირითადად ქალებს ახასიათებთ, შეიძლება ურთიერთობისთვის დამანგრეველი აღმოჩნდეს. სუროს ხომ ყველაზე დიდი კედლის დანგრევაც კი შეუძლია. ორი ადამიანის ურთიერთობაში ხიბლი, იდუმალეობა, „ქიშმიში“ არ უნდა დაიკარგოს. აი, ქიაროსტამს აქვს: ორნი ერთად როცა

„არტანუჯი“ ბთავაზობთ



აუგუსტ ჰაქსტაუზენი

საქართველოს შესახებ

„არტანუჯის წყაროების“ სერიის მე-8 წიგნი მიზნად ისახავს ქართველ მკითხველს გააცნოს XIX საუკუნის 40-იანი წლების გერმანელი მეცნიერ-მოგზაურის – აუგუსტ ჰაქსტაუზენის ცნობები საქართველოს შესახებ.

კავკასიაში იგი 1943 წელს იმყოფებოდა. ამ მოგზაურობის შედეგია ორნაწლიანი წიგნი „ამიერკავკასია“ (ლაიფციგი, 1856), რომელიც ძალზე საინტერესო ნაშრომს წარმოადგენს იმდროინდელი საქართველოს ისტორიის შესახებ. გთავაზობთ ფრამენტებს: „უბედურებაში ხასიათის სიმტკიცე არის ქართველებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურება“... „რაც ველიკოროსიისათვის საცხებით მისაღებია სისტემის თვალსაზრისით მიუღებელი ან სულაც დამღუპველი ბალტიისპირა გერმანული პროვინციების და კავკასიის ქვეყნებისათვის“.

წიგნს ერთვის პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა და საგნობრივი საძიებლები.

გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა.

დადიან, ყოველთვის მიდიან ნელა, რადგან ერთმანეთს აუცილებლად ნაბიჯი უნდა შეუწყონ, მარტო ადამიანი კი სწრაფად მიდის, გვერდზეც არ იყურებო. შესაძლოა ნამდვილ შემოქმედებას ეს მარტოკაცები ქმნიან, წარმატებაც ასეთ ადამიანებს მეტად ეწვევათ ხოლმე, რადგან სიყვარული, სიტბოს მოთხოვნილება მეტი აქვთ და ამ ტკივილს ტაშის ქუხილში უფრო კარგად ახშობენ. ამ ტაშსაც უფრო მწველად და მეტი ჟინით ეძებენ. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი მუდმივად მარტოა, სიყვარული შეიძლება ილუზორულიც იყოს, მაგრამ მე თუნდაც ეს ილუზია ძალიან მჭირდება.

– **საშინლად მომინდა, ვიჯდე სადმე ამწვანებულ ბაღში, შორიდან რაიმე წყნარი მუსიკა ისმოდეს და მქოდეს დრო, ჩემი მარტოობა ისე ვიგრძნო, როგორც თავად მსურს. და**

**მანამ არსებობს კალამი და ფურცელი, ალბათ იარსებებს ეს შეკითხვაც – რატომ წერ?**


– ერთ-ერთი განმარტება ალბათ ძალიან ამბიციურია. ეს ერთგვარი უკვდავებისკენ სწრაფვაა. მინდა ჩემი ტექსტები ჩემზე ბევრად გამძლეები გამოდგნენ. შემდეგი განმარტება ეგოისტურია – ვწერ იმიტომ, რომ ეს ძალიან მსიამოვნებს და უფრო დიდი სიამოვნება ჩემთვის არ არსებობს და არ ვიცი. გარდა ამისა, ვწერ იმიტომ, რომ ვეძებ პასუხებს. მინდა გავიგო, რატომ ვარ და რისთვის. და ბოლოს, ვწერ იმიტომ, რომ მიყვარს! მთავარი მოტივაცია სწორედ სიყვარულია. აქ კი ალბათ უკვე ცოტას ღმერთიც ერევა. სიყვარული ხომ ღმერთია, და ის ყველა წრფელი გულით გაკეთებულ საქმეშია.

– **აი, მე კი, სხვანაირად ცხოვრება არ ვიცი...**

**„ინტელექტი“ ბთავაზოვით**

**ლექციები**

*წაკითხული ნობელის პრემიის მიღებისას ლიტერატურის დარგში (1901-2010)*



ნობელის პრემიის ისტორია მეოცე საუკუნის ისტორიის თანამდევია, ამიტომაც ვფიქრობთ, საუკუნის მახასიათებლად უსათუოდ გამოდგება ამ ჯილდოს ლაურეატთა ლექციები.

ინტელექტუალური სამყაროს ფავორიტი – ნობელის პრემიის ლაურეატი, წესდების თანახმად, ვალდებულია პრემიის მიღებიდან ექვს თვეში ლექცია წაკითხოს.

წინამდებარე გამოცემა სრულად აერთიანებს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღებისას წაკითხულ ლექციებს. მათი გარკვეული ნაწილი პერიოდულად ქვეყნდებოდა ჟურნალებში „არილი“, „საუნჯე“, „საგურამო“, „ჩვენი მწერლობა“, „ქართული მწერლობა“, „ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი“. უმეტესობა კი საგანგებოდ ითარგმნა ამ სერიისთვის და პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

პირველი ტომი, 1901-1960: **მარტინუს ბიორნსონი, ჰენრიკ სენკევიჩი, რედოლფ ეიკენი, სელმა ლაგერლოფი, კნუტ ჰამსუნი, ანატოლ ფრანსი, უილიამ ბატლერ იეიტსი, ანრი ბერგსონი, სიგრიტ უნსეტი, თომას მანი, სინკლერ ლუისი, ივან ბუნინი, ლუიჯი პირანდელო, იუჯინ ო'ნილი, როჟე მარტენ დიუ გარი, პერლ ბაკი, იოჰანეს იენსენი, გაბრიელა მისტრალი, ჰერმან ჰესე, ანდრე ჟიდი, ტომას სტერნზ ელიოტი, უილიამ ფოლკნერი, ბერტრან რასელი, პერ ლაგერკვისტი, ფრანსუა**

**მორიაკი, უინსტონ ჩერჩილი, ერნესტ ჰემინგუეი, ჰალდორ ლაქსნესი, სუან რამონ ხიმენესი, ალბერ კამიუ, ბორის პასტერნაკი, სალვატორე კვავიმოდო, სენ-ჟონ პერსი.**

მეორე ტომი, 1961-1985: **ივო ანდრიჩი, ჯონ სტაინბეკი, გიორგოს სეფერისი, ჟან-პოლ სარტრი, მიხაილ შოლოხოვი, შმუელ აგნონი, მიგელ ანხელ ასტურიასი, იასუნარი კავაბატა, სამუელ ბეკეტი, ალექსანდრ სოლჟენიცინი, პაბლო ნერუდა, ჰანრიხ ბიოლი, პატრიკ უაიტი, ჰარი მარტინსონი/ეივინდ იონსონი, ეუჯენიო მონტალე, სოლ ბელოუ, ვისენტე ალეიქსანდრე, ისაკ ზინგერი, ოდისეას ელიტისი, ჩესლავ მილოში, ელიას კანეტი, გაბრიელ გარსია მარკესი, უილიამ გოლდინგი, იაროსლავ სეიფერტი, კლოდ სიმონი.**

მესამე ტომი, 1986-2000: **ვოლენ შოინკა, იოსიფ ბროდსკი, ნაჯიბ მაჰფუზი, კამილო ხოსე სელა, ოქტავიო პასი, ნადინ გორდიმერი, დერეკ უოლკოტი, ტონი მორისონი, ქენძაბურო ოე, შეიმას ჰინი, ვისლავა შიმბორსკა, დარიო ფო, ჟოზე სარამაგუ, გიუნტერ გრასი, გაო სინძიანი.**

მეოთხე ტომი, 2001-2010: **ვიდიადჰარ ნაიპოლი, იმრე კერტესი, ჯონ მაქსველ კუტზე, ელფრიდე იელინეკი, ჰაროლდ პინტერი, ორჰან ფამუქი, დორის ლესინგი, ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო, ჰერტა მიულერი, მარიო ვარგას ლიოსა.**

კომენტარი ზედმეტი არ არის!

ინტერაქტივის შედეგები

ჩვენს ინტერაქტივს – „კომენტარები ტიციან ტაბიძის თხზულებათა (მომავალი) აკადემიური გამოცემისათვის“ – რომელიც „ქართული მწერლობის“ წინა, მე-5, ნომერში შემოგთავაზებთ, ორი გამარჯვებული ჰყავს – მაია ცერცვაძე, რომელმაც ხუთი შეკითხვიდან ოთხზე სწორი და ამომწურავი პასუხები გამოგვიგზავნა, და თამარ წონორია, რომელმაც სწორედ იმ შეკითხვას უპასუხა, ქ-ნ მაიას რომ პასუხგაუცემელი დარჩა.

პირველი შეკითხვა ასეთი იყო:

1923 წელს დაწერილ ერთ ლექსში, რომლის სათაურია „ორპირის ოქროპირი“, ტიციან ტაბიძეს უწერია:

„ქადაგებს ბაყაყი:  
ამბობს პირდაპირ და აშკარად,  
როგორც კაზინოში კრუპიე: „ბაკკარა“.

რა კომენტარს გაუკეთებდით „ბაკკარა“-ს?

მაია ცერცვაძე: „ბაკკარა“ (ფრ. baccara) – ქართულში გვხვდება „ბაკარა“, „ბაქარა“ ფორმებითაც – ბანქოს ერთგვარი ძველებური აზარტული თამაშია მოთამაშეთა განუსაზღვრელი რაოდენობისათვის. ბაკარა დღესაც პოპულარულია კაზინოში, სადაც მას თამაშობენ 6 ან 8 დასტის არევით“.

რედაქციისაგან: ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავეუბნებდით, რომ ეს სიტყვა ფონეტიკურად ბაყაყის ყიყინს მოგვაგონებს და ამის გამო არის ის შედარებისთვის გამოყენებული ტიციან ტაბიძის ლექსში.

მეორე შეკითხვა:

იმავე ლექსში („ორპირის ოქროპირი“) ვკითხულობთ:

„ახლა კი ნ. ო. ტ. ია  
და ელექტროფიკაცია,  
ლექსებისთვის ვინც მოიცლის,  
ის რა კაცია?“

რას ფიქრობთ, რა არის „ნ. ო. ტ.“-ი?

მაია ცერცვაძე: „ჩემი აზრით, „ნ.ო.ტ.“ არის „შრომის სამეცნიერო ორგანიზაციის“ რუსული სახელწოდების (НАУЧНАЯ ОРГАНИЗАЦИЯ ТРУДА) აბრევიატურა – НОТ, ჩანერილი ქართული ასოებით.

შრომის სამეცნიერო ორგანიზაცია არის შრომის ორგანიზაციის სრულყოფის პროცესი მეცნიერების, ტექნიკის და ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე. მისი ფუძემდებელია ამერიკელი ინჟინერი ფრედერიკ ტილორი (1856-1915). რუსეთის იმპერიაში და შემდეგ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი შრომის ორგანიზაციის მეცნიერებისა იყო ა. ა. ბოგდანოვი (1873-1928).

რუსი მწერალი ილია ერენბურგი (1891-1967) თავის ავტობიოგრაფიულ ნიგნში „ადამიანები, წლები, ცხოვრება“, იხსენებს რა სერგეი ესენინის ამერიკიდან სამშობლოში დაბრუნებას, წერს: „Вернувшись в Россию, он попытался сделать выводы: „(...) Мне нравится цивилизация. Однако я очень не люблю Америку. Америка – это тот смрад, где пропадает не только искусство, но и вообще лучшие порывы человечества“ (...). Нужно помнить, что было это в 1923 году, когда Лэф (Левый фронт искусств. – მ. ც.) прославлял красоту нью-йоркских небоскребов, когда был в моде НОТ (научная организация труда)...“.

НОТ-ს ტიციან ტაბიძე ლექსში ელექტროფიკაციასთან ერთად ახსენებს, რითაც, ვფიქრობთ, გამოხატულია პოეტის კრიტიკული, ირონიული დამოკიდებულება ქვეყანაში იმჟამად მოდური ტექნოკრატიული პროცესებისადმი და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისადმი, რომლებიც თუმცა თავისთავად





ტიციან ტაბიძე მეუღლესთან, ნინა ტაბიძესთან ერთად

დადებითი მოვლენები იყო, მაგრამ, პოეტის აზრით, ისინი სულიერი ღირებულებების უგულვებლყოფისა და გაუფასურების ხარჯზე მიმდინარეობდა“.

**რედაქციისაგან:** ნ.ო.ტ.-ი ტიციან ტაბიძემ წერტილებით უთუოდ იმიტომ დანერა, რომ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, განესხვავებინა იგი მუსიკალური ტერმინისაგან (ნოტ-ი).

მეოთხე შეკითხვა:

„ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ, შენზე ღრიალით გასკდა არღანი“ (ლექსიდან „სერგეი ესენინს“).

რა კომენტარს გაუკეთებდით „ჩოფურაშვილს“?

მაია ცერცვაძე: „ჩოფურაშვილი იყო თბილისელი მედუქენი, მიკიტანი. მას ორთაჭალაში ჰქონდა ცნობილი დუქანი, რომელსაც ჩოფურაშვილის დუქანს ეძახდნენ. ალექსანდრე სიგუა იგონებს:

„20-30-იან წლებში მწერლების ცხარე ლიტერატურული შემოქმედებითი დავა-პაექრობა არა მარტო დახურულ კარებს მიღმა იმართებოდა, არამედ ღია ცის ქვეშ, რუსთაველის პროსპექტზე და ორთაჭალა-კრწანისის ეგზოტიკურ კუთხეში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებდა ჩოფურაშვილის ათასგვარად შეღებილი და მოხატულ დუქანთან, ან როგორც მას ყანწელები უწოდებდნენ „მექასთან“, ახლო მდებარე ბაღები...“ (ალექსანდრე სიგუა, „ლიტერატურული დავა-კამათი ორთაჭალა-კრწანისის ბაღებში“).

(ქ-ნ მაიას დამონშებული აქვს აგრეთვე ფრაგმენტები ვასილ ჩანაძის, გიორგი ლეონიძის, თენგიზ ვერულაშვილის თხზულებებიდან, რომლებშიც მედუქენე ჩოფურაშვილებსა საუბარი).

მეხუთე შეკითხვა:

ლექსში „ნინა მაყაშვილს“ ასეთი სტრიქონებია:

„შაითან ბაზრის დაიხურა ყველა დუქანი. ამოდის მთვარე – თავისმკვლელთა ლეშით მსუქანი.

ვანქის ტაძარში „Sabachtan“-ით შენ გაგეცინა“.

რა კომენტარს გაუკეთებდით „Sabachtan“-ს და, საზოგადოდ, მთელ სტრიქონს, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება?

მაია ცერცვაძე: „ვეფიქრობ, სიტყვის სწორი ფორმაა **sabachthani**.

**Eli, Eli, lama sabachthani?** – ესაა ჯვარზე გაკრული იესოს ცნობილი ფრაზა ებრაულ ენაზე. ოთხთავში ვკითხულობთ: „და ასე, მეცხრე საათს ხმამაღლა შეღალდა იესომ: „ელი, ელი, ღამა საბაქთანნი?“, რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად დამტოვე მე?“ (მათე 27, 46).

შესაძლოა, ნინო მაყაშვილს ტაძარში სწორედ სახარებისეული ამ სიტყვების გაგონებაზე გაეცინა. კონკრეტულად მაინც რას გულისხმობს პოეტი ამ ფრაზაში, ჩემთვის ძნელი სათქმელია.

(რედაქციისაგან: გაეცინა ალბათ სიხარულისგან, რომ რაღაც მაინც გაიგო მისთვის უცხო ენაზე მიმდინარე საეკლესიო მსახურებისას).

რაც შეეხება ვანქის სომხურ-გრიგორიანულ საკათედრო ტაძარს, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მასთან ტიციანს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა. მისი მეუღლე ნინო მაყაშვილი იგონებს:

„1918 წლის 6 იანვარს მოვიდა ტიციანი და სულ ახლად დანერილი ლექსი „ვანქის ტაძარი“ მომიტანა. მითხრა, რომ ამ ლექსს მე მიძღვნიდა.

ვანქის ტაძარი იქვე იყო, ჩემს სახლთან და მე და ტიციანი ხშირად დავდიოდით (...). სწორედ ვანქის ტაძართან მთხოვა, ცოლად გამომყევით“ (ნ. ტაბიძე. ტიციანი და მისი მეგობრები. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1985, გვ. 18)“.

მესამე შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გამოგვიგზავნა თამარ წონორიამ. კომენტარს საჭიროებდა ზახარ ზახარიჩი, ნახსენები ტ. ტაბიძის

ლექსში „ახალი მცხეთა“ („ზახარ ზახარიჩ აქ მშვიდად ვაჭრობს“).

თამარ ნონორიას კომენტარი: „ზახარ ზახარიჩი აზერბაიჯანელი მედუქენე იყო, დუქანი ჰქონდა ნარიყალასთან. ზახარიჩის დუქანი დღესასწაულებზე მოძრავი ხდებოდა და ცნობილ მედუქენეს ადვილი შესაძლებელია ვაჭრობა მცხეთაშიც გაემართა.

ეს თბილისელი მედუქენე დახატული ჰყავს თვითნასწავლ მხატვარს ირაკლი კვანჭახაძეს. მოვიძიე მისი ნახატი „ნეპის შეჯახება“. დუქნის აივანზე, ცენტრში დგას ზახარ ზახარიჩი. აქვეა მხატვრის ნერილი უმცროსი ირაკლისადმი (შვილიშვილისადმი), საიდანაც ვგებულობთ, რომ „ნეპის“ პერიოდში დაშვებული იყო კერძო ვაჭრობა დიდი გადასახადებით. ამ საპატენტო თუ სხვა სახის გადასახადებს არ იხდიდა თურმე ზახარ ზახარიჩი, თეთრი დუქნის მეპატრონე. ერთხელ მის დუქანს სწვევიან მთავრობის კაცები: საშა გეგეჭკორი და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ალექსეი რიკოვი (რედაქციისაგან: ნერილში რიკოვი საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოხსენიებული – რუსული აბრევიატურით **ВЦИК СССР** –, რაც უზუსტობაა. ამ უზუსტობას აქ ვასწორებთ). ეს უკანასკნელი თეთრ



დუქანში სტუმრობით ძალზე ნასიამოვნები დარჩენილა და მოსკოვში ჩასვლისთანავე გამოუგზავნია დეპეშა: „Тбилиси. Правительственный Белый Духан. Захар Захаричу – приехал благополучно, жив, здоров, твой Рыков – председатель СНК СССР“. ეს დეპეშა ზახარ ზახარიჩს ჩარჩოში ჩაუსვამს და თეთრ დუქანში საჩვენებელ ადგილზე ჩამოუკიდებია – ვინლა შეაწუხებდა ზახარ ზახარიჩს!!!

ზახარ ზახარიჩის დუქნის საპატელო სტუმრები იყვნენ სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი მიხალკოვი და სხვ.“.

მადლობას მოვასხენებთ ყველას, ვინც გამოგვეხმაურა. ზემომოყვანილი კომენტარების ავტორები დაფილდოვდებიან „ინტელექტის“ გამოცემებით.

ქ. ემს — სიყვარულს იტყვიან  
 სტუდია წუბის ქმ. ის ახალი ყინობეური ჰოლოდს  
 პრიოდში ვა. თადი, თადიანი წლებს დაწესა და შავ  
 ბელი აუზ ვაჩო ვაჭობა — ძალე დღი მისტრო ვაჩისა  
 და ნაღვანს სხვა მუქანებით. ასაღოსაღებო იტალიის  
 ზოლს კრმა მისრწამებდა ენ თეთრ დუქნს მკატრ  
 რნაში, რომლის საპატენტო დანაშ სუფიქს ეწვი  
 სპეცგვეფორი და სპეცია ავანის დანადგარ. აღმს.  
 რუსული კომიტეტს თავდობა — მონტონი კომპლას  
 თით დუქანს სტუმრობა მასად ეზოთილი დანა და  
 კოსოვი რავლიანავე სახიდან მოთიხე ვაჩოვანს  
 დანაშა — კონკრეტის მინისტროსთვის და სხვა ვაჭარ  
 ზახარ ზახარჩის — რედაქციის მხრიდან, სადა კავშირის  
 მსაჯინ — რედაქციის მხრიდან, სადა კავშირის  
 სამსხა ნანსში სასა დიპლომატიის სახარავაჯად.  
 კლქ ნაწილი — ვინს დაწვავდა რასს წყნობისს.  
 ამ დუქანში მისი მისი დანა — ახალი მისი  
 ნაწილი იყო, ვინაშე მუხარამი, რუსეთის  
 დუქანების და კონსტანტინე, ივანოვი და  
 ვაჩო ვაჩილი და ვაჩოვანს — მკატრონი, ახალი  
 დუქანს და დანაშა, სადა რუსული მისი  
 რედაქციის მხრიდან, ვინაშე ვაჩოვანს (რედაქციის  
 მისი კავშირის მხრიდან, დანაშა (რედაქციის  
 მისი მისი მხრიდან, ივანოვი, ივანოვი, ივანოვი,  
 ნაწილი, ვაჩოვანს, ვაჩოვანს, ვაჩოვანს და სხვ.  
 ზახარ — მისი მისი 25.9.96.

## ახალი თარგმანები



## ტომას ვულფი

## შორიდან და ახლოდან

პატარა ქალაქის გარეუბანში, ბორცვზე, შეთეთრებული მორებით შეკრული კოპონია სახლი იდგა, რომელსაც თვალშისაცემად ხასხასა მწვანე ფარდები ამშვენებდა და სახლის უკან, ოდნავ მოშორებით, რკინიგზა მიემართებოდა. სახლის ერთ მხარეს ბალჩა-ბალი იყო გაშენებული, კოხტად ჩამსკრივებული ბოსტნეულის კვლებით და ვაზის ტალავებით, რომლის მტევნები აგვისტოს მიწურულს მნიფდებოდა. სახლის წინ სამი ძლიერი ბერმუხა იდგა და ზაფხულობით სახლს საამო და უხვ ჩრდილს ჰფენდა; მეორე მხარეს კი ათასფერი ყვავილების ზღუდე ერტყმოდა. მთლიანობაში, ეს ადგილი სიფაქიზის, ყაირათიანობის და მოკრძალებული სიმყუდროვის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ყოველ დღე, სამის წუთებზე, ამ ადგილს ორ ქალაქს შორისი სწრაფი მატარებელი ჩაუვლიდა ხოლმე, რამდენიმე წუთს დიდი მატარებელი ქალაქის მახლობლად შესასვენებლად შეჩერდებოდა და მთელ სიგრძეზე თანაბრად განლაგდებოდა, ვიდრე თავბრუდამხვევ, სრულ სიჩქარეს აიღებდა. მერე კი, ჰორიზონტს ერწყმოდა დინჯი რყევით და ორთქლმავლის მძღავრი, მოქანავე მოძრაობით ფოლადის რელსებზე ჩაივლიდა ვაგონების მწყობრი, ყრუ რახრახით, ვიდრე თვალს მიეფარებოდა. ორთქმავლის სვლას მძაფრი გამონაბოლქვის ქმენა-გუგუნნი თუ მიანიშნებდა, რომელიც ბალახით დაფარულ მდელოს კიდეების ზემოთ ალაგ-ალაგ ამოსკდებოდა ხოლმე, სანამ ყველაფერი არ მიჩუმდებოდა გარდა ბორბლების მწყობრი რახრახისა, რომელიც შუადლის გარინდებულ სიმშვიდეში თანდათან კლებულობდა.

ყოველ დღე, ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში, როცა მატარებელი

სახლს უახლოვდებოდა, მემანქანე ჩართავდა ხოლმე სასტვენს და ყოველ დღე, როგორც კი ქალი სიგნალის ხმას გაიგონებდა, სახლის უკანა კართან გამოჩნდებოდა და მემანქანეს ხელს უქნევდა. პირველად, კაბის კალთაზე პატარა ბავშვი ეჭიდებოდა, მაგრამ ახლა ბავშვი ზრდასრულ ქალად ქცეულიყო და ყოველდღე ისიც დედამისთან ერთად გამოჩნდებოდა უკანა კართან და ხელს უქნევდა.

შრომაში გასულმა წლებმა თავისი გაიტანა, მემანქანე ხანში შევიდა და გაჭაღარავდა. იმ მიწის გასწვრივ ათი-ათასჯერ მაინც უტარებია ხალხით სავსე უზარმაზარი მატარებელი. მისი საკუთარი შვილები გაიზარდნენ და დაოჯახდნენ და ოთხჯერ კი თავისი თვალით ნახა ლიანდაგებზე ტრაგედიის საზარელი კვალი, რომელიც ერთ წერტილში შემკვრივებულიყო ქვემეხის ჭურვივით და საზარლად ჩამუქებულიყო ჩამქრალი ბოილერის თავთან, – ბავშვებით სავსე მსუბუქი, ღია ვაგონი, ერთად შექურჩული პატარა, შეცბუნებული სახეებით, რელსებზე აყირავებული იაფფასიანი ავტომობილი, შიშისგან ლამის დამბლადაცემული ადამიანების გახევებული ფიგურები, რელსების სიახლოვეს მოხეტიალე, ქანცგანყვეტილი, უმუშევარი მანანალა, ყრუ და ბებერი, გამაფრთხილებელი სასტვენის ხმაც რომ აღარ ესმოდა, ფანჯრიდან კივილით გადმოვარდნილი ადამიანის სახე, – ყველაფერი ეს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და შეცნობილი. ბერიკაცს ყველაფერი ის ჰქონდა განცდილი, რისი განცდაც ადამიანს შეეძლო, – მწუხარება, სიხარული, საფრთხე და მძიმე შრომა. მუხლჩაუდრეკელ გარჯაში სახე დაუნაოჭდა და დაუჭკნა და ახლა, ბედისაგან გამობრძმედილს, მეტი სიმხნევე და თავმდაბლობა შესძენოდა. უკვე ხანშიშე-

„პრტანუჯი“  
ბთაპაპობთ

სულს ის კეთილშობილება და სიბრძნე  
ახლდა, რომელიც ასეთ ადამიანებს  
ახასიათებს.

მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა,  
თუ რა საფრთხე ან რა ტრაგედია  
ჰქონდა განცდილი, – პატარა სახლი  
და ქალები, რომლებიც ასე თამამად  
და ასე თავისუფალი შემართებით  
უქნევდნენ ხელს, მემანქანეს გონება-  
ში ჩაბეჭდოდა, როგორც რალაც მშვე-  
ნიერი და მარადიული, რომელიც სხვა  
ყველაფერს სცვლიდა, ანადგურებდა  
და მაინც მარად უცვლელი დარ-  
ჩებოდა; რა მნიშვნელობა ჰქონდა,  
თუ რა უბედურებას, მწუხარებას ან  
შეცდომას შეეძლო დაემსხვრია მისი  
დღეების რკინისებური განრიგი.

ამ პატარა სახლის და ამ ორი ქა-  
ლის დანახვა განუცდელ ბედნიერე-  
ბას ანიჭებდა. ის მათ ათასნაირ  
შუქში ხედავდა: ზამთრის რუხ, ხეშემ  
სინათლეში, მოყავისფრო, დამზრალ,  
ნანვერალ მინაზე, და მერე, ისევ და  
ისევ თვალისმომჭრელ, მწვანე ფე-  
რებით სავსე ჯადოსნური აპრილის  
თვეში. გული იმ პატარა სახლისკენ  
მიუწევდა, რომელშიც ისინი ცხოვ-  
რობდნენ და მათ მიმართ ისეთი სინა-  
ზით გამსჭვალულიყო, რომლის დარი  
კაცმა შეიძლება მხოლოდ საკუთარი  
შვილების მიმართ იგრძნოს, და საბ-  
ოლოოდ, მათი ცხოვრების სურათი ის-  
ეთი სიცხადით ამოჰკვეთოდა გულში,  
რომ დღის ყოველ საათსა თუ წუთს  
მათ ცხოვრებას მთელი სისავსით  
შეიგრძნობდა. და ერთ დღესაც მტ-  
კიცედ გადანყვიტა, რომ როცა მისი  
სამსახურის წლები დასრულდებოდა,  
წავიდოდა, მოძებნიდა მათ და ბოლოს  
და ბოლოს იმ ადამიანებს დაელაპარა-  
კებოდა, რომელთა ცხოვრებაც ასე  
გადაჯაჭვოდა მისას.

ასეთი დღეც დადგა. მემანქანემ  
გადმოაბიჯა მატარებლიდან იმ ქა-  
ლაქის სადგურის ბაქანზე, სადაც ის  
ორი ქალი ცხოვრობდა. რელსებზე  
დგომით გატარებული წლები დას-  
რულდა. ახლა იგი იმ კომპანიის პენ-  
სიონერი გახლდათ და აღარაფერი  
ევალებოდა. დინჯი ნაბიჯით გაიარა  
ბაქანი და ქალაქის ქუჩას გაუყვა.

ყველაფერი ისე უცნაურად ეჩვენე-  
ბოდა, თითქოს ეს ქალაქი აქამდე  
არც კი ენახა. რაც უფრო წინ მიდ-  
იოდა, მით უფრო მატულობდა მისი  
შეცბუნება და დაბნეულობა. ნუთუ  
შეიძლებოდა ეს ის ქალაქი ყოფილიყო,  
რომლისთვისაც ათიათასჯერ მაინც  
ჩაუვლია? ნუთუ ეს იგივე სახლები  
იყო, რომელიც ხშირად დაუნახავს  
თავისი კაბინის მაღალი სარკმლი-  
დან? ყველაფერი ისე უცხოოდ, ისე ამა-  
ღელვებლად ეჩვენებოდა, თითქოს ქა-  
ლაქი სიზმრად ენახოს და რაც უფრო  
წინ მიიწევდა, მისი სულის შემფოთე-  
ბაც მატულობდა.

ახლა, სახლები შეთხელდა და ქა-  
ლაქის შორეული, უწესრიგო დასა-  
ხლებში აღმოჩნდა, ქუჩა კი სოფლის  
გზად იქცა, იმ გზად, რომელსაც იმ  
სახლთან უნდა მიეყვანა, სადაც ქა-  
ლები ცხოვრობდნენ. და კაცი მიძიმედ  
მიაბიჯებდა სიციხესა და მტვერში. და  
აი, ბოლოს, უკვე იმ სახლის წინ იდგა,  
რომლისკენაც ასე მოისწრაფოდა. უმ-  
ალვე მიხვდა, რომ იმ ადგილს მიაგნო.  
დაინახა სახლის წინ ცამდე აწვდილი  
დიდებული ბერძნული, ყვავილნარი,  
ბაღჩა-ბაღი, ტალავური და მოშორე-  
ბით მოელვარე რელსები.

დიახ, ეს ის სახლი იყო, რომლისკე-  
ნაც ასე მოისწრაფოდა, ადგილი,  
უამრავჯერ რომ ჩაუვლია, დანიშ-  
ნულების ადგილი, რომლისკენაც  
ასეთი ბედნიერების გრძნობით ილტ-  
ვოდა. მაგრამ, ახლა, როცა ამ ადგილს  
მიაგნო, როცა უკვე იქ იყო, ხელი რა-  
ტომ დაება ჭიშკართან? რატომ იქცა  
ქალაქი, გზა, მინა, ამ ადგილის შესას-  
ვლელი, რომელიც ასე უყვარდა უცხო,  
მახინჯ, სიზმარულ პეიზაჟად? ახლა  
რატომ შეიპყრო დაბნეულობის, ეჭვი-  
სა და უმწიფობის გრძნობამ? ბოლოს  
მაინც შეალო ჭიშკარი, ნელი ნაბიჯით  
გაუდგა ბილიკს, წამში აიარა შესას-  
ვლელის სამი პატარა საფეხური და  
უკვე კარზე აკაკუნებდა. ცოტა ხნის  
შემდეგ ფეხის ხმა მოესმა ჰოლიდან,  
კარი გაიღო და ქალი მის პირისპირ  
იდგა.

და უმალ მწარე დანაკარგის და  
მწუხარების გრძნობამ შეიპყრო; იწანა



რამონ დელ ვალიე-ინკლანი

**ტირანი ბანდერასი**

დიდი ესპანელი მწერლის – **რამონ  
დელ ვალიე-ინკლანის** (1866-  
1936) რომანი-პამფლეტი „ტირანი  
ბანდერასი“ გროტესკული და ჰიპ-  
ერბოლურია, ნიღბების კომედიის  
ელემენტებით. ხშირად ირღვევა  
სინტაქსიც.

რომანში მოქმედება გამოგონილ  
ქვეყანაში – სანტაფე დელ ფირმ-  
ეში ხდება. ზოგიერთი კრიტიკო-  
სის აზრით აქ მწერალი პორფირო  
დიასის პერიოდის მექსიკას გუ-  
ლისხმობდა. მაგრამ მხატვრული  
და ისტორიული უტყუარობით  
ნაწარმოები ისეთ მასშტაბს იძენს,  
რომ ირღვევა პოლიტიკურ-გეო-  
გრაფიული საზღვრები და წარ-  
მოგვიდგება ევროპისა თუ აზიის  
ყველა დიქტატორი ერთად, რომ-  
ლებიც თავიანთი დიქტატორული  
უფლებების განხორციელების ვა-  
რიაციებისა და მეთოდების მიუხე-  
დავად, საოცრად ჰგვანან ერთმან-  
ეთს.


ესპანურიდან თარგმნა **მერი ტიტ-  
ვინიძემ**.

კიდეც, რომ მოვიდა. უმაღლვე გააცნობიერა, რომ მის წინ მდგარი ქალი, რომელიც უნდო თვალთ უყურებდა, სწორედ ის ქალი იყო, რომელიც ვინ იცის, რამდენჯერ ესალმებოდა ხელის ქნევით. მაგრამ ახლა ხედავდა მის პირქუშ, უღიმღამო და გამხდარ სახეს, მოდუნებული ხორცი ნაკეცებად რომ ეკიდა. ქალი პატარა თვალებით უხერხულად, მერყევი უნდობლობით და შეფარული ეჭვით მიშტერებოდა. თუ ადრე იგი ამ ქალის მოქმედებაში ამოიკითხავდა თავისუფლების შეუპოვარ წყურვილს, სიტბოსა და სიყვარულს, ახლა მის დანახვისას და არაკეთილგანყოფილი ხმის გაგონებისას, ყველაფერი გაქრა.

ახლა საკუთარი ხმაც არარეალურად და საზარლად ჩაესმოდა, როცა ცდილობდა, აეხსნა მისი იქ ყოფნის მიზეზი, ეთქვა ვინ იყო ან რას წარმოადგენდა, მაგრამ შეეყოყმანდა, ჯიუტად ებრძოდა სინანულისა და შეცბუნების საშინელ შეგრძნებას და მის სულში აბორგებულ ურწმუნობას, მთელ მის ადრინდელ სიხარულს რომ ახშობდა და ახლა უკვე თავისი იმედებისა და სათუთი გრძნობების რცხვენოდა.

ბოლოს ქალმა ცალკებად შეიპატიჟა სახლში და თავის ქალიშვილს უხეში, გამკივანი ხმით გასძახა. აგონიით შეპყრობილი კაცი ერთხანს იჯდა პატარა, უშნო სასტუმრო ოთახში და ვიდრე ორი ქალი ჩამქრალი თვალებით, მტრული განწყობით, პირქუშად და თავშეკავებული შეცბუნებით მიშტერებოდა, შეეცადა მათთან საუბრის გაბმას. ბოლოს არც კი დაფიქრებულა ისე ნაიბუტბუტა დამშვიდობების სიტყვები, სახლი დატოვა, ბილიკს ჩაუყვა და ქალაქის გზაზე გავიდა. უცებ მთელი სიმწვავეთ შეიგრძნო სიბერე. როდესაც რკინიგზის მშობლიურ ხედს გაჰყურებდა, მისი გული შემართებით და თვითრწმენით ივსებოდა, ახლა კი ეჭვის ჭია შესჩენოდა და შიშის ზარი იპყრობდა, რომ იმ მიზის უცხო და უჩვეულო სახეს ხედავდა, რომელიც მისგან ქვის სროლის მანძილზე იყო, მაგრამ თურმე არც არასოდეს უნახავს და არც სცნობია. და იცოდა, რომ იმ ნათელი, დაკარგული გზის მთელ ჯადოსნურობას, იმ მბრწყინავი ხაზის ხედს, იმ წარმოსახვითი კუთხის პატარა, ნათელ სამყაროს, რომელიც იმედის წყურვილს უღვივებდა, ველარასოდეს ნახავდა.

ინგლისურიდან თარგმნა  
მედეა ზაალიშვილმა



„ინტელექტი“ ბთავაზოვთ

ვიდიადჰარ ნაიპოლი  
„ნახევარი სიცოცხლე“

2001 წლის ნობელიანტის რომანს შთამბეჭდავი პერსონაჟი ჰყავს – უილი ჩანდრანი. უილი დაბალი ფენებიდან გამოსული დედისა და ბრამინი მამის შვილია (მამისა, რომელიც განუწყვეტელ კონფლიქტშია საკუთარ თავთან). მას ბუნებით ახასიათებს, ერთი მხრივ, ამქვეყნიური ცხოვრების შუაგულისკენ სწრაფვა, მეორე მხრივ კი ყველასა და ყველაფრისაგან განზე დგომის სურვილი. ის მიემგზავრება ინგლისში და ომისშემდგომი ლონდონის ემიგრანტთა ბოჰემურ წრეებს აფარებს თავს, მაგრამ შინაგან სიმშვიდეს მხოლოდ სიყვარულის

პირველგანცდასთან ერთად აღწევს. ვიდიადჰარ ნაიპოლის ნატიფი იუმორითა და ღრმა ემოციურობით აღბეჭდილი ეს ნიგნი ჩვენი ცივილიზაციის შუაგულში გატარებულ არაერთ სანახევრო სიცოცხლეს წარმოგვიდგენს და ჩვენი ეპოქის სახასიათო ნიშნების უნიკალურ ხედვას გვთავაზობს. „ვისაც ინგლისელების შესახებ სიმართლის გაგება სურს, ეს რომანი არ უნდა გამოტოვოს“ („სანდი თაიში“). ინგლისურიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ.



**კურტ მარტი**  
**ლეჩხაზი, მცირე პროზა**

ბედნიერება – უცხო სიტყვა

ცრემლები?  
ცრემლები დიახ:  
სევდიანი გათენდა  
დილა

სასიკეთო  
არსაიდან  
ცვლილება  
არ ჩანს

სად დაიკარგე  
ამა სოფლის  
ნუგეშო  
სად ხარ?

განგებას  
მუხთალს  
შევუპყრივართ  
ურჩხულის ხელით

ბედნიერება  
უცხო სიტყვა  
გამხდარა  
ჩვენთვის

ჯვარცმამ

მკვდარი  
მკვდარ  
ძელზე:  
რა შეცვალებ?

ძალაუფალნი  
ძალას ფლობენ  
როგორც ყოველთვის  
უუფლებონი  
რჩებიან  
მსხვერპლად  
როგორც ყოველთვის  
მქონებელნი იმრავლებენ  
თავის ქონებას  
როგორც ყოველთვის  
უპოვართ სტანჯავთ  
გაჭირვება

როგორც ყოველთვის  
ესე სოფელი  
იგივეა  
როგორც ყოველთვის  
მკვდარი  
მკვდარ  
ძელზე:  
ლამაზია  
თავზარდამცემად მშვენიერი  
სხეული შენი

ლამაზი დღე

რა ლამაზად  
წვიმს

არა ძლიერად  
არა მზაკვრულად  
თავაზიანად  
დიდსულოვნად  
ელეგანტურად  
ჭემბარითი  
ჯენტლმენი წვიმა

ეს დღეს წვიმს ასე  
არ შეიძლება უფრო ლამაზად  
ინვიმოს ხვალე

ძველ ჰანაზში

ლაღად მიბობლავს  
ღრუბლის ფთილა  
სილაჟვარდისკენ  
თუმც კარგად ხვდება  
რა ემუქრება  
თუმც ზუსტად იცის  
სილაჟვარდე  
აღსასრული  
იქნება მისი

პაპანაძე

ზაფხულის ხვატი გვიწვავს გონებას  
დაჩრდილულ სკვერშიც  
ეჰ! რარიგ გრილად შეეძლო ფიქრი  
კანტს კიონიგსბერგში




დაბადებიდან ოთხმოცდაათი წელი შეუსრულდა კურტ მარტის, თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შვეიცარიელ პოეტს, მწერალს, მოაზროვნეს, თეოლოგს, პოლიტიკოსს, პენსიონერ მღვდელს.

ლექსების წერა მან 38 წლის ასაკში დაიწყო და სულ მალე აღიარება მოიპოვა. მისი პოეზია, პროზა დღეს მსოფლიოს მრავალენაზეა თარგმნილი. მასზე ინერება ნიგნები, დისერტაციები, არის მრავალი ლიტერატურული პრემიის მფლობელი.

კურტ მარტი ცნობილია როგორც სიტყვაძუნნი კაცი, მას დიდ მღუმარეს უწოდებენ (პეტერ ბიქსელი, დიროთე ზიოლე), იგი დუმს, ლაპარაკობს ცოტას, რადგან ბევრს ფიქრობს, ფიქრობს ყველაფერზე, ყველა მოკვდავზე – მდიდარზე, ლატაკზე, ცოდვით დაცემულზე, ჩერნობილის ტრაგედიაზე, ნუკალის გვალვაზე, გვატემალას წყალდიდობაზე, ჩეჩნეთის ომზე... და ნაფიქრალს ლექსებად, მინიატიურებად, მოთხრობებად... კინძავს. მისი პოეზია და პროზა გაჟღენთილია რელიგიურობით, თუმც ეს არ არის რელიგიური ლიტერატურა, ეს რელიგიური მწერლის მიერ შექმნილი ლიტერატურაა, ასკეტიზმისგან თავისუფალი. პლატონის მსგავსად, კურტ მარტის სწამს, რომ ადამიანის ერთ-ერთი დანიშნულებაა იყოს ბედნიერი, ლამაზად და გონივრულად მოიწყოს ცხოვრება, დატკბეს ცხოვრების სიამით.

გთავაზობთ მისი რამდენიმე ბოლოდროინდელი ლექსის, მცირე პროზის ორი ნიმუშისა და ორი ესეის თარგმანს.



სიყვარულის ლექსი

რას გვასწავლიან  
მოფარფატე თესლნი ნეკერჩხლის?  
ნაპრალი ხეში?  
უკვე ბინდდება  
დაუკარგავთ სურათებს ფერი  
აგიზგიზდება უცბად ტკივილი:  
შენ შენ უფლება არ გაქვს  
სიკვდილის!

ალბათ წინასწარტულად

ზეთის ხილის ჩრდილს შეფარებული  
თხა ალმაცერად განაგრძობს თვალთ-  
ვალს  
ციდან ლაჟვარდი გვიახლოვდება  
იონური მზე საამოდ გვბანგავს

მარადიულად ქცეულ სამყაროს  
წარმოგვისახავს ოცნება ტკბილი  
გაშლილი ზღვიდან დროდადრო  
ნაზად  
გვეალერსება ნიავე თბილი  
იქნებ შიშველი ფიქრობ სხვაგვარად –  
სხვაგვარად? მაინც როგორ სხვაგვა-  
რად?  
უფრო გულწრფელად და უფრო  
ლაღად  
სოკრატემდე რომ ფიქრობდნენ  
ალბათ  
ვიდრე პლატონი გვაუნყებდა რომ  
სულს და სხეულს შეუძლიათ დას-  
ცილდნენ ერთურთს  
და ასე მშვიდად, უშფოთველად გადი-  
ან დღენი.

კედელი

მან ფიცრის კედელი ააგო, კედელს  
მისი სახლის თვალსაწიერიდან ფაბრი-  
კა უნდა დაეფარა. სძაგდა ფაბრიკა.  
სძაგდა თავისი სამუშაო ფაბრიკაში:  
სძაგდა დაზგა, რომელზეც მუშაობდა.  
სძაგდა მეუღლე, როცა კი ეტყოდა,  
წუხელ ღამით ისევე გიტოკავდა ხელე-  
ბიო. ხელები კი განაგრძობდნენ ძილ-  
ში ტოკვას, სამუშაოს სწრაფ ტემპში  
ურტყამდნენ სტოკატოებს. სძაგდა  
ექიმი, თავის დაზოგვას რომ ურჩევდა;  
ოსტატი, სხვა სამუშაოზე გადაყვანას  
რომ პირდებოდა. სძაგდა ამდენი ყალ-  
ბი თანალმობა. შემდეგ ავად გახდა.  
ორმოცი წლის შრომისა და ზიზღის  
შემდეგ პირველად გახდა ავად. იწვა  
ლოგინში და ფანჯარას გასცქეროდა.  
ფანჯრიდან პატარა ბაღს ხედავდა, კი-  
დევ ბაღის კიდე – ფიცრის კედელს,  
იმის იქეთ ვერაფერს. ფაბრიკას ვერ  
ხედავდა. მხოლოდ გაზაფხულს ბაღში  
და ფიცრის კედელს. მალე გამოკეთდე-  
ბი, – ანუგეშებდა ცოლი. არ სჯეროდა  
ცოლის. მოთმინება, მოთმინება, ყვე-  
ლაფერი კარგად იქნება, – ამხნევებდა  
ექიმი. არც ექიმის სწამდა. რა უბედუ-  
რებაა, ბაღის გარდა ვერაფერს ვხედავ,

მომბეზრდა სულ ერთი და იგივეს ცქე-  
რა, – შესჩვილა სამი კვირის შემდეგ  
მეუღლეს, მოაშორე ორი ფიცარი ამ  
წყეულ კედელს. შეშინებული ქალი  
მეზობელთან გაიქცა. მეზობელი მოვი-  
და და ორი ფიცარი ჩამოიღო. ავადმყო-  
ფი კედლის ჩამოსხნილი ნაწილიდან  
ფაბრიკის ერთ მონაკვეთს ხედავდა  
მხოლოდ. ერთი კვირის შემდეგ ისევ  
დაინუნუნა: ფაბრიკის სულ ერთსა და  
იმავე ადგილს ვხედავ, ამან როგორ  
უნდა შემეყოლიოსო. მოვიდა მეზობე-  
ლი და ნახევარი კედელი ჩამოიღო. სა-  
თუთი მზერით გასცქეროდა ფაბრიკას,  
თვალს ადევნებდა საკვამურიდან ამო-  
სული ბოლის ცეკვას, მანქანების მოძ-  
რაობას ფაბრიკის ეზოში, ხალხის ნაკა-  
დის შესვლას დილით და გამოსვლას  
სალამოთი. სასადილოსა და ბიუროს  
ვერ ვხედავო, – ავიშვიშდა მეთოთხ-  
მეტე დღეს და კედლის დანარჩენი ნა-  
წილის ჩამოსხნა ბრძანა. მეზობელმა  
ეს სურვილიც შეუსრულა. როცა ბი-  
ურო დაინახა, სასადილო და ფაბრიკის  
არეალი მთლიანად, ღიმილი მოეფინა  
სახეზე. რამდენიმე დღის შემდეგ კი მშ-  
ვიდად განუტყევა სული.

ჰაი, გოეთი!

ვენეცია იძირება – ფლორენცია  
სულს ლაფავს. რომს კიბო შეჰყრია,  
ციურიხი იგვაჯება. პარიზს ფლეთენ.  
ათენი იხრჩობა. ბერლინი? ბერლი-

ნი შროდერ-ზონენშტერნის შიზო-  
სურათია. ვენა იხრწნება. ნგრევა  
გრძელდება. ნელ-ნელა იკლავს თავს  
ევროპა საკუთარ ქალაქებში. საღამოს

მენამულ ცას გულგრილად ეფინება გამონაბოლქვი გაზის ნისლი. მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება სიცოცხლით სავსე ქალაქებზე, რომელთაც ქუჩები, მოედნები შრომის, ზემებისა და ადამიანური ურთიერთობებისთვის გაულიათ. უკვე ჩვენი შვილების, უფრო სწორად, შვილიშვილებისთვის უცხო იქნება მსგავსი ოცნების შინაარსი. ტრასები, ორომტრიალი, საყვირები, ქაოსი, სამხედრო წვრთნები: ეს არის ის სამყარო, რომელშიაც მათ ოდესმე უნდა იცხოვრონ და რომელიც ასევე ოცნებად გადაექცევათ? წყევლა-კრულვითაც კი არ მოგვიხ-

სენიებენ ისინი ჩვენ, თავიანთ წინაპრებს, მათ, ვინც, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეეშალათ საბედისწერო პროცესებისთვის, ბრმად დააჩქარეს იგი, ჰაი, გოეთე! – ეტყვის პატარა ოტო ოქროს თევზს, ღირსებით სავსე და უტყვი რომ დაცურავს ოთახის აკვარიუმში და ტელევიზორის ფერად ეკრანზე ნანახ ზღვის სიღრმეს იხსენებს, იმ ფერად ტელევიზორში, საიდანაც ხანდახან ჯერ კიდევ მოჩანს ბუნება. მამამ მონათლა ოქროს თევზი გოეთედ. თავში მოუვიდა ეს სახელი, საიდან და რატომ – გაუჭირდება თქმა.

ბაზრის რელიგია

1

დღევანდელი მსოფლიო რელიგია ბაზრის რელიგიაა. ნდობა უფლის წარმმართველი ხელისაღმი ყველაფერ საუკეთესოსკენ წარმმართველი ბაზრის “ხელის” რწმენით შეიცვალა. Providentia mercati ნაცვლად Providentia Dei-სა.

1993 წლის პირველ იანვარს საფრანგეთის ტელევიზია საზეიმო მანიფესტაციის სურათების განუწყვეტელი ჩვენებით ევროპის დედაქალაქებს ახალ შობის ხარებას აუწყებდა: “Il est ne, Le divin marche” – “დაიბადა ღვთიური ბაზარი”. ეს იყო დღე, როცა ძალაში შევიდა შეთანხმება ევროპული ბაზრის შესახებ. ფრანგული ირონია?

პარიზმა ჯერ კიდევ ორასი წლის წინ მოიხარა ქედი გონიერების ქალღმერთის წინაშე. მისი ალეგორიული გამოხატულება უმშვენიერესი ქალი იყო. ბაზრის ღმერთი ან ღვთაება ისევე ნაკლებად იძლევა სურათში გამოხატვის შესაძლებლობას, როგორც ებრაული, ქრისტიანული ან ისლამური ღმერთი.

ბაზრის რელიგიის ათი მცნება:

1. მე, ბაზარი, ვარ უფალი და მბრძანებელი შენი. შენ შეგიძლია გაიჩინო ჩემს გარდა სხვა ღმერთები, მაგრამ მე უნდა მემსახურო მთელი თავგამოდებით;
2. ნუ შეიქმნი ჩემს ხატს, ნუ შეეცდები, დამინახო;

3. არ მომიხსენიო უდიერად, რადგან მე, უფალი შენი, შურისმგებელი ღმერთი ვარ, რომელიც მამათა ცოდვებს შვილებს მოვკითხავ, მაგრამ მორჩილებას და თაყვანისცემას კეთილდღეობით და სიმდიდრით ვუზღავ;

4. ექვსი დღე იმუშავე და აკეთე შენი საქმეები, მეშვიდე დღეს კი იფიქრე იმაზე, როგორ გაუძღვე მას უკეთესად;

5. პატივი ეც მამასა შენსა – კაპიტალს და დედასა შენსა – წლიურ შემოსავალს, რათა დღეგრძელი იყო უძრავ ქონებასა და ფასიან ქალაქებს შორის, რომელიც შენს უფალს – ბაზარს მოუცია შენთვის;

6. არა კლა, არამედ ყველგან, სადაც ბაზრის დაპყრობას ხელი ეშლება, ან ბაზრის პოზიციებს შერყევა ემუქრება, შიმშილს, ჯარსა და სიკვდილის ცელს მიანდე იგი;


7. არ დაარღვიო ცოლ-ქმრული ერთგულება კაპიტალიზმთან;

8. არ იქურდო, რადგან იგივე მიზნის მიღწევა ლეგალური გზით შეიძლება;

9. არ გამოხვიდე ცრუმონმედ შენი კონკურენტების წინააღმდეგ, კარგ ადვოკატებს გადაულოცე ეს საქმე;

10. არ ინდომო, რაც შენს თვისტომს გააჩნია, სანამ ბანკები კრედიტს გაძლევენ.

„ინტელექტი“ მთავაზოვთ



შეხვედრები ნობელიანტებთან

ერნესტ ჰემინგუევი, ბორის პასტერნაკი, ალბერ კამიუ, დედა ტერეზა, იოსიფ ბროდსკი, შიმონ პერესი, პეტრე კაპიტა, დარიო ფო, ანდრეი სახაროვი, ორჰან ფამუქი, მარიო ვარგას ლიოსა და სხვა ნობელიანტები საუბრობენ თავიანთ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გულახდილი დიალოგები, თამამი შეფასებები და ახლებურად დანახული დიდი პიროვნებების ყოველდღიურობა.



2

გაუმარჯოს ბაზარს! არაფერია უკეთესი, არაფერია მის მონანილეთათვის უფრო სასარგებლო, ვიდრე სოფლის ან ქალაქის ბაზრები. ნამდვილი ბაზარი. მხოლოდ მას არა აქვს არაფერი საერთო სოციალდარვინისტულ ბაზრის თეორიასთან. ბაზრის მძღოლები, მეზარე ქალები, მაგალითად, სულაც არ ფიქრობენ, ხელში ჩაიგდონ ბაზრის წილი და ბოლოს მთელი ბაზარი, მოახდინონ მისი მონოპოლიზაცია. სუპერმარკეტები მოჩვენებითი ბაზრებია. მოჩვენებითი ბაზარია ასევე, ეგრეთწოდებული, მსოფლიო ბაზარი, რომელიც აქამდე, უპირველეს ყოვლისა, ინდუსტრიული ქვეყნების მიერ ეკონომიკური დაპყრობისა და ნადავლის ხელში ჩაგდების გამართლების იდეოლოგიაა.

ბაზარი, ოდითგანვე რომ არსებობდა, სულაც არ არის არაჰუმანური. არაჰუმანური დღევანდელი ბაზრის იდეოლოგიაა, რომელმაც იცის, მსოფლიო მასშტაბით მზარდი სიღარიბე როგორ შეუთავსოს საკუთარ ეთოსს. ბაზრის სახელით გამოწვეული სოციალურ სტრუქტურათა დესტაბილიზაცია თითქმის ყველგან შეინიშნება.

პატარა სოფლების თუ ქალაქების ბაზრებში დაკეცვისას ყოველთვის რჩება რაღაც უპოვართათვის. დიდ მსოფლიო ბაზარზე – არა. მათთვის უპოვარნი, მშვიდნი არ არსებობენ,

რადგან, მართალია ამ უკანასკნელთ მოთხოვნილებანი აქვთ, მაგრამ ამ მოთხოვნილებათა საქონელზე მოთხოვნილებაში განსახორციელებლად ფული არ გააჩნიათ. ჰოდა, ამიტომ მოთხოვნილება-არჩევანის თამაშიდან გამოთიშულნი არიან. ჭარბი საკვები ნადგურდება, არ რიგდება. კი, სახელმწიფოებს შეუძლიათ თანხები გაიღონ უმუშევრებისა და უპოვართათვის – ბრძანებს დიდი ბაზარი, რათა ამავე დროს იმავე სახელმწიფოებს გადასახადების დაწევა და სოციალური ხარჯების შემცირება მოსთხოვოს. მსოფლიო ბაზრის მეორე მხარეა: უმუშევრობა, გაღარიბება, შიმშილი. ეკონომიკის მაღალი ფუნქციონერი უკან არ იხევს: ჩვენ მცდარ გზას ვადგავართ, მაგრამ სხვა რომ არ არსებობსო. ბაზრის ღმერთის დაისი?

3

იმედს იმისას, რომ ბაზარი ერთ დღეს მისი ქმედებით გამოწვეულ ეკოლოგიურ ნგრევას გამოასწორებს, არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ გააჩნია, საპირისპირო კი – ბლომადა.

მსოფლიო ბაზარი ნიშნავს: იქ წარმოებას, სადაც ხელფასები, პროდუქციის ღირებულება ყველაზე დაბალია. ამით მატულობს ტვირთის გადაზიდვა, კიდევ უფრო ჩქარდება სიცოცხლის ბუნებრივი საფუძვლის ნგრევა.

სულაც არ არის საჭირო წინასწარმეტყველი იყო იმის მისახვედრად, რომ ბაზარს, როგორც რელიგიას, როგორც პრინციპს, დიდი დღე აღარ დარჩენია. მის დამარცხებას გამოიწვევს

მზარდი სიღარიბე მსოფლიოში;  
ეკოლოგიური კატასტროფები.

მხოლოდ ბაზრის რელიგიის დასასრულს მოჰყვება საბაზრო ეკონომიკა. მას შეუძლია იყოს გონივრული და ჰუმანური, სოციალური და რელიგიური საზღვრებიდან თავისუფალი.

გერმანულიდან თარგმნა  
ბელა სურგულაძემ

თეატრი

ნათელა არველაძე  
ნოეს კიდობანიც განვირუვლია?

აღორძინების ეპოქამ, სხვა არაერთ სიკეთესთან ერთად, ორი უმთავრესი რამ შესძინა თეატრს: შექსპირი და კომედია დელ'არტეს ხელოვნება. ერთი სასცენო-სააზროვნო მასშტაბის გავრცობას ემსახურება დღესაც, მეორე – გამოსახვის ფორმათა მრავალფეროვნების განფენას (გაფართოებას). შექსპირი მუდამ თანამედროვეა – გაუხუნარი იდეებითა და მასშტაბური ვნებათაღელვით; კომედია დელ'არტემ კი სამოედნო თეატრის მოდიფიცირებული პრინციპებით ნებისმიერ „კანონიკურ“ ტექსტს მოგიზგიზე სული შთაბერა. სასცენო ამბის თხრობა შმაგ, ენაკვიმატ, მიამიტად გამართობ და ონავარ დიდაქტიკოს-ბაკქების აზარტულ იმპროვიზაციას დაუახლოვა. თამაშის მგზნებარე მუხტით აღვსილმა სანახაობამ ერთიანად დაიპყრო მაყურებლის გრძნობა-გონება. სასცენო სამოქმედო არენა არქეტიპული სამყაროს, არქეტიპული თეატრის ხმოვანებითა და ჭრელი ფერებით „შეიმოსა“. მსუბუქად და მყარად, სიცილითა და სევდით ატორტმანებულმა სანახაობათა ავტორებმა მოინადინეს ფიცარნაგ-იდან მყისიერად განედევნათ (უმეტეს შემთხვევაში მიაღწიეს კიდევ!) ფსევდოინტელექტუალური, ფსევდომართალი, ფსევდოფსიქოლოგიზმის შტამპებით აღვსილი გამოსახვის ფორმები (და არა ჭეშმარიტად მიმეტური თეატრის შინაგანი სისავსე).


და კიდევ ერთი ასპექტი: პოსტმოდერნიზმის ეპოქამ ადამიანი გამეტებით მოისროლა იმ კვარცხლბეკიდან, აღორძინების ეპოქის დასაწყისში, დიდმა ჰუმანისტებმა რომ შეაყენეს. ჩვენს დროებაში „ბუნების გვირგვინი“ – ადამინი, „ბუნების კაპრიზად“ (ფოკემა) ჩამოქვეითდა. ბუნების ამჟამინდელი „მოულოდნელი“ აბოპოქრების წინაშე აღმოჩენილი, გაოგნებული და თავზარდაცემული საზოგადოება, „მეორედ მოსვლის“ წინათგრძობით

დაზაფრული მსოფლიო, თავისივე უგუნურების შედეგს იმკის, ტექნიკური პროგრესის იმედით, ბუნებასთან დაპირისპირების შედეგს. შესაძლოა, გონიერმა ადამიანმა დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები.

ეს ერთგვარი „უვერტიურა“ იმისთვის დამჭირდა, რომ მკითხველისათვის მიმენიშნებინა, რა „დინებამ“ უბიძგა ლევან წულაძეს აღორძინების ეპოქის სულისკვეთებით დამუხტული პროზის ინტერპრეტაციისაკენ... და შეძლები-სდაგვარად ამეხსნა: მიუხედავად რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზისა, რატომ ვუჭერ მხარს მარჯანიშვილელთა სპექტაკლს – „დეკამერონს“ (ჯოვანი ბოკაჩოს ნაწარმოების მიხედვით შექმნილ სასცენო ვერსიას).

\*

მარჯანიშვილის თეატრის ინტერესი აღორძინების ეპოქისადმი, ბოლო წლებში საგრძნობლად გამოიკვეთა. ამის დასტურია შექსპირისა და მოლიერის, ახლა კი ბოკაჩოს ქმნილებათა ინტერპრეტაცია. ისიც აღსანიშნავია, რომ სცენაზე რეჟისორული აზროვნებით, მხატვრული გადაწყვეტითა და თამაშის წესით, ძალუმად შეიგრძნობა სამოედნო თეატრის, იმპროვიზაციული დელ'არტეს პრინციპების შემოქმედებითად ათვისება. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე თეატრი ცდილობს სამივე სანახაობის – საკარო, სამოედნო, წმინდა რიტუალური (ან საეკლესიო) – გამოსახვის ფორმათა ორგანული თანახმიერების მიღწევას. შეგნებული ეკლექტიზმიც ამ მცდელობითაა კულტივირებული. სცენის მსახურნი ცდილობენ, ამბავი „გათათამაშონ“ იდეათა, ჟანრების, გამოსახვის ფორმების აღრევით, ფერადოვნებით, იდუმალი შინაგანი სვლებითაც, ფიქრიანი განწყობითაც და ერთგვარი სიანცითაც. ლევან წულაძის მიერ შეთხზულ სასცენო



ამბავსაც ამ საერთო სულისკვეთების მფეთქავი მუხტი გამოარჩევს. მისი მცდელობა, სცენაზე წარმოადგინოს მითოლოგიზებული ამბავი ტოტალური ჟამიანობისა, მიღწეულია მეტაფორული აზროვნებით, ნიშანთა სისტემით. ამ კოდირებული სისტემის ამოცნობას, ამოკითხვას, სიტყვით გაცხადებას დაკვირვება და სიღინჯე უფრო წაადგება, ვიდრე პირველადი აღქმის ემოციათა სიჭარბე. დასაბუთებული მსჯელობა კი გამოარჩევს, უწინარესად, პროფესიონალ-კრიტიკოსს. ამის დაფიქსება არ ეგების, კრიტიკოსის არგუმენტი დიდი ძალაა.

ამჯერად, მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს განვიხილავ, როგორც სახიერად მონათხრობ ამბავს. თავდაპირველად აღვნიშნავ, რომ სანახაობა იმ თვისებათა ანარეკლიცაა, რომელზეც შესავალ ნაწილში მივუთითეთ. ამბავი გათამაშებულია არა ინსტინქტთა პედალიზებული რეაბილიტაციის ფონით, არამედ გონის პრიმატით, ამასთანავე, ღია თამაშის მუხტის კულტივირებით. აღორძინების ეპოქის სამოედნო სანახაობითი კულტურის საკარნავალო, საზეიმო განწყობისა (პირველი ნაწილი) და პარადოქსულობის, დაეჭვებისა და ნიჰილიზმის ამჟამინდელი იმპერატივის შეთავსებით. გარეგნულ პარტიტურაში კი შეიგრძნობა აღორძინების პერიოდის ფრესკებისა თუ ფერწერული სურათების „პლასტიკური მონახაზის“ თავისუფალი გაქანე-

ბა, დაურიდებელ „მოძრაობათა“ ლალი შტრიხები, ფეთქავს შუა საუკუნეების არტახებისაგან თავდახსნილი ადამიანის ანცი ბუნებრიობა, „მატერიალურ-ხორციელი სანყისის სიჭარბე“ (მიხეილ ბახტინი).

სპექტაკლი იწყება მესით, სულის განმწმენდი რიტუალით, თუნდაც კათოლიკური სამყაროს შესხენებით. ვიზუალურ-ვერბალურმა სახიერებამ თავიდანვე საკრალური იდუმალებით აღავსო დარბაზი. მაღალთაღოვანი, ვიტრაჟებიანი, მოლურჯო-მოცისფრო გამით „შეფერადებული“ ტაძარი, დარბაზის ჭალიდან და საყდრის გუმბათიდან დაშვებული სხივების გადაკვეთით გასხივოსნებული უფლის სახლი, გრანდიოზულ-იდუმალი სულისკვეთებით მუხტავს მყურებელს. განათების პარტიტურა, როგორც სახიერი გადანყვეტის დასტური, მაღალ შეფასებას იმსახურებს, იმდენად აქტიურად არის ჩართული მოქმედებაში. ვახტანგ კახიძის მუსიკა კი, თითქოს, სპექტაკლის კიდევ ერთი პერსონაჟია, რომელიც ხან საკრალური ხმოვანებით, ხან ექოს მოძახილით, ხან მთრთოლვარე პიანოთი, ხან კვენსითა თუ ალტიკნების ფორტეით, ხან საგანგაშო ტონალობით გვამცნობს დამდგმელი გუნდის სულისკვეთებას, მხატვრული გადაწყვეტის პრინციპს. თავად კომპოზიტორის ვოკალური შესრულება ძალზე მოუხდა სპექტაკლს, გაამძაფრა „ინტიმურ-გრანდიოზული“ შეგრძნებები. ვახტანგ კახიძე რეჟისორის ფიქრიანი სევდისა თუ ხალისიანი სიანცის თანაგანმცდელია, თანამოაზრეა, ჭემარტი თანავტორია, ამიტომაც ასე ფაქიზად და ორგანულად გადააქვს ლევან ნუღლაძის სიტყვიერი განმარტებები მუსიკალური პარტიტურის ენაზე. ქორეოგრაფი გახლავთ გია მარღანია, ხოლო საბრძოლო ილეთები დამუშავებულია შოთა სხირტლაძის მიერ.

სანახაობა აერთიანებს თითქმის ყოველი სახეობის თეატრალურ ფორმებს: დრამატულ, ჩრდილების, ნიღბების, თოჯინური თეატრების გამომსახველობას, პერსონაჟებს, მატერიალურ ნიღბებსაც და ნიღბებს, როგორც ასეთს. რეჟისორი სცენაზე წარმოადგენს ასი ნოველის სიუჟეტებ-

თამარ ბუხნიკაშვილი, ბაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა (სცენა სპექტაკლიდან „დეკამერონი“)



ში მიმობნეულ პასაჟებს, სიტყვიერი ქარგის შტრიხებს, ქვეტექსტით დახუნძლული ეპიზოდების ცალკეულ ასპექტს. ფრაგმენტული თხრობა თავად თანამედროვე ხელოვნების თვისებაა და, ამ შემთხვევაში, თავად ბოკაჩოს პროზის ფორმითაც არის განპირობებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, რეჟისორი ძველი ხელნაწერის ფოლიანტებზე შემორჩენილ მინიატურებს სასცენო დინამიკით „ატოცხლებს“, მათ ცინცხალი, ფერადოვანი, დაურიდებელი ჟესტითა და მიმიკით, ორლესული რეპლიკებითა და „უბოდიშო“ ქცევით, იუმორით, ირონიითა და პაროდით მეორე სიცოცხლეს ანიჭებს (თეატრის მიერ შემოთავაზებული ლიტერატურული ტექსტის თაობაზე მსჯელობა და კამათი, ვფიქრობ, შესაძლებელია და მხოლოდ წაადგება თეატრს მომავალი ძიებებისათვის).

რეჟისორი ფართო პანორამით (მასობრივი სცენები) მიგვანიშნებს გლობალურ სამყაროს, ხოლო მათგან გამოყოფილია მიკრო ამბავი ცოლ-ქმრისა, ორი მიუსაფარი ქალისა, მამისა და ქალიშვილისა, ეკლესიის მსახურისა და გზაბნეული ვაჟისა... ზოგადი და კერძო ჩანწული და ჩახლართულია მთლიანად საზოგადოების ყოფაში, ამიტომაც მატერიალურ-ხორციელი, სისხლსავე რეალობა ურთიერთგადაჯაჭვული, ერთიან სისტემად წარმოისახება სცენაზე.

„დეკამერონი“ შავი ჭირის მიზეზით გახიზნული ზეპური საზოგადოების ახალგაზრდების მონათხრობი ასი ნოველაა. სპექტაკლი შავი ჭირის პრეისტორიული მოვლენების თხრობით იწყება. ზნეობრივი დაცემის სურათებს წარმოგვიდგენენ მსახიობები. რეჟისორი შეეცადა ამ წამლუკავი წარღვნის, „მეორედმოსვლის“ მიზეზთა-მიზეზებს ჩაუღრმავდეს და წარმოაჩინოს შედეგი იმ უგუნური ყოფისა, რომელმაც აღვირახსნილი ცხოვრების წესით ადამიანის, საზოგადოების ზნეობრივი დაცემა გამოიწვია. ფარსული სიმსუბუქითა და პაროდულ-იუმორისტული მინიშნებებით წარმოსახულ მინიატურებში მორალიტეს დიდაქტიკაც შეიგრძნობა. გაუკუღმართებული ურთიერთობები

ამზადებენ მაყურებელს პერსპექტივის მძაფრი განცდისათვის, როგორც პროგრამა გვაუწყებს „ესაა ამბავი ჩვენს მიერ დავინწყებული მომავლისა... ამბავი თითოეული ჩვენთაგანისა...“

პირველი ეპიზოდი ჩაპელატოსა (მალხაზ აბულაძე) და ალიბემის (ირმა ბერიანიძე) სიმბოლური შეხვედრით იწყება-აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა შეხების თემით იწყება სიუჟეტი, ეს თემა მარტოდენ დეკლარაციით შემოიფარგლა, ისევე, როგორც გაერთიანების მოწოდება, ამბავი სხვა მიმართულებით განვითარდა. მალხაზ აბულაძის შესრულება არა მარტო თამაშის წესის ორგანოლობით არის აღბეჭდილი, არამედ საგულისხმოა ბაკქური ონავრობისა და მოჩვენებითი სერიოზულობის შენივთებით. მისი სასცენო კულტურისა და პიროვნული ძალის შემწეობით, სკაბრეზული სცენებიც კი გათამაშებულია ფაქიზად, იუმორით, ზედმეტი ფამილარობის, მაყურებელთან სითამამით კეკლუცობის გარეშე.

ამ დუეტის შემდეგ მკვეთრად იცვლება მუსიკალური თემა, რიტმი, აქცენტები. სცენაზე გათამაშებულია სახელმწიფოს იერარქიული პირამიდის „ფსკერი“ – სასახლის სამრეცხაოს ეპიზოდი. ამ გახსნილ, თამამ, ლალ, მატერიალურ-ხორციელი საწყისის დაურიდებელ დემონსტრაციას მსახიობები (ნინო ნულაძე, ელენე საზანდარიშვილი, მაკა შალიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, მარიამ ჩუხრუკიძე) და ამ გუნდის პროტაგონისტი – მანანა კოზაკოვა, წარმოსახავენ ღია თამაშის წესით, თავშესაქცევი იუმორით, უბოდიშო ჟესტით, გულფიცხი რეპლიკებით, მაგრამ არ არღვევენ მონახაზის გამიზნულობას, არც ისინი კეკლუცობენ მაყურებელთან. სასახლის კარისა და მისი „ფსკერის“ თამამი ურთიერთობა მხოლოდ წუთიერი თავაშეშეულობა გამოდგა, ანცი ყმანვილქალები ამისათვის გაროზგეს ბოლოს. დამდგმელი გუნდის დიდაქტიკა ორლესული რეპლიკებისა და სახიერი საქციელის „შიგნითაა“ მიმალული, მათრახის ტლაშუნი კი ისევე იერარქიული პირამიდის პარადოქსულ წყობასა და მაღალი, პატივცემული



ქეთი ცხაკაია და ბესო ბარათაშვილი  
(სცენა სპექტაკლიდან „დეკამერონი“)



გივი ჩუგუაშვილი და ნინო გაჩეჩილაძე (სცენა სპექტაკლიდან „დეკამერონი“)

„გვამების“ სისასტიკეზე მიგვანიშნებს. გამომგონებლობით, იუმორით, სისხარტითა და შესრულების ოსტატობით არის აღბეჭდილი კალანდრინასა და კალანდრინოს სცენები (მხატვარ ნინო სურგულაძის კოსტიუმები, განსაკუთრებით მრეცხავი ქალებისა და ამ ეპიზოდის მონაწილე ცოლ-ქმრისა, საინტერესოდ არის გადანყვეტილი და მკერავების მიერ კარგად შესრულებული). აქ ერთი შტრიხით, ბუტაფორიის მწკრივით (თეთრი ქალაღდით თავმოკრული მურაბიანი ქილები) ამაღლებული განწყობა მოსროლილია და თავად ამბავია მეტისმეტად დამინებული. თითქოს, ამ გადანყვეტის, ამ სვლის გაგრძელებაა ქეთი ცხაკაიასა და ბესო ბარათაშვილის მახვილგონიერებით აღსავსე თამაში. აქ ჟესტი, მიმიკა, საქციელი, ინტონაცია, აფექტური მოძრაობები ისევე ზემოქმედებენ მაყურებელზე, როგორც ოსტატთა სურათები, ხალხური ან ქალაქური ფოლკლორის სახუმარო-სხარტი „კუპლეტები“.

ამ სასაცილო და ამბივალენტური „არაკის“, მორალიტესა და ფარსის (ვერცხლის მოყვარეობა, ცოლქმრული-სახიერი ქცევა, ზურაბ ბერიკაშვილისა და ონისე ონიანის გონებამახვილური დუეტის შეგონებები) ფორმათა ერთობლიობით გათამაშებული ეპიზოდები ხალხური სანახაობითი კულტურის ნიალიდან არის ნასაზრდოები. აქ მთავარია მატერიალურ-ხორციელი, ხალისიანი სულისკვეთება და „ზომიერი“ გროტესკის მუხტი. „მუცელ ქმნილი ბერდედების“ (მიხეილ ბახტინი) სანაცვლოდ, აქ გათამაშებულია „მიდ-

გომილი მამაკაცის“ მიერ „ახალი სიცოცხლის“ შობის „ლიტურგია“. ბერნი ცოლ-ქმარი შობს „გაუფორმებელ“, უსიცოცხლო, ხრწნად „ნაკუნს“ – ეს უკვე პარადოქსული, დეგრადირებული, გაუკუღმართებული რეალობის ნიშანია. რეჟისორის დიდაქტიკა ხორცშესხმულია მსახიობების სასეირო-სახალისო, ფარსული სიმსუბუქითა და ტაკიმასხრული ონავრობით, სერიოზული სასაცილო ბალაგანური კომიკურობით. ჰიპერბოლა აქ რეალური ბუნებრიობით იმოსება.

ასევეა გათამაშებული „მასობრივი სცენები“ ეჭვიანი ბებერი ქმრისა. სიცოცხლით ტკობის ჟინით აღვსილი ყმანვილი ცოლისა და თავშესაქცევად შემართული ახალგაზრდა ფლორენციელთა ურთიერთობის „ლაფში ამოგანგლური წინაპართა“ სახელის დაცვის ეპიზოდი. მარლენ ეგუტიას ნიკოსტრატო რაინდების პაროდია-საც წარმოგვიდგენს. შეურაცხყოფილ ბერიკაცს აბჯარი, რაინდთა მებრძოლი სულისკვეთების სიმბოლო, უმაქნისად „ჰკიდია“ მომჩვარულ სხეულზე, მას გაბურძნული თმები და ქორივით გამოხედვალა დაჰყვა „ძველი დიდებისაგან“. რაინდი დაშნით კი არ იცავს ღირსებას, არამედ სოფლის განსასაჯელად გამოაქვს თავისი ოჯახის ამბავი. რაინდული ყოფის როგორი დაკნინებული სურათია გათამაშებული სცენაზე! ამ ჟინიანი თამაშით ახალგაზრდობის ხორციელი ტკობის ნებას, თავშექცევისათვის შემართებასა და ჯანსაღ იუმორს წარმოაჩენენ მსახიობები: ეკა ნიჟარაძე, ნიკა კუჭავა, ბექა გოდერძიშვილი, ჯაბა კილაძე, პაატა ინაური, დავით ქუთათელაძე... ამ გუნდის პროტაგონისტია ზაზა იაქაშვილი, რომელიც არა მარტო გრძნობს ამბივალენტური სანახაობის ფარსულ ბუნებას, არამედ გონის პრიმიტსაც და პერსონაჟს რელიეფურად წარმოსახავს. მისი არტისტული მონაცემები ჯერ კიდევ არარეალიზებული მგონია, ის კი სცენაზე მეტად მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება, სწორედ ინდივიდუალური, ბუნებით ბოძებული და გონით დახვეწილი თვისებების მიზეზით.

ამ ხალისით გათამაშებული არაკის მორალი სულ „უბრალოდ“ გაგვიმხილეს: „ზემოდან ყველაფერი სხვა-



გვარად მოჩანს“, ხოლო მარლენ ეგუტიას გაოგნებული ნიკოსტრატოს შეგონება – უნდა ამოიძირკოს ყოველი ხე და ბუჩქიო, ამ დაქადნებაში გაგულისებული არაერთი ხელისუფალის „გულუბრყვილო“ გესლი გამოსჭვივის! მართლაც, ერთსახოვანი საცხოვრისის მართვა უფრო ადვილია!


მეორე მოქმედება უკვე დაცემული, დარღვეული, გაპირუტყვებული რეალობის აგონიას წარმოაჩენს (ჩემი ფიქრით, დასახვეწია მთლიანად სპექტაკლის ეს ნაწილი), ომის მონოდება „შავი ჭირის“ პრელუდიად შეიძლება ვივარაუდოთ! ამ ორგინად ქცეული სითამამის ფონზე გათამამებულია კონსოლტაცისა და ბერნანდრეტას ჟანრული სცენა, მანანა კოზაკოვასა და ბაია დვალისშვილის შესანიშნავი შესრულებით. ვფიქრობ, თანდათან კიდევ უფრო ძლიერად გაიჟღერებს მამა პანუს-დავით ხურცილავასა და „ძე შეცდომილის“ ეპიზოდი და გამოიკვეთება ამ იგავის ქვეტექსტიც, ასევე, დამუშავებისა და დახვეწის შემდეგ, კიდევ უფრო გამოიკვეთება მამა-შვილის ეპიზოდიც გივი ჩუგუაშვილისა და ნინო გაჩეჩილასის შესრულებით, მით უფრო, რომ გივი ძალზე ძლიერი, ნიჭიერი მსახიობია და მას ძალუძს ნები-სმიერი რეჟისორული გადაწყვეტის გამართლებაცა და ოსტატობით გათამაშებაც...

სცენაზე ზოგჯერ მეტყველი ფერებითა და პლასტიკური მონახაზით, ზოგჯერ საერთო შტრიხებით, მინიშნებულია სოციუმის ზნეობრივი დაკნინების, კაცის კვლის, ალვირახსნილი მრუშობის, სიცრუის, ვერცხლისმოყვარეობის, თვალთმაქცობის, მშობლის მიმართ უპატივცემლობის ისეთი სურათი, რომელმაც წარსული (განსაკუთრებით ანტიკური, შუა საუკუნეების, ალორძინებისა და ანიდეელი სამყაროს) და რეალობის სულისკვეთება შინაგანი კავშირით შეკრა. ამ დაცემისა და გაუკუღმართებული საცხოვრისის მომსწრენი ჩვენც აღმოვჩნდით – მაცურებლები! რეჟისორმა თითოეულს დაგვაკისრა პასუხისმგებლობა სამყაროს წაღმა-უკუღმა ტრი-ალის გამო. ბუნების ამბოხი, პოლიტიკოსთა (ტანკრედის!) ამბიციების,

სოციუმის საკუთარ „ნიჟარაში შეყუყვის“ საზღაურად „შავი ჭირი“ გვერგო! შესაძლოა, ამიტომაც გულიანად მოხარხარე და ზოგჯერ ჩაფიქრებულ მაცურებელსაც და სცენაზე შავი ჭირით მოცელებულ გვამებსაც, თეთრი სუდარა გადააფარა რეჟისორმა, ასე ჩაატარა კვდომა-დაბადების რიტუალი...

\*  
მიხეილ თუმანიშვილმა მიღმიერი სამყაროს წარმოსახვით („ჩვენი პატარა ქალაქი“), კაცობრიობის გულგამყინვარების პერსპექტივა დაგვანახა (1983 წელი); რობერტ სტურუამ დაკნინებული რეალობის შეცვლა შეუძლებლად ჩათვალა, მისი ნგრევა და ახლის დაბადება მიიჩნია გადარჩენის სახსარად („მეფე ლირის“ დეკორაცია რუსთაველის თეატრის მაცურებელთა დარბაზის უფერული ანარეკლი გახლდათ, ფინალში ინგრეოდა დეკორაციასამყარო და ჰაერში იყო გამოკიდებული თვინიერი მაცურებლის ფიტული, 1987 წელი); ლევან წულაძემ 2011 წლის მარტის თვის „წარღვნისა თუ მეორედ მოსვლის“ შემდგომ, ჩვენი გაფრთხილება მოინადინა – სასწაულის მომლოდინე, სხვისი შემწეობის მომლოდინე, უგონო ქმედების, ბუნებასთან ჭიდილის „შემწე“ სოციუმს სასტიკი განაჩენი გამოუტანა, თუმცა ლამაზი იუმორით გააკეთა ეს – სცენაზე განგამის ზარი დაარისხა, ისევ მშვენიერი სხივით გაანათა სცენა მთვარის დისკოზე ნისლში გახვეული გარინდული დედამიწის სანაცვლოდ, ხასხასა მდელო გამოხასხა, დარბაზს თეთრი სუდარა გადააფარა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიბადა მდელოზე უბინო სითეთრით შემოსილი სიცოცხლე – ნორჩი ბაღლი!  
უკვე მეოთხედი საუკუნეა, რაც ქართული თეატრი (სხვა რეჟისორების პოზიციასაც თუ გავითვალისწინებთ!) ამ ფუნდამენტურ პრობლემაზე დაფიქრებული. თეატრი აფრთხილებს მაცურებელს, სოციუმს, საზოგადოება კი ჩვეული ყოფით აგრძელებს ცხოვრებას. ახლა „შავი ჭირი“ ბუნების „აჯანყებით“ მოგვევლინა. სოციუმი ისევ გააგრძელებს“ ჩვეულ ლხინს ჟამიანობის დროს?! საკითხავი აი ეს არის! ნუთუ ნოეს კიდობანიც განწირულია?

### „ინტელექტი“ ბთავაზობთ



### გურამ ბათიაშვილი „სახეები და სიტუაციები“

„ჩემი ცხოვრება სამ განზომილებაში მოექცა:

ებრაელი ვარ, ვცდილობ ვიცხოვრო, როგორც ებრაელმა – ვატარებდე ებრაელი კაცის მძიმე ტვირთს.

ქართველი მწერალი ვარ, ვცდილობ ვიცხოვრო ქართველი მწერლის არც თუ იოლი ხვედრით.

და მესამე ნაკადი ერთი ადამიანის სიცოცხლისა – ქართული თეატრი – დიდი, მასულდგმულბედი ტაძარი. ამასთან ერთად, საუკუნის მეოთხედზე მეტია ვრედაქტორობ არსებობის ასმეორე წელიწადში გადამდგარ ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“.

ეს წიგნი ასეთმა ცხოვრებამ შემაქმნევინა – ცხოვრების ამგვარმა წესმა და კიდევ იმან, რომ ძალიან მიყვარს ადამიანების ბუნებაზე, ქცევაზე, ცხოვრების მოვლენებზე დაკვირვება.

ეს წიგნი ბოლო 25 წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე იწერებოდა. ახლაც იწერება. იწერება ის, რასაც ამ წუთში ვფიქრობ, განვიცდი, ვზედავ, ვხვდები“...

(ფრაგმენტი ავტორის წინასიტყვაობიდან)



## ლაშა ჩხარტიშვილი

### ჩანაწერები ლევან წულაძის „დეკამერონზე“...

მარჯანიშვილის თეატრის ბოლო პრემიერა **ჯოვანი ბოკაჩოს** „დეკამერონის“ ქართულ სცენაზე გაცოცხლების მესამე მცდელობაა და არა პირველი, როგორც ეს **ლევან წულაძის** ახალ სპექტაკლზე მომზადებულ სატელევიზიო სიუჟეტში მონათლეს. ამით ქართველი მაყურებელი შეცდომაში შეიყვანეს, რადგან 1928 წელს **თედო სახოკიას** მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი „დეკამერონი“ პირველად 1929 წელს **ვალერიან შალიკაშვილმა** დადგა, მეორედ კი, 2006 წელს, **სანდრო მრევლიშვილმა** მის მიერვე დაარსებულ თეატრ „გლობუსში“. „დეკამერონის“ ქართულ სცენაზე განხორციელება ორივე შემთხვევაში წარუმატებელი აღმოჩნდა. არავინ იცის, რამდენ ხანს შემორჩება მარჯანიშვილის თეატრის მოქმედ რეპერტუარს მისი სამხატვრო ხელმძღვანელის, ლევან წულაძის მიერ ახლახანს დადგმული „დეკამერონი“, სპექტაკლის სიცოცხლისუნარიანობას მაყურებელი განსაზღვრავს, ჩვენ მხოლოდ რეჟისორის გადასახედიდან შევეცდებით გამოვყოთ სპექტაკლის ძირითადი აქცენტები, თუკი ასეთი არსებობს.

რეჟისორის გადასახედიდან სპექტაკლის დადებითი თუ უარყოფითი მხარეების შეფასება შემთხვევით არ მიხსენება, რადგან ლევან წულაძე განსხვავებულ, უფრო სწორად კი „გაძარცვულ“ „დეკამერონს“ გვთავაზობს. რეჟისორმა უარი თქვა ჯოვანი ბოკაჩოს ნაწარმოების ორ მნიშვნელოვან მხარეზე: ეროტიკაზე და ეკლესიის, როგორც ასეთი ინსტიტუტის კრიტიკაზე. ეს რეჟისორის არჩევანია! ამიტომაც, მან სხვა, უფრო ფართო, გზა არ დაგვიტოვა და მხოლოდ მის „კონცეფციაში“ მოგვაქცია.

სპექტაკლში მოქმედება სამ სიბრტყეზე მიმდინარეობს (სცენოგრაფიის ავტორი თავად რეჟისორია), მოცემულ სამ სიბრტყეს სპექტაკლის მსვლელობისას მეგონა რეჟისორი იდეურ დატვირთვას მიანიჭებდა (ერთგვარი ქვესკნელის, ზესკნელის და შუასკნელის მსგავსი), მაგრამ ტყუილად ველოდი სამი სიბრტყის მეტაფორულ გამართლებას. რეჟისორმა

ამ სამ განზომილებას ტექნიკურ-ვიზუალური დატვირთვა მიანიჭა. ამ მხრივ მისი ინტერესი თეატრის სცენის მთლიანი ათვისების სურვილით და ვიზუალური ეფექტის შექმნის მიზნით შემოიფარგლა მხოლოდ. სპექტაკლში სამივე პლანია გამოყენებული, რომლებზედაც გათამაშებული მოქმედება არაერთხელ ფარავს ერთმანეთს, გარდა ამისა სიმღერები მონოლოგებს, დიალოგები კვლავ ერთმანეთს. ამის მიუხედავად, სცენაზე პარალელური მოქმედებების წარმოება მაყურებლისთვის რეჟისორის ხერხად კი არ აღიქმება, არამედ მსახიობთა არაორგანიზებულობად. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მსახიობ **მარლენ ეგუტიას** მონაწილეობით გათამაშებულ ეპიზოდებში.

ზემოთ „გაძარცვული დეკამერონი“ ვახსენე და მასში ეროტიკული მოტივებისა და სასულიერო პირების კრიტიკის არარსებობა ვიგულისხმე. ამაში არაფერია დასაძრახი, ხელოვნება ყოველგვარი ჩარჩოსგან თავისუფალია, მაგრამ თანამედროვე მაყურებლისთვის მნიშვნელოვანი სოციალური კონტექსტი და პასუხი კითხვაზე: რატომ დაიდგა ასე? როგორ და რატომ არის ცნობილი ნაწარმოები ინტერპრეტირებული ამგვარი ფორმით?

მივყვეთ თანმიმდევრობით: პირველი სცენა, ე. წ. საექსპოზიციო ნაწილი ილუსტრაციულია და ის გართობით-გაცნობით ხასიათს ატარებს, კინოჟურნალის მსგავსს, რომელიც სპექტაკლის მორთვის ზედმეტი დანამატია (ასეთი ეფექტები და მორთულობა ბევრჯერ გვხვდება სპექტაკლში, რომელიც მართალია ვიზუალურ ეფექტს ახდენს, მაგრამ მათი მხატვრული დატვირთვა განზოგადებას ვერ აღწევს, თუ არ ჩავთვლით ფინალს, როცა დიდი თეთრი ნაჭერი, როგორც ზვავი, ბუნებრივი სტიქია, სცენის სიღრმიდან პარტერისაკენ სცენის დეკორატორ-მემონტაჟების მიერ მოქრის და ყველაფერს შთანთქავს) ლევან წულაძის „დეკამერონის“ პერსონაჟების შემოვარდნა სცენაზე **ვახტანგ**

კახიძის მუსიკალურ კომპოზიციაზე შორეულ ასოციაციებს ბადებს **რობერტ სტურუას** ლეგენდარული სპექტაკლის „კავკასიური ცარცის წრე“ პირველ ეპიზოდთან... მსახიობების უმრავლესობა სცენაზე ანარქიულ ქორეოგრაფიულ ნახაზს ასრულებენ და კულისებში უჩინარდებიან. ამ „რიტუალის“ შესრულების შემდეგ ვითარდება სიუჟეტი, თუმცა ეს განვითარება არ არის თანმიმდევრული და შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ მხოლოდ ერთი თემა აერთიანებთ. სპექტაკლის მეორე ნაწილში რამდენჯერმე გაიღვებებს სასულიერო პირი, რომელსაც **დათო ხურცილავა** ასრულებს. ეს პერსონაჟი საკუთარ თავთან მოდის წინააღმდეგობაში, ისე როგორც რეალურ ცხოვრებაში თანამედროვე მღვდელი, ის ხან იდეალური პერსონაჟია, ხანაც ყველაზე ზნედაცემული, ამიტომაც მისი საბოლოო ქადაგება ძალადაკარგულია, მისი აღარც მაყურებელს სჯერა და არც სპექტაკლის მოქმედ გამირებს.

ლევან წულაძის „დეკამერონში“ მარჯანიშვილის თეატრის დასის ნევრთა თითქმის ერთი ნახევარი (20-ზე მეტი მსახიობი) მონაწილეობს. შესანიშნავი ტრადიციების მქონე, აკადემიური და ისტორიულად ერთ-ერთი წამყვანი თეატრის სცენაზე ორ ათეულ მსახიობზე მეტი დგას და მათგან მაყურებელს მხოლოდ რამდენიმე დაამახსოვრდება, მათ შორის, უპირველესად, **ქეთი ცხაკაია** და **ბაია დვალისშვილი**. ბაია დვალისშვილი მაქსიმალურად ცდილობს გამოკვეთოს თავისი პერსონაჟის ხასიათი და ტიპაჟი, მაგრამ შთაბეჭდილება რჩება, რომ მსახიობი მიგნებულს დანებდა და ძიების პროცესი აღარ გააგრძელა, რასაც ვერ ვიტყვით ქეთი ცხაკაიაზე. მსახიობი ამ სპექტაკლშიც ავლენს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას დაკისრებული როლისადმი და პროფესიონალიზმს, რაც პირველ ყოვლისა, მის ნამუშევარში ნათლად ჩანს. მსახიობი ახალ, მისეულ მხატვრულ სახეს დეტალებით ქმნის, რომელიც მაყურებელს შეუმჩნეველი არ რჩება. ქეთი ცხაკაია ცდილობს თავი დააღწიოს წინა პერიოდში შექმნილი როლების გავლენას. მართალია, ეს პროცესი მკვეთრი არ არის, მაგრამ მისი პერსონაჟის გან-

სხვაგვებულობა თვალშისაცემია. საერთოდ კი, ძნელია განსაზღვრო რა ჟანრს გვთავაზობს რეჟისორი, დაუდგენელია მსახიობთა თამაშის სტილისტიკა, ინტონაციები, თამაშის მანერა, ამის გამო ზოგიერთი გმირი მსახიობთა „წყალობით“ კარიკატურულ პერსონაჟებად იქცნენ. ამ ატმოსფეროს შექმნას ხელს უწყობს სპექტაკლის ქორეოგრაფიული (**გია მარღანია**) გადაწყვეტაც. მსახიობთა გარკვეული ნაწილის ცეკვა სპექტაკლში როკვას უფრო გავს, ვიდრე დახვეწილ პლასტიურ მოძრაობას. რაც შეეხება სპექტაკლის ტექსტუალურ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ თედო სახოკიას მიერ „დეკამერონის“ თარგმანი თეთრ ლექსად ენის სტილის თვალსაზრისით დღეს კლასიკურ ლიტერატურას განეკუთვნება. ენა, თუნდაც ლიტერატურული ცოცხალი ორგანიზმია და იგი მუდმივად იცვლება. ამიტომაც, ეჭვი მაქვს მაყურებელთა დიდი ნაწილისთვის (თეატრის მაყურებელთა 80% დღეს ახალგაზრდობას წარმოადგენს) თითქმის საუკუნის წინ თარგმნილი ტექსტი, გაუცხოებას გამოიწვევს, რადგან გარკვეული სიტყვები, რომელიც სცენიდან ისმის თანამედროვე ლიტერატურაში (მით უმეტეს, სასაუბრო ქართულში) თითქმის აღარ გვხვდება.

ძველი, კლასიკურ-აკადემიური ტექსტით, დაუდგენელი ეპოქის ხატვით, ტრადიციული კოსტიუმებით ლევან წულაძე გულგრილ, ნიჰილისტ, უსაქმურ და ანგარებიან საზოგადოებას ხატავს, თუმცა რეჟისორის მიერ ამორჩეული ნოველები და მასში მოთხრობილი ისტორიები, რომელიც მან მაყურებლის წინ გააცოცხლა, ნაკლებად აღძრავს ასოციაციებს ჩვენს თანამედროვეობასთან. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტი მარადიულ პრობლემებზე მოგვითხრობს, სპექტაკლში გამქრალია სოციალური კონტექსტი და ის მხოლოდ მინიშნებებით იფარგლება.

მთლიანობაში მარჯანიშვილის თეატრის „დეკამერონი“ სამუზეუმო სპექტაკლის შთაბეჭდილებას ტოვებს: მოძველებული ლექსიკა; ტრადიციული, ეპოქისთვის დამახასიათებელი კოსტიუმები, ორი საათის განმავლობაში გათამაშებული შორეული ეპოქის სურათი მაინც გაუცხოებულ ისტორიად დარჩა თანამედროვე მაყურებლისთვის.



მალხაზ აბულაძე (სცენა სპექტაკლიდან „დეკამერონი“)

## კინო



## ბორენა ბაქრაძე

## „ხომლი“: ერთი იდეა და მრავალი დუბლი

...მათ აქვთ კამერა, რამდენიმე კარგი მონტაჟილობა იმისთვის, რომ კინო იყოს ხარისხიანი, აქვთ ნათელი ხედვა და ნიჭიერება, და რაც დღეს ერთ ადამიანურ ფუფუნებათაგანია – ენთუზიაზმი, დიდი, მძლავრი სურვილი, რომ კარგი საქმე აკეთონ.

სწორედ ამიტომ, ამ კინოსტუდიის წევრებს სადმე ოფისში ან მსგავს ოფიციალურ სივრცეში კი არა, გადასაღებ მოედანზე დავემგზავრე. მათი ყველაზე მხურვალე შემოქმედებითი გარემოც ესაა – გზა, სივრცე, ინტერიერი, კადრებად, სცენებად დანახული სამყარო, კინოდ აღქმული სინამდვილე.

სტუდიის სათაურზეც ბევრი იფიქრეს და, დასკვნამდე ერთად მივიდნენ. „ხომლი“ – ასე ჰქვია ახალ კინოსტუდიას, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ შეიქმნა (ოფიციალურად, ნოტარიულად და ყველა სოციალური სიზუსტის დაცვით, თორემ ისე, მისი არსებობა ამ ჯგუფის დიდი ხნის ჩანაფიქრი იყო), მუშაობდნენ კიდეც, აკეთებდნენ ესკიზებს, იღებდნენ კადრებს, მოკლემეტრაჟიან ფილმებს, პარალელურად სწავლობდნენ, ზოგი თეატრალურ უნივერსიტეტში, ზოგი – სამხატვრო აკადემიაში. მერე ამ გამოცდილების და იდეების თავმოყრის დროც დადგა და საქმემ უკვე სულ სხვა სახე მიიღო.

**ლევან ლომაშვილი** კინოსტუდია „ხომლის“ მთავარი სულისჩამდგმელი, ახალგაზრდა კინორეჟისორია. სწორედ მისი დიდი სურვილი იყო, შეექმნა კარგი შემოქმედებითი ჯგუფი, და მათთან ერთად განეხორციელებინა უამრავი იდეა. ლევანი მიიჩნევს, რომ ჯგუფის შერჩევაში ძალიან გაუმართლა.

**ლევან ლომაშვილი:** დიდი ხანია ვფიქრობდი კინოსტუდიაზე. საერთოდ, ადამიანი ხომ ღმერთმა შემოქმედად ჩაიფიქრა. ყველას რალაცის ნიჭი და განუმეორებელი ფუნქცია აქვს. ზოგი ხატავს, ზოგი წერს და სიტყვით გამოთქვამს სამყაროს, ზოგი მუსიკას ქმნის. ბავშვობიდან ვეძებდი ჩემს

თავში ნიჭს, რომლითაც იმ ყველაფერს გამოვხატავდი, რაც ჩემში იყო, ჩემს მიერ დანახულ სამყაროში. ბევრი ჩხრეკა-ძიების მერე მივხვდი, რომ ჩემი იარაღი, კალმის ან ფუნჯის ნაცვლად, კამერა იყო. ჩემი მთავარი თვალი, რომლითაც სინამდვილე სულ სხვაგვარი ჩანს. ჰოდა, დავიწყე ამ საქმის სწავლა. უკან არაფერზე დამიხვევია, კლიპებს, რეკლამებსაც ვიღებდი, ეს ყველაფერი კი გამოცდილებას მმართვედა და რაც ყველაზე მთავარი იყო, იმის დანახვაში მეხმარებოდა, რა არის კარგი და რა – ცუდი. მერე გავიცანი რამდენიმე ძალიან ნიჭიერი ადამიანი – **გვანტა ქელიძე**, რეჟისორი, რომლის გარეშეც საქმის კეთება ძალიან გამიჭირდება, მსახიობი და მომღერალი **გიგა ჯღარკავა**, ოპერატორები **ვაჟა მიჩილაშვილი** და **დავით ბადაგაძე**, მხატვარი – **თეა აკობია**, **რობინზონ ხალაძე** – ჩვენი იდეების მთავარი გენერატორი, სცენარისტი – **ნინო სადღობელაშვილი**, გვანდემ მათ ჩემი იდეები, აღმოჩნდა, რომ ყველანი ერთ მხარეს ვიყურებით, ანუ იქ, სადაც ყველაზე მეტად გვეძვირფასება ჩვენი ეროვნულობა და ზოგადად, ჩვენი ადამიანობა. ჩამოვყალიბეთ პროექტის სახით, რის გაკეთებასაც ვაპირებთ, რა მიზნებს ისახავს ჩვენი სტუდია და, აი, პირველ ფილმზე მუშაობა უკვე დავიწყეთ.

კინოსტუდია „ხომლი“ კი მიზნად ისეთი ფილმების შექმნას ისახავს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მის სულიერ და კულტურულ შინაარსს მუდმივ თანამედროვედ წარმოაჩენს. რამდენიმე თემა უკვე შერჩეული აქვთ: მხატვრულ-დოკუმენტური ფილმები საზოგადო მოღვაწეებზე, იმ ადამიანებზე, ვინც თავიანთი ღვაწლით განაპირობა ჩვენი ისტორიული ბედისწერა; ფილმები ქართული ანბანის, ეთნოგრაფიის, ისტორიის შესახებ. უანრი ყველგან დაცული იქნება: მხატვრულ-დოკუმენტური. ისტორიულ კონტექსტში გაცოცხლდება ცალკეუ-

ლი ეპიზოდები და კადრები. ფილმს ეყოლება მთხრობელი, ექნება საინტერესო დრამატურგია.

მათ არ ჰყავთ სპონსორი, არავინ აფინანსებთ, და ეს, ცხადია, დამატებით ნინაალმდეგობებს ქმნის. თუმცა, თავდაპირველ ეტაპზე, პრობლემებს საკუთარი ენთუზიაზმით ეჭიდებიან, სამომავლო ხელშემწყობთა გამოჩენასაც იმედოვნებენ.

**ლევან ლომაშვილი:** ეს ყველაფერი კოლოსალური შრომაა, მაგრამ, ძალიან კონკრეტული მიზნები გვაქვს: გვინდა, ჩვენს ფილმებს შემეცნებითი ხასიათი ჰქონდეს. გვინდა ისინი საქართველოს ყველა სკოლაში ვაჩვენოთ. ჩვენი მომავალი თაობების ნიგნიერება-უნიგნიურობაზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ. ნიგნიერება, განათლება იმაშიც უნდა გამოიხატოს, თუ რამდენად იცნობს ბავშვი თავის სამშობლოს. კინოს დღეს ადამიანზე ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. ჩვენი სურვილია, ჩვენს ბავშვებს ამ კუთხითაც გავაცნოთ თავიანთი ქვეყანა. დღეს ყველა საშუალება უნდა გამოვიყენოთ ამისთვის. ჩვენ ეს გვაქვს და ამას ვაპირებთ. შევიტანეთ კიდევ პროექტი განათლების სამინისტროში, იმედია, დაგვრთავენ ნებას, რომ მომავალი წლიდან სკოლებში ვაჩვენოთ ჩვენი ფილმები. გარდა ამისა, ვფიქრობთ უცხოელ მაყურებელზეც და არც მათთვის იქნება უინტერესო. თუკი საქართველო ვინმეს აღელვებს და აინტერესებს, ჩვენი ფილმები მათთვისაა. ესაა ის უმთავრესი, რაც გვინდა. დიდ ავიაციამდე, როგორც იტყვიან, მშობლიური გზებით უნდა გავკვალეთ.

პირველი ფილმი სულხან-საბა ორბელიანს ეძღვნება. მის ცხოვრებას, შემოქმედებას, იმ ისტორიულ შინაარსს ასახავს, რომელიც დიდ ქართველ მნიგნობართან და მოღვაწესთანაა დაკავშირებული. გადაღებებზე ჯგუფს დავით გარეჯში გავყევი. საბას თორმეტწლიანი ბერული ცხოვრება სწორედ დავით გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტერს უკავშირდება და, მათაც რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი გარეჯში უნდა გავაცოცხლონ.

**ლევან ლომაშვილი:** რატომ საბა? ზოგადად, სულხან-საბას „სიბრძნე

სიცრუისა“-ზე დიდი ხანია ვმუშაობთ და რამდენიმე იგავის ინსცენირება უკვე გავაკეთეთ. ეს ფილმი კი მის არამხოლოდ შემოქმედებით, არამედ პოლიტიკურ საქმიანობასაც ასახავს. საერთოდ, საბას დროინდელი საქართველო ძალიან ჰგავს ჩვენს თანამედროვეობას – ქაოსი შინ და გარეთ, მუდმივად არჩევანის წინაშე დგომა, შემოფოთებული ევროპა და უიმედო რუსეთი, დაკნინებული სულიერება... საბა უდიდესი მოღვაწეა, ვის სახელსაც ქართული ენის ყოფნა-არყოფნის საკითხი უკავშირდება. მისი „სიტყვის კონა“ ეს არის დაუშრეტელი წყალი ყველაზე შორეულ უდაბნოში მოგზაურობისთვისაც კი. ჩვენ კი, რატომღაც, სულ ასეთ საბედისწერო გზებზე დავდივართ ხოლმე... საბა მაგალითია ნებისმიერი ადამიანისთვის იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურო სამშობლოს, სწორედ ამიტომ და კიდევ მრავალი მიზეზით, პირველი ფილმი სულხან-საბა ორბელიანს ეძღვნება.

დავით გარეჯში გამთენიას ჩავედით. მზის ამოსვლის კადრები ფილმის მეტაფორა იქნება. ასე ამოდის ის ყოველი წყვილი, კატასტროფის, განსაცდელის შემდეგ და სამყაროს ახალი სიცოცხლით ავსებს. ასე ეფინება ის ყველას თანაბრად და, ადამიანებს უღვივებს რწმენას, რომ კარგი საქმის კეთებას არაფერი სჯობს. ეს ახალგაზრდებიც, ამ რწმენაგაღვივებულთა შორის არიან. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მათი საქმეც და ენთუზიაზმიც გადამდებად მოქმედებს სხვაზე და უამრავი პრობლემის, წინააღმდეგობის, უსპონსორობის და უფინანსობის მიუხედავად, მაინც მტკიცე და შეურყეველია.

ლევანს ვკითხე, სტუდიას „ხომლი“ რატომ დაარქვით-მეთქი. მიპასუხა, ხომლი საბას განმარტებით ვარსკვლავთკრებულს ნიშნავს, ადამიანებს კი, თუ ძალიან მოინდომებენ, შესწევთ დიდი უნარი, იცხოვრონ დედამიწაზე ისე, როგორც ვარსკვლავები ცხოვრობენ ცაში. ნამდვილი ვარსკვლავები და არა ყალბი, გაუფასურებული. ნამდვილი ვარსკვლავების ჯამს კი, ხომლი ჰქვიაო.



პრეზენტაციები

პოეზიის უფლისწული – ბარათაშვილით

დავით  
წერედიანი

ოტიონი

„ეს არის წიგნი, რომლითაც მისმა ავტორმა პირდაპირ შეაბიჯა კლასიკურ ლიტერატურაში“, – ასე შეაფასა როსტომ ჩხეიძემ დავით წერედიანის პოეტური კრებული „ორიონი“, რომლის წარდგინებაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ დავით წერედიანი არ გამოირჩევა ხელხვაგვიანობით, მაგრამ რაც კი შეუქმნია თავისი ცხოვრების მანძილზე – იქნება ეს თარგმანი, ესეები თუ ორიგინალური პოეტური ნიმუშები – მონაპოვარია ყველა სფეროში და ბევრნილად განსაზღვრავს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას. მას მართლაც ხელისგულზე აქვს ბოლო რამდენიმე საუკუნის პოეზია და ეს არის არა მხოლოდ მისი პირადი განცდა, არამედ ყველა მკითხველისა, რომელიც ამ კრებულს გაეცნობა.

თავის დროზე დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა ფრანსუა ვიონის თარგმანის გამოქვეყნებასაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი ესეების კრებულიც, საიდანაც – უხვი თეზისების გამო – ძალდაუტანებლად შეიძლება ამოვიდეს არაერთი ნარკვევი, სტატია და მონოგრაფია.

სიტყვით გამომსვლელებმა ისაუბრეს დავით წერედიანის გამორჩეულად ქართულ პოეზიაზე, რომელსაც არ სჭირდება ახსნა და კომენტარი, არ ემორჩილება არავითარ დეფინიციას და გიჩენს „ლექსით ნათესაობის განცდას, რომელიც სისხლით ნათესაობაზე არანაკლებ ძვირფასი და მნიშვნელოვანია“.

გაიხსენეს პოეტის სტრიქონებიც – „ღმერთის ლექსიკის“ მსგავსი სიტყვათა წყობა, მოულოდნელი რითმები; ისაუბრეს მისი ლექსის მიმოხვრაზე, სილამაზისა და ფორმის შეგრძნებაზე, პოეტურ ტონზე, რიტმის მდინარეობაზე, ეროვნულ ტრაგიზმზე, რომელიც ყველა ამოსუნთქვაში იგრძნობა, სტრიქონებზე, რომლებიც დიდ იდეებს გაზიარებენ და პოეტის სულში დაბადებულ ხილებს შენთვისაც რეალობად აქცევენ. ამ თვალსაზრისით საგანგებოდ გამოარჩიეს „ლაზარეს“ ციკლი, მთავარ სათქმელად, ნიშანსვეტად რომ უნდა მივიჩნიოთ „ორიონისა“.

შეკრებაზე განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს კრებულის რედაქტორს, როსტომ ჩხეიძეს, ამ მოუხელთებელი ავტორის წიგნის გამოცემისათვის. გაიხსენეს „ფაუსტის“ თარგმანიც და აღნიშნეს, რომ ქართულ პოეზიაში ოსტატობის მხრივ ძნელად თუ დაუდგება ვინმე გვერდით დავით წერედიანს. მას ძირფესვიანად აქვს ათვისებული მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და ზედმიწევნით იცნობს ქართული ლექსის ყველა სახეს, მაგრამ, ამავე დროს, იგი რუსული და ევროპული პოეზიის სწორუპოვარი მცოდნეა და მისი თარგმანებიც სწორედ ამის დასტურია.

გამორჩეული ყურადღება გამახვილდა დავით წერედიანის პოეტურ იუმორზე

– თითქოს შეფარულსა და შენიღბულზე – ცალკე შესწავლის თემად რომ უნდა იქცეს, ლამის ფოიერვერკად რომ გვევლინება ვიონის თარგმანში და ამ კრებულშიც ვაკრთება ხოლმე მძაფრი განცდების ფონზე. აკი თვითონაც ამბობს: „ვარ მინდობილი კლასიკურ მუზას, მცირეოდენი განდგანათი“.

წლების წინათ ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნებული დავით წერედიანის ლექსები და შემდეგ ჟამიდან ჟამამდე, ელვარებიდან ელვარებამდე ბრწყინდებოდა ხოლმე მისი სტრიქონები. თითო პუბლიკაციას სჯერდებოდა, მაგრამ მისი ლექსები ორგანოზომილენიანი ტექსტებისგან შედგება, რამდენჯერმე უნდა ნაიკითხოთ, რომ ბოლომდე გაიგოთ – არა მხოლოდ ამ თავისებურების გამო. მის სტრიქონებში ხომ ყველაფერია – სიყვარული, ტკივილი, სიხარული, დაბადება, რწმენა, რომელიც ქვაკუთხედია დავით წერედიანის შემოქმედებისა. ეს არის პოეზია, რომელიც სვანეთმა მისცა ქართულ კულტურას, უშბამ, შხარამ, იმ ხატწერამ, სარწმუნოებამ – წარმართობისა და ქრისტიანობის შეჯახებამ რომ წარმოშვა.

შეკრებაზე ცალკე საუბრის თემად იქცა დავით წერედიანის ესეების კრებული „ანარეკლი“, რომელშიც არაერთი საგულისხმო მინიშნებაა ქართული მწერლების, მათი შემოქმედების შესახებ.

ასე შეაფასეს „ორიონი“ როსტომ ჩხეიძემ, დალილა ბედიანიძემ, ლანა ლოლბერიძემ, ლია სტურუამ, პაატა ჩხეიძემ, ვახტანგ ჯავახაძემ, ზაირა არსენიშვილმა, მაკა ჯოხაძემ, კახა ჯამბურამ, ნანა ტონიამ, ემზარ კვიციანიშვილმა.

ეს პოეტური კრებული შეკრებაზე ნიკოლოზ ბარათაშვილის წიგნსაც შეადარეს და განწნდა იდეაც – ქართული პოეზიისა და ენის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის დავით წერედიანს ეწოდოს ქართული პოეზიის უფლისწულის სახელი.

გამორჩეულად აღსანიშნავია ელისო კალანდარიშვილის მოხსენება, რომლითაც ავტორმა საფუძვლიანად მიმოიხილა დავით წერედიანის პოეტური კრებული და სიღრმისეული ანალიზით განსაზღვრა მისი მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურულ პროცესებში. ყურადღება გამახვილდა წიგნის წინასიტყვაობაზეც, რომელიც როსტომ ჩხეიძეს ეკუთვნის და ზუსტი მინიშნებებითა და მიგნებებით, ორიგინალური ფორმითა და საინტერესო პარალელებით უჩვეულო რაკურსიდან გვიხსნის დავით წერედიანის პოეტური სამყაროს კარს, სამყაროსი, რომელიც უკვე კლასიკური ლიტერატურის ნაწილი გახდა.

ეს ხვედრი კი...  
„ურთულეს და შორეულ, დიდ სივრცეებზე გამავალ გზას გულისხმობს“, როგორც დავით წერედიანის „სავიზიტო ბარათი კაცობრიობისა და შთამომავლობისადმი“.

**კერძო აზრები ეროვნულ სატკივარამდე**

თავიდან ეს ნოველები ჩაფიქრებული ჰქონია როგორც გლოვა ქართული სოფლისა – რომ მორღვეულიყო და მასთან ერთად იკარგებოდა ბევრი რამ ძვირფასი და სასუკეარი, ბევრნილად რომ განსაზღვრავდა ერის თვითმყოფადობას.

ჩაფიქრებული კი ჰქონია, მაგრამ... მერე ისიც დაუნახავს მწერალს, რომ მარტო გლოვა აღარ კმაროდა და მოთხრობებისა და ნოველების ეს ციკლი მკაცრ სატირადაც გადაქცეულა თანადროული რეალობისა. ქართული სოფელი, რომელიც გამოჭედილია მავთულხლართებში და ქვეყანა აღარც განსხვავდება საკონცენტრაციო ბანაკისგან – ამ ქარგიტ გაერთიანდა ოთარ ჩხეიძის ეს თხზულებანი და ერთ ციკლად შეიკრა საერთო სათაურით: „ჩემი სოფლის ეტიუდები“. სწორედ ამ ციკლიდანაა ნოველა „შავი თუთაც“, რომელიც მსახიობმა **ზურაბ ცინცილაძემ** ფურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში წაიკითხა.

სიუჟეტი ეფუძნება მწერლის მეგობრის – **„ჩემი საჰანის“** ერთ-ერთი კოლორიტული პერსონაჟის, **შოთა ასანიძის** ნაამბობს, რომელსაც ოთარ ჩხეიძე მისთვის ჩვეული ორიგინალური თხრობით, ეპოქისთვის ნიშანდობლივი დრამატიზმითა და სარკაზმ-ნარევი იუმორით განაზოგადებს და კიდევ ერთხელ წამოწვს პრობლემას – აზიდულს ეროვნულ სატკივარამდე.

**როსტომ ჩხეიძე** კი ყურადღებას მთავარ გმირზე გაამახვილებს და არაერთ საინტერესო ამბავს მოგვითხრობს, თავს რომ გადახდენია ამ კოლორიტულ პერსონაჟს და შესავალი სიტყვით შოთა ასანიძის პორტრეტს რომ დაგვიხატავს, კიდევ უფრო გაუიოლებს შეკრებილებს ნოველის სამყაროში შეღწევას. სწორედ ამ ნიშნით საგანგებოდ გამოარჩევს ბატონი როსტომის შესავალ სიტყვას გოეთეს საზოგადოების წარმომადგენელი **ნინო ბაქანიძე** და მსახიობის ოსტატობაზეც ისაუბრებს.

– მინდოდა ტექსტი ზეპირად მესწავლა, მაგრამ ორი აბზაციც ვერ დავისწავლეო, – თავის მხრივ იტყვის **ზურაბ ცინცილაძე** და დასძენს: კარგი იქნებოდა, კონკურსი გამოგვეცხადებინა მსახიობის შესარჩევად, ოთარ ჩხეიძის მოთხრობების სწორად წამკითხველის, სწორი ინტონაციის მოსაძებნად. მერე კი ეს ყველაფერი, დისკზე ჩანერილი, წიგნზე დართულიყოო.

– ამ ტექსტის სწავლა შეუძლებელია, – ბატონ **ზურაბს** შეეხმიანება ფიზიკოსი **თემურ ნადარეიშვილი**, – ფოლკნერის

თხზულებები მახსენდება, მათსავით ესეც ცნობიერების ნაკადია, რომელიც გულდასმით უნდა წაიკითხო, გაიზრო და იგრძნო, – იტყვის და ნანარმოების ენას ჩაულრმავდება, პერსონაჟთა მიერ მოხმობილ უცხო სიტყვებზე, კონტექსტიდან ამოვარდნილ მეტყველებზე, პარლამენტურ ლექსიკონს რომ ემგვანება და სარკასტული ხდება.

– მე კი არც ლიტერატორი ვარ, არც მსახიობი, პროფესიით ექიმი გახლავარ და ჩემთვის ხელოვნების ნებისმიერი ნანარმოები არტთერაპიააო, – ასე გააგრძელებს თემას **მარინე პირველაშვილი** და აღქმის თანამედროვე საშუალებებზე რომ ისაუბრებს – აუდიო თუ ვიდეოვერსიებზე – იტყვის, რომ რაც მეტი იქნება ასეთი შეხვედრები და რაც უფრო მეტი ფორმით იქნება ხელმისაწვდომი ასეთი მარგალიტები, მით უფრო წაადგება მკითხველს და, საერთოდ, ლიტერატურის მოყვარულებს.

**ელისო კალანდარიშვილის** თქმით კი ამ ნოველას ერთ ჟანრს ვერ განაკუთვნებ – აქ ყველანაირი განწყობაა, ნოსტალგიაა იმისა, რაც დავკარგეთ და ბავშვებს შემოაქვთ თავიანთი მოთხუპნული სახეებით. აქ გაკიცხვია თანამედროვე ნაკადისა, რომელიც ჭეშმარიტ ღირებულებებს დაპირისპირებია. ეს ყველაფერი მწერლის მიერ წარმოჩენილია „უთვალავი ფერითა“.


– თქვენი – მამა-შვილის უხილავი თავყანისმცემელი ვარო, – ეს მთარგმნელმა **ნანა თარხან-მოურავმა** თქვა, – წარმოშობით ქართლიდან ვარ და ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო ამ ნიალიდან წამოსული სიტყვები და მათი შერწყმა იმერულ მეტყველებასთან.

ხშირად მსაყვედურობენ: თქვენი კუთხის ადამიანებს იუმორი არ აქვთო. გული მწყდებოდა ყოველთვის, რადგან იუმორის არქონა უნიჭობის ნიშანია.

და აი, მინდა ყველამ, ვისაც ქართლელთა იუმორში ეჭვი ეპარება, წაიკითხოს ოთარ ჩხეიძის შემოქმედება და ნახოს, როგორ ელვარებს ეს ნიჭი ამ მხარეში.

\*\*\*

არადა, გლოვად კი ჰქონია ჩაფიქრებული მწერალს ნოველათა ეს ციკლი, გამოტირებდა ქართული სოფლისა – რომ მორღვეულიყო, მოშლილიყო და კარგავდა... კარგავდა თავის მადლს, იმ ყველაფერს, ბევრნილად რომ განსაზღვრავდა ერის თვითმყოფადობას და ასე სჭირდება ჩვენს თანადროულობასაც.





### საბზალი უკვდავებად

#### ერთი კარგი ამბავი ბავშვებისთვის და დიდებისთვის

ქართული ხალხური ზღაპარი „მინა თავისას მოითხოვს“ იმ სიძველისაა, როცა ზღაპრები არა ბავშვებისთვის, არამედ დიდებისთვის იქმნებოდა. ამას მისი შინაარსი, მისი ღრმა იდეა და სრულიად არასაბავშვო თემატიკა გვაფიქრებინებს. თუმცა რას ნარმოადგენდა მსოფლიოში უნიკალური ამ ზღაპრის პირველავტორი, რომ ოდესმე, 21-ე საუკუნეში მას პირველკლასელი, 6-7 წლის გოგო-ბიჭები წაიკითხავდნენ, უფრო მეტიც, ისე წაიკითხავდნენ, რომ თავიანთ ჩვილ გულებსა და გონებაში ზღაპრის ყველა საფიქრალს გაიტარებდნენ და უეცარი, გამჭვირვალე ელდის მერე ყველაფერსაც მიხვდებოდნენ...

ეს მიხვედრაც რაა – საკუთარ თავში სინათლის ჩაფენა, როგორც პურზე თავლის გადასმა – იმ ცოდნაზე შუქის დადება, რომელიც ადამიანს დაბადებიდან სულ აქვს, ღრმად, ღრმად შემარხული და, მხოლოდ მაშინ იძვრება სიცოცხლით, როცა სინათლე დაედება. ასე იწყება სწორედ სიტყვა „განათლება“.

ამ მშვენიერ პროცესს კი მუდამ ერთი ვინმე სჭირდება, ერთი ვინმე განმანათლებელი. ეს ერთი ვინმე – მასწავლებელია.

ზღაპრისკენ მიმავალი გზაც, თანდათან აენყო – მასწავლებელი: **ნანა თედორაია**, ბავშვები: **175-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები**. გაკვეთილად: **ქართული ხალხურ ზღაპარი „მინა თავისას მოითხოვს“**.

როგორც ნანამ მასწავლებელმა გვითხრა, თავიდან ცოტათი კი შიშობდა, ასეთ პატივს ასაკში ამ უცნაურ და ღრმა ზღაპარს რომ შესთავაზებდა ბავშვებს, მაგრამ შიში მალევე ცნობისმოყვარეობამ და იმისმა რწმენამ შეუცვალა, რომ მისი კარგი, ჭკვიანი და მოაზროვნე მოსწავლეები ყველაფერს დაძლევენ.

ზღაპარი ერთად წაიკითხეს. საგანგებოდ ამ დღისთვის სტუმრად პოეტ **მარიამ ნიკლაურს** უხმეს. მარიამი მოსწავლეებს ზოგადად ზღაპარზე და მის მნიშვნელობაზე ესაუბრა, ამ კონკრეტულ ტექსტში ძალიან არსებით თემებზეც გაუმახვილა ყურადღება. მერე ერთად გაეცვენ ამბავს უკვდავების მაძიებელ ბიჭზე, რომელიც სიკვდილის არსებობამ შეაშინა და ცხრა მთა გადაატარა...

ტექსტზე მუშაობა რამდენიმე კუთხით წარიმართა: ნანა მასწავლებელმა ბავშვებს დავალებად თავისუფალი თემები მისცა. ასე მაგალითად: „დედამინა“, „თვალი“, „სიკვდილი“, „ბედისწერა“, „თავისუფლება“, „საათი“, „მფრინავი ხალიჩა“ და ა. შ. ბავშვებმა დაწერეს თემები, რომლებმაც ერთ კომპაქტ-დისკში, აუდიოჩანაწერის სახით მოიყარა თავი.

მეორე ეტაპი იყო მხატვრის სტუმრობა მათთან, რომელსაც ასევე თავისი განუმეორებელი ფუნქცია დაეკისრა: მხატვარი **თეო კუხიანიძე** მოსწავლეებს დაეხმარა, შეექმნათ ესკიზები, ფიგურები, ჩანახატები ზღაპრის გმირებისა და მოვლენების მიხედვით.

ამ მშვენიერმა მასალამაც თავისი სამყოფელი ნახა: რეჟისორის – **ილია ქორქაშვილის** და მასახობის – **ირაკლი დოლიძის** დახმარებით, ბავშვების მიერ შექმნილი ესკიზებისგან და ფიგურებისგან შეიქმნა 9-ნუთიანი ანიმაცია ზღაპრის მიხედვით. გარდა ამისა, დამონტაჟდა კოლაჟი, სადაც ყველა ნახატმა და მათმა ხელნაწერებმა მოიყარა თავი.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი წინ იყო: ეს ყველაფერი, ტექსტიან-დისკიანად, ერთ დიდ წიგნში დაბინავდა. ხელნაკეთ წიგნში, რომლის შექმნაშიც ბავშვებს რეჟისორი **ვანო ხუციშვილი** დაეხმარა. წიგნს უჩვეულო აგებულება აქვს – 33 გვერდისგან შედგება და ყოველი გვერდი ქართული ანბანის თითო ასოს ეძღვნება. ასე გამთლიანდა ერთად ორი დიდი სიახლე პირველკლასელთა ცხოვრებაში – ქართული ანბანი და ზღაპარი უკვდავებაზე.

24 მაისს კი **ყოვლადწმინდა სამების ახალგაზრდულ ცენტრში** მათი შექმნილი ხელნაკეთი წიგნის და ანიმაციის პრეზენტაცია გაიმართა. მოსწავლეებმა ქართული ანბანის სურნელი დაატრიალეს: თეთრი პერანგების გულისპირზე ანბანი ეწერათ, კითხულობდნენ ანბანთქებას, მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს და ეტყობოდათ, რომ ძალიან მოსწონდათ ეს ყველაფერი. თან უკვე დაბრძენებულებიც იყვნენ: მათ ხომ რამდენიმე თვეში ისეთი საიდუმლოებები გაიგეს, რომელთა შეცნობასაც ხანდახან ადამიანი მთელი ცხოვრებას ანდომებს ხოლმე. თვით სიკვდილზე ფიქრიც კი, მათ თემებში და ნააზრევში ყველაზე მშვენიერი და უმტკივნეულო გამოჩნდა...

„საგზალი უკვდავებად“ – ასე უნოდა ნანა თედორაია ამ საღამოს და მთელ ამ პროცესსაც, და იმ ტკბილ და მსუბუქ ტვირთს, რომელიც მან თავის მოსწავლეებს ამ ცოდნის გაზიარებით აჰკიდა. სწორედ ამის გამო აღარ შეუშინდა და „წითელქუდას“ ან რომელიმე უწყინარი, წმინდად საბავშვო ზღაპრის ნაცვლად, ბავშვებს ცოტა საშიში და საბედისწერო ზღაპარი წაუკითხა.

„მინა თავისას მოითხოვს“.

უკვდავებად მაგალი მგზავრისთვის სწორედ რომ ნოყიერი და მადლიანი საგზალია. მასწავლებლის მადლიც ეს არის – მოსწავლეს ასეთი საგზალი გაუმზადოს.